დროის ძახილი

ქართველი მწერლები ხუთწლედს

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი, 1978

Г 2
899.962. 1—82
Ф 844

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1973.

3 $\frac{0743—021}{М—606\ (02)—73}$ 73

შემდგენლებისაგან

მწერალი საბრძოლველად გამზადებულ ვაჟკაცს ჰგავს, აბჯარგაუხდელსა და ჯაჭვისთორიანს, ყველა იმედით შეჰყურებს გამარჯვების მაღალი რწმენით მოსულ მეომარს, რომელსაც პერანგად აცვია ტანთმორგებული მძლავრი სიმღერა.

მწერლისათვის ჩვენი აღმავალი ცხოვრების ყველა ეტაპი ბრძოლისა და გამოცდის ასპარეზს უდრიდა. სოციალისტურმა ეპოქამ მას უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა, როცა ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი კომუნისტური პარტიის იდეალების მხატვრული სიტყვით ამსახველის მოვალეობა მიანდო. სწორედ ამიტომ, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ჩვენი მოწინავე მწერლობა ყოველთვის გამოხატავდა მშრომელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, მხარდამხარ მიჰყვებოდა ნათელი მომავლის მშენებელ ადამიანებს, როგორც მათი უზადო ცხოვრების მეხოტბე და მეამატიანე.

გალაკტიონ ტაბიძეს „ბრძოლის პიესად" წარმოესახვოდა ცხოვრება, ხან კარგი, ხანაც მწუხარე, მაგრამ მაინც ქუხდა: „სინათლეს გაუმარჯოს, სინათლის ყვავილებსო". დარიც ყოფილა, მწარე მზეც, ლხინიც ყოფილა, გაჭირვებაც, ისინი კი ქმნიდნენ, ქმნიდნენ და ერს მიუძღოდნენ წინ.

ახლა მეტად, გაცილებით უფრო მეტად შეიძლება ფრთების გაშლა, როცა პირიქით გეხმარებიან ფრთების გაშლაში. ქართველმა მწერლებმა დაბეჯითებით იციან, რომ ახლა განსაკუთრებით არ არის პა-

სიურობის დრო, მათ წინ 'შექმნისა და 'მენების ჭეშ-მარიტი სარბიელია გადაშლილი.

დღევანდელი მწერალი თავის ნაყოფიერ საქმია-ნობას შეგნებულად უნდა უკავშირებდეს საზოგა-დოების ინტერესებს. სწორედ ასე იქცევა ჩვენი მწე-რლობის საუკეთესო ნაწილი, სწორედ ასე მიაჩნი-ათ და ამ ნაღდი მიზნით არიან გამსჭვალულნი ჩვენი მწერლები.

დღეს ხორცს ისხამს ჩვენი დიდი ხუთწლედის მე-სამე, გადამწყვეტი წელი, მეცხრე ხუთწლედის დამ-კვრელური წელი. ჩვენი მწერლობის ნათელი არსი მის მაღალიდეურობასა და მაღალმხატვრულობაშია, რათა ისინიც არ ჩამორჩნენ აღებულ ტემპებს და სახალხო წინსვლით ანთებულ ადამიანებს შესაფე-რისი სიტყვა მიაგონ.

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი", — თქვა ჩვენი დროის დიდმა მეხოტ-ბემ გიორგი ლეონიძემ. დღევანდელ დღეს ჭაბუკუ-რი გატაცებით დაწერილი ლექსები სჭირდება, მათი ერთ ჩუქურთმაში გამოყვანა კი სიტყვის დიდოსტა-ტების საქმეა. ჩვენი დრო თავისი სირთულით, ტემ-პებით, გაქანებით დიდოსტატებს უნდა ეკუთვნო-დეთ, დღეს არ კმარა მცირეხმიანი თქმა, პირიქით, უნდა მქუხარებდეს იგი.

და „დგანან იქ, სადაც ქარიშხალია" ქართველი მწერლები, „ახალ გრიგალებს სწირავენ სიცოცხ-ლეს", დგანან და მხურვალე მოწონებით, ჩვეული პასუხისმგებლობით ეგებებიან პარტიის ყველა მო-წოდებას. იმედითა და რწმენით ხვდებიან მკითხვე-ლთა წრფელი გულები ახალ მოთხრობებსა და რო-მანებს, ლექსებსა და პოემებს, დროშებად აფრიალ-დნენ სინათლითა და სიმართლით სავსე ლექსები,

ჯარისკაცივით ჩადგა მწყობრში დიდი ტილოების წინამორბედი მხატვრული ნარკვევი.

ხუთწლედისათვის მებრძოლთა რიგებში შემართებულად იბრძვის ხმალივით ალესილი ქართული სიტყვა, მას მოსდევს მუშაკაცის ძალა და ლაზათი, თანამედროვეობის ვნება და სიმძაფრე.

დაიძრნენ მწერალთა ბრიგადები ფაბრიკა-ქარხნებისაკენ და საკოლმეურნეო მინდვრებისაკენ, უმაღლესი სასწავლებლებისა და ახალმშენებლობებისაკენ, ზვრებისა და ფერმებისაკენ, ყანებისა და ბაღებისაკენ. ფართო კალაპოტით გაიშალა ცხოვრების უკეთ გაცნობისათვის ლტოლვა, სახალხო დოვლათის შემქმნელი ადამიანების გვერდით ყოფნისა და დაძმობილების სურვილი.

მწერლებისა და ხუთწლედის გმირების მაღალ დონეზე შეხვედრამ უკვე გამოიღო სასურველი ნაყოფი, დაიწერა ბევრი მხატვრული ნარკვევი თუ ახლებურად აჟღერებული ლექსი. მწერლების შემოქმედებაში ღრმად შეიჭრა სოციალისტური შეჯიბრების მასშტაბურობა, ჩვენი ცხოვრების პოზიტიური მხარეების წინ წამოწევა, ნაკლოვანებათა საბოლოო უკუგდება.

მოწინავე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ჯგუფი გრძელვადიანი შემოქმედებითი მივლინებებით გაეშურა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში. ისინი ესტუმრებიან ენგურჰესისა და ჟინვალჰესის მშენებლებს, ალაზნის სარწყავი სისტემის შემოქმედებსა და მეცხოველეობის დიდი კომპლექსების საფუძვლების ჩამყრელებს, მეშახტეებსა და მეჩაიეებს, მხვნელ-მთესველებსა და მწყემსებს, მესიმინდეებსა და ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებს, მეციტრუსეებსა და მეცნიერებს. დიდი იმედის მომცემი ჩვენი შემოქმედები უშუალოდ იც-

ხოვრებენ მშრომელ ადამიანებთან, დაიმუხტებიან მათი ძალით, მიზნებით, ვაჟკაცური სულისკვეთებით და სულ მალე მათ რომანებსა თუ მოთხრობებში, ლექსების ციკლებსა თუ მხატვრულ ნარკვევებში ვიხილავთ ჩვენს გმირ თანამედროვეს, გმირს მეცხრე ხუთწლედისას, შრომის ფრონტიდან წიგნის ფურცლებზე გადმოსულ ადამიანებს.

დღეს კი, როდესაც მკითხველს ვთავაზობთ ლექსებისა და ნარკვევების ერთი ნაწილის ამ პირველ მცირე კრებულს, ვფიქრობთ, პუბლიცისტური მგზნებარებითა და მოქალაქეობრივი პათოსით იგი მათ დაინტერესებას გამოიწვევს. ეს მწერლური მოსავალი ჯერ ერთი წლისაც კი არ არის, მაგრამ ჩვენ იგი მიგვაჩნია მეტად დიდი და ნაყოფიერი სიმღერის შესავლად, რომლის მრავალხმოვნება კიდითკიდემდე უნდა მოეფინოს შრომითა და აღმშენებლობით წინ მიმავალ საქართველოს.

ჯანსუღ ჩარკჟიანი
ნუგზარ წერეთელი

ლეონსეული

ჰიმნი სამშობლოს

რაც დაიმკვიდრე ეს მთა და ბარი,
რაც ქვეყნად ახსოვთ შენი გაჩენა,
არ შეგშრობია ჯერ ოფლის ღვარი,
არ მოგქანცვია გარჯით მარჯვენა.

ახვევდი ვენახს,
ადნობდი ფოლადს
და შენ გესმოდა ალბათ მაშინაც,
რომ არა მხოლოდ ხმალმა და ბრძოლამ —
ბარჯამ და შრომამ გადაგარჩინა.
შენს თვალწინ გაჰქრა მრავალი ტომი,
ცეცხლში გაწრთობდა ცხოვრება მკაცრი,
და, რაც სიამე გაიგე შრომის,
იმ დღიდან იცი ცხოვრების აზრიც.
ათას ცეცხლში და გრიგალში გასძელ,
შენს მნახველს მართლა უნდა უკვირდეს!
შენ აშენებდი დაქცეულს ასჯერ,
უფრო მაღალს და უფრო უმკვიდრესს!

და შენ აღსდექი,
განახლდი როცა,
შენი ხმა ახლა რა შორს გაისმის!
შენ ახალმა დრომ მძლავრი ფრთა მოგცა
თავისუფალი შრომის ხალისის.
ხარ შემოსილი სიმწვანის ფარჩით,
წინ სიჭაბუკის მწვანე გზებია...
შენ დაამტკიცე შრომით და გარჯით
თავისუფლებას რა შესძლებია!
სიცოცხლე მოაქვთ
არხებს, კაშხალებს,
ღელავს ფაფარი მწვანე ჯეჯილთა,
გულს ის ახარებს,
თვალს ის ახარებს,
რაც გიშრომია ასე ბეჯითად.
მწვერვალებს იპყრობს წინსვლის წადილი,
და შენც დარწმუნდი, ვით სხვა მრავალი,
რომ შრომაშია მხოლოდ ნამდვილი
ბედნიერება და მომავალი,
რომ გზა იოლი არა ღირს კვეხნად,
შუქს მოსაჩვენარს გააქრობს ბინდი,
და არ არსებობს,
არ არის ქვეყნად
ბედნიერება შრომაზე დიდი.
და სულ იბრწყინებს უჭკნობი ნათლით,
არასდროს კვდება,
არა ბერდება

მხოლოდ მართალი მარჯვენის მადლი,
მხოლოდ მართალი შემოქმედება!

მაშ, შთაგონება ახლის შენებას,
ადიდე შრომა ალალმართალი,
ძველზე ლამაზი შეჰქმენ მშვენება,
წიგნიც —რუსთველის წიგნის ბადალი.
ადიდე მძლავრი ზვირთების ზათქი,
ცეცხლის გიზგიზი ღამით და დღისით
და ხულთუქმნელი ძეგლები დადგი
შენი დროის და სახელის ღირსი.

(„კომუნისტი“)

ფიქრები ენგურის ხეობაში

სახელოვან გვირაბგამყვანს
შუქრი აბაკელიას

ცახცახებს დილა
ვიდრე სცივათ მაღალ მწვერვალებს,
დამსხვრეულ მზის სხივს
უფსკრულებში გააქვს ჩხრიალი...

იმძლავრებს მაინც,
ნისლს გააპობს ხმალი ელვარე
და მთა იღვიძებს
ჩანჩქერებით ათასხმიანით.
ქათქათა თოვლი
დაგვიბნელებს თვალს ბრწყინვალებით,
დაფლეთილ ციდან
ღვარად მოდის სინათლის თქეში.
იალქნებივით მოარღვევენ
ცას მყინვარები
და უთვალავი ბროლის კოშკი
კაშკაშებს მზეში.
აქ მუდამ ასე ბრწყინავს შუქი
ნისლში გამხვალი,
და მე ვფიქრობდი
თვალშეუდგამ მთას რომ ვუცქერდი,
როგორ დაიძვრის ადგილიდან
ის მთა მაღალი,
ან ტალღით როგორ გაირღვევა
მისი გულ-მკერდი.
კაცის რწმენა რომ მთასაც სძრავდა
სჯეროდათ მუდამ,
მაგრამ სვანეთის მთებს
რა დასძრავს
მარტოდენ რწმენით,
თუ ბურღი არ გაქვს
კლდის. გამკვეთი,

წერაქვი თუნდაც,
თუ ბნელში გზა არ გაიკვლიე
ნაღმით და დენით.
და შენ ყოველდღე
კლდის სანგრევად
ისხამ იარაღს,
ქვესკნელს ჩადიხარ,
აბრსკილივით*
ცაზე ოცნებით.
რომ კიდევ მეტად
გაანათო ზეცა კრიალა
და მთის მდინარე
გააჯიბრო მზეს საოცრებით.
შენ იქ ჭკვიანი მანქანების
ნებას განაგებ,
მათ ჯანსაღ გუგუნს,
რთულ მუსიკას,
არა მოსაწყენს,
და დაშლილ ქანებს,
დაცემულებს,
როგორც ქადაგებს,
მოერეკები შავეთიდან
სამზეოსაკენ.

---

* აბრსკილი — ამირანი (აფხაზური ეპოსისა). განრისხებულმა ღმერთმა, თქმულების თანახმად, ქვესკნელში, გამოქვაბულში ჯაჭვით დაბა რკინის პალოზე.

ჯერ ჯურღმულები
ლიანდაგმა უნდა დალამბოს.
გულ-ღვიძლი
უნდა გამოეხრას
ამ მთებს ზვიადებს,
გვირაბად ჰკირავ
ბეტონის და რკინის კალაპოტს,
რომ შიგ ენგური
შემდეგ ლაღად შემოგრიალდეს.
მოჰქრის ენგური,
ცეცხლი სცვივა
მის ჯაჭვის პერანგს,
დამდნარი ტყვიის წარღვნა მოდის
თუ გრიგალია?!
იგი კვიცსა ჰგავს,
გაუხედნელ ნისლისფერ მერანს,
დაჭრილ ნადირს ჰგავს,
რომ აწყდება
რკინის გალიას.
მოჰქრის ენგური,
შლეგი ხარი
ტანმოშვილდული,
შუბლს უმსხვრევს კლდეებს,
ხელს არ აძლევს
მთთან თანხმობა,
მთების ნაწური

და ისევ ამ მთებით სულდგმული,
მათვე აწყდება
დასანგრევად
და დასამოხობად!
მოჰქრის ენგური,
მუხლის ჩახრა
ჯერ არ სჭირდება,
მაგრამ სულ მალე
სალტეებში ტოტებს ჩახლართავს,
მალე ფაფარში
რკინის ხელი ჩაეჭიდება
და გიჟურ ქროლვას დაიოკებს
მაღალ კაშხალთან.
მაშინ მიწისქვეშ
გაიხსნება გზა
უჩინარი,
შმაგი ენგური
შენს გვირაბში
მორჩილად შევა,
და მე მშურს ბედი
ენგურის და
ყველა მდინარის,
ვისაც ხვდა წილად
შუქად ფრქვევა,
სინათლედ ქცევა.
ვისაც ამ ქვეყნად
მხოლოდ უქმად

არ უდენია,
ვისი აკვანიც
.თოვლიანი მთის კალთებია,
ვისაც გრძლად
ღამე უტეხია
და უთენია
დიდ ნათელს
თუნდაც ერთ ნაპერწკლად
მიმატებია!

ადამიანშიც თვლემს სინათლე
დამარხულ განძად,
მას ვერ აღაგზნებს ცეცხლად
სიოს მობერვა სუსტი
და რომ ავარდეს
შუქის სვეტად,
ან ძლიერ ხანძრად,
მიძინებული ნაპერწკალი
ქარიშხალს უცდის.
ჩვენი წიგნებიც
ხომ სინათლის
არის სათავე,
ჩვენი ლექსიც ხომ
ენგურივით მუდამ იქროლებს,
ჩვენი შვილები
ბნელ ღამეში მათ შუქს ჩართავენ
და აანთებენ

ჩვენი დროის
ნათელ სტრიქონებს!
მაგრამ ძნელია,
ძლიერ ძნელი
იმის მიღწევა,
ხნულში მადლად და
შუქად ჩადგე
სიბრძნის მთესავი,
ვიდრე მგოსანი
სინათლედ და შუქად იქცევა,
ქვესკნელის სიღრმეს
უნდა ჩასწვდეს ისიც,
შენსავით.
შენ საიდუმლო იცი
კლდისა და ბნელი მიწის,
მგოსნის ფიქრები
კაცის სულის
სიღრმეს სწვდებიან.
ოოლად ვიტყვით,
მაგრამ ერთმა
ღმერთმა თუ იცის,
მათგან რომელი
უფრო ძნელი ჩასაღწევია!
ვინ უფრო ღრმად ჭვრეტს —
მანქანებით ქვესკნელს ჩასული,
თუ გატანჯული უფლისწულის
სული მკვნესარი,

როცა ტკივილი
  თვითონ ჰყვირის
    ეჭვით ჯვარცმული:
ყოფნა,
  არ ყოფნა,
    საკითხავი აი ეს არის!..

არტყამენ ენგურს
  რკინისა და
    ბეტონის ალყას,
და შენ ყოველდღე
  სალ კლდეს ამსხვრევ,
    როგორც ფარხადი*,
რომ ფრთად შეესხას
  ელექტრონი ენგურის ტალღას,
და მაცოცხლებლად დაიფანტოს
  არხით არხამდის.
და შენ ეს იცი,
  მიწის სიღრმეს რისთვის ჩასდიო,
შუქი რად უნდა წაიმძღვარო —
  თვალის ამხელი...
არ არის საქმე
  უფრო დიდი

---

* ფარხადი — აღმოსავლური ეპოსის გმირი, რომელიც ლეგენდის თანახმად მრავალი წლის განმავლობაში რკინის კლდეს ჰკვეთდა, რათა ხალხისათვის მაცოცხლებელი წყალი გაეყვანა.

და საპატიო,
ვიდრე გმირობა ჩადენილი
ხალხის სახელით!

დგანან ნანგრევნი
ნაშთნი ძველთა დროთა დიდების,
ზღუდენი
დიდთა მდინარეთა გადამღობები,
პირგამეხილი,
ცადასული პირამიდები,
ქვესკნელს ჩასული,
თვალდათხრილი კატაკომბები.
მათ ცივ კედლებში
ზოგჯერ თბილი სისხლი ჟონავდა,
აზანზარებდათ რისხვა
ირგვლივ შემომდგარ მტერთა,
და მაინც იდგნენ მტკიცედ,
რადგან ურიცხვ მონათა
ძვლებიც ეყარა მათ ფუძეში
დუღაბთან ერთად.
იყვნენ მონები
მორეკილნი სხვადასხვა მხრიდან,
ხარაჩოებზე დაღოღავდნენ,
როგორც მღილები,
მათ შიშველ მხარბეჭს
მძიმე ტვირთი მიწამდე ხრიდა
და მაინც

შრომის დიდების დრო
  ნამდვილად შენი დრო არი,
შენმა მარჯვენამ,
  შენმა გარჯამ გამოგარჩია,
როგორც ვაჟკაცი,
  როგორც გმირი სწორუპოვარი!
შენ შოლტის შიშით
კი არ დგები
  სანგრევად კლდეთა,
მხარბეჭს ლაღად შლი
  და ღიმილი გშვენის გულღია,
ქვესკნელში დევებს კი არ ებრძვი,
  სალ კლდეებს კვეთავ,
და შენი ხმალი
  წერაქვი და რკინის ბურღია.
ბატონთა რისხვა
  არ აამღვრევს ბოროტად
    შენს გულს,
ლანდი ბორკილის
  არ ქანაობს
    შენს მაღალ ჭერთან,
ამირანის ცეცხლს
  მიტომ სტაცებ
    ხალხისთვის ენგურს,
რომ შუქის მოსვლა
  იზეიმო იმ ხალხთან ერთად.
დროს თვითონ უსწრებ

და ვის უკვირს სხვამ არ გაგისწროს,
ალალი შრომით ბედნიერი
ბედს არ ემდური,
და ჩასწერს შრომის დიდებაში
სამარადისოდ
შენს სახელს ოქროს ასოებით
შუქი ენგურის.
შუქრი!
დღეს გარჯაც
დღესასწაულს დამგვანებია,
მაგრამ მე მხოლოდ
შენი შრომა როდი მიზიდავს,
ახლა ისეთი გონიერი მანქანებია,
კლდეს თვითონ ანგრევს,
და თვითონვე იღებს მიწიდან.
აქ მისთვის არ ვარ,
რომ შენს შრომას
შორით ვუცქირო,
(შრომაში თავი ისახელა
სხვამაც, ურიცხვმა).
მე მინდა ჩავწვდე
შენი სულის სიღრმეს უძიროს,
და ლექსად მინდა ავამღერო
შენი გულის ხმა.

შენი ცხოვრება შუქნათელი
და ზოგჯერ მკაცრი

შელამაზებას,
ეკლებისგან გასხვლას არ ითხოვს,
მინდა ლექსად ვთქვა
შენი შრომის მაღალი აზრი,
რომ შთამომავლებს
შევუნახო სამარადისოდ.
და თუ შემოქმედს
მხოლოდ მაშინ არ ჰყავს ბადალი,
როცა სიტყვას წვრთნის
შთაგონებით, როგორც მიმინოს,
დე მეც,
ენგურმა ფრთად შემასხას
სიტყვა მართალი,
რომ ჩემმა ლექსმა
უფრო შორს და მაღლა იფრინოს!

(„ლიტერატურული საქართველო“)

ირაკლი აბაშიძე

პასუხად ჩუვაშ ამხანაგებს

ამ დღეებში ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის ჩებოქსარის რაიონიდან მივიღე ასეთი შინაარსის წერილი:

„სიამოვნებით გაცნობებთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ცუდად როდი მუშაობს მეცხრე ხუთწლედის მესამე წელს. ამას წინათ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე თქვენ აგირჩიეთ საპატიო წევრად „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის“ კლუბისა, რომელიც ჩვენ დავაარსეთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ოქტომბრის ბოლოს — ნოემბრის დასაწყისში ოთხ-ხუთ კაცს გვინდა ჩამოვიდეთ თქვენთან თბილისში და გადმოგცეთ „მეგობრობის“ კლუბის საპატიო წევრის წიგნაკი.

გელით ჩვენს ჩუვაშეთის მხარეში, როცა თქვენ ინებებთ.

სიყვარულითა და კოლმეურნეთა დავალებით:

კოლმეურნეობა „გმირის“ თავმჯდომარე
გიორგი ასტრახანცევი,

ჩუვაშეთის ასსრ, ჩებოქსარის რაიონი,
კოლმეურნეობა „გმირი“,
1973. 24 — VII“.

რაც რამ ავაგეთ,
რაც რამ ვამაგრეთ,
ჩვენი ჰესებიც, ჩვენი არხებიც, —
ასჯერ მაღალი,
        რაც ჩვენ ვამაღლეთ
ეს არის ძმობა ჩვენი ხალხების.
სხვა უკეთესი,
სხვა უკეთესი
არ არის ძმობა უფრო მღელვარი;
მე ერთი ჰანგი
        ვარ მის კედელში,
მე ამ დიდ სახლის ვარ მომღერალი.

მე ძველი ხოტბა
ვარ ამ საფიცრის,
მის წვეთშიც ვგრძნობდი მის ბობოქრობას;
სიცოცხლეს ახალს
მთელ დედამიწის
ვაშა ჩვენს ძმობას, ჩვენს მეგობრობას!
ჩვენ შორის გზები,
სტეპი ათასი,
ათასი მთა და კლდე დგას შუაში;
ვაშა იმ ძმობას,
ერთ დიდ კალთაში
გულით რომ უხმობს ქართველს ჩუვაში.
ათასწლის ჭირში,
ბედის ტრიალში
ვართ ჩვენი გზის და საქმის მმართველი;
ვაშა იმ ძმობას,
ერთ დიდ წიაღში
გულით რომ უხმობს ჩუვაშს ქართველი.
ათასმა წყალმაც
შესძრას მთა-ბარი,
ეს უნდა დარჩეს
ტინზე მაგარი,
ეს უნდა დარჩეს შეურყეველი.
ათასიც მისწვდეს
ქვეშ-ქვეშ მძრომელი,
ათასიც დახვდეს
ცრუ და მკრეხელი —

ეს უნდა დარჩეს მიუწვდომელი,
ეს უნდა დარჩეს გაუტეხელი.
როგორც არ გატყდა,
როცა ხანძარი
მოაწყდა მის კარს
ყოვლის მსახვრელი —
ეს უნდა იდგეს როგორც ტაძარი,
ეს უნდა ენთოს როგორც სანთელი.
ათასჯერ კიდეც
გასკდეს ღალატი,
ათასჯერ კიდეც გაწყრეს გამჩენი —
ეს უნდა დარჩეს
აწ და მარადის,
ეს უნდა ჩქეფდეს როგორც ჩანჩქერი.
სხვა უკეთესი,
სხვა უკეთესი
არ არის აზრი უფრო მღელვარი,
მე ძველი ხოტბა
ვარ მის კედელში,
მე ამ დიდ ძმობის ვარ მომღერალი.

1973 წ. 2 აგვისტო.

რეზო ამაშუკელი

განმეორდება ახალი ნდომით

განმეორდება ახალი ნდომით
და სულის კარებს
მიაბლის ქარებს:
— „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!“

ზოგს მხარზე ისევ
მიმინო უზის,
ზოგს დავიწყების სიჩუმე მწარე,
ხოლო სინათლე
ჭეშმარიტ მუზის
დღეის სიმღერას უმატებს პწკარებს!..

ცარიელ სიტყვის
უგულო თამაშს
დრო არაერთხელ დახვდა უარად,
უმშვენიერეს ლექსების გამას
ახალმა სუნთქვამ გადაუარა!

შენ გეკითხები,
ჩემო მამულო,
შენ გეკითხები — იყო თუ არა?
ოდეს მავანმა, უქმად მავალმა,
შენს დიდ სიყვარულს
ვერ მოუარა?!

მოეხსნა რიდე,
განეკრთო რული;
ნებიერებით მთვლემარე აკმეს.
და ის, რაც დაგმე,
მამულო, სრული
სულის განწმენდის გულისთვის
დაგმე!..

ზოდის თაობა,
შენ რომ ელოდი —
სწავლობს,
აშენებს,
თესავს და ბარავს...
და არა ყალბი სადღეგრძელოთი, —
ისევ გიმტკიცებს
სიყვარულს მარადს!..

შთამომავალი
იმ ძველი ჯიშის,
შეურიგებელ სახის იერით,

ვინც შეეგება ტყვიას და შიმშილს,
რომ ყოფილიყო
დღე — ბედნიერი!

დასაბამიდან
ცრემლით, წვალებით,
სისხლის წვიმების გზებით იარე
და ბოლოს
წითელ ფერისცვალებით
ამობრიალდა
ხე — მსხმოიარე!..

რწმენა მართალი
და ჭეშმარიტი
ისევ გვეძახის იმედად ხვალის,
რაც ჩვენს სიცოცხლეს ისევ მარადი
აღფრთოვანებით
უმატებს ხალისს!

და ვერაფერი
ვერ გაანელებს
მოწამეობრივ სიმტკიცეს ჩვენსას,
დიდება შენთვის დაკოჟრილ ხელებს,
გაღებულ სისხლს და
აღმომხდარ კვნესას!...

ნაადრევია
ჩაშვება ღუზის,

! აღმოსავლეთიდ
  მზე რეკავს ზარებს...
  და შთაგონება ჭეშმარიტ მუზის
  ახალ სიმღერას
  მოაფენს არეს!

რადგანაც ხალხი
იღვწის და შრომობს,
და ელის დილა
დიდებულ დარებს,
— „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!“

(„კომუნისტი“)

ხუტა გერულაძე

გაზაფხული მოდის

გაზაფხული მოდის
ჩვენს მამულში, რადგან
თებერვალი დადგა,
ხეში წყალი ჩადგა...

მზე აენთო ცაზე,
მიწის მკერდი თბება.
გაიღვიძეს მზისქვეშ
მინდვრებმა და მთებმა.

ენძელა ხომ გაჩნდა,
როგორც დედოფალი,
სადაც არის, იამ
გაახილოს თვალი.

გაზაფხული გვიხმობს:
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
გუშინდელი ტემპი
უკვე აღარ კმარა.

გარდატეხის წელი,
ამაღლების წელი,
ჩვენგან მხოლოდ გარჯას,
გმირულ გარჯას ელის!

სიტყვას მივცეთ ფასი
და ბარაქა — შრომას;
თორემ ანაზდეულ
მოვა შემოდგომაც.

ვით მსაჯული მკაცრი,
გაგვისინჯავს მაჯას;
ვერ გვიშველის მის წინ
ვედრება და აჯა...

გაზაფხული გვიხმობს:
— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
დღევანდელი ტემპიც
უკვე აღარ კმარა.

მედროშეებს, გმირებს
გავუსწოროთ მხარი,
გადავხატოთ მწვანედ
ჩვენი მთა და ბარი.

გავიყოლოთ ისიც,
ვინც გმირებში არ ჩანს,

და ჩეროსთან მდგარი
ფეხს ითრევდა შარშან.

მეზობლებთან დადგეს,
ოფლიც ღვაროს ბლომად,
დაიქანცოს, იგრძნოს:
რა ტკბილია შრომა!

და წინაშე ქვეყნის
რაც კი დარჩა ვალი,
გადიხადოს ერთად,
თუ არ არის მხდალი...

გაზაფხული მოდის,
სიხარული მოაქვს.
რა ლამაზი მზეა!
რა ნანატრი დროა!

თუ გვსურს, საქართველომ
ისახელოს თავი,
დავულოცოთ ერთურთს
გულიცა და მკლავიც.

თუ გვსურს, საქართველომ
იდღეგრძელოს მარად,
ხელისგულზე კოჟრებს
არ შევუკრთეთ, არა!

თუ გვსურს, საქართველომ
კვლავ გაშალოს ფრთები,
საქმით, მხოლოდ საქმით
განვაცვიფროთ ძმები.

დაე შრომის ჰიმნი
აბრიალდეს ალად,
როგორც ჩანგთა ჩვენთა
შეჯიბრების ძალა!

დაე ყველა ჩანგი
წკრიალებდეს, ჟღერდეს,
აღავსებდეს ცეცხლით
მაშვრალ კაცთა მკერდებს.

მათ ეკუთვნის ჩვენი
საალერსო სიტყვა,
და სიმღერა ითქვას,
და სათქმელიც ითქვას...

გაზაფხული მოდის
თუ ვარდების თოვა.
გაზაფხული მოდის.
მწიფობისთვეც მოვა.

(„კომუნისტი")

გიორგი გიგაური

შუქი არაგვზე

1. შემოთენება ქინვალთან

ცამ ღრუბლის ქულის ფერად ინათა
და ვარსკვლავების ჯარი მოცელა,
უცებ შევდექი მგზავრი ქინვალთან,
მეწვია ფიქრი და გაოცება.

იქნებ ხევსურეთს მიდის ზურაბი,
მას ხომ მთა დარჩა დაუპყრობელი...
არა, სხვაგვარად მზეობს სურათი —
წარსულზე ფიქრის უარმყოფელი.

კლდეებს აწყდება სხვა ხმა,
სხვა ზარი,
სხვა იარაღი,
სხვა ხე,
სხვა რკინა,
არაგვთან მოდგა ხალხი აზარი
და მანქანები დიდნი საკვირვლად.

თხრიან და გლეჯენ,
გლეჯენ და თხრიან,
აი, იმგვარად,
ზღაპრად რომ უთქვამთ,
ვიღა დაგიდევს მდინარის ღრიალს,
დაუფლებიათ მომავლის სუნთქვა...

მამულის ძელქვა — თეთრი კაშხალი
სახელგანთქმული არხთა ბარაქით,
განათებული ჰესის მაშხალით
ოთხი ხეობა ოთხი არაგვის.

ჟინვალთან ვდგავარ ახალი წინსვლის,
ახალი მთის და
ბარის მლოცველად,
ჟინვალთან ვდგავარ წარსულის ნისლი,
მომავლის ფიქრი და გაოცება.

2. შუქი არაგვზე

არაგვზე აღარ ქრება სინათლე,
მთებს დაყრდნობია მზე მოკაშკაშე,
არ უღამდებათ მთათა ბინადრებს, —
მდინარეებთან შებმულ ვაჟკაცებს.
ვარსკვლავთცვენაა სოფელ ჟინვალთან,
სიბნელე სადღაც გაუჩინარდა.

რომ ხალხმა წყარო აღარ ინატროს,
ველ-მინდვრებიდან გვალვა ალაგმოს,
ამიტომ აღარ ქრება სინათლე
შენს ხეობაში,
ჩემო არაგვო!

(„ცისკარი“)

პარტიული ბილეთი

ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ ქცეულა ცისკრის ბინად,
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
შიგ ცხრათვალა მზე რომ ბრწყინავს,
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ შეკრულა ხსნად და შველად,
ხელში ვიღებ როგორც ლამპარს,
უკუნეთის გასათელად;
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
რომ გადასცემს გულებს სითბოს,
ხელში ვიღებ როგორც ყვავილს,
ვით მიგნებულ ბედის ხვითოს;
ამ ალისფერყდიან ბილეთს,
გზას რომ აძლევს კეთილ სურვილს,
ხელში ვიღებ როგორც გუთანს,
რომ გავავლო მიწას ხნული;
ვიღებ როგორც ხორბლის მარცვალს,
რომ დავუდგე მხარში მთესველს,
რომ ეს მკერდი დავაწურო
სიყვარულში გადგმულ ფესვებს.

ამ ალისფერყდიან ბილეთს,
ვიღებ როგორც გამდნარ რკინას,
რომ მიღელავს ღუმელებში
ხვალის დღეთა ჩასაკირად;
ხელში ვიღებ როგორც მუხას,
რომ გათალონ დროშის ტარად,
ვიღებ როგორც ქვას და აგურს
ხარაჩოზე ასატანად:
ვიღებ როგორც ხერხს და ქაფჩას,
ვიღებ როგორც გრდემლს და უროს,
ვიღებ როგორც ხალხის საგზურს,
რომ სამშობლოს ვემსახურო;
ხელთ მიპყრია როგორც ნატვრის,
როგორც ოქროს გასაღები,
რომ გავაღო ყველა კლიტე
სინათლის და განახლების;
ხელთ Ძიპყრია როგორც პური
ალალი და უყვედრელი,
როგორც ფიცით სავსე თასი,
კარებთან რომ მოძმეს ელის.

ვინც აგებდა ბარიკადებს,
უკუნეთის იდგა რისხვად
და იძახდა: კომუნისტი
კვდება მხოლოდ კომუნისტად;
ვინც ჩარაზა კავკასია,
გაუთენა დუშმანს შავად

და დროშების ცისარტყელა
ბერლინამდე გადაშალა;
ვინაც ძეგლად აღიმართა,
ვინც გრიგალებს მკერდით შეხვდა,
სწამდა: მხოლოდ ხალხისათვის
კომუნისტი ცოცხლობს ქვეყნად;
ამ ბილეთის ფურცლებს შორის
მხოლოდ მათი გული ფეთქავს,
ვინც გადმოგვცა ღირსეულად
ხუთწლედების ესტაფეტა.
ჩაუქრობელ ცეცხლში დგახარ,
თუ მაისის ტკბები ხილვით,
კომუნისტო, სადაც იყო --
ხალხის ნდობას გაუფრთხილდი!
ხალხის ნდობა ხომალდია,
ხალხის ნატვრა ზღვაა ვრცელი,
ფარი — შენი საქმე წმინდა,
სიმართლე და დაშნა მჭრელი;
სიკეთეა შენი საჭე,
ჩირაღდანი — შრომა შენი,
მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ გზით
ეს დროშები მოაქვთ შვების.
ამ გზას ჰქვია გამარჯვება.
უკვდავება ამ გზას ჰქვია.
მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ გზით
ფუტკარს სკაში თაფლი მიაქვს.
ეს ბილეთი მის მკერდს ათბობს,

მის კაცობას შვენის აბჯრად,
ვინც სიცოცხლეს უძღვნის მამულს
და ხალხისთვის უჭრის მაჯა;
ვინაც ძმობის ბაირაღებს
არასოდეს ძირს არ ხრიდა,
ვინც ვარსკვლავად იქცა ხალხის
და მომავლის გზად და ხიდად.
მე ამ ბილეთს ვიღებ ხელში
და ცას ერთი სიტყვა ქარგავს:
კიდევ უფრო დაჰკარ ეროს,
კიდევ მეტი ცეცხლი ნამგალს;
მეტი თოხი, მეტი ბარი,
მეტი დაზგა უფრო კიდევ;
კიდევ უფრო, კიდევ უფრო
მეტ იღბლიან აკვანს თლიდე;
კიდევ მეტ ვაზს უნდა გასხვლა;
ყველა სიტყვა საქმედ იქცეს,
მეტი არხი, მეტი ჰესი,
გაკაშკაშდეს უფრო სივრცე.
ლაჟვარდს სძრავდეს კიდევ უფრო
ჯეჯილების ლურჯი ტალღა...
წინ, მხოლოდ წინ, კომუნისტო,
კიდევ უფრო დროშა მაღლა.
ვარსკვლავებზე უფრო ბევრი,
უფრო მეტი საქმე გიცდის —
წინ, მხოლოდ წინ, წინ, მხოლოდ წინ,
რადგან შენ ხარ კომუნისტი!

(„ლიტერატურული საქართველო“)

ნოდარ გურეშიძე

ენგურჰესის კომკავშირლები

ვისაც კაცური უღელავს სისხლი
და გული სახლში ვერ დაეტია,
ვისთვის მამული,
დიდება მისი
სიცოცხლეზედაც უფრო მეტია;
ვინაც სიხარულს შრომაში ეძებს
და ფიქრით ცაში უნავარდია,
ვინაც ოცნების გარეშე ვერ ძლებს,
ვისაც ჭაბუკურს ვარქმევთ გვარდიას;

ვისაც მომავლის ეკუთვნის დღენი,
მზის ორბიტაზე არის გასული, —
განსჯის და გარჯის,
აზრის და რწმენის
მათ კომკავშირმა ანდო საგზური.

კომკავშირლებო,
თქვენ გემგვანებით,
გზნებით და ღელვით როცა ვივსებ,

კომკავშირლებო,
თქვენ გევალებათ
ცხადად ახდენა ნათელ მიზნების.
კომკავშირლებო,
თქვენ აშენებდით
ჰესებს და თქვენვე ტეხავდით ყამირს.
კომკავშირლებო, თქვენი ხელები
არ ისვენებენ არც ერთი წამით.

თქვენი ვარსკვლავი არასდროს ქრება,
ცაში დაჰქრიხართ არწივის ფრთებით,
სად არა სწვდება,
რას არა სწვდება
მაძიებელი გონება თქვენი,
ხართ დიად ხვედრის და ბედის ღირსნი.
ერთი ფიცით და ძმობით შეკრულნი,
თქვენს გმირულ ძახილს,
თქვენს ყიჟინს ისმენს
დნეპრი, ანგარა, ვოლგა, ენგური.

ღიმილით ხვდებით ყოველ ალიონს,
თქვენი საქმენიც ჰქუხან ყოველდღე.
გზა სიარულით უნდა გალიოთ,
ეძიებდეთ და უნდა ჰპოვებდეთ.

კახეთია თუ იმერეთია,
სვანეთია თუ ხევსურეთია,
ეგ სულერთია,

ეგ სულერთია, —
ჩვენი სამშობლო ჩვენი ღმერთია.

ეგ სულერთია,
ბრატსკის კაშხალთან
შრომობთ თუ ჯიქურ ლაშქრავთ ყამირეთს,
ეგ სულერთია
სად დამაშვრალხართ, —
მამული ყველგან ააყვავილეთ.
ეგ სულერთია,
ოღონდ მოვფინოთ
სიკეთე, სითბო, რწმენა, სიმართლე,
ჩვენი კაცობით ნახოს მსოფლიომ,
ენგურზეც როგორ ბრდღვინავს სინათლე,

ხედავთ? ის ზვირთი შუქად იღვრება,
თქვენს გმირულ გარჯას რომ შეეთვისა,
ქარიშხალს ჰგავდეს თქვენი სიმღერა,
კომკავშირლებო ენგურჰესისა!

(„ცისკარი“)

ბოლშევიკები ძველი გვარდიის

ბოლშევიკებო ძველი გვარდიის,
მე მიყვარს თქვენი წმინდა ჭაღარა,
ვეტერანებო ჩვენი პარტიის,
ისევ მხნედა ხართ, ჩვენს გასახარად.

გაუღუნავი თქვენი მუხლები
ძნელს და უშორეს გზებს ამყოფინეთ,
ცხრაასჩვიდმეტის მეხის ქუხილი
მთელი მსოფლიოს ქვეყნებს მოჰფინეთ.

თქვენი ჭირიმე, არ მითხრათ დაღლა,
ვიცით, არ არის ბრძოლა ადვილი.
თავი კვლავ მაღლა,
დროშა კვლავ მაღლა,
ბოლშევიკებო ძველი გვარდიის.

დღეს ჩვენს ძარღვებში თქვენი სისხლია,
გულებში — თქვენთა ფიქრთა გამხელ
ჩვენ შეგვიძლია,
ჩვენ შეგვიძლია,
თქვენი მიზნების ცხადად ახდენა.

ახლაც იბრძვით და
ახლაც არ ცხრებით,

და გული თქვენი აღარ ბერდება,
თქვენი ღვაწლი და თქვენი საქმენი
ჩანან მითებად და ლეგენდებად.

ხართ სიმართლის და მიზნის ერთგულნი
ხალხის ძახილით წამოფრენილი,
რწმენით შეკრულნი,
ფიცით შეკრულნი,
ჯარისკაცები დიდი ლენინის.

ის მზე არასდროს არ დაბნელდება,
ბრძოლას და შრომას რომ მოუცია,
რევოლუცია ისევ გრძელდება,
ისევ გრძელდება რევოლუცია.

თქვენი ჭირიმე,
კვლავ მოგვანათეთ
სათნო სახე და თეთრი წვერები,
თქვენი ჭირიმე, ისევ დასძახეთ
რევოლუციის მხნე სიმღერები.

ვეტერანებო ჩვენი პარტიის,
მე მიყვარს თქვენი წმინდა ჭაღარა,
ბოლშევიკებო ძველი გვარდიის,
დიდხანს იცოცხლეთ ჩვენს გასახარად.

(„კომუნისტი“)

ჩვენ ვართ მჭედლები

ჩვენი დღე დადგა! ახლა ქართველებს
მზე მაღალ ქედზე წამოგვეწია...
ბზარს მკერდზე კვლავ ის ცეცხლი
ამრთელებს,
ხმალს რომ მტრის ხმალზე ჩამოჰკვესია!

ჩვენი დღე დადგა! ახლა ცათამდის
უნდა ამაღლდეს ჭერი სახლისა,
და შუქი უკვე შუბლზე გადამდის —
მეც ვარ ოსტატი ამ სიახლისა!

აქ უნდა ჩემი სიმღერაც ჭექდეს,
ისმოდეს სუნთქვა მკერდგანიერი,
რომ წარუშლელად თან ახლდეს შენს დღეს
ჩემი ქართული სიტყვის იერი!

ისე ვით ყველა, ყრუდ არც მე ვზივარ,
ჩემს ეზოშია მზე და ქორწილი.
ერთი ღაჟღაჟა ბერიკაცი ვარ,
ვაზების სხვლაში ხელდაკოჟრილი!

მეც ვარ აყალო მიწის მძერწავი;
ასკოკა ჭურთან მიდგას ჩაფები.
მთას გადავთოხნი და თუ მზესავით
ზღვას გულდაღლილი დავეწაფები —

ათას ხარაჩოს და ათას დაზგას
ფართოდ გახელილ თვალით ვუცქერი, —
ახალთაობის გუგუნით ადგას
გამბედაობა მხნე და გულწრფელი!

ვუსმენ თბილისის მედგარ ნაღარას
და გმირთა ახალ ძახილის მჯერა,
იმათ ნაადრევ თმათა ჭაღარას
ლაღი ღიმილით შევავლე მზერა...

ჩვენ ვართ მჭედლები და ჩვენს სელთაა
კვლავაც რუსთავის რკინა და რვალი,
ჩვენს წინ სინათლით სავსე მცხეთაა
და არა ზვირთებდამშრალი მტკვარი!

ნაომარ გულს არ გაუძნელდება
ძგერდეს თანაბრად, ისე ვით ძგერდა
დე აღამზეონ დრო ხუთწლედებმა —
სიმძლავრე მათი ძმობაა ერთა!

ჩვენი დღე დადგა... ჩვენი დღეც არჩევს
სპა შეჰკრას ერთად ერისკაცების

და ქუდზე კაციც არ უნდა დარჩეს —
არ ჰქონდეს რწმენა მეცხრე გაწვევის!

მაშ თუ ამ დღისთვის დაბადებულხარ,
გულო, ქვეყანას უნდა ახარო —
რომ გვერდში გიდგას ყველა ცხრა-მუხა,
ყველა ცხრა-ძმა და ყველა ცხრა-წყარო!

მაშ, ამ დროს შენი სიმღერაც ჭექდეს,
ისმოდეს სუნთქვა მკერდგანიერი —
და წარუშლელად თან ახლდეს შენს დღეს
შენი ქართული სიტყვის იერი!

(„კომუნისტი“)

ნაზი კილასონია

შრომის დილა

არ დამეხაროთ,
არ დამეხაროთ, ფრთებო,
არ დამეღალოთ,
არ დამეღალოთ, მხრებო.

იყავ დღეგრძელი,
გათენებულო დილავ.
მე რაც შევძელი,
შენი სინათლით ბრწყინავს.

ხარობს ეწერი —
აწვიმს მაისის წვიმა.
შენით შევძელით,
იყავ დღეგრძელი, დილავ.

ჰეი, გახედე — ვაზი დამდგარა მზირად.
მიმელის ყანა და ოქროსფერად ბზინავს.
მწვანე თვალები გასცინებია კოლხეთს —
ვენაცვალები მოამაგეს და მომხრეს.

მითხარ, მარჯვენავ,—ხომ შეუძლებელს შეძლებ?
უნდა მეჩვენო — სულ გამარჯვების გზებზე.
შენ გამარჯობა, როს სიყვარულით ვდაობ:
უნდა მაჯობო, უნდა გაჯობო, დაო.

ო, დილა დილავ, ო, დილავ დილა, დილავ,
იყავ დღეგრძელი, გათენებულო დილავ.
არ დამეხაროთ, არ დამეხაროთ, ფრთებო,
არ დამეღალოთ, არ დამეღალოთ, მხრებო!

(„სოფლის ცხოვრება“)

ოთარ მამფორია

ეზე და ლექსი

მოდის, იფშვნება ენგური კლდეზე
და ელვარება იტაცებს ცისა.
ხუთწლედის გმირი სინათლის მერცხლებს
მაღლა მიაფრენს მამულის ფიცად.

საგაზაფხულო ფერთა ღიდება
გულებს სიმღერის ჩინჩხლებით კვესავს.
მაისის შუქის გამობრწყინება
შრომის ფერხულში იღვრება ლექსად.

უტკბესი წუთი უჩუმრად მოდის,
ყამირ ქაღალდთან ვრჩებით მარტონი
და ცისარტყელას ელვარე შოლტით
გვატარებს ხნულში სიტყვა-ბატონი,

და როგორც ხარებს, რითმების ზარი
ზანზალაკებად გვერხევა გულზე,
გათენებამდე მათი წკრიალი
აღარ ასვენებს სალექსო ფურცლებს.

რა სიამაყით ვენთებით მაშინ,
ცისკრის ვარსკვლავის პატრუქი იწვის.
იორთან ერთად სამგორის ზღვაში
შემოდის ჩვენი სტრიქონის სისხლიც.

გადაიშლება თბილისზე ლურჯად
ღამენათევი მაისის ფარდა.
და ცეცხლი უფრო გრიალებს რუსთავს,
არაგვიც შფოთავს ჟინვალის კართან.

თრიალეთიდან ამტყდარი ქარი
დასისხლულ კრწანისს უმღერის ნანას,
თუშის ფანდურზე გაბმული ლარი
აჟღრიალდება სატევრის დარად.

და უთენია დმანისის კალთას,
გრემს თუ მარაბდას ვეხვევით ფიქრით.
ფერებს გაგვიყოფს დურუჯი ქსანთან,
ყინულის მარილს — უშბაზე ჯიხვი.

ჩვენთვის ბიბინებს ალაზნის ველი,
ტაბახმელაზე — პირველი ია.
ბარში ჩამორბის ზედაზნის შველი
და ჩლიქით გვაწვდის აცდენილ ტყვიას.

შუქად ამოსდით ვანის სამარხებს
ამძივებული ნისლი წარსულის.

გაიშრიალებს ლორთქო ბალახზე
და ხეზე გარბის ალადასტური.

დედა-ქუთაისს, სავარდო ბაღნარს,
მოეფერება გელათის სიო,
და მონატრული შავი ზღვის ტალღა
მკერდში შვილივით ჩაიკრავს რიონს.

ზეკარის პეპლებს ნექტარში ახლა
ამოგანგვლიათ ხატულა ფრთები
და ხანისწყალის დაწინწკლულ კალმახს
აფრთხობს დამსკდარი კვირტების ხმები.

ნაპირზე დაჰყრის მოსირმულ ფარჩას
და რიწის ტბაში ჩაყვინთავს მთვარე.
აჭარის ქედი შატბერდის ტაძარს
მაისის ქარით შეურხევს ზარებს.

ცხვარი ქათქათებს შირაქის ველზე
და სალამურში გვრიტები ჟღერენ.
გურიის მთები სიმღერით ეძებს
კრიმანჭულივით ჩახვეულ სერებს.

ტირიფონაზე ზუზუნი ლერწმის
მთიული ქალის ნაწნავში დნება.
მოხევის რაშის დაკრული კვესი
მოჰგავს ხევსურის თვალების ელვას.

ომში დაღუპულ ვაჟკაცთა თვალებს
თუმც ვერ ჩახედავს ქართული ზეცა,
ამ გაზაფხულის სითბოს და ალერსს
მათ საფლავებზე გავატანთ მერცხალს.

აი რათ გვიყვარს დღე-ღამის შეყრა,
შუქი აღსავლის, ჩრდილი დასავლის,
და რომ სიმღერა არ იყოს ქვეყნად,
ჩამობნელდება ყველა ვარსკვლავი.

დაიწრიტება წვეთებად მტკვარი,
ხმა ჩაუწყდება გრიგალს შფოთიანს
და ღვიძლი ძმები სხვადასხვა მხარეს
ბუხრის ბოლივით გაიყოფიან.

მაგრამ უკვდავი ხმების ნადური
როდი გამბედარა მოსავონარად.
კახეთის ზეკას არხევს ჩაკრულო,
კოლხურ ლაჟვარდებს—ტკბილი ოვ, ნანა.

ჩვენც ამ გაზაფხულს მოვტაცოთ ეშხი,
ვიმღეროთ ხალხის გულის წადილი,
კავკასიონზე შემდვარა ლექსი
და მოაქვს ცეცხლი ამირანივით.

(„კომუნისტი“)

რევაზ მარგიანი

საგაზაფხულოდ, საქართველოს პოეტებს

ჰა, ეს ბარათი...
იწერება, ჩემი ქაღალდი
დაწინწკლულია
გაზაფხულის მწვანე შხეფებით.
კვლავ სიტყვებს ვარჩევ,
სადღეისოდ რომ ვინახავდი,
როგორც არჩევენ
სათეს ხორბალს ჩვენი გლეხები.

სიტყვას დავეძებ
და ვფუსფუსებ საგულდაგულოდ,
მსურს ჩიტებს — გვრიტებს
გავატანო ჩემი ოცნება.
მსურს ჩემს სტრიქონში
შთაგონებამ დაისადგუროს,
ნაზამთრალ, დამზრალ
დედამიწის გასაცოცხლებლად!

ვინ მომცემს ძალას —
ხალხის სუნთქვას გავუთანაბრდე,

გავყვე ათასი
ნაკადულის აწკრიალებას?...
ხედავ, მცხუნვარე
მზე ასულა შუბის ტარამდე
და ბაღ-ვენახებს
გადაჰყრია ოქროს პწკალებად.

ნაზამთრალ მიწას,
გაღვიძებულს, ტკბილად აზმორებს,
ასჩქროლებია
სითბოსაგან სისხლი ხეხილებს.
სიმწვანის ალი
გადალოკავს მალე მთა-გორებს.
ფიფქებგადაყრილ
საქართველოს უღელტეხილებს.
გული მეძახის:
მინდვრებს უნდა მონახულება,
რაღაც საამოდ
იშმუშნება მთელი ბუნება.
ვიჩქაროთ უნდა,
არ დაგვასწრონ მოლაღურებმა
სიმღერის თქმა
და ახოებში აჟღურტულება.

ვიჩქაროთ... თორემ
გაზაფხულის ღელვა დაიძრა,
მთებში ხვივილით

გაიღვიძეს ბნელმა ხევებმა.
ხმები მომესმის
ამღვრეული ნიაღვარისა
და გაღვიძებულ
მდინარეთა მესმის ხვეღება.

ვხედავ, ბუხრები
აბოლებენ ცაში იისფრად.
და რუხი ფერი
ცას თანდათან შემოეცლება.
ვიჩქაროთ, თორემ...
ერთ მშვენიერ გამთენიისას
იქნებ დაგვასწრონ
შემოფრენა ჩვენმა მერცხლებმა.

ვიჩქაროთ... თორემ
გაზაფხული ფრთებს აფათქუნებს,
სიმწვანემ თითქმის
გადაშალა თეთრი ზამთარი.
ალვებს ცერებზე
შემომდგარებს, ცად აღმართულებს,
ისევ ახარებთ
გაზაფხულის მოსვლის თვალთვალი.

ვიჩქაროთ, ძმებო,
ამოფრენა ფუტკრებს დავასწროთ,
მხვნელსა და მთესველს

ამოვუდგეთ მხარში ერთიან.
თეთრი ფარაჯა
მწვერვალებზეც ვეღარ ფარაჯობს,
დაბალ გორაკებს
ფიფქი უკვე გადუბერტყიათ.

მხვნელსა და მთესველს
აბა, ჩვენგან რა ესწავლება!
იციან, მიწა
სტრიქონებად როგორ დასერონ.
ჩვენ მათი გარჯა,
სუნთქვა, ღელვა, გულმხურვალება
ვით თესლი ხნულში —
სტრიქონებში აღმოვაცენოთ.

უკვე აჩქროლდა,
სისხლი ბრუნავს მუხის ღეროშიც,
ახლის თქმა მინდა
და ახალი ძნელად ითქმების...
და ისიც მინდა,
მარად ახალ საქართველოში
რომ დაფრინავდნენ
სასიკეთო ჩემი ფიქრები;
რომ ერის გული
ჩვენი სიტყვით იყოს გამთბარი,
ბევრი ახალი
დაიბადოს კიდევ თქმულება,

რომ ხალხს არასდროს
გაუთავდეს ლექსის სამკალი —
ბალღთა და ჩიტთა,
ოცნებათა დასაპურებლად.

(„კომუნისტი")

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲭᲔᲓᲚᲣᲠᲘ

ᲠᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲠᲐᲒᲕᲘ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲐᲑᲯᲐᲠᲡ

ᲥᲘᲜᲕᲐᲚᲭᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

მეძახის სამგორში ვენახი,
ძახილი მომესმის ავჭალით,
მამული,
მამული
მეძახის,
ჩამაცვით ბეტონის აბჯარი.

უსაზღვრო ლოდინით დაჭრილი,
ცრემლივით ჭიუხში გამჯდარი,
სამშობლოს,
სამშობლოს
დავჭირდი,
ჩამაცვით ბეტონის აბჯარი.

მკლავს ძმურად გადავხვევ ენგურჰესს,
წინაპარს შევხვდები ავჭალის.
ხვალიდან
მეომრად
მიგულეთ,
მიიღეთ ბეტონის აბჯარი.

(„ცისკარი“)

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

I

რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.

თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არი შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ
მთელი ცხოვრებით.

II

პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი წაჰგვარა
და ხალხს არგუნა სხვა მომავალი;
სწორედ შენა ხარ, რომ ვთქვათ სხვაგვარად,
მებრძოლი ღმერთის შთამომავალი...

ვერ დაიცავდა მაღალ ღირსებას,
მართალი რომ თქვას კაცმა, —
ვერ ივარგებდა კომუნისტებად
ხერხეულიძე ცხრა ძმა?

ან არაგველნი, ან გმირი ცოტნე,
ანდა დემეტრე თავდადებული...
ცოდვა კი არის, ღმერთმანი, ცოდვა, —
ადრე არიან დაბადებულნი.

სწორედ დღევანდელ დროს უპატაკებს
და გახლავთ ჩვენი თანამედროვე:
ჯორდანო ბრუნო...
ბულბა...
სპარტაკი...
ბიჭი გავროში...
ბერი თევდორე...

III

უბრალო კეპი... უბრალო პალტო...
შიმშილი... ომი... დრო რთულზე რთული...
ის გადიოდა კრემლიდან მარტო
და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური.

მისი სახელი ხალხში ამზევდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის:

აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
მწამს კომუნისტი!

...რამდენი იყო ამ კაცის მოდგმის,
არ უღალატა თავის კაცობას,
შიგ პირში სთხრიდა კაზაკი კონდახს,
მაინც მღეროდა
„ინტერნაციონალს".

სიმღერით, რწმენით გვალამაზებდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის,
აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
მწამს კომუნისტი!

...ორმოცდაორის თოვლი წითელი...
ველზე გვთიბავდა ცეცხლი მყეფარე...
წამოდგა ვიღაც ყრმა პირტიტველა
და სიკვდილს მკერდით გადაეფარა.

ვაშა, დიდება ძეგლებს ასვეტილს...
იბრძოლა... მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
აი ასეთი,

აი ასეთი
        მწამს კომუნისტი!

სამშობლოს ბედი ბეწვზე ეკიდა...
ხიფათი მოსკოვს გარე უვლიდა...
არ გამოსულა იგი კრემლიდან
და არც გამოდის ხალხის გულიდან!

ის რკინის ნებას
        ხალხს გადასცემდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
დიახ ასეთი,
მართლაც ასეთი
        მწამს კომუნისტი!

IV

მსოფლიო უსმენს კრემლის კურანტებს,
იმედით უმზერს კრემლის კარიბჭეს.
მშვიდობის გუგუნს მიაყურადე
და ახალ მიჯნებს გადააბიჯე!

მრავალი დგება მზის ამოსვლამდი
მინდვრის ოსტატი, დაზგის ოსტატი...
შენი ცხოვრებაც მხოლოდ ბრძოლაა
და იერიში, სულ იერიში.

არ შეუშინდე
ხიფათს გუშინდელს
და სროლასავით შედი მერმისში!

...რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი.
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.

მაშ გაუფრთხილდი მაგ წითელ მანდატს—
მზისა და დროშის პაწია ნაჭერს,
არ დაგავიწყდეს: შენ საჭეს მართავ,
ლეგენდარული კომუნის საჭეს!..

(„კომუნისტი“)

ხარაჩოები გვიხმობს პოეტებს

გზებს
  თუ ბილიკებს,
        ქუჩებს,
                  მოედნებს
ედება დილის შუქი გიზგიზა
და გვიხმობს,
        გვიხმობს,
        გვიხმობს პოეტებს
ხარაჩოები კომუნიზმისა.
შებმა!..
        შეტევა!..
        და თავდადება!...
აი, რა არის ახლა მთავარი.
ხარაჩოებთან ერთად მაღლდება
სამშობლოს ზეცა
        და მომავალი.
მაგრად დაადგი ფეხი ფიცარნაგს,
მტკიცეა...
        მის ქვეშ მათი მხრებია,

მათი,
ვინც ბრძოლის ცეცხლში გვიცავდა,
ახლა შრომაში გვეხმარებიან.
და რადგან ვეძებთ,
კიდეც ვპოვებდეთ,
გზა გაგვინათოს შუქმა მიზნისამ...
— ზევით!
— სულ ზევით! —
გვიხმობს პოეტებს
ხარაჩოები კომუნიზმისა.
მაღლა!...
სულ მაღლა!...
ზევით!...
სულ ზევით!...
ნუ დავიღლებით, ნუ
დავმშვიდდებით...
ნუ დავმშვიდდებით
მიღწევით ძველით,
ძლეულ სიმაღლით,
ძველი დიდებით.
ნუ მოგვერევა რინდი, სიბერე,
ნუ გაგვიხმება ნერგი ნახარი...
ფეხი დავადგათ მთების კიბეებს,
მზეს მივეახლოთ ლექსით ახალით.
და სტრიქონს ხავსი რომ არ მოედოს,
ყოველდღე, როგორც ზარი ცისკრისა
ხარაჩოები გვიხმობს პოეტებს,

ხარაჩოები კომუნიზმისა.
იქ იჭედება ჩვენი დიდება,
იქ წყდება ბედი ჩვენი ხალხისა.
დიახ, სწორედ იქ ლექსი სჭირდებათ
დროშად,
   სიმღერად,
      სითბოდ,
         ხალისად.
რომ არ გაწყალდეს ჩვენი მელანი,
რომ არ დაჩლუნგდეს ჩვენი კალამი,
რომ გაისმოდეს ჩანგთა ჟღერანი,
ალალ გმირებზე
   ლექსი ალალი,
მოსაპოვებელს მოვიპოვებდეთ,
რეკავს, გუგუნებს ჟამი წინსვლისა...
გვიხმობს პოეტებს,
         გვიხმობს პოეტებს
ხარაჩოები კომუნიზმისა!

(„სოფლის ცხოვრება“)

ლადო სულაბერიძე

ჰიმნი მომავლის ტყეებს

ეს გაუმარჯოს
საქართველოს მომავალ ტყეებს,
მწვანე აფრებზე
მზეშემართულ ბრიალა დღეებს.
მუხებს — გაფოთლილს,
თელებს — გაფოთლილს,
ფიჭვებს — წიწვიანს,
კელაპტრებივით
მწვანე ცეცხლში ანთებულ ხეებს
ჩეხა მონღოლმა,
ჩეხა სპარსმა,
ჩეხა არაბმა
და მკერდშიშველა მთები დამრჩა
მტკვართან, არაგვთან.
ეს გაუმარჯოს
თბილისისკენ მომავალ ტყეებს,
ქალაქის კართან
შუბებივით შემართულ ხეებს.
საგურამოდან

გზას გავაწვდენ რუსთავს და თელეთს,
ირმებს გავუჩენ
გრილოებში რუსა და ღელეს.
ჩრდილებს დავაფენ
დაფეთებულ შვლებსა და ფოთრებს,
ჩიტებს ბუდეზე
დავაფარებ მუხების ფოთლებს.
ეს გაუმარჯოს
საქართველოს მომავალ ტყეებს,
თბილისის კართან
ლაშქარივით შემართულ ხეებს.
მივაყურადებ
გაზაფხულზე კვირტების ტკაცანს,
გამიხარდება
ელვის ელდაც და მეხის ხმაცა.
ტყეში ჩაჰკიდებს
ცისარტყელა შვიდფერა თოკებს,
ცა უხილავი ხელით
წითელ სოკოებს მოჰკრეფს,
რომ ღამით გულზე
ვარსკვლავებად გადაიყაროს...
ტყემ გაიხაროს,
თბილისურმა ტყემ გაიხაროს.
შემიფრინდება
რუსთაველის ჩიტები ტყეში,
დამისველდება
ბუდეები მაისის თქეშით.

ეს გაუმარჯოს
თბილისური ტყეები ჩიტებს,
ქორბუდა ირმებს,
დათვის ბელებს
და ნუკრებს მშვიდებს.
ეს გაუმარჯოს
თბილისისკენ მომავალ ტყეებს,
მწვანე აფრებზე
მზეშემართულ ბრიალა დღეებს!

(„ლიტერატურული საქართველო“)

შალვა ფორჩხიძე

ჩანგი ჩემი ალალ მისი...

საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებავ ხორცშესხმულო,
გაუმარჯოს შენს მხნეობას,
შენს ხელახლა დაბადებას,
მეგობრობის ნიჭო სრულო,
სიყვარულის აზავთებავ,
შენი მზე არ დაემხობა,
სიცოცხლე არ გათავდება!
საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებად გაფოთლილო,
მთებო, — ლურჯო კიდობნებო,
ფასკუნჯებად აფოფრილნო,
გაუმარჯოს, ვინც რომ დღემდე
შენთვის დასდო თავი თვისი,
ვინც რომ დღესაც შენთვის იღვწის,
ჩანგი ჩემი ალალ მისი!
საქართველოვ, საქართველოვ,
სიხარულის მწვანე ხეო,
მზეო, — წრფელი, ცხელი გულის,

სიყვარულის გრძელო დღეო,
გაუმარჯოს, ვისაც შენთვის
სიცოცხლე და ბრძოლა შვენის,
ვინც გაშენა, გაღორძინა,
გული მისი ალალ შენი!
საქართველოვ, საქართველოვ,
დამღალე, არ დამასვენო,
წარსულ დღეთა შეჭირვება
მეტი აღარ გამახსენო,
სიხარული გამიმრავლე,
მადღეგრძელე ღიმილმჩენი,
თუ დაგჭირდე, ნუ დამზოგავ, —
თავი ჩემი ალალ შენი!
საქართველოვ, საქართველოვ,
მდუღარებავ ქვის და კირის,
ვინაც თვითონ არ იკვეხნის,
ვისი საქმეც თვითონ ყვირის,
ვის უწმინდეს სიწრფოებას
ხალხის გულში უდგას ძირი,
ვისაც მხოლოდ ბრძოლა შვენის,
შენთვის დასდო თავი თვისი,
გული მისი ალალ შენი,
ჩანგი ჩემი ალალ მისი!..

(„კომუნისტი“)

ლექსიც იშრომებს მუშაკაცივით

ხუთწლედის ჩანგზე
ხვალ-ზეგ ენგური
სინათლის სიმად იჟღერებს გზნებით,
ძმამრავალი და ძმათა ერთგული
ძმათა მრავალთა მხარდამხარ დგები.

ხალხო მშრომელო,
შენგან ნაწრთობი
კვლავ შენს კოჟრიან ხელებს ვენდობი,
ვამაყობ შენი მუშაკაცობით,
ესულდგმულობ შენი გუთნისდედობით!

მოვდივარ შენთან, მართალო ცამდე,
რომ ვიქცე შენი ნადურის განცდად
და რწმენის ხნულში
თესლივით ვაგდებ
გულში შენახულ სიკეთის მარცვალს...

და ვამბობ: ვაშა, ხორკლიან სტრიქონს!
რათ მინდა სიტყვა გრძნობადაცლილი, —

შრომის ფერხულში,
მე ასე ვფიქრობ,
ლექსიც იშრომებს მუშაკაცივით!

მათრთოლე თუნდაც არაგვის ტალღად
და შენს დაზგებში
აღმანთე მზისებრ, —
შრომის ფრონტიდან გაქცევას ახლა
დრო ერის ღალატს ეძახის ისევ!

დიახ! მოვდივარ და ღამეს ვათევ,
ვით შენი მეხრე მხნე და თავნება, —
ეს გული ოდნავ თუ გმატებს ნათელს,
დაიწვას სულმთლად,
არ მენანება!

სულსაც დაგითმობ, ფრთებს გეფიცები,
მინდა გაგიბა მკერდზე ლარები,
მიწა რომ გაკლდეს,
მიწად ვიქცევი,
შიშველ ფესვებზე დაგეფარები!

აშენე, რანდე,
რაც იყოს, იყოს,
თუნდ ტკივილების დაუფარავად,
„კაფე-თესეო!“ —

სამშობლო გვიხმობს,
ვიცით და გვჯერა,
მარტო არა ვართ!

გვჯერა და მაინც
არა ვართ მშვიდად,
ვღელავთ, ვბობოქრობთ,
ვიწვით და ვნატრობთ.
ვიცით, ვინც გუთანს დააგდებს მინდვრად,
ის დაჭრილ ძმასაც დასტოვებს მარტო.

ვიცით, ვინც სინდისს აფასებს გროშად
და სადღაც ლამაზ მიხაკებს ჰყიდის,
ნება რომ მივცეთ,
მამულის დროშას
ლამაზ ყვავილად გაჰყიდის იგი.

მაგრამ ბევრნი ვართ იმედად ახლაც,
ერთ გზად, ერთ აზრად,
ერთ დიდ თაობად
და კვლავ მომავლის გზამკვლევად ვსახავთ
გულთა კავშირს და გულითადობას.

ხალხო! შენს სპეტაკ ცეცხლში ნაწრთობი
კვლავ შენს კოჟრიან ხელებს ვენდობი, —
ვამაყობ შენი მუშაკაცობით,
ვსულდგმულობ შენი გუთნისდედობით!

შენს ენას ვიცავ,
შენს სახელს ვფიცავ,
იჭვის საბურველს მხრებიდან ვიხსნი,
მწამს, თუ სამშობლო ედემად იქცა,
კვლავ შენ იქნები მეუფე მისი!

(„კომუნისტი“)

ძახილი

„ყველანი კომუნისტურ შაბათობაზე!“

დამწყვდეულ ენგურს — თავისუფლება,
მთიდან სინათლედ დაშვება უნდა! —
დაგდებულ ნიჩაბს აღება უნდა,
აღმართვა უნდა წაქცეულ ხარდანს,
მინავლულ მადანს უნდა ძიება!
დაზაფრულ კვირტებს —
ფიფქებად ბარდნა,
მწყურვალე რაშებს ერთად აშვება
და ლაჟვარდებში შეთამაშება...

მიწა — ქალამნად,
ცარგვალი — ქუდად,
გამოდით, —
ახალ საქართველოს
შენება უნდა!

მღვრიე ნაკადულს დაწმენდა უნდა,
გაწყვეტილ მავთულს
გაწვდენა უნდა!
ჩვილს —
მოხატული აკვანი უნდა!
ზრდილს —
სახვალისო საგზალი უნდა!
აშლილ ჩანგს
ისევ აწყობა უნდა,
ჰანგს გულისკენ გაძღოლა უნდა...
გამოდით, —
ამ გულს
სიხარულით ავსება უნდა!

ჩვენს შორის როგორც
ძმა,
მეგობარი,
მასწავლებელი,
მოძღვარი,
მამა,
იშრომებს კვლავაც

ბელადი ჩვენი, —
შაბათობაზე
ჩვენს მხარდამხარ
ვიხილავთ ლენინს!
ვიხილავთ მას, ვინც
ჩვენთან ერთად იწოდა მუდამ...
გამოდით, —
ახალ გაზაფხულებს
ანთება უნდა!

გამოდით, —
ახალ ბაღ-ვენახებს
ალერსი უნდა,
გუთნისდედებად დამენახეთ...
გუნდად და გუნდად
გამოდით, —
ლამაზ საქართველოს
გაძღოლა უნდა!
კეთილ საფლავებს სჭირდება მოვლა,
კეთილ სახელებს —
ზრუნვა და რიდი.
რაინდულ გზნებით აღდგენა ყოვლად,
აღდგენა უნდა შებღალულ სინდისს!

ავსება უნდა ამომშრალ წყაროს,
ფხიზლად! —
არ გახმეს

სინედლის ფესვი....

გამოდით, —
იჭვის ყამირი ვბაროთ,
ხნულში ვისროლოთ
იმედის თესლი!
მხოლოდ ნათელი აღმავლობა,
ბრძოლა, გამოცდა...
გვმართებს გადამწვარ ნათურების
დროზე გამოცვლა!

გამოდით, —
ახალ ცისარტყელებს
აზიდვა უნდა,
უღონო ბარტყებს — ქცევა ფრთოსნებად,
ახალ სტრიქონებს დასტამბვა უნდა,
ახალ სიმღერებს უნდა მოსმენა!

გამოდით, —
მზე ჰგავს ოცნების გუთანს,
გულდაგულ ისმის ჩურჩული გულთა, —
„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის...“
გუნდად და გუნდად
გამოდით, —
ახალ აღმაფრენას
აფრები უნდა!

(„კომუნისტი“)

სანდრო შანშიაშვილი

ნურავინ ჰგონებს

ნურავინ ჰგონებს, თავი მომქონდეს
ან შევედარო განთქმულ კალმოსანს:
დიდი რომ ვიყო, „მერანს“ დავწერდი
ან სათაყვანო „ვეფხისტყაოსანს“.

ჩემი ღიღინი შორს ვერ აღწევდა,
გულმა სევდებში ღამე ათენა!
ბნელში ნაპერწკლებს მიმოვფანტავდი,
როგორც პატარა ციცინათელა!

დიდი პოეტი უნდა მოვიდეს —
ძლიერთა შორის ძლიერთაგანი!
უნდა მოვიდეს, რომ ხალხს გადასცეს
სულის სიმდიდრით სავსე მადანი!

ან იქნებ იგი მოსულიც არის,
მოკრძალებული არა ხმაურობს!..
ის ჯერ ეცნობა ჩვენს სინამდვილეს,
დადის ხალხში და ხალხთან საუბრობს...

მას საბჭოეთი უქმნის ნიადაგს,
საკაცობრიო აზრებით ჰმოსავს:
თანამედროვე „მერანს“ ის დასწერს...
მიტომ შევნატრით მომავალ მგოსანს!

(„ლიტერატურული საქართველო“)

ალეკო შენგელია

დიდი დღე დადგა

გასაღიმებლად გაეხსნებათ
ვარდებს ტუჩები,
და მე ფორიაქს
და დარბევას
ვერ გადვურჩები.
ცხელა ჩემს სულში,
მაგრამ ღრუბლებს ჯერ კიდევ სცივათ,
და გაზაფხულის
დაფუძნების
წკრიალებს წვიმა.

დიდი დღე დადგა,
ხარაჩოებს შეენთო ცეცხლი,
გაჩნდა სიმღერა,
რაც არ გვითქვამს,
არ გვიმღერია,
მწამს გაზაფხულსაც
სხვას მოიყვანს
სიცოცხლე მერცხლის

რადგან სამშობლოს,
განახლებულს,
სულ სხვა ფერი აქვს!

და ქმნის ბარაქას
კაცი დიდად მოჭირნახულე,
მალე მინდვრები
ჯეჯილებით შეიმოსება.
მე შემოდგომით
ყველა მათგანს
მოვინახულებ,
გულს გამინათებს
ქართველური პატიოსნება.

მოდის ფოლადი,
მოდის თუჯი...
მხარდამხარ დგანან
ჩვენი დიადი მშენებლობის
დიდი მხატვრები.
მე მათ ვადიდებ,
სხვა სიმღერა
ან მეთქმის განა?
მე ჩემი ლექსით,
ჩემი სიტყვით
მათთან დავდგები.

გასაღიმებ́ლად გაეხსნებათ
ტუჩები ვარდებს,

და მინდა ქვეყნად
        სიხარული
ამ ვარდებს ჰგავდეს!
...საქართველოში
        ყველა ბუჩქი დაიყვავილებს,
და ისევ შევკრავ
        თაიგულებს ნაირნაირებს!

(„კომუნისტი“)

ოცდაერთი აპრილი

კომუნიზმის სახალხო
მშენებელთა რაზმია
ჩვენი გზა სასახელო,
ჩვენი გზა პირდაპირი.
ამ გზაში ჩაქსოვილი
მილიონთა აზრია —
ოცდაერთი აპრილი,
ოცდაერთი აპრილი.

ამ დღეს მეცხრე
ხუთწლედის
შეჯიბრების ხმა ისმის,
წყაროდან დაწყებული,
ოკეანის ნაპირით.
უკეთესი ხარისხი,
უკეთესი ხარისხი,
ოცდაერთი აპრილი,
ოცდაერთი აპრილი.

მამულის ძლიერება,
ჩვენი ზრდის საფუძველი,

საიმედო ბურჯია,
არასოდეს გახრილი.
დავრჩეთ ასე ერთგულნი
და მარად შეუცვლელნი,
ოცდაერთი აპრილის,
ოცდაერთი აპრილის.

რომ მხურვალედ
        გვიყვარდეს
სამშობლო — საბჭოეთი,
მწვანე ბაირაღებით
გზებია დადაფნილი.
დღე, გლეხის და მეომრის,
დღე, მუშის და პოეტის,
ოცდაერთი აპრილი,
ოცდაერთი აპრილი.

კომუნიზმის სახალხო
მშენებელთა რაზმია
ჩვენი გზა სასახელო,
ჩვენი გზა პირდაპირი.
ამ გზაში ჩაქსოვილი
მილიონთა აზრია —
ოცდაერთი აპრილი,
ოცდაერთი აპრილი.

(„კომუნისტი“)

სიმტკიცე, ფიცი და გამარჯვება

დიდებულად ჟღერს,
ჟღერს დიდებულად,
სიტყვა
    გმირი და
        .თანამედროვე,
ასე ქართულად,
და ჩვენებურად
ხუთწლედის წლები
ალავერდობენ.

ისევ მოვზღვავდეთ,
ისევ მოვმძლავრდით,
მზეს შეუძლია ასე ამოსვლა,
ვერა, ვერ ჩაკლეს ჩვენში
        მოცარტი,
ჩვენ რუსთაველის
        პირველწყაროს ვსვამთ.

დიდება მიწას,
დაჰკარ დაირას,
დაირა ჩემი განთიადია,
როცა ძახილი სისხლში დაიარს,
შაშინ ძახილიც
რა დიადია.

რა დიადია
მთების გუგუნი
და საქართველო რა დიადია,
მზის კენწეროზე დაჯდა
ბულბული,
რუსთველის ლექსის ნაღდი
გადია.

ვარ შენი ბელტი,
შენი სინდისი,
შენი მგოსანი,
შენი ერთგული...
მელის ნოღაი,
მელის თბილისი,
მელის რუსთავი,
მელის ენგური.

რომელს ვუმღერო,
როგორ ვუმღერო,
მანიშნე შენი ლურჯი ცისკარით,
შენ, ჩემი ქედის რკინის უღელო,
კი არ გეშვები, —
შენკენ ვიჩქარი.

შენ, ჩემი ქედის რკინის უღელო,
დამღალეს,
მაინც ვერ დამაჩოქეს,

ხარ ურყეველი,
ხარ მოუღლელი
და ყველა შენს შვილს ერთად
აჯობებ.

ახლა მითხარი, სად ვიმქუხარო,
მსურს ხანჯლის პირზე მნახო
გავლილი,
ჩემო წუხილო,
ჩემო ბუხარო,
ტკბილი ხარ, შენი კომლის
კვამლივით.

ახლა მითხარი სად ვიგრიალო,
ძახილო,
ჩემი სულის შემძვრელო,
მამულო,
იღბალს შეურიგალო,
ჩემო იმედო და სადღეგრძელო.

დილა მშვიდობის,
ხარობს მზისგული
და ხიხარული დამღად მაჩნდება,
მაქვს ლექსის ბეჭზე
ამოტვიფრული:
სიმტკიცე,
ფიცი
და გამარჯვება.

დიდებულად ჟღერს,
ჟღერს დიდებულად,
სიტყვა —
            გმირი და
                    თანამედროვე,
ასე ქართულად,
და ჩვენებურად
ხუთწლედის წლები
ალავერდობენ.

(„კომუნისტი“)

ფრიდონ ხალვაში

რწმენის ხმა

მზეჩაფენილ ხნულების წიაღიდან ისმის —
იშმუშნება, იღვიძებს
თესლი კომუნიზმის.
მწვერვალებო, აწოვეთ ძუძუ მარად ერთგულ
მტკვარს, ჭოროხს და ალაზანს,
რიონსა და ენგურს.
ეს კოლხური ნისლია თუ ლეჩაქი დედის? —
თეთრი, თეთრი მაისი
მთა-გორებზე დადის.
არ უჯერებს მოგონილ ლეგენდას და სიზმარს,
მიწა ახალ სამოსელს
ახლებურად იცვამს.
სამშვიდობო ზეციდან მზე ღიმილით დასცქერს
მთას, ყვავილით მოხატულს,
ველს, სახნისით ნაწერს.
ვიგრძენ სუნთქვა თვითეულ მარცვლისა და
წვეთის,
ეს ქართული მიწაა—
მკვიდრი საბჭოეთის.

ყოველ წვეთში ბადაგის მტევანდანაწური
ჩაადუღა გლეხკაცმა
სალოცავი ძმური.
მინდორ-მინდორ თუ ზეგნად, სახვალიო.
მზისთვის
თვალებს ლურჯად გაახელს
ნერგი კომუნიზმის...
მწვერვალებო, აწოვეთ ძუძუ მარად ერთგულ
მტკვარს, ჭოროხს და ალაზანს,
რიონსა და ენგურს,
რომ ახალმა ჰესებმა ამოღვარონ მძლავრად
ჩვენი მთების გულიდან
სინათლეთა ქარვა.
ახალქმნილმა შუქურამ განა დაიმორცხვოს, —
შუქთა ოქროჩქერებით
დედამიწა მორწყოს!
დავუბრუნდეთ მომავალს,
ხომ მომავლად ვიშვით?!
გზაო, გზაო, მოგყვებით
მხოლოდ კომუნიზმში.

შენ, ჩემო გმირო თანამედროვევ!

გულში სიცოცხლის სხივჩახლართული
გიხმობს მშობელი მიწა ქართული:

— მეცხრე ხუთწლედის იყავ მხედარი,
(განა მარტოდენ ომში მხედრობენ!)
იყავ მამაცი და გამბედავი,
შენ, ჩემო გმირო თანამედროვევ!

ველებს ბადაგის სიტკბო ადინე,
ჩაუსხი ოქროს თვლები თავთავებს,
იალაღები ჩაინადირე,
თეთრ მდინარეებს ექეც სათავედ.

ლურჯი ლაჟვარდი მხრებით გასწიე,
მზით ამოქარგე მიწის ხავერდი,
თავბრუ დაჰხვიე ქვევრებს ასწლიანს,
უთხარ ხვალინდელ დღეს ალავერდი.

იმ ხვალის დღეში გადგი ღრმა ფესვი,
ქარხნის საყვირად დაიგუგუნე, —

იდგეს დღევანდელ დღის შუქნათელში
დიდი შენების ეს საუკუნე!

ცაში ხარაჩო აგყავს ბილიკად
და მიწისქვეშეთს მკერდით მიანგრევ!
ამ ქვეყნად შენ რომ არ ჰყოფილიყავ,
სად ექნებოდა ფოლადს სიმაგრე?!

იცი მამულის ბუნების ყადრი,
უცხო ფერები დასძარ ფენებად!
თუ არა შენი მარჯვენის მადლი,
სად ექნებოდა მიწას მშვენება?!

მაგრამ ჩვენ ახლა,
და სწორედ ახლა
სხვა ტემპი გვმართებს, სხვა გარჯილობა,
სხვა ზრუნვა უნდა ნათესს და ნახნავს,
ზვართა და ბაღთა მხარგაშლილობას.

ყველგან და მუდამ დღედაღამ დუღდეს
შრომა გმირული და დაძაბული,
ახალ საქმეთა დიდებით ვქუსდეთ
მუსლჩაუხრელნი, მკლავდაძარღულნი,

ყველა წუთის და ყველა დღის ფასი
ვიცოდეთ,
მივყვეთ ქვეყნის დაძახილს,

რომ ამ ცხოვრების ხვალინდელ გზაზე
აღარ შემოგვრჩეს ჩრდილის ნასახიც.

სხვა მრავალ ტალღას ჰბადებს ყოველთვის
ზღვის ერთი ტალღა აგორებული,
ამ ტალღად იქეც,
ჩანგი პოეტის
იჟღერებს შენით შთაგონებული;

შენს ნათელ სახელს, შენს შემართებას
მოჰფენს ქვეყანას, გადასცემს მერმისს,
მომავლის დიდ შუქს შეემატება
ჩვენი დღეები — მეტყველნი ბევრის.

მაშ ვასახელოთ დღეის დღე ყველგან,
გავმართოთ მხრები, გავშალოთ ფრთები,
მართალ გმირობას მოელის ჩვენგან
ჩვენი პარტია,
ქვეყანა მთელი.

მაშ სწორედ ახლა,
და სწორედ ახლა
მძლავრი ნახტომით გავუსწროთ დროსაც!
სულ უფრო ზევით,
სულ უფრო მაღლა
მეცხრე ხუთწლედის ამაყი დროშა!

(„სოფლის ცხოვრება“)

ნარკვევები

მწერალი და ცხოვრება

—

სათაური, ცოტა არ იყოს, ძველმოდურია — ამ ერთი თუ ნახევარი საუკუნის წინ არქმევდნენ წერილებს ასე, როცა სურდათ ლიტერატურა ციდან ცოდვილ მიწაზე დაებრუნებინათ. დღეს ჩვენ საამისო არა გვიჭირსრა, მაგრამ მაინც საკითხი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობისა დღევანდელ ვითარებაში ახალი ძალითა და სიმძაფრით წამოიჭრა ჩვენს წინაშე, ახალი კუთხით კვლავ დადგა იგი, ვინაიდან აუცილებელი გახდა მწერალი უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად ჩაერიოს ცხოვრებაში, პირდაპირ თქვას თავისი სიტყვა მტკივნეულზე, ყოველდღიურზე, ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო საკითხებზე.

მხატვრული სიტყვის, მწერლის ნაწარმოების ქმედითი და შთამაგონებელი ძალა ცნობილია და ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. აქ ლაპარაკი იქნება მხო-

ლოდ იმაზე, თუ რა ვუთხრათ ჩვენს ხალხს, რა შთავაგონოთ, საით წარვმართოთ სწორედ დღეს ქმედითი ძალა მხატვრული სიტყვისა, რათა მან წარმატებით შეასრულოს თავისი როლი — დამრაზმველის, ხალხის, ახალგაზრდობის აღმზრდელის როლი არა საერთოდ, არამედ დღევანდელ ვითარებაში, უახლოესი წლების მანძილზე, ე. ი. იმ დროს, როცა ცალკეულ უბნებზე მიმდინარეობს დიდი ეკონომიური მოწესრიგებაც და დიდი მორალური განწმენდაც, როცა მთელი ხალხი შეუდგა იმ ცალკეული ხარვეზების დაძლევას, რაც შესამჩნევი იყო ამ ბოლო წლების მანძილზე. ამ დიდად კეთილშობილურ, ნამდვილად ჰუმანისტურ და საკეთილო საქმეს, რომელიც აინტერესებს და აფიქრებს მთელ ხალხს, მთელ საქართველოს — ქართველი მწერალი, ცხადია, განზე ვერ გაუდგება.

ყოველივე იმას, რაც ახლა ჩვენში ხდება, შეიძლება ეწოდოს ძალთა დიდი მობილიზაცია ეკონომიკურ, მორალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემათა გადასაჭრელად. ეს არის პარტიის უპირველესი მოწოდება, და გასაგებია, რომ მთელი ჩვენი ხალხიც ახლა ამით არის დასაქმებული, ამით არის გართული. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს მწერლის როლი აქ ერთგვარად გან-

საზღვრულია და დადებულია მიჯნა — „აქედან აქამდე“, აბა რა უნდა მოუხერხოს მწერალმა ეკონომიკის ურთულეს პრობლემებს. მაგრამ მწერლობა, საერთოდ ხელოვნება, ჰქმნის მორალურ ატმოსფეროს, ის ამ ატმოსფეროს მარტო ბარომეტრი კი არ არის, არამედ მომწესრიგებელიც, წარმმართველიც... და ამიტომაც არის, რომ იდეური და მორალური ფაქტორები უზარმაზარ როლს ასრულებენ, საერთო და საქვეყნო ამოცანების გადაჭრის დროს.

ეს როლი დიდი და საპასუხისმგებლოა, მაგრამ რა კონკრეტულ ფორმებში იპოვის ხოლმე იგი გამოხატულებას? რომ უფრო ნათელი იყოს ის, რის თქმაც მინდა, გავიხსენებ ერთ უბრალო მაგალითს. ცნობილია, რა მძიმე მდგომარეობაა ახლა ჩვენს ცალკეულ ინდუსტრიულ საწარმოებში მუშა-ხელის დენადობის გაბო. ასეა, კერძოდ, რუსთავშიც. ისიც ცნობილია, თუ რა იყო და რა არის ჩვენთვის რუსთავი, რა რომანტიკა ჰქონდა მას: დაწყებული გალაკტიონიდან და ლეონიძიდან არ არის არც ერთი ქართველი პოეტი, რუსთავზე და ქართულ ფოლადზე ლექსი ან პოემა არ დაეწეროს, ხალიბები, მოსხები და თაბალები არ გაეხსენებინოს. „ეს გაუმარჯოს ახალ რუსთავს და ბებერ მცხეთას“, ჩვენი

დროის ერთი შესანიშნავი პოეტის ეს სიტყვა მოწმობს, როგორ ჩაეწნა რუსთავი საქართველოს დიდ ისტორიას.

და აი, თურმე -ცალკეული ადამიანების თვალში ნელ-ნელა დაიჩრდილა, გახუნდა, გაფერმკრთალდა და გაიცრიცა ეს დიდი რომანტიკა... როგორღაც გული გაუცივდა მარტო მწერალს კი არა, თვითონ ვეფხვია ხალიბაურსაც; ინტერესი აღარ არისო, ასე თქვა ტელევიზორიდან საუკეთესო რუსთაველმა ბრიგადირმა. მარტო შარშან ქარხანა დატოვა ორი ათასამდე მუშამ. სად წავიდნენ? ზოგი ქალაქის სასადილოების ტრესტში, ზოგი რუსთავვაჭრობის სისტემაში, ზოგი საყოფაცხოვრებო კომბინატში, ზოგიც დაყიალებს აქეთ-იქით. რისთვის გავიხსენეთ აქ რუსთავი?! ამას წინათ კალინინის რაიკომმა მოაწყო ქართველი მწერლების შეხვედრა თბილისის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებთან და ინჟინრებთან. ლიტერატურული საღამოს დაწყებამდე ქარხნის დირექტორის კაბინეტში საუბარი გვქონდა იქაურ ხელმძღვანელებთან. მე შეკითხვა მივეცი დირექტორს აპოლონ მასხარაშვილს: აგერ რუსთავში რომ ასეთი მძიმე მდგომარეობაა მუშა-ხელის დენადობის თვალსაზრისით, აქ, თქვენთან, როგორ არის-მეთქი საქმე. დი-

რექტორმა ასეთი პასუხი გამცა: ჩვენთან მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, მუშახელის დენადობა არ არისო. და მიზეზებიც ჩამოთვალა, ჯერ ეკონომიური და ყოფაცხოვრებითი, და ბოლოს დასძინა: — მას შემდეგ, რაც ქარხანაში ხელახლა გავიხსენეთ სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები ამავე ქარხნისა, დავდგით ობელისკი ამ ტრადიციათა მარად უკვდავსაყოფად, მოვნახეთ და გამოვამზეურეთ ის წმინდა რელიქვიები, რომელნიც დაზგასთან მდგომ ყოველ მუშას ახსენებს, თუ რას წარმოადგენს ის ადგილი, ის კერა, სადაც იგი მუშაობს, აი, ყოველივე ამის შემდეგ, წასულები რომ იყვნენ ამ ქარხნიდან, ის მუშებიც უკან მობრუნდნენ და ისევ თავიანთ დაზგებთან დადგნენო. აქ ერთი მცირე განმარტებაა საჭირო: ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხანა — ეს ძველი დეპოა, საქართველოს მუშათა კლასის პირველი აკვანი და პირველი ემბაზი, აქ გამოჩნდა პირველი წითელი დროშა, რომელზედაც ერთ-მა კარგმა ქართველმა პოეტმა თქვა: „შენ გაზაფხულზე მოხვედი, როგორც პირველი ნუგეში, ჭაბუკმა პროპაგანდისტმა ჩუმათ ჩაგიდო უბეში“ ხოლო მეორე, ასევე შესანიშნავმა პოეტმა ასე უმღერა ამ ადგილს, ამ მიდამოებს: „თბილია ჩემთვის თბილისის

მკერდი, განა სამარის ცივი მიწაა, ნაძალადევის ცხრა ძმაში ერთი, ძმებო, ალალი ჩემი ბიძაა". ეს კარლო კალაძის სტრიქონებია. ეს პოეტური მეტაფორა არ არის, ეს ბიოგრაფიულია. მაგრამ აქ თავდება ოჯახის ისტორია და იწყება საქართველოს ისტორია. ეს ასეა პოეტისათვის, ასეა მუშისთვისაც.

რისთვის გავიხსენეთ ყველაფერი ეს? იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძალა აქვს მორალურ ფაქტორს და იმის დასადასტურებლად, რომ თურმე მარტო ფულზე არ არის საქმე. თურმე, ხარატი თუ ზეინკალი იქ მარტო ხელფასისათვის — ამ ქარხანაში საშუალო 150 მანეთს რომ უდრის და ყველაზე მაღალი 250 — 300 მანეთს, — მარტო ამ მანეთებისათვის არ მუშაობს. მას გული მიუწევს ქარხანაში და იქ მიდის, როგორც ტაძარში. გული ეწევა იქით. მას სწამს და ამ რწმენას კი მთების დაძვრა შეუძლია. ამ რწმენამ ააშენა სოციალიზმი, ამ რწმენამ მოიგო ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში.

ვთხოვ მკითხველს სწორად გამიგოს — მე კარგად მესმის მატერიალური ინტერესის პირველობა, მატერიალური და მორალური სტიმულების ურთიერთ შეფარდება. გავიხსენოთ ლენინის სიტყვები: „უპირატესობის მინიჭება დამკვრელობაში გულისხმობს უპი-

რატესობის მინიჭებას მოხმარების სფეროშიც. უამისოდ დამკვრელობა — ოცნებაა, ღრუბლის ქულაა; ჩვენ კი, რაც უნდა იყოს, მატერიალისტები ვართ"; მაგრამ ლენინიზმი იმასაც გვასწავლის, რომ ეს მატერიალიზმი ხელს არ გვიშლის ვიყოთ რომანტიკოსებიც, ვიყოთ „იდეალისტებიც" ამ სიტყვის არა ფილოსოფიური გაგებით, არამედ იმ უბრალო გაგებით, რასაც მოიცავს სიტყვა „იდეალები". აქ იწყება სწორედ ის მორალური ატმოსფერო, მორალური კლიმატი, სადაც მწერალს ეძლევა უფართოესი ასპარეზი სამოქმედოდ, და როგორც კი ამ ატმოსფეროში სიციველები, თუნდაც ოდნავი აგრილება დაიწყება, კაციც, ვაზისა არ იყოს, ვერ უძლებს, ვერ ეგუება სიცივეს. ყოვლად საჭირო კაცი, მაღალკვალიფიციური ოსტატი წავიდა ერთი დიდი ქარხნიდან პირველი შეხედვით უცნაური მიზეზის გამო: მანდ რა გამაჩერებს, მამა რომ მომიკვდა, ქარხნის ხელმძღვანელებიდან ერთი კაცი არ მოვიდა, სამძიმარი ეთქვა და ჩემი მწუხარება გაეზიარებინაო. ესეც ფულისა და ხელფასის ამბავია? არა. ეს უკვე მორალური ატმოსფეროს მოვლენებია, იმ მორალური ატმოსფეროსი, რომელიც სუფევს შრომითს კოლექტივში, რომელსაც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის

მოხსენებაში XXIV ყრილობაზე უწოდა სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი. ამხანაგმა ბრეჟნევმა იქვე დასძინა, ეს არის დიდმნიშვნელოვანი ბრძოლის ველი, აქ იქმნება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების დამოკიდებულებაო. აი ასე, ათასი ძაფით არის ერთიმეორეზე გადაწნული და გადახლართული ყოფა და წარმოება, კაცის სული და საქარხნო დაზგა თუ საკოლმეურნეო მინდორი. კონტრასტისათვის ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკო მამაიაშვილს ყველა იცნობთ, შორიდან მაინც. თვითონ კოლმეურნეობა ყველაზე მდიდარი და შეძლებულია მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირში. რა ჯადო აქვს ნიკოს ასეთი, რით მიაღწია ამას? იმით, რომ მთელი სოფელი ერთი ოჯახივით არის და თავმჯდომარეც ხალხს ისე ეპყრობა, როგორც შინაურს, როგორც ძმას, დას, შვილს, როგორც მამასა და შვილიშვილს — საცა საჭიროა, უბრძანებს, საცა საჭიროა, ნამუსზე შეაგდებს, საცა საჭიროა, მოეფერება, საცა საჭიროა, გაუწყრება, გაკიცხავს და დასჯის კიდეც. სოფლის გზაზე რომ მოდიოდეს და რომელიმე ეზოდან დატირების ხმა შემოესმას, თვითონაც თავს ვეღარ იკავებს, ეს ვეე-

ბა ვაჟკაცი ტირილს იწყებს და არ შეიძლება ჭირისუფლებთან .არ შეუხვიოს, არ ანუგეშოს. სხვა სოფლიდან რომ პატარძალი მოჰყავთ, მაყრებს ყველაზე საუკეთესო კრიალა მანქანებს გამოუყოფს ხოლმე; ყველაფერს რა ჩამოთვლის და ყველაფერი ეს განეკუთვნება ადამიანურის სფეროს, იმავე დროს წინ რომ სწევს საქვეყნოს. ეს არის მორალური ფაქტორი და მისი ზეგავლენა ეკონომიკასა და მეურნეობაზე. ამიტომაც ეწოდა შრომით კოლექტივს — ბრძოლის ველი, სწორედ აქ იმართება მძაფრი ბრძოლა ადამიანთა გულებისათვის.

აქ არ ჩამოვთვლით იმ ნაწარმოებებს — რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს, რაც ამ ბოლო წლებში ქართულ სოფელზე დაიწერა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ეს ძალიან ცოტაა. ამას გარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ამიერიდან სოფლის თემაზე დაწერილი რომანი პრობლემური იყოს, რაღაცისათვის იბრძოდეს, რაღაცას ასწავლიდეს ახალგაზრდობას, წინ ეძახდეს, ახლისკენ, უკეთესისკენ. რანაირი საკვირველიც არ უნდა იყოს ეს, ახლა, 70-იანი წლების დასაწყისში, ჩვენს წინაშე სრულიად მოულოდნელად წამოიჭრა პრობლემა, რომელიც პირველად იდგა 30-იანი წლების დასაწყისში,

საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე. წამოიჭრა, რა თქმა უნდა, არა იმ ძალით და იმ მასშტაბებით, მაგრამ მაინც შესამჩნევად. საქმე ეხება კერძო და საზოგადო საწყისების ურთიერთ შეფარდებას. ეს არის საკითხთა საკითხი, როგორც ითქვა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობა ზოგჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობა და რომ ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების ნეგატიური ტენდენცია, რასაც ბევრი სერიოზული შედეგი შეიძლება მოჰყვეს. თუ ღრმად ჩავუფიქრდებით ამას, დავინახავთ, რომ ეს არის არა მარტო ეკონომიური, არამედ ფსიქოლოგიური პრობლემაც და, მაშასადამე, აქ მწერალს დიდი ასპარეზი და სამუშაო აქვს. ქართულმა მწერლობამ ისევ ისე უნდა თქვას თავისი სიტყვა, როგორც თავის დროზე 30-იან წლებში, როცა დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კარლო კალაძის „უჩარდიონი“, მრავალი მოთხრობა და პიესა, რომელთაც სოფლის ფსიქოლოგი-

ური გარდაქმნის პროცესში თავიანთი ისტორიული როლი შეასრულეს.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი და არსებითი: უნდა გამოჩნდეს ახალ ქართულ რომანებსა და მოთხრობებში ჩვენი დროის მთავარი გმირი, ის, ვინც განასახიერებს დღევანდელ საქართველოს, ისე როგორც თავის დროზე საქართველოს ოთარაანთ ქვრივი ან ელგუჯა განასახიერებდნენ. საკმარისი იყო გეხსენებინა ეს სახელები და შენს თვალწინ დადგებოდა მთელი საქართველო. საჭიროა ასეთი მონუმენტური სახეები — ლაპარაკია დიდ განზოგადებებზე, ადამიანებზე, ვისაც საბჭოთა საქართველოს მიწა აბარია და ფეხი მაგრად უდგას ამ მიწაზე, არ დაფარფატებს პეპელასავით აქეთ-იქით, არამედ ადუღაბებს ცხოვრების ფუძეებსა და კერებს. ამ ადამიანებს თავიანთ თავში განუხორციელებიათ თავისი ერის სული, გონება, სინდის-ნამუსი და კეთილშობილება ყველგან, შრომაშიც და ომშიც; აქ არის ბევრი სიძნელეც, არის მძაფრი და დრამატული კონფლიქტები, ყველაფერი ის, რაც ჭეშმარიტი ლიტერატურისათვის სასიცოცხლო ჰაერივით აუცილებელია.

ეს არის უაღრესად დიდი ამოცანა და ქართული მწერლობა უნდა შეეჭიდოს მას.

(„ლიტერატურული საქართველო“)

მეტალურგიული ქარხნის ეზო-მიდამოს ოდითგან მარტო მისთვის დამახასიათებელი შესახედაობა ჰქონდა; ეს იყო თავისებური, მუქი და ჩაშავებული პეიზაჟი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში არაერთხელ აუწერიათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ ფრიად კოლორიტული სურათები გორკისა („არტამონოვების საქმე"), თუ კუპრინის („მოლოქი") ნაწარმოებებიდან, სადაც რკინა და კვამლი ჰკლავდნენ და ახმობდნენ ყველაფერს, რაც ცოცხალია და მწვანე. მკაფიოდ გამოხატა ეს მძიმე სურათი შესანიშნავმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა (მომყავს მისი ლექსის „მინდვრის" ცალკე ადგილების სიტყვასიტყვით თარგმანი):

„მთელი მინდორი წყვდიადს მოუცავს... დიდი ხანია გამოლევია ძალ-ღონე მიწას, მომკვდარა და მას, მძორად ქცეულს, მაინც სჭამს ქალაქი, ნთქავს ჩუმად და ნაბიჯ-ნაბიჯ... მანქანას თავისი უზარმაზარი ხელი გამოუწვდია და რკინის თითებით მიუსრესმოუსრესია ჯეჯილი, სამოთხეს · რომ ამსგავსებდა აქაურობას. ჩაჩუმებულა გუთნისდედაც, ციური სიმშვიდე რომ შემოჰქონდა

ამ მიდამოში... ნიავისათვისაც გზა გადაუღობავს და გაუბინძურებია კვამლსა და ჭვარტლის ნაფლეთებს... იქ, სადაც წინათ დაისის ოქროსფერი შუქი ეფინა ბაღებსა და ნათელ სახლებს, ახლა შავი ქარხნები გადაჭიმულან ყველა მხარეს — ჩრდილოეთითაც, სამხრეთითაც. ქარხანაში კი ბორგავს და გრგვინავს რაღაც უზარმაზარი ურჩხული, გუგუნებს ქვის კედლებს შიგნით... მყრალ არხებს მდინარისაკენ მიაქვთ საწამლავი... გაძრცვილი ხეები მომაკვდავებივით უმწეოდ ასავსავებენ დამტვრეულ ტოტებს, როგორც ხელებს. გარეთ ეზოში ჭინჭარიცა და ჭყიმიც კი ქვიშაშია ჩასრესილი და ზედ აყრია დაჟანგული რკინა... მძიმე სახურავს ქვეშ ლანდებივით დაძრწიან ადამიანები, გაყრუებულნი, გაოგნებულნი... სადღაა ყანების წინანდელი ჩუმი შრიალი, ხეთა ჩრდილები, დასასვენებლად რომ გეძახდნენ; სადღაა ჩიტები, ისე მაღლა რომ შეფრინდებოდნენ ხოლმე ლურჯ ლაჟვარდში, რომ მათი ხმა ოდნავ, ოდნავღა ისმოდა შორეული მუსიკასავით... გათავებულა ყველაფერი და აქ სიცოცხლე აღარ დაბრუნდება... ირგვლივ თხრილებია და ყველა მათგანი ცარიელ საფლავსა ჰგავს... ახ, ყველაფერი გათავებულია... მინდორი მკვდარია“.

ასე დახატა ვერჰარნმა ქარხნის ეზო-მიდამო, მარტო ქარხანა კი არა, ქალაქი — მტაცებელი, ქალაქი — მკვლელი ბუნებისა, ის ქალაქი და ქარხანა, რომელიც დააფუძნა და მოაწყო ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ.

ვერჰარნი 1916 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, მას მარტო ოცნებით თუ შეეძლო წარმოედგინა მეტალურგიული ქარხანა, რომლის ეზოში ლაღად იშრიალებდა 400.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი — ჭადარი თუ კედარი, ელდრის ფიჭვი თუ ტუია, სოფორა თუ ვერხვი, იაპონური კომში თუ ჩვეულებრივი კვიდო, ზოგ ადგილას კენკრას რომ ეძახიან. აქედან 11.000 ძირი მარტო ხეხილია — ყოველ გაზაფხულზე ალისფრად ყვავიან ატმები, თეთრად — ვაშლები, მსხლები, ალუბლები, ტყემლები, წითლად ღუის ბროწეული... აღარც ლეღვი აკლია აქაურობას, არც გარგარი... ვინა თქვა მინდორი მკვდარიაო. ტყუილია. სიკვდილს იქ ვინ შეუშვებს, სადაც ტყემლები ჰყვავიან, სადაც 400.000 მწვანე ჯარისკაცი დგას და სიცოცხლესავით შრიალებს.

ჩვენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე ვართ.

დიდად სასიხარულოა, რომ რუსთავის მე-

ტალურგიულმა ქარხანამ უკვე კარგი და გამართული ნაბიჯი აიღო — იანვრისა და თებერვლის გეგმა შეასრულა. მაგრამ სიძნელეები ჯერ კიდევ ბევრია. ამაზე ლაპარაკობს ქარხნის დირექტორი ოთარ სულაძე... ბევრი რამ არის გადასაჭრელი იმ პრობლემებიდან, რასაც აყენებს მოთხოვნილება იმ მოწყობილობისა, მეტალურგიის დღევანდელი დღე რომ საჭიროებს, ნედლეულისა — დღევანდელ დონეზე, მუშა-ხელისა, იმავე დღევანდელ დღეს რომ შეჰფერის.

საუბრის ბოლოს სულაძემ რაღაც ახალი საამქრო ახსენა, სტუმრები ბლუმინგის მერე იქ წაიყვანეთო, არ დაასახელა კი რა საამქრო იყო...

დირექტორის კაბინეტიდან ბლუმინგის საამქროში მივდივართ. ეს. თუ შეიძლება ასე ითქვას, შუა რგოლია ფოლადის დნობასა და საგლინავ საამქროს შორის, რომელიც უკვე მზა პროდუქციას უშვებს. ბლუმინგის კოშკიდან გამოცდილი ოპერატორები ნოდარ გამრეკლიძე და სერგო ბაბულეიშვილი გავარვარებული ლითონის ვეება ზოდებს საჭირო კონფიგურაციას აძლევენ. ცეცხლში დაბადებული, მაგრამ ჯერ უფორმო ზოდი ისევ ცეცხლმა უნდა მონათლოს. ოპერატორები სხედან საკარძლებში

და განაგებენ ნათლობის ამ ურთულეს ცერემონიალს, როცა ბლუმსი — ეს უფორმო ზოდი სწრაფად იღებს სახესაც და სახელსაც. გეგონება რაღაც უხილავი ძალა ათამაშებსო ამ გავარვარებულ ბლუმსებს — გაისვრის წინ, უკან დააბრუნებს და ხელახლა მოაქცევს მარწუხებში. ოპერატორები წუთით ვერ მოაშორებენ თვალს ფოლადის ამ გააფთრებულ ბრძოლას ფოლადთან.

შევცქერი მათ და მაგონდება — ასე ახდენდნენ ფრონტზე საარტილერიო ცეცხლის კორექტირებას. სხვა ვერაფრისთვის შემიდარებია ეს უზუსტესი ანგარიში და ჩაყრუებული გუგუნი, ეს განუწყვეტელი ჭახა-ჭუხი და ზუზუნი უზარმაზარი საამქროსი. დიდხანს ვდგავართ და ვუცქერით ოპერატორის ხელებს; არ ისვენებენ ეს ხელები არცერთ წუთს, არ შეიძლება ამ ხელებმა დაისვენონ, ვიდრე ცვლა არ გათავდება — ისინი ფოლადის ფუძეს უდგამენ კომუნიზმის შენობას.

ბლუმინგიდან რომ გამოხვალ, ქარხნის ეზოში, ასე ხუთასი მეტრის დაშორებით, ის ახალი საამქროა, წეღან რომ ახსენა დირექტორმა და სახელი კი არა თქვა. ამ ახალი საამქროს უფროსი დავით ლოლაძე თავის სამფლობელოში მიგვიძღვის. შევდივართ

შიგნით და ჩვენს თვალწინ ვეება, ერთ ჰექ-
ტარზე გადაჭიმული ბოსტანია, უკეთ, სათ-
ბური. კიტრსა და პამიდორს უკვე ამოუყ-
რია მუხლი, სულ-მალე ამ კვლებში, რო-
გორც შემავსებელი, გაჩნდება წიწმატი, ქინ-
ძი, ტარხუნა, ხახვი, ოხრახუში... შეიძლება
ეს ამ პირველ მოსავალზე ვერ მოასწრონ,
მაგრამ გეგმაში მტკიცედ აქვთ და ზამთარ-
ში მწვანილი აუცილებლად ექნებათ.

როგორი მძაფრი კონტრასტია, რა უცნაუ-
რი მეზობლობაა ცეცხლის სამყაროსა და
მწვანე ბოსტანს შორის. დავით ლოლაძე,
მწვანე რუსთავის პირველი მშენებელი
ჰყვება, თუ როგორ დაიბადა ეს სათბური.

— ერთხელ ოთარ სულაძემ დამიძახა და
მითხრა: დავით, რაკიღა ეს ხალხი ჩვენ გვა-
ბარია, მათს ბედზეც უნდა ვიფიქროთ, მათს
ოჯახზეც, მეტსაც გეტყვი — იმაზეც უნდა
ვიფიქროთ როგორია მათი სუფრა და რა
აკლია მას. მოდი ერთი კარგი საქმე გავაკე-
თოთ: მუშას ხან ძეობა აქვს, ხან ქორწი-
ლი. დავუმშვენოთ სუფრა, ეგეც არ იყოს,
ახალი კიტრი და წიწმატი არც ყოველ-
დღიურ სუფრაზე აწყენს კაცს. მუშათა სა-
სადილოშიც აიწევს ულუფის ხარისხი; ისიც
სათქმელია, ძვირი არ დაგვიჯდება დიდი
სათბურის მოწყობა —მილები უნდა, ორთქ-

ლი, დენი... ჩვენ კი აი რამდენი ნარჩენები გვაქვს, რაც განსაკუთრებულ ფასეულობას არ წარმოადგენს...

ამ საუბრის მერე დასხდნენ ეკონომისტები და იანგარიშეს. გამოირკვა, რომ სათბური წელიწადში მოიტანს 100-150 ათასი მანეთის შემოსავალს, მთელ დანახარჯებს კი პირველ სამ წელიწადში აანაზღაურებს. ხოლო პირველსავე წელს იმდენ სიკეთეს მოიტანს, მას უკვე ფულითა და პროცენტებით ვერ გამოხატავ. 400.000 ხე და ბუჩქი, რუსთავის ქარხნის ტერიტორიაზე რომ იზრდება, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, იძლევა ერთ იშვიათ პროდუქციას სულიერ ღირებულებათა სფეროში, რომელსაც განწყობილება ეწოდება. საბჭოთა სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა, რომელთაც გულდასმით შეისწავლეს შრომითი კოლექტივების ცხოვრება, ზუსტად დაადგინეს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ საწარმოო მაჩვენებლები უშუალოდ დამოკიდებულია ადამიანის სულიერ განწყობილებაზე. ეს არის პრობლემა იმ ფსიქოლოგიური მიკროკლიმატისა, რომელიც არსებობს ყოველ ქარხანაში, ფაბრიკაში, კოლმეურნეობაში, სამეცნიერო დაწესებულებაში; როგორიც არის მორალური და ფსიქოლოგიური მიკ-

როკლიმატი, ისეთივეა საწარმოო მაჩვენებლებიც. ახლა ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ საწარმოო ესთეტიკაზე და ცუდი როდი იქნება ამ საქმეში დავემოწაფნეთ წინაპრებს — ჩვენს პაპებსა და ბებიებს. იმათ ესთეტიკაზე დაწერილი ტრაქტატები წაკითხული არა ჰქონდათ, მაგრამ მგონი ჩვენზე. იმ ტრაქტატების დამწერებსა და წამკითხველებზე უკეთ იცოდნენ რას ნიშნავს მშვენიერება ბუნებაში.

ქართველი გლეხკაცი ბოსტანს თავისი სახლის ახლოს, ეზოში მარტო იმიტომ კი არ აშენებდა, რომ ტარხუნისა და წიწმატისათვის შორს წასვლა არ დასჭირვებოდა, არა. მარტო ეს არ იყო. ის ბოსტანი სანახაობაც იყო, თვალისა და სულის გამხარებელი მწვანე სანახაობა და გარდა ამისა, იქიდან იფრქვეოდა დამბნედელი სურნელი, სიცოცხლეს რომ მოანატრებდა კაცს. ამიტომ იცავდა და უფრთხილდებოდა გლეხკაცი მას იქამდე, რომ კალოს ადგილს ნიავის ქროლვის მიმართულების გათვალისწინებით შეურჩევდა, რომ გალეწილი ხორბლის განიავების დროს ბზე და მტვერი ბოსტანს არ დაჰყროდა. აქ ესთეტიკური და უტილიტარული მხარეები ჭკვიანურად იყო შერწყმული და შეხმატკბილებული ურთიერთ შო-

რის და ამ სოფლურ ესთეტიკა-აგროტექნიკას ათასეული წლების ისტორია აქვს. ცხრამეტზე მეტი საუკუნის წინ სტრაბონი ევრიაში რომ ჩამოვიდა და კოროსის (მტკვარი) და ალაზანიოსის მდიდარ ველებზე აგებული დაბა-ქალაქები რომ აღწერა მათი არქიტექტურულად მოწყობილი და კრამიტით დახურული ლამაზი სახლებით, ალბათ იმ ბოსტნებმაც მოსტაცა თვალი, და ამიტომაც ჩაწერა თავის „გეოგრაფიაში“: „აქ მუდამ მწვანე ბალახს ხედავს თვალი და ამას ზედ ერთვის სხვაზე უფრო კარგი ჰაერიო“.

ეს ისტორიაა. ახლა ცადოთ მომავალში გადავიხედოთ. აქ მინდა სიტყვა მე-16 საუკუნის ბრძენს თომა მორუსს დავუთმო, თავის „უტოპიაში“ მომავლის კომუნისტურ ქალაქს ოცნებით რომ წარმოიდგენდა; იგი ასე ხატავდა მას: „ქალაქის დამაარსებელს არაფერზე იმდენი არ უზრუნია, რამდენიც ბაღებზე.. ამ ბაღებში აქვთ ყურძენი, ხილი, ბალახები და ყვავილები. და ყველაფერი იქ ისე ბრწყინავს და ისე მოვლილია, რომ მე არსად მინახავს ამაზე მეტი ბარაქა და მეტი მშვენიერება. მათს გულმოდგინებას და ბეჯითობას აღანთებს არა მარტო სიამოვნების გრძნობა, არამედ ურთიერთ შეჯი-

ბრებაც, თუ რომელი ქუჩა უფრო უკეთ მოუვლის თავის ბაღს. და არ არის ადვილი მთელ ქალაქში იპოვოთ მცხოვრებთათვის უფრო სასარგებლო და უფრო სასიამოვნო რამ... არ არის არცერთი სახლი, რომელსაც ორი კარი არა ჰქონდეს. — წინიდან, ქუჩაზე რომ გამოდის და უკან — ბაღში რომ გადის... ყველა სახლის კარი ძალიან ადვილად, მსუბუქი შეხებით იღება და თავისთავად იხურება და ყველა სახლის კარი მუდამ ღიაა სტუმრისათვის"...

თომა მორუსი ჭეშმარიტად ჭკვიანი მეოცნებე იყო. დღევანდელი თაობა კი არ ოცნებობს, თავისი ხელით აშენებს იმ მომავალს, რაზედაც საუკუნეები ოცნებობდნენ, აშენებს უმტკიცეს მეცნიერულ საფუძვლებზე. და ამ შენებაში, ამ ყოველდღიურ საქმიანობაში ჩვენი იდეალი ის კი არ არის, რომ სამყარო ვაქციოთ ქარხნად და საამქროდ, არამედ ის, რომ ქარხანა და საამქრო დავამსგავსოთ ბაღსა და წალკოტს, ზურმუხტის ტყეების და ბაღების სარტყელით შევმოსოთ. რუსთავში ყოფნისას განსაკუთრებით მძაფრად გრძნობ, რომ ეს ასეა საჭირო, რომ ეს აუცილებელია.

ამიტომ უნდა შეჰხაროდეს კაცი აქ ყოველ ნერგსა და მწვანე ფოთოლს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ბოსტანს. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა რომ შეადგინეს, უმალ შეუდგნენ მწვანე საამქროს მშენებლობას. დიდი ამაგი დასდო ამ საქმეს ქარხნის მთავარმა მექანიკოსმა გიორგი ქობალავამ, ხალისით ჩაჰკიდეს ხელი ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას მექანიკურმა და ლითონკონსტრუქციების საამქროებმა. არცერთი მიღებული სტანდარტი არ აურჩევიათ, ტიპი ჟი ჰოლანდიური აიღეს, მაგრამ პროფილების მიხედვით ლითონის შერჩევა მოხდა იმ ნარჩენების შესაბამისად, რაც ქარხანას გააჩნდა.

და აი, ბოსტანი უკვე ბიბინებს. ნორმაში რომ ჩადგება, წელიწადში ორ მოსავალს მიიღებენ. აპრილის პირველ რიცხვებში კიტრი და პამიდორი უკვე სუფრაზე იქნება, მერე, სექტემბრის ბოლოს დაიწყება ჩითილების ხელახლა გადარგვა იმ ვარაუდით, რომ ერთი ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს, ბებერმა იანვარში კიტრი არა მარტო მოინატროს, არამედ თავის სუფრაზედაც დაინახოს.

სულ მალე ამ სათბურს კიდევ ერთი ჰექტარი ფართობი მიემატება — დრენაჟი უკვე გაკეთებულია, ფუნდამენტი — ნახევარზე მეტი ჩაყრილია, ლითონკონსტრუქციები-ღა

აკლია და ეს კი რუსთაველ მეტალურგებს არ გაუჭირდებათ.

რა შეიძლება ვუწოდოთ ყოველივე ამას? ეს არის ზრუნვა ადამიანზე, იმ კაცზე, ცეცხლს რომ ებრძვის ყოველდღე; ეს არის კიდევ ერთი ბერკეტი სხვა მრავალთა შორის, რომელმაც წინ უნდა წასწიოს ქართული ფოლადის საქმე; ეს არის კარგი და მოსაწონი თაოსნობა. პროპაგანდას მარტო კლუბი და ბიბლიოთეკა, მარტო გაზეთი და ლექსი როდი ეწევიან. კარგი და ჭკვიანური პროპაგანდაა ეს მწვანე ბოსტანიც, მოულოდნელი, როგორც მოჩვენება ამ ფოლადის სამყაროში, ცეცხლით მქშინავი მარტენის ღუმელების გვერდით.

(„კომუნისტი", 1973 წ. 18 მარტი)

შირაქის ველი

ყოველთვის ასე მემართება: გარკვეული დავალებით, დალაგებული გეგმით მივდივარ რომელიმე რაიონში, მაგრამ იქ ჩასვლისთანავე მოძალებული რეალობა, შეუფერადებელი ავ-კარგიანობა, ცხოვრებისეული სინამდვილე მავიწყებს იმ დავალებასაც და წინასწარ დალაგებულ გეგმებსაც. ვერც ერთხელ ვერ შევასრულე ჩემი პირვანდელი დავალება...

ახლაც ასე დამემართა. ელდარში წამოვედი, ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ზამთრის საძოვრებზე. დავალებული მქონდა დამეწერა, როგორ იზამთრა ცხვარმა, როგორ მიდის დოლი, ვინ ისახელა თავი. ალვანის მეცხვარეებთან ჩემი მეგობრობა ელდარიდან შორს, თუშეთის ალპებში დაიწყო, ზაფხულის იალაღებზე. მაშინაც ამ მეურნეობის მეცხვარეების მიღწევებზე უნდა დამეწერა. ჩავედი და... მე-

ურნეობას მიღწევები კი ჰქონდა, მაგრამ ტრადიციული — გვერდზე ნაბადმოგდებული, მოფილოსოფოსო, მკერდში ჩახუტებული ბატკანით, სახეგაბადრული მწყემსი ვერ ვიპოვნე. ბრეზენტის ხიდრაგა „სპეცოვკაში“ გახვეული, გულდახურული, გაუცინარი ადამიანები ვნახე. მთიელის თანდაყოლილი ღირსება, ზრდილობა, რიდი და მოკრძალება პირს უკრავდა მათ, მეტყველ სახეზე კი ნათლად იკითხებოდა: „მიდი-მოდიხართ ურგებად, თავს ირთობთ ზოგი ქალაქელები“... ჰაი-ჰაი, გამართლდა მათი უთქმელი განაჩენი. „ურგები“ გამოვდექი. მათ მიღწევებზე ბევრი ვერაფერი ვთქვი, დავწერე მთათუშეთის გატიალებულ სოფლებზე, თუში მწყემსების ასი, ორასი წლის წინანდელ პრიმიტიულობაში გაყინულ ყოფაზე. დაწერილით მცირე ხნით კი ავიჯანყე ადამიანები, რომელთაც წილი ედოთ იმ უსულგულობაში, მაგრამ ჟამი იყო გახანგრძლივებული თვითკმაყოფილებისა, სიმშვიდისა, სიმართლის თვალებში ნაცარშეყრისა, და მალე ყველანი დაშოშმინდნენ — არაფერი, თითქმის არაფერი არ შეცვლილა...

ახლა ალვანელების ზამთრის საძოვრები რომ დავიარე, მოვინახულე სამივე ფერმის გამგე: კარლო ზარიძე, ვახტანგ კრი-

ტიული, შოთა ზარიძე და მეურნეობის დირექტორის მოადგილე კ. კუბლაშვილი, ვიგრძენი, რომ ამჯერადაც ვერ შევასრულებდი დავალებას. როგორ შემესრულებინა? თუში მწყემსების მიღწევების გაზვიადებით? მათ მიღწევებს გაზვიადება არასდროს არ სჭირდებოდა. არც ახლა. კარგად გამოიზამთრეს. ცხვარს არა გაუჭირვეს რა. დოლიც ნორმალურად მიდიოდა. უკვე ცხადი იყო, ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად გაუსწორდებოდნენ, პროცენტებსაც გადაჭარბებით შეასრულებდნენ. ეს ყველამ იცის. — ჩვენი ჟურნალ-გაზეთები თანმიმდევრულად აშუქებენ ზამთარ-ზაფხულ, დღედაღამ მათ ძნელ და პასუხსაგებ საქმიანობას. ისიც ყველამ იცის — ცხვარში უხეირო კაცი ვერ იბოგინებს. იქ მხოლოდ მეცხვარედ დაბადებული ადამიანები ქმნიან მიღწევებს და თავისი ხალხის დოვლათ-ბარაქას.

და აი როგორ ქმნიან, როგორ ახერხებენ ამას, რა პირობებში? ზაფხულის იალაღებზე მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებზე რომ ვლაპარაკობდი, მიპასუხებდნენ: „ცხვარი მთაში სამიოდე თვეა მხოლოდ, აბა მეცხვარეები აქ რა მომსახურებას საჭიროებენ, ზამთრის საძოვრები ნახეთ, იქ ყველაფერი რიგზეა“. აი ზამთრის საძოვრებიც,

სადაც 100 ათასზე მეტი ცხვარი 8-9 თვეს იმყოფება. ერთ მხარეს საძოვრების მოსაზღვრე აზერბაიჯანის სოფლები, და დანარჩენ სამ მხარეს — წითელწყაროს რაიონის ტერიტორია გაჩახჩახებულია ელექტრონით. ალვანელი მეცხვარეები კი დაბინდებიდან გათენებამდე მხრჩოლავი კვარით ეძებენ მინდორში ნერბსა და ახლადმოგებულ ბატკანს, უფრო ხშირად, საბრალოს ბღავილზე მიაგნებენ ხოლმე სიბნელეში. ისინი შორიდან ხედავენ მეზობლების ტერიტორიაზე ცისფერი ეკრანების მოკიაფე შუქს, მათ იციან, რომ წითელწყაროელთა კულტურულ და კეთილმოწყობილ ფერმებში და ბინებში საწველი და საპარსი ელექტროაგრეგატები, სარეცხი მანქანები, მაცივრებიც კი აქვთ. მათთვის კი, რესპუბლიკაში მეცხვარეობის ყველაზე მსხვილ მეურნეობაში შრომის გასაადვილებლად, ვერ იქნა, ათიოდე ბოძი ვერ ჩადგეს, ელექტრონი ვერ აღირსეს მათ. ალვანელებმა იციან, რომ იქ, მეზობლებს, წყალი უწყვეტი და უფასო აქვთ, აქ — წყალი ცხვრის ფასია. იქ — ფერმებთან და ბინებთან მისასვლელი, ქუჩებივით მოასფალტებული გზები აქვთ, აქ—სოფლტექნიკას შარშან 25 კილომეტრი გზა გაუყვანია და წელს მათი ნახელავის კვალს აქა-იქაღა თუ აღმოა-

ჩენთ. ამიტომ აქ ტრანსპორტის 50 პროცენტი ყოველთვის გამოსულია მწყობრიდან, ყველა დეტალი კი ცხვრის ფასადაა საშოვნელი, რადგან მათი სამანქანო პარკი არ მარაგდება სათადარიგო ნაწილებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალგაზრდა კადრების საკითხი ყველაზე მწვავედ მომთაბარე მეცხვარეებში დგას. მიუხედავად იმისა, რომ აქ შექმნილია რესპუბლიკაში პირველი — მეცხვარეების კომკავშირული რგოლი, რომელშიც თავი მოუყრიათ ერთიმეორეზე უკეთეს ახალგაზრდებს, მოუსმინეთ მათ მერგოლურს, ახალგაზრდა ვეტფერშალს ელიზბარ დუიშვილს: „ბიჭები ველარ ურიგდებიან თავის „უუფლებო“ არსებობას. მოგვენატრა შრომისა და ყოფაცხოვრების ელემენტარულად კულტურული პირობები, აქამდე ჭერიც არ გვაღირსეს თავშესაფარად...“

მაგრამ ალვანელი მეცხვარეები აიტანდნენ ყოველგვარ სიძნელეს, ერთი დაუნელებელი დარდი რომ არ სდევდეთ მთაშიც და ბარშიც. ეს გზაა, რომლის გავლა მათ უხდებათ წელიწადში ორჯერ, და რომელიც საწამებლად იქცევა ხოლმე მათთვის.

ყველგან, სადაც კი მეცხვარეობას მისდევენ, ცხვრის სავალი ტრასა სახელმწიფოს მიერ არის დაკანონებული და ზარაფხანასა-

ვით ხელშეუხებელია. ჩვენთან კი ეს კანონი უხეშად არის დარღვეული. თვით ის რაიონები და კოლმეურნეობანი, რომელთა ცხვარსაც უწევს ტრასაზე გავლა, არად აგდებენ მის ხელშეუხებლობას. ზოგს საკოლმეურნეო ვენახის გაფართოება უნდა და ამიტომ ტრასის საზღვარი ვერ ზღუდავს მის სურვილს; ზოგს თავისი სახლის ან უწყების წამოჭიმვა უნდა შარაზე და უდიერად იჭრება ტრასის ფარგლებში. ზოგი კოლმეურნეობა ცხვრის გამოვლამდე გულარხეინად აძოვებს ტრასაზე თავის ნახირს, ღორების ჯოგს და სინდისი ძილს არ უფრთხობს იმის გამო, რომ შორით მომავალ ცხვარს მტვერსა და ნაკელსღა ახვედრებს. საზოგადოებრივი ქონების ზოგი დამტაცებელნი შენიღბულ ორმოებს ახვედრებენ ცხვარს გზაზე. ზოგი შუბლგარეცხილი შოფერი კი დროს იხელთებს, ტრასაზე გამოსულ ფარაში შეაჭენებს თავის სატვირთო მანქანას, ატეხილ აურზაურში ერთ-ორ ბატკანს მოიგდებს კაბინაში და გაჰკურცხლავს. ტრასების სამმართველოს სეზონურად მიმაგრებული მილიციის მუშაკები კი ფაქტისშემდგომი აქტის შედგენით ფარგლავენ თავიანთ მოვალეობას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი სალა-

როს ზარალთან ერთად, პირად მატერიალურ ზარალთან ერთად, მეცხვარეები უზომო ტკივილს განიცდიან ზამთარ-ზაფხულ ნალოლიავებ ცხვარ-ბატკნის ტრასაზე დამშევისა და დაკარგვის გამო.

სწორედ ეს ტკივილი აქცევს მათთვის საწამებლად ტრასის იმ მონაკვეთს, რომელიც წნორის, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის და თვით ახმეტის რაიონებზე გადის.

რამდენი თქმულა და დაწერილა ამის შესახებ!

მალე ალვანელების 100 ათასზე მეტი და ერთი ამდენიც სხვა რაიონების კოლმეურნეთა ცხვარი აიშლება ზამთრის საძოვრებიდან და დაადგება გზას იალაღებისაკენ. ამიტომ არის, რომ თუში მეცხვარეები სევდით გაჰყურებენ უდანაკარგოდ მიღებულ ნამატს. და ალბათ ამიტომ არის, რომ ისინი, სტუმარმასპინძლობის წესის მოხდისას, ტუჩებში შემალული სიმწრის ღიმილით მეუბნებიან: „ეტყობა, ჩვენ შესახებ დაწერილს მარტოკა დამწერი და ჩვენა ვკითხულობთ...“

მერჩივნა მიწა გამსკდომოდა ფეხქვეშ. მართალი იყვნენ და რა მქონდა საპასუხო. „ახლა წაიკითხავენ, უსათუოდ წაიკითხავენ..;“ — უხმოდ ვპირდები მათ, და რაღაც

უზომო დანაშაულის გრძნობით გულდამძიმებული, ნაჩქარევად ვეთხოვები...

მაგრამ ადამიანი ყოველთვის ეძებს სიკეთეს და რაკი ეძებს, ადრე თუ გვიან პოულობს. მე ძებნა არც დამჭირდა. ოლეხევით ვბრუნდებოდი. ფართო, დამშრალი ხევის მარცხენა ნაპირს კი კლდოვანი ქედი მიჰყვება, და ერთ კლდეზე „მერცხლის ქალაქია“ გაშენებული. იქნებ, მერცხლებს მშენებელთა საბჭო ჰყავთ, და იმ საბჭოს, გარემოსთან, ქართა მიმართულებასთან, მცხუნვარე მზესთან შეფარდებით, გონივრულად აურჩევიათ სამოსახლოდ ის ერთადერთი კლდე. და იქნებ მათ მთავარი არქიტექტორიც ჰყავთ, რომელსაც ამ კლდეზე ქალაქი უშენებია. კლდის ზედაპირი არა ჩანს, მთლად დაფარულია წყება-წყება, სართულებად აგებული ბუდეებით. ბუდეებს სათვალავი არა აქვს, და, ერთნაირი საალმშენებლო მასალით აშენებული, ერთმანეთს კი არ იმეორებენ, რაღაც მცირე დეტალით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან...

ვიცნობდი შირაქის სიკეთის ყოვლისშემძლეობას, არაერთხელ გამომიცდია, ვიცნობდი მის თავისებურ მომხიბვლელობას წლის ყოველ დროს, მაგრამ ამ ადრიან გაზაფხულზე... მიდიხარ და გესმის მისი გაღ-

ვიძება. იბნიდები მისი სუნთქვით... თვალწინ ჯაგნარში გამოზამთრებული ტოროლა აგიფრინდება და დალხინებული აასკდება ცის ამაღლებულ კამარას. ეს-ეს არის თავაჩენილი ბალახი მწვანე სტავრად გეფინება. ალერსიანი მზე შეგიხსნის საკინძეს. სიო გრილ ხელებს მოგითათუნებს აღგზნებულ სახეზე და... გავიწყდება ყველაფერი მწარე. მოზღვავებულმა გრძნობამ სიყვარულისამ ლამის გაარღვიოს გულისფიცარი, ლამის მიჰყვე მიწის იდუმალ ძახილს, სისხლით და ხორცით შეეზიარო მის უკვდავებას...

ალბათ ეს გრძნობა, უთქმელი და უფრო ხშირად შეუცნობელიც, აერთიანებს შირაქის მიწაზე მშრომელ მეველეს, მევენახეს, მეცხოველეს, მეფრინველეს, მეფუტკრეს. ალბათ ეს აბარაქებს ერთიანი ნებით და მისწრაფებით შეკრულ მშრომელთა მარჯვენას, ალბათ ეს ამარჯვებს მათ წინაშე გამოკვეთილ დღევანდელ ამოცანებთან შერკინებაში.

შირაქის უდიდესი ნაწილი წითელწყაროს რაიონისაა და ვის არ გაუგონია ან არ აუწონ-გაუზომია წითელწყაროელთა წვლილი გარდასულ ხუთწლედებისა და აწინდელი ხუთწლედის შრომითი მიღწევები?! აქ

არც ფაქტურისა და არც გმირის ძებნაა საჭირო. რასაც დაინახავ, და ვისაც დაინახავ— ხალასია. იმიტომ რომ:

შირაქი — ქართველი გლეხის თავანკარა პატიოსნების ყულაბაა,

შირაქი — შემოქმედების უსაზღვრო ასპარეზია,

შირაქი — შრომის დამფასებელი, გულბარაქა მასპინძელია.

და შირაქი მოუთმენლად ელის თავისი ფასის სწორ სიტყვის ოსტატს, პროზასა და პოეზიას შორის ზღვარს რომ წაშლის, შექმნის საგას წითელწყაროელ პურის მომყვან ოსტატებზე, პირუტყვის მეურვე-ოსტატებზე, ვაზის მესაიდუმლე-ოსტატებზე, რკინის ხომალდების მესაჭე-ოსტატებზე... მე მხოლოდ გეტყვით, შირაქისა და ალაზნის ველებსშუა დამდგარ ენამთაზე გაგონილ ამბავს:

პანკისის ხეობაში დასახლებულ ერთ ოჯახში იყო ლამაზი, თითბრისფერ გრძელნაწნავებიანი გოგონა, სახელად ზაირა. მას ექვსი პატარა და-ძმა ჰყავდა, და რადგან ძალზე კეთილი გული ჰქონდა, დაუზარებლად ეხმარებოდა დედ-მამას: ბავშვებს უვლიდა, მატყლს სჩეჩავდა, ნაბდის ქუდების კეთებას და ხალიჩის ქსოვას სწავლობდა,

უფრო ხშირად კი მამას ეხმარებოდა საძროხე ფერმაში.

ერთხელ ზაირა თავის თანატოლ, 14-15 წლის გოგონებთან ერთად მთა ხოროჯანაზე წავიდა წაბლის საკრეფად. უცებ ტყიდან ყმაწვილ-კაცები გამოხტნენ. ერთმა მათგანმა ზაირას ნაწნავებში სტაცა ხელი და ტყეს გაუყენა. დანარჩენი გოგონები წივილ-კივილით მიცვივდნენ მთის ფერდობზე, კარტოფილის მინდორში მომუშავე ქალებთან. ქალებმა ვაი-ვიშზე დრო არ დაკარგეს, ბარით, თოხ-ფოცხით შეიარაღდნენ და მომტაცებლებს დაედევნენ. დაეწივნენ. წაართვეს ზაირა. მაგრამ მალე იმ ყმაწვილმა ზაირას მამას შესარიგებელი 10 ძროხა, ნაბადი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ჰედილა, საკაბეები, ღვინო-არაყი მიაყენა. მას თურმე ადრევე ჰყავდა ზაირა შეთვალიერებული. კარგი ბიჭი ჩანდა ხარება გუმაშვილი, მაგრამ ალხანიშვილები ვერ შეელივნენ თავის შემწე, შრომისმოყვარე გოგონას და დაუპატიჟებელი სასიძო უარით გაისტუმრეს.

მაგრამ მოგეხსენებათ, სიყვარული ძალიანიაო. ყმაწვილმა თავისი არ დაიშალა და გოგონა მეორედ მოიტაცა. მაშინ კი იმარჯვა და სწრაფად მიჰვვარა თავის დედ-მამას ჯოყოლოში. ხარება — ჯოყოლოს კოლმეურ-

ნეობის მუცხვარე-ბრიგადირი იყო, უქებდ-ნენ საქმეში მუყაითობას, და გოგონასაც მოეწონა სანდომიანი სახის, ჯიუტი მომტა-ცებელი. დარჩა ჯოყოლოში. წლისთავზე ბოკვერივით ბიჭი ეყოლა — თენგიზი. საკუთარი ცოლშვილის გარდა, ხარება დედ-მამის ოჯახის მარჩენალიც იყო, მაგრამ მიუ-ხედავად ხელმოკლეობისა, ზაირა ბედნიერად გრძნობდა თავს. ხანმოკლე კი აღმოჩნდა მისი ბედნიერება. თენგიზი 5 წლისა იყო და ლევანი — 9 თვისა, როცა უმამოდ დარჩ-ნენ.

ახალგაზრდა ქალს, ხელზე ორი ბავშვით, გუმაშვილების ოჯახში დასადგურებულმა სიღარიბემ გაუსაძლისა ყოფნა. უკეთესი მდგომარეობა არც დედულეთში ეგულებო-და. მწარე საგონებელში ჩავარდნილი ქალის ყურამდე მიაღწია ხმამ და გაზეთებმაც დაუ-დასტურეს, რომ ჯოყოლოდან მორს, წითელ-წყაროს რაიონში ბევრი ძროხები ჰყავთ და მწველავებს დიდი გამომუშავება აქვთო. სასწაულივით მოხვდა ის ხმა ზაირას გულის-ყურს. თურმე შემთხვევით არ ყოფილა, ად-რიდანვე ყველა სხვა საქმიანობას, ძროხების მოვლა-წველა რომ ერჩივნა. ის ხმა თითქოს უძახდა, თითქოს ჰპირდებოდა ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნას.

— წავალო, — ბევრი ფიქრის შემდეგ უთხრა ქმრისა და თავის მშობლებს.

— სად წახვალ, ვის მიადგები? რა იცი, იქ რა ხალხია, ეგება არც მიგიღონ.

— წავალ, — გაიმეორა ზაირამ, — კეთილი და ყარგი ხალხი ყოფილა იქ. გაზეთში სწერია, დიდ კოლექტივში აწყობილად მუშაობენ და მუშახელს აფასებენო. მიმიღებენ... — სძლია თავის კრძალვას და მორიდებას, გატეხა უფროსების სიტყვა, წამოიყვანა ბავშვები და წამოვიდა წითელწყაროში.

გზამ სოფელ ჯაფარიძეში მიიყვანა, — საბჭოთა საქართველოს თანატოლ სოფელში, ოდესღაც მეფის მთავრობის მიერ დასჯილი ზაპოროჟელების ნაქოხარზე დაბადებულ სოფელში.

არც წინაგრძნობამ უღალატა ზაირას, არც გონივრულმა განსჯამ. მისვლისთანავე სიკეთეს შეეყარა.

— რის გაკეთება შეგიძლია, რა იცით? — ჰკითხეს ქალებმა, ნამგზავრი დედა რომ დაასვენეს და მის ბავშვებს მოუარეს — მიუალერსეს.

— ძროხები მიყვარს, წველა მემარჯვებაო.

— მაშ წამო კანტორაში, ნიკო ყოჩიაშვილია ჩვენი თავმჯდომარე, იმას ელაპარაკეო.

ზაირამ თავიდან თვალებამდე ჩამოიწია თალხი თავშალი და ვერავითარმა შეგონებამ ვერ გააბედვინა თავმჯდომარესთან მისვლა. თქვენ უთხარითო, — შეეხვეწა ქალებს.

გაიცინა ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა.

— რაკი შრომა ჰყვარებია და ლაპარაკი არ ეხერხება, უეჭველად გამოგვადგებაო. ენამთაზე წაიყვანეთ, ბინა მიეცით და საქმეც გააცანით. აბა, თქვენ იცით, ბალღებს არა გაუჭიროთ რაო.

ენამთაში შორიდან ჩამოსულ ბავშვებიან ქალს მწველავებმა უკეთესი ოთახი დაუთმეს, ბუხარი დაუდგეს, შეშა მიუზიდეს, მაგიდაც მისცეს, სკამიც. საწოლიც, ჯამ-ჭურჭელიც, ბავშვების საბანაო ტაშტიც და ვედროც. საქმის გაცნობაზე კი რომ მიდგა ჯერი, გაუკვირდათ — ახლადჩამოსული საქმეს კარგად იცნობდა.

ზაირას ხმამაღლა არ უთქვამს და ვინ გაიგებდა, რომ სიკეთის წილ, მის გულში ისეთმა მადლობამ დაიბუდა, რომლის გადახდა მხოლოდ სიკეთითვე შეიძლებოდა. სხვა რა სიკეთე გააჩნდა ზაირას, მუშაობით უნდა ესახელებინა ბრიგადა. და წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ 12 ძროხას, რომელიც მას ჩააბარეს, ზაირამ არც ერთი ხბო არ

დაუკარგა და რძეც დანარჩენ მწველავებზე მეტი მოწველა.

ასე დაიწყო და ასე იარა.

ათი წლის წინათ, 1963 წელს თვითეულ-ფურზე საშუალოდ 2.636 კილოგრამი რძე რომ მოწველა, ის ბრიგადაში რეკორდული მაჩვენებელი იყო. წელს კი, 1973 წლის იანვარ-თებერვალში, ვალდებულებით ნაკისრ ხუთ-ხუთი ათასი კილოგრამის ნაცვლად, 6 და 7 ათასი კილოგრამი მოწველა, ახლახან კი მარტში — 9.000 კილოგრამს გადააჭარბა!

თამამად მოდიოდა ზაირა არჩეული გზით. პირველად 3.000 კილოგრამი რძე რომ მოწველა, მისი გვარი აღარ ჩამოსულა „სამიათასიანთა“ წითელწყაროს სარაიონო საპატიო დაფიდან. პარტიაში მიიღეს. მერე ლენინის ორდენით დააჯილდოეს. მერე ოსტატ-მწველავის საპატიო წოდება მიენიჭა. მერე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიპლომი, 3 ბრინჯაოს და 1 ვერცხლის მედალი მიიღო, მრავალი სიგელი და ფასიანი საჩუქარი. მერე მედლით „შრომის მამაცობისათვის“ დაჯილდოვდა, უკანასკნელად, 1972 წელს კი შრომის წითელი დროშის ორდენით.

ასე მოდიოდა ზაირა. დღეს ის რაიკომის წევრი და რაისაბჭოს დეპუტატია. კოლმე-

ურნეობის გამგეობის, პარტბიუროს, რაიონის საყრილობო საბჭოს წევრია და რაიონული პარტკონფერენციის დელეგატი. ალბათ მისმა განუხრელმა წინსვლამ განაპირობა ისიც, რომ გარდაბნის მეცხოველეობის მეურნეობის მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა გულსანა ალიევამ გაზეთის საშუალებით გამოიწვია იგი სოცშეჯიბრებაში. სადაც არის პირადად შეხვდება უცნობ გულსანას...

ბიჭები, ზაირას ბიჭები? პატიოსანი შრომის გამაკეთილშობილებელ გარემოში პატიოსანი მოქალაქეები გაიზრდებოდნენ, აბა რა?!

ჯაფარიძის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, თენგიზი თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა. მალე ზაირამ ფაკულტეტის დეკანატიდან წერილი მიიღო, მადლობას უხდიდნენ კარგი შვილის გაზრდისათვის. თენგიზმა შარშან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, და საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, ოსტატი-სამბისტი სამუშაოდ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ლევანმა კი ახლა დაამთავრა იგივე სკოლა და ისიც იმავე ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება.

— შენ უფრო დიდი ვალი გაწევსო, — ეუბნება ზაირა თავის „პატარას“.

— ვითომ რათაო?

— თენგიზი თავისი საქმით მე მეჯიბრებოდა, შენ კი მეც უნდა მაჯობო და ძმასაც, — უპასუხა ზაირამ.

— ჰოო... — გაიცინა გულწმინდა, თავაზიანმა, დიდ-პატარის პატივისმცემელმა ჭაბუკმა, — დარდი ნუ გაქვს, დედაჩემო, მე მაგ ვალს სრულად მოვიხდიო...

არ ვიცი, ეგებ მე ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ დღეს უკვე აღარ შეიძლება მარტო ერთი ადამიანის მიღწევებზე წერა. ამ ოციოდე წლის წინათ, პირველად რომ ჩავედი წითელწყაროს რაიონში, ზემო ქედის ახლად არჩეული თავმჯდომარის, ომგადახდილი არსენა კობაიძის სახელი მიზიდავდა. არსენაზე ნარკვევი ადვილად დამეწერა. ალბათ იმიტომ რომ, ომით დაზარალებული მეურნეობის, შინმოუსვლელთა დარდით ნატანჯი ხალხის გამოყვანა აღმავლობის გზაზე, სოფლის ავ-კარგიანობა და მისი მომავალი თითქმის მთლიანად ერთ კაცზე იყო დამოკიდებული, მის უნარიანობაზე, ორგანიზატორულ ტალანტზე, აღმგზნებ ენთუზიაზმზე, მაგალითის მიმცემ თავდადებაზე და განა ნიკოლოზ მამაიაშვილის,

არსენა კობაიძის, ნიკოლოზ ყოჩიაშვილის ვაჟკაცობა არ იყო იმ ძნელთაძნელ ვითარებაში უამრავ დაბრკოლებათა დაძლევა?! თავისთავად ცხადია, რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებას და მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ადგილობრივ, თავ-თავიანთი მეურნეობის ძლიერების განმტკიცებისათვის და მოწინავე ხაზზე გამოყვანისათვის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის ბრძოლაში მათ იგმირეს.

რჩეულნი მაშინ ცოტანი ჩანდნენ და ამიტომ იყო უფრო ადვილი მათზე წერა. მაგრამ ახდა ის, რისთვისაც ი.ანი იღვწოდნენ, რაც უცილობლად უნდა ამხდარიყო: მათ მიერ დათესილმა და დანერგილმა უხვი ნაყოფი გამოიღო. ჭეშმარიტმა კოლექტიურობამ, რვალივით შედუღებულმა მრავალთა ნებამ, ახლებურად მოაზროვნე ხალხმა გარდაქმნა სოფელი. იმრავლეს რჩეულებმა, გახშირდა შრომითი გმირობა მეურნეობის ყოველ სახეობაში, ყველა.უბანზე, ისე გახშირდა, რომ სოფლის ყოველდღიურობის დამახასიათებელ ნიშანთვისებად იქცა.

დღეს ზაირა ალხანიშვილი გამონაკლისი არ არის. წითელწყაროს რაიონში მრავალ

მწველავ ქალს და კაცს და, შესაბამისად, მეურნეობის ყველა სახეობაში, მასზე მაღალი მაჩვენებლები აქვს. ერთი შეხედვით გეგონებათ, ისინი წარმატების მიღწევის რაღაც საიდუმლოს ჰფლობენო. მაგრამ არავითარი საიდუმლო არ არსებობს. უბრალოდ — ახლებურად აყღერებულმა ცხოვრებამ გამოამჟღავნა მათი პოტენციური შესაძლებლობანი. თავისი საქმის მოყვარულთ მიზნად აქვთ დასახული ასახელონ თავისი ბრიგადა, თავისი კოლმეურნეობა, თავისი რაიონი, თავისი სამშობლო.

ამიტომ დაუღალავია მათი მარჯვენა და მუდამ ძიებაშია მათი გონება. ისინი ცდილობენ აუმჯობესონ ანაბრებული საქმის მოვლა, დაკვირვებით შეისწავლონ და პრაქტიკულად გამოიყენონ აგრო და ზოოტექნიკური წესები, მაქსიმალურად დაეუფლონ მექანიზაციას.

და სამშობლო აფასებს მათს ერთგულებას. ზემოთ ჩამოთვლილი ჯილდოები, ზაირას მსგავსად, მრავალთ მრავალსა აქვს მინიჭებული. სამშობლო უშურველია შრომის მატერიალურ შეფასებაშიც. ამაზე ზაირას მაგალითიც მეტყველებს: ზეგეგმით მოწველილ ყოველ 100 კილოგრამზე დამატებით 3 მან. 34 კაპ. ეძლევა და ოსტატობაში —

ყოველ 100 მანეთზე — დამატებით 15 მან.

1957 წელს ზაირა ენამთაში რომ მივიდა, მაშინ იქ ჯაფარიძის კოლმეურნეობის 3 პრიმიტიული საძროხე და 1 ფიცრული — მეძროხეების საცხოვრებელი ბინა იდგა. ძროხებს ხელით წველიდნენ, საკვებს ზურგით უზიდავდნენ და ნაკელი ნიჩბებით გაჰქონდათ. ზაირა დღესაც იმავე ბრიგადაშია, მაგრამ სადღაა ის საძროხე? ენამთაში მთელი დაბაა გაშენებული. ქვიტკირის კაპიტალურ სადგომებში კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხებს (ეს შესანიშნავი ჯიში რაიონში მალე მთლად შეცვლის სხვა შერეულ ჯიშებს) ელექტროაგრეგატებით სწველიან, საკვების მიტანა და ნაკელის გამოტანა მექანიზებულია. კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინებში გაზი, რადიო, ტელევიზორებია (მეძროხეებს ჯაფარიძეში მშვენიერი სახლიც და ბაღიც აქვთ). დაბაში შერეული ტიპის მაღაზიაც კი აქვთ და ადგილობრივი რადიოკვანძიც.

ეგებ ამაშიც ვცდები, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს უკვე მოძველდა წერა იმაზე, თუ როგორ აშენდა სოფელში ლამაზი სახლები, ბაგა-ბაღი, საექიმო უბანი, კლუბი, ბიბლიოთეკა, საქორწინო დარბაზი, აბანო, ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრე-

ბო მომსახურების კომბინატი და სხვა. ახლა თითქოს უფრო იმის დროა, რომ თამამად ითქვას: სადაც ყველა ეს სიკეთე ჯერ კიდევ არ არის, იქ ხელმძღვანელი არ ვარგა, თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას, არ უყვარს თავისი კოლმეურნეობა, თავისი ხალხი და ამიტომ ვერ აზიარა ისინი ლამაზი ცხოვრების მისაღწევ „საიდუმლოს". უნდა ითქვას, რომ იქ არც პარტორგანიზაცია ვარგებულა და იმიტომ იქაურ უღიმღამო დღეთა სათვალავს არ გააჩნია ხვალინდელი წარმტაცი პერსპექტივა, იქ უინტერესოა, მოდუნებულია ცხოვრების მაჯისცემა და იმიტომ ვერ იზრდება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმულ კოლმეურნეთა რიცხვი, იმიტომ ვერ ლამაზდება სოფელი.

საკვირველია, რომ ასეთი კოლმეურნეობანი არიან ჩვენს ბარაქიან, გულუხვ მიწაზე. და სულაც არ არის საკვირველი, რომ შრომითი აღმავლობისკენ, საქმიანობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა იზიდავს ყოველ პატიოსან ადამიანს; რომ შრომის რომელიმე სახეობაში დღეს თუ ერთნი დაწინაურდნენ, ხვალ მათ რომელიმე გაუტოლდებიან, ზეგ მათ მესამენი გაასწრებენ — სხვანაირად არ იქნება, საყოველთაო წინსვლის პროცესს ვერაფერი შეაჩერებს.

ზირაქი.

ᲒᲣᲚᲡᲐᲭᲙᲔᲜᲘᲪ, ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘᲪ...

ᲡᲣᲚ ახლახან მომხდარმა ამბავმა დამაწერინა ეს წერილი: თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე მოულოდნელად წავაწყდი დიდი ხნის უნახავ მეგობარს. ერთმანეთს გადავეხვიეთ:

— საიდან, ნიკოლაი, ძვირფასო! როგორ მოხვდი ჩვენში, რატომ წინასწარ არ მაცნობე?

ორთავეს ჭაღარა შეგვპარვია, მაგრამ მაინც მხნედა ვგრძნობთ თავს. ისევ ვეხვევით ერთმანეთს. არ ვიცით, როგორ გამოვხატოთ აღტაცება. ბუნებრივია, შინ მივიპატიჟე — უძეთესს ვის მივიყვანდი, რამდენი რამ გვქონდა სალაპარაკო, რამდენი გასახსენებელი...

— არ შემიძლია, ჩემო კარგო, აი, ბილეთი, თვითმფრინავზე მიმეჩქარება. გავლით ვარ თბილისში. ისე, რომ ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ერთი საათია, — მითხრა გულწრფელი სინანულით.

ვერ წარმომედგინა სამი ათეული წლის უნახავი ფრონტელი მეგობრის გაუმასპინძლებლად გაშვება.

შევთავაზე, წავიხემსოთ, გზას მაინც დაგი-ლოცავ ქართული წესით-მეთქი.

— რას ბრძანებ, ეს-ეს არის ვისადილე და-თან თქვენებური ღვინოც დავაყოლე. ახლა კი სიამოვნებით დავლევდი კარგად დაყენებულ ქართულ ჩაის, ასე ძალიან რომ გიქებენ, შევიდეთ სახელდახელოდ საჩაიეში, მხოლოდ იქ, სადაც მარტო ჩაია!

უხერხულად ვიგრძენი თავი, ძველი მეგობრის ეს წინადადება, გამოგიტყდებით, არ მესიამოვნა: სად არის ასეთი საჩაიე? ჩვენი დედაქალაქი ხომ საჩაიეებით სულაც არ არის განებივრებული! მაინც გავიფიქრე — ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი. გავიარეთ ერთი კვარტალი, მეორე, მთელი პეკინის ქუჩა, მაგრამ საჩაიეს ვერსად წავაწყდით. სამაგიეროდ, უხვად შევხვდით მაღაზიებს, რომელთა მცირე ნაწილი, თუნდაც ერთი მათგანი საქმისათვის ზიანის მიუყენებლად თამამად შეიძლებოდა დაგვეთმო საჩაიესათვის.

თანდათან გვინელდებოდა შეხვედრით გამოწვეული ხალისი. გამახსენდა ჩაის სახლი. მაგრამ . . . არც მას შეეძლო შველა, კვირადღეობით ისიც ხომ დაკეტილია! სტუმარი სრულებით არ მოელოდა, რომ მისი ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩებოდა ტრა-

დიციულ ჩაის ქვეყანაში, რაიმე გადაეღობებოდა წინ.

მალე ჩვენი ერთად ყოფნის დროც ამოიწურა. ვოლგოგრადიდან ჩამოსული სტუმრის წინაშე გაწბილებულმა, ძლივსღა წავილუღლუღე: აბა, ნახვამდის, არ დაგვივიწყო, დარეკე, გამეხარდება...

თქვენც, ძვირფასო მკითხველებო, გიგრძვნიათ, უთუოდ, ასეთი უხერხულობა.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ თამაში — „რა შეიცვალა აქ?". თამაშის ერთ-ერთი მონაწილე დგება და გადის ოთახიდან, დარჩენილები კი ცდილობენ, რაღაც შეცვალონ მისი არყოფნის დროს. იცვლიან ვარცხნილობას, ახალ ნივთს დგამენ მაგიდაზე ან, პირიქით, ცვლიან განათებას და სხვა. შემოსულმა უნდა გამოიცნოს, თუ რა მოხდა მისი გასვლის შემდეგ... დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ადამიანმა შეამჩნიოს ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება ამ ბოლო ხანებში. და ეს თამაში როდია. ჩვენ მოწმენი ვართ იმ გარდატეხისა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მაგრამ, მოდით, სხვაგვარად შევხედოთ საქმეს. რა არ შეიცვალა ამ ბოლო ხანს? — დავსვათ ასეთი კითხვა და თვალი გადავავ-

ლოთ ჩვენს სოფლებს, ქალაქებს, გზისპირებსა და გარეუბნებს.

მე ვიტყოდი, არ შეცვლილა დამოკიდებულება ისეთი კეთილშობილური სასმელისადმი, როგორიც ჩაია. შეიცვალა ხალხის, მშრომელი ადამიანების დამოკიდებულება მისდამი, მაგრამ რესტორატორები, საკვაჭრო დარგის მუშაკები ხშირად უსულგულო დედინაცვლის როლში გამოდიან მის მიმართ.

მაშ, რაა, თუ არა უსულგულობა და სიძუნწე, როდესაც წლების განმავლობაში ვპირდებით ხალხს — ვხსნით საჩაიეებსო და სინამდვილეში ვი საქმე ადგილიდან არ იძვრის?!

მაშ, რით უნდა ავხსნათ ასეთი დამოკიდებულება? რა ვუწოდოთ ლიტონ სიტყვებს, რომლებსაც იოტისოდენად არ დაუძვრიათ რესპუბლიკაში ჩაის სმის კულტურა? ჩვენ მივმართეთ, მაგალითად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მუშაკებს თხოვნით, დაესახელებინათ, თუ სად და როდის გაიხსნა ნაოცნებარი საჩაიეები ამ უკანასკნელი 5-8 წლის მანძილზე. იყო ცდები, ჩვენს კითხვაზე გაეცათ მათთვის ხელსაყრელი პასუხი, მაგრამ ამაოდ. ასევე უხერხულად იგრძნეს თავი რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტ-

როს საზოგადოებრივი კვების საბჭართველოს მუშაკებმა, რომლებსაც ჩვენ ვთხოვეთ მიენიშნებიათ რესპუბლიკაში საჩაიეთა ქსელის გაფართოებაზე.

მათი მრავალმნიშვნელოვანი დუმილი ჩვენ საგანგაშოდ მივიჩნიეთ, მაგრამ მაინც ვცადეთ თვითონვე აღმოგვეჩინა, მაგალითად, დედაქალაქის ტერიტორიაზე ის, რასაც ესოდენ გულუხვად გვპირდებოდნენ ზემოაღნიშნული ორგანიზაციები. პოეტის თქმისა არ იყოს, „ვერ ვნახე, დაკარგულიყო“, ან კი რას ვნახავდით, როდესაც მოცემული სიტყვის შესრულებაზე არსებითად არავის უზრუნია?

რატომ აღმოჩნდა ჩაი ასეთი უიღბლო? რით დაიმსახურა მან, სიკეთისა და ჯანმრთელობის ელექსირმა, ასეთი დამცირება? შემოსავლიანი არ არისო, ვიცი, გაიმართლებენ თავს საზოგადოებრივი კვების მუშაკები. თუმცა, დავაკონკრეტოთ და, როგორც იტყვიან, საგანს თავისი სახელი ვუწოდოთ: სარფიანი არ არის ოფიციანტებისა და მათი ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის! აი, სად არის მთელი ამ საიდუმლოების თავი და თავი.

მაგრამ ამ საკითხს ეკონომიურის გარდა მრავალი სხვა მხარეც გააჩნია. თუმცა ჯერ გვინდა ორიოდე ამონაწერი მოვიშველოთ.

ეს გახლავთ სრულიად ოფიციალური პასუ-ხები, რომლებიც რედაქციამ მიიღო ამ 7-8 წლის წინათ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობისა-გან. ეს პასუხები თავის დროზე გამოქვეყნდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“, შემდეგ კი წიგნში „ჩაი ჩვენი, ქართული“.

„სანიმუშო საჩაიეები სახელწოდებით „ქართული ჩაი“ გაიხსნება თბილისის, სო-ხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და სხვა ქალა-ქების ცენტრალურ ქუჩებზე; ამ საჩაიეებში, გარდა კარგად დაყენებული სურნელოვანი ჩაისა, იქნება აგრეთვე საკონდიტრო ნაწარ-მი, ყველი, კარაქი, ხაჭაპური, ძეხვი, ღვეზე-ლი, ნამცხვარი და სხვ.

სამართლიანად გვისაყვედურებენ იმის გა-მო, რომ რესპუბლიკის ქალაქებში არა გვაქვს ჩაის სპეციალიზებული მაღაზიები, ან თუ გვაქვს, ვერ ასრულებენ თავიანთ მო-ვალეობას. ვაჭრობის სამინისტრომ მხედვე-ლობაში მიიღო ეს გარემოება და გადაწყვი-ტა, რომ რესპუბლიკის დიდ ქალაქებში გაი-ხსნას სპეციალიზებული მაღაზიები, სადაც გაიყიდება სხვადასხვა სახის ჩაი, აგრეთვე ჩაისათვის საჭირო ჭურჭელი და სხვ. აქვე მოხდება საჩვენებელი დეგუსტაცია და მო-

ეწყობა კონსულტაციები ჩაის დაყენების წესებზე“.

(ვაჭრობის სამინისტროს წერილიდან)

„ფართოდ გავრცელდება ჩაის დატარებითი ვაჭრობა საკოლმეურნეო ბაზრებში, კინოთეატრებში, ავტოსადგურებსა და სხვა ადგილებში.

რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და სოფლებში, სადაც საზოგადოებრივი კვების რამდენიმე საწარმოა და ჯერ კიდევ არ არის გახსნილი საჩაიე, 1965 წლის პირველი მარტიდან საზოგადოებრივი კვების ერთ-ერთი საწარმო გადაკეთდება საჩაიედ.

დასახულია ღონისძიებები, რომ უახლოეს ხანში ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და ფაბრიკებში, აგრეთვე მეხილეობის, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, კალოებზე და ფერმებში ხდებოდეს ჩაის დატარებითი ვაჭრობა“.

(ცეკავშირის გამგეობის წერილიდან)

როგორც ვხედავთ, საკმაოდ სოლიდური ჩანაფიქრი იყო. და მაინც, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. გამოდის, რომ ჩაის და მის მოყვარულებს სიყვარულს ვუმტკიცებთ სიტყვით, ამ სასმელს უხვად ვაჯილდოებთ ათასგვარი მომხიბლავი ეპითეტით, ვაწყობთ ჩაის დღეებსა და ზეიმს, მაგრამ საქმე საქმე-

ზე რომ მიდგება, მეტად ძუნწნი და უძლურნი აღმოვჩნდებით ხოლმე.

საქართველოში ჩაის ერთი საფირმო მაღაზიაა მხოლოდ. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გადაწყვეტილება კი 1968 წელს ითვალისწინებდა ასეთი მაღაზიების გახსნას რესპუბლიკის ყველა დიდ ქალაქში. და მათ არსებითად არ გაუხსნიათ ახალი საჩაიეები. დღესაც რესპუბლიკის 70 რაიონიდან და ქალაქიდან 47-ს არ გააჩნია საჩაიე.

ერთია ჭეშმარიტება: ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კეთდება ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩაის სიკეთე დიახაც რომ ყველაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს თვითეული მშრომელისათვის, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ან კი როგორ იქნება მისაწვდომი, თუ არ შევიწუხებთ თავს და არ გავხსნით საჩაიეს, სადაც მსურველებს მთელი დღის განმავლობაში შეეძლებოდათ მიეღოთ სიმხნევისა და ჯანმრთელობის სასმელი. დიახ, საჩაიეები ჩვენში არსებითად არ გახსნილა, ან თუ სადმე თითო-ოროლა არის, მასაც უფრო ფორმალურად შეიძლება ვუწოდოთ საჩაიე, რადგან ასეთ „საჩაიეში“ მეტწილად ვერ ნახავთ კარგ, კულინარიის ყველა წესის მიხედვით დაყენებულ ჩაის, სხვადასხვა სახის ჩაიზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია; სამაგიეროდ,

აქ შემოგთავაზებენ რესტორნის კერძებს და მაგარ სასმელებსაც კი.

ზოგიერთი იტყვის, ვისაც ჩაი სურს, შეუძლია შევიდეს რესტორანში, აქაც ხომ არიან ვალდებული ჰქონდეთ ეს სასმელიო. შეხვიდე რესტორანში და მოითხოვო მარტო ჩაი, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თქვენ ალმაცერად შეგხვდენ ოფიციანტები, რომლებსაც სულაც არ ეპიტნავებათ რაღაც კაპიკებად ღირებული ჩაი და უფრო სარფიანი სასმელებით არიან დაინტერესებული.

კაფეში, სადაც თითქოს ჩაისაც უნდა სცემდნენ პატივს, თქვენ პირველ რიგში შემოგთავაზებენ კაკაოს, კოქტეილს... ჩაის მოთხოვნისას კი რას არ მოიმიზეზებენ, არა გვაქვსო. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. დღემდე ავტორიტეტულად არავინ დაინტერესებულა საჩაიეების გახსნით. ასეთი საჩაიეებისათვის სავსებით არ არის აუცილებელი ახალი, ვრცელი, მინისა და ბეტონისაგან ნაგები განიერი შენობები. პირიქით, სწორედ აქ შეიძლება გამოვიყენოთ არსებული შენობები — მაღაზიები, ფლიგელები, პატარა სახლები.

საჩაიეს იდეის უპირატესობაში ვინმეს დარწმუნება ახლა აღარ არის საჭირო. ხალხი მისი მომხრეა. განა ამას არ მოასწავებს

ჩაის დღეები და კვირეულები, ასეთი ენთუ-ზიაზმით რომ აიტაცა საზოგადოებამ? ამ ზეიმზე, როგორც დიდ დღესასწაულზე, ხალ-ხი მოდის ოჯახებით, მოდის დიდი და პა-ტარა.

პირველად, რამდენიმე წლის წინათ, რო-დესაც ჩვენში ჩაის ზეიმი ფეხს იკიდებდა, ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა მის საჭიროება-ში; ფიქრობდნენ, რომ საქართველოში, კლასიკური მეღვინეობის ქვეყანაში, ჩაი ვერ გაიდგამდა ფესვს. ამ ადამიანებს ავიწყდე-ბოდათ, რომ ღვინოს, მხედველობაში. გვაქვს, რა თქმა უნდა, მისი ზომიერად ხმარება, ადამიანის ცხოვრებაში თავისი ადგილი უკა-ვია, ჩაის კი თავისი. ახლა მსგავსი სკეპტი-კოსები ბევრად ნაკლებნი არიან, ჩაის თაყ-ვანისმცემელთა რიცხვი კი განუზომლად გაიზარდა.

განა ნაკლები იქნება ლტოლვა ჩაისაკენ ყოველდღიურად, წელიწადის ყოველ დროს, ჩვენ რომ გვქონდეს საჩაიეები და მუდმივად ეუმასპინძლდებოდეთ მშრომელებს საგანგე-ბოდ დაყენებული ცხელი, არომატული სას-მელით?

სულ სხვა ბედი ეწიათ რესტორნებს. ჩვენში, რომელი მიმართულებითაც უნდა იმგზავროთ, გზაზე მარტო რესტორნებს შეხ-

ვდებით. „სოფლის ცხოვრებისადმი“ გამოგ-ზავნილ წერილში რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოკოლონის მძღოლი დავით გაგნიძე სამართლიანად შენიშნავდა: „კარგია, როცა მოსულ სტუმარს გზაზე ხვდება ეროვნულ სტილზე აშენებული რესტორანი, სადაც მას მრავალნაირი ქართული კერძითა და სასმელით გაუმასპინძლდებიან, მაგრამ შინაურებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? იქნებ ყველა მგზავრს არა აქვს სურვილი ან საშუალება რესტორანში ისაუზმოს, საჩაიეში კი, სადაც შედარებით იაფობაა, ყველა სიამოვნებით შევა. განსაკუთრებით საჭიროა საჩაიე მძღოლებისათვის, რომლებსაც გრძელ გზაზე ბევრი ენერგია ეხარჯებათ, მკლავი ეღლებათ, თვალის სიმახვილე აკლდებათ, ყურადღება უდუნდებათ. სწორედ ამ დროს ცხელი ჩაი პირდაპირ მისწრებაა — გაქრება დაღლილობა, თვალსა და გონებას კი სიფხიზლე დაუბრუნდება“.

მაგრამ სად დალიოს მძღოლმა ჩაი? სად არის საჩაიე? ვთქვათ და შევიდა ჩაის დასალევად გზისპირა. რესტორანში (წესით აქაც ხომ უნდა იყოს ჩაი). ეყოფა კი ნებისყოფა, უარი უთხრას ნაცნობს ან მეგობარს შეთავაზებულ ჭიქა ღვინოზე, ოჯახი ან გზა არ დაულოცოს მას? და, აი, სწორედ ეს ჭიქა ხდება

მძღოლისა და მისი თანამგზავრის უბედურების მიზეზი. აი, რატომ მიგვაჩნია საჩაიეების უქონლობა საქართველოს გზებზე ისევე, როგორც ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მეტად მტკივნეულ საკითხად.

გასაგებია, რომ საჩაიეების გახსნა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. როგორც ავღნიშნეთ, ჩაის გაყიდვით მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვან კვალს ვერ დაამჩნევს საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას. და მაინც, განა შეიძლება გავამართლოთ ჩაისადმი ესოდენ გულგრილი დამოკიდებულება? ან კი რა ფულით განიზომება ჩაის მეშვეობით მიღწეული სიკეთე და სარგებლობა? ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბით, ჩაის სისტემატური ხმარებით, საფუძვლიანად იცვლება ადამიანების მორალურ-ეთიკური სახე.

და ეს ბუნებრივიცაა. უმაღლესი ხარისხის ჩაის საგემოვნო, არომატული, გამხალისებელი, სამკურნალო თვისებები ერთ-ერთი თავისებური ბიოლოგიური სასწაულია. ჩვენთვის ასევე ძვირფასია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაის ისტორიულად ჩამოყალიბებული „ინტელექტუალობა“, ის გულითადობა, რომელიც „ჩაის სუფრას“ ახასიათებს. ჩაის სუფრის ატმოსფეროსათვის დამახასიათებე-

ლია აზრის სიცხადე, მეგობრული კეთილმოსურნეობა, მშვიდი ურთიერთობა, ჩაი თავისი ბუნებით ალკოჰოლის აგრესიული სულისკვეთების აშკარა ანტიპოდია.

ადამიანებს ბევრგვარი მოთხოვნილება გააჩნიათ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად აღიარებულია სწრაფვა მეგობრობისაკენ. სწორედ ასეთი ურთიერთობისათვის საჭირო ატმოსფეროს ჰქმნის მყუდრო, ნამდვილი საჩაიე.

ამ მოთხოვნილებით გამსჭვალულნი შეიკრიბებოდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები ჭიქა ჩაიზე, მოთუხთუხე სამოვართან. მართლაც და, როგორ განაწყობს ჩაი გულითადი საუბრისათვის!

„არც ერთი ჩვეულება უფრო სასარგებლო და უფრო წესიერი ისე სწრაფად არ გავრცელებულა ჩვენში, როგორც ჩაის სმა. იშვიათად ნახავთ ქართლშიაც და იმერეთ-გურიაშიც სოფელს, რომ ეს „მდუღარე წყალი“, როგორც დასცინიან ზოგიერთნი, არ შემოეღოთ ხმარებაში. ყოველ ცოტათი მაინც შეძლებულ ოჯახში არის „სამოვარი“ და ამითი მოაქვთ განათლებულად თავი. ამითივე ზომავენ ოჯახის შეძლებასაც... რა არის ეს სასმელი, რომ ასე ფეხი მოიკიდა ჩვენში და თითქმის ვეღარ ძლებს, ვინც ერთხელ

შეჩვეულა, უიმისოდ? „ჩაი მიირთვით“, „ჩაიზე მობრძანდით“, „იქნება ჩაი არ მიგირთმევიათ“ — გაიძახიან ქალაქებში, ყოველ ოჯახში, ყოველდღე, დილით და საღამოთი“... — წერდა გაზეთი „კვალი“ 1895 წელს

საინტერესოა, რას იტყოდნენ ჩვენი წინაპრები, რომ დაენახათ დღევანდელი ვაჭრობის მუშაკთა დამოკიდებულება ჩაისადმი? ნუ გეშინიათ, რესტორანში თუ სასადილოში შესულს არავინ მოგეგებებათ სიტყვებით—„იქნება ჩაი არ დაგილევიათო“, არყისა და კონიაკის მოზრდილ დოზებს კი ელვის სისწრაფით შემოგთავაზებენ.

ამ სტრიქონების ავტორი წააწყდა კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც მოწმობს ჩაისადმი ამ ორი-სამი საუკუნის წინანდელ განსაკუთრებულ პატივისცემას. სახელდობრ, ფეოდალური საქართველოს მე-17-მე-18 საუკუნის სამზარეულო ითვალისწინებდა მსახურ მეჩაიესაც; ეს იყო სამეფო კარის საშტატო თანამდებობა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართლის ცნობილ დოკუმენტში „დასტურლამალში“, რომელიც შეადგინა მეფე-ენციკლოპედისტმა ვახტანგ მეექვსემ 1707-1709 წლებში, ნათქვამია, რომ სამეფო ნადიმების დროს ყავა და ჩაი მირთმეულ უნდა იქნას დროუ-

ლად და ცალ-ცალკე თვითეული ადამიანს, რომელიც ვალდებული იყო მეფისათვის ჩაი მიერთმია, „ჩაის მსახური“ ეწოდებოდა.

როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარზე ამ პერიოდში უკვე იყვნენ ჩაის დამზადებისა და სუფრაზე მირთმევის სპეციალისტები. ჯერ კიდევ ორასი-სამასი წლის წინ ჩვენში არსებობდა ჩაის სმის კულტურა, ამჟამად კი უზარმაზარ თანამედროვე ქალაქებში ვერ ვხვდებით მისადმი ასეთ საპატიო დამოკიდებულებას. საკითხავია, რატომ უნდა გამოვიდეს ჩაი დამარცხებული საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ უსულგულო მუშაკთან ორთაბრძოლაში? ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ პოზიციების დათმობას. მით უმეტეს, რომ ჩაი, ვიტამინებით გაჯერებული ეს სასიამოვნო სასმელი, ჩვენში თვითეულ მოსახლეზე მოდის ერთი ჭიქა... სამ დღეში — გაცილებით ნაკლები, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში. ზოგიერთები მას ისე უყურებენ, როგორც მეორეხარისხოვან სასმელს.

მართალია, ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ეწყობა ჩაის დღესასწაული, უდავოდ აღმაღლდა ამ სასმელის ავტორიტეტი, მაგრამ, მაინც, რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ ძალზე ცოტაა.

მშრომელთათვის გულდასაწყვეტია, როდესაც გაზეთის ფურცლებზე კითხულობენ დაპირებებს და სინამდვილეში კი სათანადო ორგანიზაციები ხშირად ივიწყებენ მათ ინტერესებს. გულმავიწყობა (სამწუხაროდ, მიხდება ამ ოდესღაც ნათქვამის განმეორება) სწორედ იმ ადამიანებს უვითარდებათ, ვინც მინდობილი საქმისადმი უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ, მაგრამ ჩაი ასეთ ადამიანებსაც ჰკურნავს.

მარტო სახელმწიფო ორგანიზაციების ხაზით რესპუბლიკაში 1968-1970 წლებში უნდა გახსნილიყო 29 საჩაიე, 9 საფირმო მაღაზია და 27 სპეციალიზებული სექცია. თუ როგორ შესრულდა ეს დანაპირები, თუ რაოდენ გაფართოვდა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ხაზით საჩაიეთა ქსელი, იქიდანაც ჩანს, რომ დღესდღეობით ამ ორგანიზაციებს რესპუბლიკაში გააჩნიათ მხოლოდ 18 საჩაიე (ამ რიცხვში შედის 1971-1972 წლებში გახსნილი საჩაიეებიც), რომელთა შორის საჩაიეთა ნახევარი მოდის თბილისზე, 5 მათგანი მოწყობილია საკოლმეურნეო ბაზრებთან. მაშასადამე, თბილისში ფაქტიურად ოთხად-ოთხი საჩაიეა (ორი მათგანი „სინათლე“ და „ნარგიზი“ არაფრით არ განსხვავდებიან სხვა კაფეებისაგან, 1970 წლამდე მათ კაფეე-

ბი ეწოდებოდათ და მხოლოდ აბრები შეუცვალეს, შინაარსით კი ისეთივენი დარჩნენ, როგორებიც იყვნენ — აქ ყოველთვის როდია შავი ჩაი, მწვანე ჩაის კი ვერასოდეს ვერ შემოგთავაზებენ, რადგანაც არ გააჩნიათ). ოთხი საჩაიე თბილისში, ქალაქში, რომელიც მილიონიან (ჩამოსულთა ჩათვლით) მოსახლეობას ითვლის!

როგორც ვხედავთ, დაპირება დაპირებად დარჩა.

და განა ჩვენს ქვეყანაში ცოტაა ისეთი ქალაქი, სადაც იციან საჩაიის ფასი? ის ბევრგან ნამდვილად გახლავთ მეგობართა სავანე, მახლობელთა თავშეყრის ადგილი (ან, მაგალითად, ჩამოვიდა კაცი უცნობ ქალაქში, სად შეაფაროს თავი საღამოთი?). საქმე მარტო ჩაის დალევა ხომ არ არის, მთავარია, თუ როგორი განწყობილება იქმნება ჩაის დალევისას ადამიანებს შორის. განა ძნელია გადავაქციოთ საჩაიე ან ჩაის სახლი ისეთი თავშეყრის ადგილად, სადაც შეიძლება მშობლებმა დაბადების დღეც კი გადაუხადონ მოსწავლე გოგონებსა და ვაჟებს? ყველას ხომ არა აქვს საშუალება სახლში მოაწყოს ასეთი დღესასწაულები, რომლებსაც ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი რომანტიკულობის იერი გადაკრავთ?! ცხოვრებაში ბევრი რამ

ხდება. ზოგჯერ გული მოგივა რაიმეზე, ანდა გადაიღლები, ზოგჯერ რაიმე აგაფორიაქებს (ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა), — ჰოდა, ყველა ამ შემთხვევაში თქვენ ჩაი დაგეხმარებათ.

ამ წერილში არაფერი პრინციპულად ახალი არ არის. ყველაფერი, რაც აქ ითქვა, სხვადასხვა დროს გამოთქმულა ჩვენი გაზეთების ფურცლებზე თუ ცისფერ ეკრანთან. ახლა სურვილი დამებადა კვლავ დავუბრუნდე ძველ საუბარს, ოღონდ ახალ დონეზე, ახალი კრიტერიუმებით, უთუოდ, საზოგადოებრივი კვების ორგანიზატორები აწი მაინც გულისყურით მოეკიდებიან და სულ მალე თითქმის ყველგან გვექნება საჩაიე, ყოველნაირი — დიდებიც და პატარებიც, ყოველთვის ვისიამოვნებთ მოთუხთუხე სამოვრით, მუსიკითაც (მშვენიერი ფონია სასიამოვნო საუბრისათვის), გაზეთით და ჟურნალით და, რაც მთავარია, სისუფთავით, მყუდროებით, მეგობრული, გულითადი ატმოსფეროთი.

„სოფლის ცხოვრება“

ოთარ დვალიშვილი

ვინ არის ყველაზე წინ...?

კარგად არის ცნობილი, რომ სოციალისტური შეჯიბრება ის დიდი სახალხო მოძრაობაა, რომელიც დაუცხრომელი ძიების, მუდმივი წინსვლის, წარმოების სრულყოფისათვის ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალავს მშრომელთა მილიონებს; მასთან დაკავშირებულია მთელი კომპლექსი პრობლემისა, რომლებიც მოიცავენ არა მარტო მეურნეობის, არამედ ყოფაქცევის, მორალის, ფსიქოლოგიის, საერთოდ ადამიანის აღზრდის სფეროსაც.

ეს მოძრაობა განსაზღვრავს და განაპირობებს შრომითი კოლექტივის მაჯისცემას.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა... მეორე სპეციალური ჩარხების საამწყობო საამქრო... საამქროს უფროსი გურამ ხაბეიშვილი მკვრივად ჩასხმული ვაჟკაცია, გული გაგინათდება, ისეთი გამოხედვა აქვს, თავდაჭერილად, დინჯად

ჰყვება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე.

დავდივართ უზარმაზარ საამქროში, ვეცნობით მუშებს, გულდასმით ვათვალიერებთ მათ ნახელავს. გურამმა ლაპარაკში რამდენჯერმე ახსენა პირველი წარდგინება.

— მაგაზე ცოტა უფრო დაწვრილებიო მოგვიყევი, გურამ!

საამქროს უფროსი იღიმება.

— მოგეხსენებათ, პირველი წარდგინება აწყობილი კვანძის უნაკლოდ ჩაბარებაა. მოიცათ, უფრო გასაგებად გეტყვით... ჩვენმა საამქრომ სოციალისტური შეჯიბრებით ვალდებულება აიღო უნაკლოდ იმუშაოს. ეს კი იმას ნიშნავს, წუნმდებელმა პირველ წარდგინებისთანავე ჩაიბაროს ჩვენს მიერ აწყობილი კვანძი.

— და თუ ეს არ მოხდა?

— მტრის კარს. წუნმდებელი უკანვე დაგვიბრუნებს. მხოლოდ ამ ნაკლის გამოსწორების შემდეგ, ე. ი. მეორე წარდგინების შემდეგ ჩაიბარებს იგი პროდუქციას.

მატერიალური წახალისების მიზნით, მუშა, რომელიც პირველი წარდგინებით ჩააბარებს პროდუქციას, გამომუშავებული თანხის გარდა, 20 პროცენტ პრემია-დანამატს იღებს.

— ბევრი გყავთ ასეთი მუშები?

— ძალიან ბევრი. უფრო ძეტს გეტყვით. სოციალისტური შეჯიბრების სწორმა ორგანიზაციამ, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფამ დიდად აამაღლა მუშის თვითშეგნება, გაზარდა მისი ავტორიტეტი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. ამ ბოლო ხანებში მოწინავე მუშებს თვითონვე აქვთ საკუთარი დამღა. მუშას აღარ სჭირდება წუნმდებელთან მისვლა. გამზადებულ პროდუქციას იგი თვითონვე არტყამს დამღას და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ პროდუქციას წყალი აღარ გაუვა.

საკუთარი დამღა შარშან საამქროში ცხრა მუშას ჰქონდა, წელს, პირველ კვარტალში — თოთხმეტ მუშას. ეჭვი არ არის, რომ მათი რიცხვი თანდათან უფრო გამრავლდება.

— რას იტყვით გამომგონებლობაზე, რაციონალური წინადადებების დანერგვაზე?

— შარშან საამქროებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა საამქრომ ამ საქმეში პირველი ადგილი დაიჭირა. მარტო ჩვენი საამქროდან შარშან ორმოცდახუთი რაციონალური წინადადება დაინერგა წარმოებაში. ამან ქარხანას 4.700 მანეთის ეკონომია მისცა. წელს ჩვენ უკვე თხუთმეტი რაციონალური წინადადება წამოვაყენეთ. ეს წინადადებები სულ მალე დაინერგება და

დიდ ეკონომიას მისცემს წარმოებას. სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა გითხრათ ერთი ამბავიც. გადავწყვიტეთ მასალების ნარჩენებისაგან საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებიც დავამზადოთ. ამისათვის სპეციალური საამქროც ავაგეთ.

— მოწინავეთა მატერიალურ და მორალურ წახალისებაზე რას გვეტყვით, გურამ?

— არც თუ ისე დიდი ხნის წინ რატომღაც ყურადღებას არ ვაქცევდით ისეთ ფაქტორს, როგორიცაა მუშის საჯაროდ დაჯილდოება. პრემიისა თუ ჯილდოს გადაცემა საზეიმო ელფერს უნდა ატარებდეს. ამას თავისი დანიშნულება და თავისი გამართლება აქვს. ამას წინათ საამქროში ყველაფერი დეტალურად ავწონ-დავწონეთ, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შევაჯამეთ და ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ გვეცნო ამწყობი-ზეინკალი ვლადიმერ შატალოვი, ელექტროშემდუღებლები ვლადიმერ ჯაგაევი, ომარ კოხრეიძე და ნორმადარი ვლადიმერ ასაევი. საფაბრიკო კომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი წარდგინება. მოვიწვიეთ საერთო კრება და აი, მთელი კოლექტივის თანდასწრებით, ყვავილების თაიგულებსა და ტაშის გრიალში მოხდა ამ ამხანაგების საზეიმო დასაჩუქრება.

რა თქმა უნდა, ასეთ დასაჩუქრებებს მეტი ეშხი და ლაზათი აქვს. გარდა ამისა, იგი რაღაც ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს ადამიანზე და ეფექტიც უფრო სრულყოფილია.

მოწინავე მუშებს შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის, ფულადი პრემიების გარდა, ხშირად ეძლევათ ფასიანი საჩუქრები, სანატორიუმებისა და ტურისტული მოგზაურობების საგზურები.

და ბოლოს, არ მინდა დავუცადო თქვენს შეკითხვას და თვითონვე მინდა გიპასუხოთ იმაზე, თუ რა გვიშლის ხელს.

გურამი წამით ჩაფიქრდა და მაშინვე განაგრძო:

— ჩვენი წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმ საწარმოებზე, საიდანაც ჩვენ საჭირო დეტალებსა და მასალებს ვიღებთ. აბა წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. მთელი თვე დაძაბულად ვიმუშავებთ, ძალას არ დავზოგავთ, ყველაფერს დავამზადებთ, მერე ვსხედვართ და გულხელდაკრეფილები ველოდებით რომელიმე საწარმოდან გამოსაგზავნ დეტალებს. ამას წინათ ასეთმა დეტალებმა სწორედ სულზე მოგვისწრო. გეგმის შესრულება საფრთხეში იყო. აღარ ვიცოდით რა გვეღონა. მადლობა ღმერთს, რომ

დეტალები ამჯერად, ასე თუ ისე, მაინც მივიღეთ და თავი არ შევირცხვინეთ.

შარშან კი აი რა მოხდა: სპეცდაკვეთით ავაწყეთ მილდასამუშავებელი ჩარხი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში. ერთ-ერთი დიდი გაბარიტის დეტალი, რომლის დამზადება საქართველოში შეუძლებელია, რიაზანის ქარხანას შევუკვეთეთ. ბიჭები დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, მაგრამ რად გინდათ, დეტალის გამოგზავნას არა და არ დაადგა საშველი. რაღა დაგიმალოთ, ის ჩარხი დღესაც უმოქმედოდ ძევს და სამოთხის ჩიტივით ელოდება იმ საოცნებო დეტალის მოსვლას. ამ ჩარხზე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი მოთხოვნილებაა და 70 ათასი მანეთი ღირს.

* * *

სწორად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ადამიანების აღზრდაზე, მათი ფსიქიკის გარდაქმნაზე.

ქარხანაში კარგა ხანია მუშაობს ამწყობი-ზეინკალი ვლადიმერ ხოლოპოვი. ურიგო ბიჭი როდია. კარგი გული აქვს, მაგრამ რად გინდა, ერთხანს სასმელს გადააყოლა ყველა-

ფერი. გადაეყრებოდა ამფსონებს, დაითვრებოდა, მივიდოდა შინ და ერთ აყალმაყალს ასტეხდა.

რა მადლი ექნებოდა იმის ნაშრომს მეორე დღეს, გასაგებია. კაცს ხელები უცახცახებდა.

რამდენჯერ გამოიძახა საამქროს უფროსმა, დაარიგა, ნამუსზე შეაგდო... არ იქნა და არაფერი. ეშველა მის გამოსწორებას. ბოლოს, მაინც მოძებნა კეთილი გზა.

რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს გარდატეხა?

შეხედავს ვლადიმერი შრომითი მაჩვენებლების დაფას — მისი გვარი ყველაზე ბოლოს სწერია. ყველანი სჯობიან, ყველანი მასზე უკეთესები არიან. ისიც ბევრჯერ გააგონეს, ვოვა, რა კარგი ბიჭი იქნებოდი, ყველას საქმეს უკან რომ არ სწევდეო. მაშინ კი მძიმედ ჩაფიქრდა ვლადიმერი, მიხვდა, რომ მისი საქციელი მთელ კოლექტივს არცხვენდა, მის მაჩვენებლებს დაბლა სწევდა.

კაცის გულში სიამაყის გრძნობამ გაიღვიძა — რად უნდა ვიყო სხვაზე ნაკლებიო. თან ისიც გაიხსენეთ, ვლადიმერს ოქროს ხელი აქვს, თუ მოინდომა, ორი კაცის საქმეს დასძლევს.

და აი, ერთ დღეს ვლადიმერ ხოლოპოვი ერთი საათით ადრე მოვიდა სამუშაოზე, შეს-

ვენებაც მალევე დაამთავრა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ არც შინ წასასვლელად აჩქარებულა. თვის ბოლო ახლოვდებოდა, გაორკეცებული ენერგიით უნდა ეშრომა, რომ ჩამორჩენა დაეძლია და ბრიგადის საერთო მაჩვენებელი წამოეწია წინ.

იმ თვეში ხოლოპოვის ბრიგადამ მთელ ქარხანაში ისახელა თავი. ვლადიმერი ბრიგადის სული და გული გახდა. ახლა ყოველდღიურ გეგმებს 140 — 150 პროცენტით ასრულებს და ქარხნის მოწინავე მუშად ითვლება.

მეორე მაგალითი: გულვარდ მახარაშვილი მეორე საამქროში მუშაობს ამწყობ-ზეინკლად. პატიოსანი, გულმართალი და შრომისმოყვარე კაცია. მაგრამ ნათქვამია, ეშმაკს არ სძინავსო. ერთ დღეს ბრიგადის წევრები კვანძის აწყობაზე რომ მუშაობდნენ და საქმე ყელამდე იყო მოწოლილი, მოხდა ისე, რომ გულვარდმა ნახატი სწორად ვერ ამოიკითხა, პატარა შეცდომა დაუშვა და დეტალი ზუსტი არ გამოდგა. როცა ზეინკალი თავის შეცდომას მიხვდა, რთული და გულისგამაწვრილებელი სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

საქმე მოითხოვდა ამწყობ-ზეინკალს მაშინვე შეეწყვიტა მუშაობა. გულვარდი კი

საგონებელში ჩავარდა. ვითომ რა მოხდება, თვალი დავხუჭო ამ პატარა ხარვეზზე, ფიქრობდა იგი. სულ ერთია, ამას ვერავინ შეამჩნევს და არც ბრიგადის წევრებთან გამოვალ პირშავადო.

მახარაშვილმა მუშაობა გააგრძელა.

ის-ის იყო კვანძის აწყობა უნდა დაემთავრებინა, რომ ბრიგადის წევრები წამოადგნენ თავზე

— არა გრცხვენია, ბიჭო? — უთხრა მახარაშვილს ამწყობ-ზეინკალმა ნუგზარ საქსაშვილმა და გულვარდისათვის ყველაფერი უკვე გასაგები იყო.

ალეწილმა გულვარდმა თვალი აარიდა ბიჭებს და ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა:

— ეს პირველი და უკანასკნელი იქნება!

გულვარდმა იგრძნო, რომ მისმა ამხანაგებმა არ მისცეს უფლება ცუდად ემუშავა, იგრძნო, რომ კოლექტივის წინაშე ყოველთვის ალალ-მართალი უნდა იყოს. ეს იყო მართლაც დიდი გაკვეთილი მისთვის.

* * *

სწორედ სოციალისტური შეჯიბრება, მისი მასობრიობა, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება და დანერგვა გახდა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც განაპირობა კიროვის

სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის თვალსაჩინო წარმატებები.

ხუთწლედის გადამწყვეტ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული კიროველები ყოველთვიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. როგორია მათი ხელით დამზადებული პროდუქცია? ამ შეკითხვაზე პასუხი დაეთვითონ ამ პროდუქციის მომხმარებლებმა გასცენ.

„ძვირფასო მეგობრებო, — იწერება მოსკოვის პორტატიული საბეჭდი მანქანების ქარხნის ხარატი მიხეილ ზნატნოვი, — თქვენს მიერ დამზადებულ სახარატო ჩარხზე 1960 წლიდან ვმუშაობ. ცამეტი წლის მანძილზე ეს საუკეთესო ჩარხი კაპიტალური შეკეთების გარეშე მუშაობს. მინდა ერთხელ კიდევ დიდი, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი მაღალხარისხოვანი ჩარხების დამზადებისათვის“.

აი რას იწერება ყარა-ყუმის მექანიკური სახელოსნოს უფროსი ი. მოლჩანოვი:

„მთელი კოლექტივის სახელით მინდა მადლობა მოგიძღვნათ მაღალხარისხოვანი ჩარხების გამოშვებისათვის. თქვენს ქარხანაში დამზადებული მილსაჭრელი ჩარხი ყარა-ყუმის მძიმე პირობებში უკვე 17 წელია, რაც

კაპიტალური რემონტის გარეშე მუშაობს. არ ყოფილა მოცდენის არც ერთი შემთხვევა, რაც დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო გეგმების შესრულებას. ჩვენი სურვილია მუდამ მხოლოდ თქვენი ხელით დამზადებულ ჩარხებს ვიღებდეთ".

(„დროშა" № 6. 1973 წ.)

მოდით ჩვენთან, სტამბაში

არის ინდუსტრიის ერთი თავისებური დარგი, ურომლისოდაც კაცობრიობას არსებობა არ შეუძლია. ამ დარგის ოსტატები არც ნაგლინსა და მილებს უშვებენ, მათ არც სამთო გვირაბები და ჭაბურღილები გაჰყავთ, არც კონცენტრირებულ მინერალურ სასუქებს ამზადებენ, არც ქიმიურ ბოჭკოებსა და პლასტმასის ნაწარმს, არც სასურსათო საქონელს აწარმოებენ, არც თოთხმეტსართულიან სახლებს აშენებენ, არც უსწრაფეს ელმავ-

ლებსა და ჩარხებს აწყობენ, მაგრამ ყველას — აქ ჩამოთვლილი დარგების ოსტატებს ინდუსტრიის იმ ერთი თავისებური დარგის პროდუქციის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

ის, რასაც ამ ერთი თავისებური დარგის მუშაკი აკეთებს, უზარმაზარი ძალის მქონეა, ელმავალზეც უფრო სწრაფია, ფოლადზეც უფრო მტკიცეა; რაც კაცობრიობას სიბრძნე და გამოცდილება დაუგროვებია — ყველაფერი მასშია, ყველაფერი წიგნის ფურცლებზეა აღბეჭდილი, და ამ წიგნის ბეჭდვა-გამოშვებას ოსტატების მთელი არმია ემსახურება. ხოლო წიგნსა და გაზეთს მიაქვთ ხალხთან პარტიის მართალი სიტყვა, რუსთაველისა და ვაჟას ლექსიც ოსტატის ხელით დაკაბადონებულმა სტრიქონებმა უნდა მიიტანონ ხალხის გულამდე.

წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რომლებიც პოლიგრაფისტის ხელით იქმნება, საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ქართველ ხალხს თავიდანვე მთელი გატაცებით უყვარდა წიგნი და სასტამბო საქმე. საქართველოს მეფე ვახტანგ VI, დიდი პატრიოტი, ფრიად განსწავლული და უჭკვიანესი კაცი, იყო იმავე დროს, ყველაზე დიდი პირ-

ველი ქართველი პოლიგრაფისტი, პირველი ქართული სტამბის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ის იყო პირველი კორექტორიც, ის გვერდით ედგა ასოთამწყობს, ისტორიაში პირველად რომ აწყობდა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, და ეს იმ დროს, როცა მტრის ურდოები დედაქალაქის კართან იყვნენ მომდგარნი, ყიზილბაშთა მზვერავები უკვე მახათას მთიდან დასცქეროდნენ ქალაქს, ხოლო საბეჭდი დაზგა მაინც არ წყვეტდა მუშაობას.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უყვარდათ ჩვენს წინაპრებს პოლიგრაფიის საქმე, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ადგილს მოვიყვანთ თეიმურაზ ბატონიშვილის წერილებიდან, რომლებიც მას პეტერბურგიდან პარიზში აკად. მარი ბროსესათვის მიუწერია; ერთ წერილში ვკითხულობთ:

„პირველი საქმე ეს არის, რომ კარგი ასოები ვიშოვნოთ, რომ მშვენიერი იყოს, რადგან ქართველებს დიახ უყვართ მშვენიერი ხელი“.

აი, ნაწყვეტი მეორე წერილიდან:

„ქართული ასოების ფული გამოგიგზავნე ოცდაათი თუმანი, აქაური, რომელიცა იქს სამას რუბლსა . . . გთხოვ, რომ ეცადნეთ ოსტატს კარგად გააწყობინოთ ასოები. თქვენ

ფუფუროთ და ისე გააწყობინოთ, რომ დაბეჭ-
დვაში მრუდედ და შორს არ მოვიდეს ასოე-
ბი და ნიშნები“

მესამე წერილში თეიმურაზი ისევ შრიფ-
ტის გამო წუხს:

„გთხოვ, ჩემო უსაკუთრესო მეგობარო,
ასოთ მოჭრის საქმე აღარ დაუტევოთ და,
როგორც რიგია, რვალზედ. ამაში შ ეს ასო
კარგად არის, ბანთან და ნართან რომ დაჯ-
დეს, არ დაუშლის. ბ ეს ასოც დიახ კარგი
არის, არც ბანი დაუშლის სხვა ასოსთან, ნარ-
თან ან შანთან რომ დაჯდეს. ცოტა მრუდე
არის, გაასწოროს მოჭრაში“.

მეოთხე წერილში აღნიშნულია:

„დიდად კმაყოფილება იქმნებოდა ჩვენის
ქართველებისათვის, რომ ვეფხის-ტყაოსანი
დაიბეჭდოს ერთს წიგნად და კიდეც იყიდიან
და კარგს ფასად გავიდოდა. და ეგების ეცად-
ნეთ კარგის ასოებით, კარგს ქაღალდზე მო-
ამზადოთ და დაიბეჭდოს . . . მარტო მხედ-
რულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩა-
ატანთ ამისთვის, რომ საქართველოს სოფ-
ლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდა-
ბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხის-
ტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევრმა არ
იცის . . . ფრანციცულად დაბეჭდვა, როგორც
თქვენი სურვილი არის, რომ ფრანციის წე-

რილთ ᲫᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗ ᲬᲐᲠᲘᲙᲘᲗᲮᲝᲜ და ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲜ რუსთაველის შრომა, დიახ კარგად გიფიქრიათ და დიდად მომწონს თქვენი განზრახვა და შრომა . . .

მე ერთი სათხოველი მაქვს თქვენთან: ხუცურის წერილის ასოები ᲩᲘᲜᲓᲐ. თუ შეიძლება, მანდ, პარიზში გამიკეთებინე ჩემი ხარჯით".

ახლა გაიხსენეთ IXX საუკუნის მეორე ნახევარი — სტამბის მუშები ღამეებს ათენებდნენ და ერთიმეორეს ეცილებოდნენ, თუ ვის უნდა აეწყო ილიას ახალი მოთხრობა, აკაკის ახალი ლექსი, ვაჟას ახალი პოემა; კითხულობდნენ აწყობის დროს და მერე, თავიანთი ხელით დაბეჭდილს, ხელახლა კითხულობდნენ . . .

* * *

ქართველ პოლიგრაფისტთა საუკეთესო ტრადიციები ესტაფეტასავით გადაეცა ჩვენს თანამედროვეობას.

საბჭოთა საქართველოს დღეს ჰყავს მოწინავე, მაღალკვალიფიციური პოლიგრაფისტების გამობრძმედილი არმია, რომელიც ერთგულად და საიმედოდ ემსახურება დიდ სახალხო საქმეს.

მაგრამ ქართულ სტამბას არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელს რესპუბლიკაში

აქვს მთელი რიგი სიძნელეები, გადასაწყვეტი პრობლემები, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს. სწორედ ამ პრობლემებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა გამოცდილ ლინოტიპისტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თამარ პოპიაშვილს, აი, რა გვითხრა მან:

— პოლიგრაფიული ბაზა კადრების ნაკლებობას განიცდის. დენადობის პროცენტი ძალიან მაღალია. მოვა ახალგაზრდა წარმოებაში, ერთი-ორი თვე წაიმუშავებს, მერე გული აუცრუვდება, რაღაც უფრო სარფიან სამუშაოს გამონახავს და მირბის. შრომაც წყალში ჩაიყრება და წარმოებაც სამუდამოდ ჰკარგავს კადრს.

პირადად მე რამდენიმე მოსწავლე მოვამზადე. ძალა და ენერგია არ დამიზოგავს, ყოველნაირად ვცდილობდი საქმისადმი სიყვარული ჩამენერგა მათთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ამაოდ დავშვრი. ჩემმა მოსწავლეებმა, პირველ ხელსაყრელ მომენტისთანავე, ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე მიატოვეს სტამბა.

რაშია საქმე? რატომ მიდიან ახალგაზრდები პოლიგრაფიული წარმოებიდან?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, ერთი ამბავი მინდა გავიხსენო.

ჩვენს კოლექტივში ოცდახუთ წელზე მეტია მუშაობს საუკეთესო მეტრანპაჟი თენგიზ ბეგიაშვილი.

მოხდა ისე, რომ თენგიზი ავად გახდა. ბოლოს, როგორც იქნა, თენგიზს ექიმებმა ფეხზე წამოდგომის ნება მისცეს. როგორ გგონიათ, სად წავიდა რამდენიმე თვეს შინ ჩაკეტილი და ქვეყნის ნახვას მონატრებული კაცი: ბაღში გასასეირნებლად? კინოში? არა, თენგიზი პირდაპირ სტამბაში წამოვიდა.

დავინახეთ ლასლასით მომავალი მეგობარი და შევიცხადეთ:

— კაცო, რამ მოგიყვანა აქ?

და იცით რა გვიპასუხა ძველმა პოლიგრაფისტმა?!

— ახლად დაბეჭდილი გაზეთის სურნელი მომენატრა... განა ვიცოდი, თუ ასეთი თილისმა ჰქონდა სტამბას? საკმარისია მიეჩვიო, რომ ვერასოდეს ველარ მიატოვებ მას!

ამ სიტყვებს უნდა ჩაუფიქრდეს სტამბაში მოსული ყველა ახალგაზრდა.

პირადად მე, გულახდილად უნდა გითხრათ, სტამბის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ცხოვრება. სტამბას, მართლაც, თენგიზისა არ იყოს, სულ სხვა თილისმა და რომანტიკა ჰქონია.

გამოდიხარ დილით ქუჩაში. ხედავ გაზეთის

ჯიხურს ხალხი მისევია. ყველა, დიდი თუ პატარა, ხარბად ჩასცქერის ფურცლებს.

გული სიხარულითა და სიამაყით გევსება. იცი, ეს გაზეთი შენ ააწყე, შენმა მეგობარმა დააკაბადონა, შენმა უახლოესმა კოლეგამ დაბეჭდა.

შენ, პირადად შენ იყავი ამ წიგნისა თუ გაზეთის დაბადების მომსწრე; იქ, სტამბაში, სხვებთან ერთად ტრიალებდი, განიცდიდი, ქმნიდი, ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალ გაზეთს იტაცებდი მანქანიდან.

და იცით, რა გრძნობაა ეს?!

მე მგონია, ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდა მოწაფის სტამბიდან გაქცევისა ისიც არის, რომ ეს სიყვარულის გრძნობა ვერ გაუღვიძეთ. ეს, ასე ვთქვათ, მორალური ფაქტორია. მოწაფეები ვერ ასწრებენ შეიყვარონ თავიანთი საქმე, ვერ ასწრებენ განიცადონ ის გრძნობა, რომელმაც თენგიზ ბეგიაშვილ ლასლასით მოიყვანა სტამბაში.

მარტო პროპაგანდა საქმეს ვერ უშველის. მე ვფიქრობ, ჩვენ, პოლიგრაფისტებმა, უნდა გამოვძებნოთ ახალი მეთოდები, ახალი ხერხები და მიდგომის ახალი ფორმები. უფრო ახლოს, უფრო მჭიდრო და საქმიან კონტაქტში უნდა ვიყოთ სტამბებში მოსულ ახალ-

გაზრდებთან, რომ ეს სიყვარული მათს გულებსაც გადავცეთ.

ეს არის საქმის ერთი მხარე. მეორე მხარე, და მე ვიტყოდი, მნიშვნელოვანი მხარე, მატერიალური დაინტერესებაა.

რას იღებს სტამბაში მოსული ახალგაზრდა? მისი ხელფასი თუ გამომუშავება მცირეა. და აი, გამოჩნდება სხვაგან უფრო ხელსაყრელი ადგილი და ადამიანი, რომელიც მომავალში შეიძლება კარგი პოლიგრაფისტი გამხდარიყო, ქუდის მოუხდელად დაგვიკრავს თავს.

რაკიღა სიტყვამ მოიტანა. ახალგაზრდების გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენთან. სტამბაში, კარგი პოლიგრაფისტის გამომუშავება 200-250 მანეთს. ზოგჯერ კი 300 მანეთსაც აღწევს. ახლა ამას დაუმატეთ წლიური პრემია. ნურც ის დაგავიწყდებათ. რომ მუშებს უფასოდ ეძლევათ რძე, მეორე ცვლაში კვება უფასოა. ყვილაფერი სათვალავშია ჩასაგდები. მშობლებს, რომლებსაც სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ. ყოველი საასწავლო წლის დასაწყისში გამომცემლობა გარკვეული თანხით უმართავს ხელს.

ჩვენთან, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში, ყვილაფერი კეთდება იმისათვის, რომ ასოთამწყობსაც, მბეჭდავსაც, ამკინძავსაც, ყველა

დარგის ოსტატს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეს. პოლიგრაფისტებზე მზრუნველობის ნათელი მაგალითია ისიც, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, მომავალ წლიდან საგრძნობლად გადიდდება პოლიგრაფისტების ხელფასი.

ერთი ხელის დაკვრით ქალაქი არავის აუშენებია. მოთმინებაა საჭირო. ჯერჯეროობით უფრო სარფიანი სამუშაოს ცდუნებამ არ უნდა სძლიოს ახალგაზრდა. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელი ორიოდე გროშით მეტი თანხა ხომ არ უნდა წყვეტდეს ყველაფერს?! მთავარი მომავალია. მოდით ჩვენთან, ჩვენი ჭირი და ლხინი გაიზიარეთ, შეიყვარეთ ჩვენი საქმე და დარწმუნებულები იყავით, ცუდი მომავალი არ გექნებათ! ცუდი კი არა, მშვენიერი მომავალი გექნებათ

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთ საკითხს შევეხო.

ამჯერად ჩემს მაგალითს მოვიშველიებ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვედი სტამბაში. ექვს თვეში კარგად დავეუფლე პროფესიას და ლინოტიპისტად დავიწყე მუშაობა.

სამუშაომ გამიტაცა. მალე ისე შევეჩვიე აქაურობას, რომ სტამბიდან წასვლა არც კი მიფიქრია.

გადავწყვიტე დაუსწრებლად შევსულიყავი უმაღლესში. და აი აქ წამოიჭრა საკითხი, რომელიც, ჩემი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პოლიგრაფიის კადრებთან.

აკი გითხარით, მე სტამბის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. უმაღლესში მინდოდა შესვლა, მაგრამ საქართველოში პოლიგრაფიული დარგის უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს. რა მექნა? ავდექი და მათემატიკურზე შევედი.

ახლა სტუდენტი ვარ. მაგრამ არ იფიქროთ, რომ უმაღლესის დამთავრების შემდეგ პროფესიის გამოცვლას ვაპირებდე. არა! ლინოტიპს თავს არ დავანებებ. მე სხვა ჟურნალებთან ერთად, ერთ დარგობრივ ჟურნალსაც ვემსახურები. ამ ჟურნალს ჰქვია — „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“.

ძნელად ასაწყობი ჟურნალია, ფორმულებით სავსე. და აი აქ მეხმარება ჩემი მათემატიკის ფაკულტეტი!

* * *

ვუსმენთ თამარის სიტყვებს და უნებურად გვახსენდებიან ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები, წლიდან წლამდე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე რომ გა-

დიან, და რაკიღა მოწოდება არა აქვთ, ვერ აბარებენ. მაინც უცნაურ სიჯიუტეს იჩენენ, ყოველ მორიგ წელს ხელახლა სცდიან ბედს. არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდა აბარებს ხუთი, შვიდი, ზოგჯერ ათი წელიც კი! ამასობაში მიდის ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, ამაოდ იკარგება დრო, ენერგია. წუხს ოჯახი, ნერვები აწყდება დედას, მამას: რამდენი ოჯახია, სადაც აგვისტოს ბოლოს მოთქმა-ტირილი ისმის? რატომ? რისთვის? რატომ ვქმნით ამ ხელოვნურ ტრაგედიებს? განა არ სჯობდა ყველა ასეთი ახალგაზრდა. ან მისი მშობელი დაფიქრებულიყო. ის უმალ მიხვდებოდა, თუ რაოდენ მართალი, სწორი გზა აირჩია თამარმა. მარტო სტამბაზე კი არ ჩამოწყდა ყველაფერი — მიდი, სადაც გინდა, საითაც გულმა გაგიწიოს, მუშახელი ყველგან სჭირდება ჩვენს ქვეყანას; და თუ მაინცდამაინც უმაღლესის გარეშე არ შეგიძლია, უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტისაკენ მიმავალი გზაც ეს არის; ამას მარტო თამარის კი არა, ათასი და ათიათასი ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდის ცხოვრების მაგალითი ამტკიცებს, აირჩიე ეს გზა და მარტო აღარ იქნები. ყველა, მთელი კოლექტივი დაგეხმარება შრომაშიც, სწავლაშიც, უმაღლესში შესასვლელადაც შეგიწყობს ხელს, სხვა

მხრივაც, თუ რამე გაგიჭირდა, მხარში ამოგიდგებიან, შენს ჭირსაც შეამსუბუქებენ და ლხინსაც გაიზიარებენ... იყავი კარგი ადამიანი და ეს არის ყველაფერი, ეს არის გადამწყვეტი, ეს არის უპირველესი!

* * *

1973 წელი — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელია; ამ წლის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, — ასეა აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

თავდადებით იღვწიან საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, რათა მიმდინარე წელი აღნიშნონ დამკვრელური, დიდად ნაყოფიერი შრომით, ერთიმეორეს ეჯიბრებიან მოწინავე მუშები, ბრიგადები, უბნები, საამქროები, საწარმოები; მშენებლობების კოლექტივები, ყოველდღიურად უფრო ფართოდ იშლება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება და ჩვენი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები არ იშურებენ ძალღონეს,

ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ქვეყანას მისცენ მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

ჩვენმა პოლიგრაფისტებმაც კარგად გაუსწორეს მხარი ამ დიდ სახალხო მოძრაობას. მათ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი!

დიღმის წიგნის ფაბრიკა — ასე ეწოდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ გიგანტურ საწარმოს, რომელიც თბილისში. მეგობრობის პროსპექტზე შენდება.

ორიოდე ციფრი ნათლად დაგვანახვებს, თუ ამ ბოლო ხანებში რაოდენ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ ფაბრიკის მშენებლობა: 1966 — 1970 წლებში, ე. ი. ხუთი წლის მანძილზე, ფაბრიკის მშენებლებმა 1 მილიონ 800 ათასი მანეთი აითვისეს. ბოლო ორ წელიწადში კი — 2 მილიონ 200 ათასი მანეთი.

დიღმის წიგნის ფაბრიკა მიმდინარე წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ამჟამად აქ ამონტაჟებენ ახალ დანადგარებს, გაჰყავთ ვენტილაცია, აწყობენ კონდიცირებული ჰაერის სისტემას . . .

ცივი აწყობის უნიკალური მანქანები, წიგნის მაგარ ყდაში გამოშვების ნაკადური ავტომატიზირებული ხაზი და მთელი რიგი სხვა მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები პირვე-

ლად ინერგება საქართველოში. თავისთავად ცხადია, ამ ტექნიკას სათანადო მოვლა-პატრონობა და მთელი დატვირთვით გამოყენება სჭირდება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ წიგნით ვაჭრობის, გამომცემლობებისა და პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა შეადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქართველი პოლიგრაფისტების მივლინებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მოწინავე სტამბებში. ქართველი მუშები და ინჟინრები პრაქტიკულად გაეცნობიან ახალ ტექნიკას, აითვისებენ მათ მართვას, აიმაღლებენ კვალიფიკაციას და ყოველმხრივ მომზადებულები შეხვდებიან დიღმის წიგნის ფაბრიკის მწყობრში ჩადგომას.

დიღომში, მეგობრობის პროსპექტზე, წიგნის ფაბრიკის პირდაპირ, კოხტად აღმართულა თოთხმეტსართულიანი შენობა. ეს შენობა პოლიგრაფისტების საცხოვრებელი სახლი იქნება. კიდევ რამდენიმე ხანი და შენობას ხარაჩოებს ჩამოხსნიან. ნათელ ოთახებში სიცოცხლე, სიხალისე და ოჯახური მყუდროება დაისადგურებს.

მეგობრობის პროსპექტზე მშენებარე სახლი ელის ახალ მობინადრეებს, სტამბაში მოსულ ახალ კადრებს.

ახალგაზრდა პოლიგრაფისტთა კადრების აღზრდისა და მათი მოზიდვის მიზნით, პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით, არქიტექტორებმა შეიმუშავეს პოლიგრაფიული პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის ინდივიდუალური პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, დიღომში, წიგნის ფაბრიკის მახლობლად, შეიქმნება კეთილმოწყობილი სასწავლებლებისა და საერთო საცხოვრებლების ახალი კომპლექსი.

მომავალი პოლიგრაფისტები დიღომში იცხოვრებენ და თეორიულ სწავლებასთან ერთად, საწარმოო პრაქტიკასაც იქვე, წიგნის ფაბრიკაში გაივლიან.

ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბ ზა, რაც შეიძლება სწრაფად იქნას გადაყვანილი თანამედროვე ინდუსტრიულ რელსებზე.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილისში მოქმედი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ტექნიკური გადახალისება. საამწყობო საამქროში შეიცვალა ლინოტიპის პარკი, ასევე იცვლება საბეჭდი მანქანების მოძველებული პარკიც.

ამას წინათ ლენინგრადის საპროექტო ინსტიტუტმა დაამთავრა თბილისის ბეჭდვითი

სიტყვის კომბინატის საამკინძაო საამქროს კომპლექსური მექანიზაციის პროექტი. ეს პროექტი განხილული და მოწონებული იქნა.

პროექტით გათვალისწინებულ სიახლეთა დანერგვის შემდეგ საამქროს სიმძლავრე 20 — 30 პროცენტით გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ხანში, ხარისხის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზრდება წიგნების ტირაჟიც.

ხარისხის ამაღლების მიზნით, კომბინატში ამჟამად ფართოდ ინერგება წიგნის პირველ მოთხოვნისთანავე პროდუქციის უნაკლოდ ჩაბარების მეთოდი.

ქართული წიგნი ერთ-ერთი სწრაფად გამოცემული, მაგრად შეკრული და ლამაზად გაფორმებული პროდუქცია იქნება მთელს საბჭოთა კავშირში.

* * *

ჩვენს მკითხველებს აქვე გვინდა ვაცნობოთ ერთი სასიამოვნო ამბავიც.

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შედგება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური დახმარების საბჭოს პოლიგრაფიული სექციის გამსვლელი სესია.

ეს სესია ჩვენი პოლიგრაფისტების დიდი

დაფასება, მათი ღვაწლისა და გმირული შრომის ფართოდ აღიარებაა.

სესია ქართველი პოლიგრაფისტების დიდი სკოლაც იქნება. აქ ჩვენ საშუალება მოგვეცემა, მთელი რიგი პრობლემური საკითხების განხილვა-გადაჭრასთან ერთად, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მსოფლიოში სახელგანთქმულ პოლიგრაფისტებთან.

გუტენბერგის ქვეყნის, ასევე ჩეხოსლოვაკელი, პოლონელი, უნგრელი პოლიგრაფისტებისაგან ჩვენ ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ და შევიძინოთ.

წინ დიდი და ფართო პერსპექტივებია.

(„დროშა“, № 2, 1973 წ.)

მადლი მეტოქეობისა

ნარკვევი

ქიტესა დემეტრაშვილი ტიბაანელია, ამ სოფლის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 1-ელი ბრიგადის მწველავი, მაგრამ მას მარტო ამ სოფელში კი არა, მთელ სიღნაღის რაიონშიც კარგად იცნობენ, როგორც ერთ-ერთ მოწინავე მეცხოველეს.

ამ ზამთარს სოციალისტურ შეჯიბრებაში ამავე ბრიგადის მწველავმა გარსევან კაპანაძემ გამოიწვია. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, გულზე ხელი დაიკრა ქიტესამ და გამოწვევა მიიღო. გარსევანი კაი ბიჭია: ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცია, მაგრამ ფერმაში მწველავები ერთმანეთს ბიჭებს ეძახიან... ჰოდა, კაი ბიჭია გარსევანი, არ უთაკილია მასთან შეჯიბრებაში ჩაბმა, მაგრამ ქიტესას უფრო ჟორა გურაშვილისკენ მიუწევდა გული. მთელ ფერმაში მარტო ის

სჯობნის, ისიც ხანდახან, მუდამ კი არა, ჰოდა, უკეთესთან შეჯიბრება უფრო საინტერესოა. არა, გარსევანმაც გამოაკეთა საქმე, შარშანდელთან რა შედარებაა, წლეულს ესეც დაეწია მოწინავეებს, ზოგჯერ კიდევაცა სჯობნის. იანვარში გეგმით ორივეს 2.500 კილოგრამი რძის მოწველა ევალებოდათ. ქიტესამ 3.867 კილოგრამი მოწველა, გარსევანმა — 4.695 და ქიტესას 828 კილოგრამით აჯობა.

ბიჭოს! ეს ბალღი (ერთმანეთს ხანდახან ბალღებსაც ეძახიან) აღარა ხუმრობსო, გაიფიქრა ქიტესამ და გული დასწყდა, რომ პირველად არაფრად ჩააგდო. სიმართლე რომ ითქვას, ცოტა კიდეც შერცხვა, რა არის ეს, რა ღმერთი გამიწყრა, როგორ მაჯობაო. თქმით არაფერი უთქვამს, გულში კი დაიქადნა: მაცალე, ჯობნა როგორც უნდა, მე ვიცი.

კიდევ კარგი, გარსევანი თავმდაბალი ბიჭია, თორემ ზოგიერთივით მაკვირია რომ იყოს, გაუწყალებდა გულს: აბა, ცხვირს რომ მაღლა სწევდი, რა გეგონა, ვერ გაჯობეო?

თებერვალში გეგმით ორივეს 3.500 კილოგრამი რძე უნდა მოეწველა. გავიდა დრო, შეაჯამეს შედეგები და ქიტესას მოწველილი 4.259 კილოგრამი გამოვიდა, გარსევანისა —

4.691. ქიტესას მეტოქემ ამჯერად 432 კილოგრამით აჯობა. ერიჰაა, ახლა კი ცუდად არის საქმეო, გაცხარდა კაცი.

მართალია, ახლა ცოტა წამოეწია, იანვარში გარსევანმა რამდენითაც აჯობა, ის რიცხვი ქიტესამ კინაღამ გაანახევრა, მაგრამ ეს რა ნუგეშია!

ქიტესა ახლა კი სერიოზულად ჩაფიქრდა: ფურები ერთნაირი გვყავს, მუშაობის პირობებიც ერთნაირია, მაშ რა არის, ეს კაცი რით მჯობიაო. რაც მართალია, მართალია, გულს შემოეყარა, მაგრამ არ გამოამჟღავნა, სირცხვილია, რას იტყვიან, სხვა რომ არა იყოს რა, მოშურნეს დამიძახებენო.

მარტში გაბრაზებულმა მოითხოვა: გამიდიდეთ გეგმაო. 4.700 კილოგრამის მოწველა იკისრა. გარსევანს 4.600 კილოგრამის მოწველა დაევალა. ქიტესამ ჩუმად ჩაილაპარაკა: თუ კაი ბიჭია, რატომ მაგანაც ჩემოდენა ვალდებულება არ აიღოო. ალბათ, თავის იმედი არა აქვს, თორემ რას ჩამომრჩებოდაო!

ქიტესა სიტყვის კაცია. ჯერ ადვილად არას იტყვის, მაგრამ რასაც იტყვის, კიდევაც შეასრულებს. თუ არადა, სირცხვილით სად გაყოს თავი, ხალხს რაღა პირით ეჩვენოს! გაბრაზებულს უცბად, დაუფიქრებლად წა-

მოსცდა, გეგმა გამიდიდეთო. წამოსცდა და მას აქეთ მოსვენებაც დაეკარგა. ეს რა ვქენი, რა ძალა მედგა, გარსევანზე მეტი რომ ვიკისრე, მართლა რომ ვერ ვაჯობო, რა ვქნა, რა წყალში ჩავარდეო, რით ვიმართლო თავიო. მაგრამ რაკი წამოსცდა, ნათქვამს უკან ხომ არ წაიღებდა, სიტყვა სიტყვაა!

და მას აქეთ აღარც მოუსვენია ქიტესას.

დაიწყო თუ არა მარტი, ქიტესამ იმ ადგილას ფუსფუსს უფრო მოუხშირა, სადაც „დღის რეჟიმი" იყო გამოკრული. დილით, როგორც კი გაეღვიძებოდა, უმალვე საათზე დაიხედავდა. ხან ხუთი იყო, ხან — ცოტა მეტი. მაშინვე გაემზადებოდა და კონცენტრატს ძროხებს ზუსტად ექვსის ნახევარზე მისცემდა. შვიდზე წველას დაამთავრებდა. მერე პირუტყვი მწყემსებს საბალახოდ გაუდიოდათ. თექვსმეტ საათზე კვლავ კონცენტრატს მისცემდა, ჩვიდმეტზე მეორე წველას დაამთავრებდა, მერე კვლავ საძოვარზე გარეკვა, ბოლოს, როცა ფურები დასაბმელად მოუდიოდა, უხეშ საკვებს აძლევდა.

ფურებს ხან კომბინირებულ საკვებს მისცემდა, ხან დაკუწულ და მარილწყალში არეულ თივას, სილოსს, სენაჟს... გარდა ამისა, მოწველის წინ ფურებს ცურს ყოველთვის თბილი წყლით ბანდა და უზელდა, მერე

ტილოთი მოუმშრალებდა და საწველ აგრეგატს მიუერთებდა. ამის შემდეგ მონარჩენ რძეს ხელით ჩამოწველიდა, ცურს ისევ მშრალი ტილოთი მოსწმენდდა... ფურები ყოველთვის სუფთად ჰყავდა. და აი, დამთავრდა მარტიც, შეაჯამეს შედეგები და ქიტესას მოწველილი 6.284 კილოგრამი გამოვიდა, გარსევანისა — 6.153.

ძალიან გაუხარდა, კინაღამ ახარხარდა, მაგრამ ჯიუტად დამუწა პირი. რა ვაუკაცის წესია სიხარულის ასე გამოხატვა. კაცმა როგორც წყენა არ უნდა გამოამჟღავნოს, ისე სიხარულიც არ უნდა შეიმჩნიოს. რამდენით აჯობა: იანგარიშა ქიტესამ და გარსევანზე 131 კილოგრამით მეტი გამოუვიდა, გეგმით გათვალისწინებულს კი 1.584-ით გადააჭარბა.

ღვთის წინაშე, სიმართლე უნდა ითქვას, რაიმე ეშმაკური ხერხით კი არ უჯობნია გარსევანისათვის. არა, ეს რა საკადრისია! ეს ზომ იგივეა, ხმლიანი უხმლოს შეებრძოლო. საქმე ის არის, ორივე თანაბარ პირობებში მუშაობდეს. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ მუყაითობა და დიდი მონდომებაა გამარჯვების თავდები. რა თქმა უნდა, ქიტესამაც, ალბათ, ამით აჯობა, თორემ...

აპრილში გარსევანმა 5.100 კილოგრამი რძის მოწველა იკისრა, ქიტესამ — 5.200-

სა. კვლავ ისევ მონდომება, ისევ სიბეჯითე... დამთავრდა აპრილიც და ქიტესამ მეტოქეს ამჯერადაც აჯობა — 8.136 კილოგრამი რძე მოწველა, გარსევანმა — 6.356. ქიტესამ მას 1.780 კილოგრამით გადაამეტა.

ორივე მთელი სულით და გულით ბეჯითობს და საინტერესოა, რომელი აჯობებს. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას. ქიტესა მეგობარს -არასოდეს ღალატობს. დილით, როცა გაიღვიძებს, გარსევანსაც წამოაყენებს, სხვებსაც და საქმეს ერთდროულად შეუდგებიან.

(„სოფლის ცხოვრება")

ვლადიმერ თორდუა

კოლხი არაქნე

ნარკვევი

ბევრი სახელოვანი ადამიანის თანასოფლელი ვარ. ერთ მათგანზე დამიწერია კიდეც.

ყველა დროსა და ეპოქაში შეიძლებოდა ადამიანი ჭრავალი საშუალებით გამხდარიყო სახელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი, მხოლოდ არასოდეს — ფიზიკური შრომით.

ამიტომაც იმ სახელოვანთაგან, რომლების თანასოფლელიც ვარ, დღეს მინდა მოვიგონო სწორედ ფიზიკური შრომით სახელმოხვეჭილი ის ერთი ადამიანი. სხვები, რაკი ზემოთ ნათქვამში დამეთანხმებიან, უთუოდ შაპატიებენ, რომ მათზე არაფერს ვამბობ.

მე იმას როდი ვამბობ, რომ ჩემს რაიონში მარტო მას მოეხვეჭოს ფიზიკური შრომით სახელი. არა. მაგრამ, თუ სახელს მანძილითაც გავზომავთ, მაშინ ჩემი ამ გმირის სახელს ყველაზე მეტი მანძილი აქვს გავლილი. გადაუვლია მას მთები და ზეგნები,

ველები და მინდვრები, მდინარეები და ზღვები, მიუღწევია ოკეანეებდეც და იქაც დამკვიდრებულა.

და, გგონიათ, რით? — ფიზიკური შრომით. ასეთი რამ წინათ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველაზე დიდი შრომის შედეგსაც კი მხოლოდ უმოკლესი მანძილის გავლა შეეძლო — იმის ნალიამდე, თუ ჯიბემდე, ვისთვისაც ეს შრომა ძალით იყო გაწეული — ექსპლოატატორამდე.

იმ სოფელში, რომლის მკვიდრზეც გელაპარაკებით, ვყოფილვარ დიდი ხნის წინათაც. შემიდარებია იმ დროისათვის ახალი შრომის ადამიანის ბედი უწინდელთან და უბის წიგნაკში ჩამიწერია როგორც შავი კონტრასტი: — სოფელში იბადებოდა, სოფელში იტანჯებოდა, და სოფელივე საფლავის თავთან ხის ჯვრით უსვამდა წერტილს ადამიანის გაწამებულ ცხოვრებას...

აჰა, ახლაც ჩემს კუთხე-მამულში ყოფნისას, პროფესიის კარნახით, წინა ხუთწლედების სწორედ ის გმირი ადამიანი მოვიკითხე, ვისზეც დიდი ხნით ადრე ორიოდე თბილი სიტყვა მითქვამს. არის თურმე, და მერე როგორ! — ახალ ხუთწლედშიც განაგრძობს გმირობას.

— მაშ, მეც განმიგრძია მასზე სიტყვა, პა-

ტივცემულო ნოდარ, გამიბამს გაწყვეტილი ძაფი! — კმაყოფილებას ვერ ვმალავ რაიკომის პირველ მდივანთან, ამხანაგ ჭითანავასთან, რომ ჩემი სიჭაბუკის შრომის ფალავანი კვლავაც შუქურვარსკვლავობს.

მდივანი დაფიქრდება, შუბლზე ხელს გადაისვამს და რაიონის პატრონის უფლებამოსილებით, მაგრამ ზრდილი ახალგაზრდა კაცის ჭოკრძალებით, სახეზე ღიმგადაკრული, გამოთქვამს თავის მოსაზრებას:

— შეგიძლიათ. საუკეთესოა. მაგრამ იგი ხომ ცნობილია. ცნობილია იგი თქვენითაც, სხვებითაც და, რაც მთავარია, საკუთარი საქმეებით. ცხოვრება კი ერთი დღითაც არ დგება ერთ ადგილას. გვემატებიან ახალი სახელები; პირმშონი კომუნიზმის კარიბჭესთან უფრო მიახლოებულ დროთა, გმირები, თუნდაც, აი, ჩვენი ახალი ხუთწლედისა... მრავალ ასეთ ახალ სახელთა შორის დაგისახელებდით ერთ მუშას...

მუშის გაგონებაზე თვალწინ კინოკადრივით გამირბინა სიყრმის დროინდელმა ღარიბ მესიმინდეთა მაზრამ და მისმა წვრილ ხელოსან-ვაჭართა ცენტრმა სენაკმა.

ახლა, თუ ვინ არის ის ერთი, ყველაზე ღირსეული ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის, ვისზეც შეიძლება მწერალმა სიტყ-

ვა თქვას, ჩემი მშობლიური რაიონის პარტიული ხელმძღვანელი მუშას ასახელებს. მაშ, ჩემი სენაკი, ახლა ცხაკაია, მარტო სახელოვან სოფლის მეურნეობის მუშაკთა როდია, იგი ინდუსტრიულიც არის. მაშ, გზა ინდუსტრიულ ცხაკაიასაც!... თუ სოფლის მეურნეობა რაიონს ათ მილიონ მანეთ შემოსავალს აძლევს, მრეწველობა — ორმოცდაორ მილიონს!

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ მუშას:

ლეილა კვარჭაია!

იგი აღმოჩნდა მუშა საწარმოსი, ოდესღაც ძნელად გასავლელი, ყოფილი ხამხედრო, ახლა მოასფალტებული გზის პირას, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ არის განლაგებული. ცხოვრობს თურმე იგი — შვილთაშვილი იმ ღარიბ მესიმინდეთა — იმავე ქუჩაზე, რომელზეც მისი საწარმოა — მშვიდობისაზე. საწარმოც ყოვლად მშვიდობიანი! უფრო მეტიც — მსახური მშვენიერებისა — ხალიჩების საქსოვი კომბინატი.

ყველანი სადღაც დავბადებულვართ და გავზრდილვართ. ყველას — ზოგს მეტი, ზოგსაც ნაკლები — გვისწავლია, ყველანი რაღაც საქმეს — ზოგი დიდს, ზოგიც მცირეს — ვადგივართ. ლეილაც ასეა. იმაზე მეტს, რომ იგი ახალგაზრდა კომუნისტი და

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მქსოველია, მისი ბიოგრაფიიდან ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ გიამბობთ. ერთსღა დავუმატებ, და, მოდით, ეს შევიდეს მის ბიოგრაფიაში:

კომბინატის კომუნისტები პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ განიხილავდნენ, ლეილა კვარჭაიამაც ითხოვა სიტყვა. დადგა ტბირუნასთან, დარბაზს ზღვისფერი ნაზი თვალები მიმოავლო, წაბლისფერ ხვეულ თმაზე ხელი გადაისვა და მორცხვად, ძლივს გასაგონად, ისე რომ, ადგილებიდან შეძახილებიც კი გაისმა: — „ხმამაღლაო", — წარმოთქვა:

— ამხანაგებო, ყრილობის მასალებს რომ ვეცნობი, თავს მოვალედ ვრაცხ საერთო საქმეში ჩემი წვლილიც შევიტანო. ვფიქრობ, შევძლებ და უნდა შევძლო კიდეც კომუნისტმა: ხუთწლედის პირადი გეგმა ოთხ წელიწადში შევასრულო!

ვინც ქსოვის სირთულეს იცნობს, მიხვდება, რა რისკზეც მიდის ხუთწლედის ოთხ წელიწადში შემსრულებელი მეხალიჩე.

დარბაზი შეიშმუშნა. პრეზიდიუმში თავები ერთურთისაკენ გადაიხარ-გადმოიხარნენ. თითქოს გაზაფხულის პირველმა სასიამოვნო

მეხმა გადიმქუხარაო, ატყდა ტაში. ლეილა თავადაც ვერ გარკვეულიყო, რაღას იდგა იმ ტრიბუნასთან, როცა სათქმელი დამთავრებული ჰქონდა. იქიდან ჩამოსვლას მაშინღა მიხვდა, როცა მეორე საამქროს მქსოველი ამოუდგა გვერდში.

— ლეილას თაოსნობას კომბინატში ორას ათი მიმდევარი გამოუჩნდა. ყველამ — კომუნისტმაც და უპარტიომაც — კვარჭაიას სიტყვა სამშობლოს ძახილად მიიჩნია.

კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა აპოლონ სამსონიამ, საბჭოთა არმიაში ბატალიონის პარტორგად რომ ყოფილა, ისეთი დამარცვლით წარმოთქვა სიტყვები— სამშობლოს ძახილიო — რომ მე, აგრეთვე ბატალიონის პარტორგად ნაბრძოლს, ერთი ეპიზოდი მომაგონა იმ მრისხანე წლებიდან:

დაზვერვამ ცნობა მოიტანა, ჩვენს ზღუდეს შტრის ასზე მეტი ტანკი მოაწყდა და ღამე შეტევაზე გადმოდისო.

ბატალიონის ნაწილს უნდა დაკისრებოდა შტრის ტანკების ადგილზევე მოსპობა, ხოლო დარჩენილთათვის ნაღმებით გზის გადაღობვა. დრო არ ითმენდა. ამ დავალებაზე წამსვლელს სიკვდილი ელოდა.

— მისმინე, ბატალიონო! — კაპიტნის დაძახილზე მწყობრი სმენად იქცა. — საბრ-

ძოლო დავალებაა. — ბატალიონმა, როგორც ერთმა კაცმა, ასწია თავი. — ნაღმებით აფეთქდეს მტრის ტანკები. — ბატალიონმა მთასავით წინ წამომართა მკერდი მზადყოფნის ნიშნად. — დაღამებას ვერ დაველოდებით. ჩემთან ერთად წასვლის მსურველო!.. — ბატალიონი თითქოს მთელი თავით ამაღლდაო, შეიმართა განკარგულების მოლოდინში. — ერთი ნაბიჯით წინ!

საპასუხოდ ერთი წინწადგმული ნაბიჯი მიწას მძლავრად დაჰკრა... მთელმა ბატალიონმა.

უთუოდ აქაც სამშობლოს ძახილი ესმა თვითეულ მეომარს.

მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება ლეილა კვარჭაიას თითქმის ერთიორად შეუსრულებია —მოუქსოვია თვრამეტი ათას ოთხას ორმოცდაშვიდი კვადრატული მეტრი ხალიჩა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ათი ათასი კვადრატული მეტრისა.

კომბინატის კომუნისტები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებს რომ განიხილავდნენ, კომუნისტმა ლეილა კვარჭაიამ კვლავ ითხოვა სიტყვა, დადგა ტრიბუნასთან და თავისი სახელოვანი საწარ-

მოო ბიოგრაფიის მიუხედავად მორცხვად, ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

— ამხანაგებო, მე გადავსინჯე ჩემი და ჩემი დაზგის შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შემიძლია კიდევ უფრო შევკუმშო ჩემი ხუთწლედის ვადა — ადრე აღებული ვალდებულების შესაცვლელად ვკისრულობ ხუთწლედის პირადი გეგმის სამნახევარ წელიწადში შესრულებას.

ამჯერად ლეილას ამ თაოსნობას თანამედაზგეთა შედარებით მცირე ნაწილი — სამოცი კაცი — გამოუჩნდა მიმდევრად. ძნელია...

სამუშაოზე თხუთმეტი-ოცი წუთით ადრე მოდის. არკვევს როგორ მუშაობდა წინა ცვლა, წესრიგზე იყო თუ არა საქსოვი მანქანა, ხომ არ წყდებოდა ქსელის ძაფები, საკმაოა თუ არა ქსელისა და მისაქსელის მარაგი. ცვლის მიღების შემდეგ კი აწყობს, ამზადებს სამუშაო ადგილს, სამასრეებზე ამაგრებს სათადარიგო ბობინებს, იმარაგებს მისაქსელს სათადარიგო ყუთში, საზეთავს, ჯაგრისს.

აი ჩართო ლეილამ ძრავი, გამოსწია სახელური მარცხნივ, შეამოწმა სათადარიგო მაქოები, არის თუ არა მისაქსელი, ვიდრე მისაქსელი ამოთავდებოდა, გააჩერა დაზგა,

ამოიღო მაქო და სათადარიგო გაწყობილი მაქო ჩადო სამაქოე კოლოფში, კვლავ ჩართო დაზგა. მარჯვენა ხელის ცერი დააჭირა მაქოს სახურავს და მარცხენა ხელის ცერით გასწია საკეტი, ახადა მაქოს სახურავი, აიღო მისაქსელი დაზგის მარცხნივ მოთავსებული მისაქსელის სათადარიგო ყუთიდან. ხედავს, მცირეა ნარჩენი. გადააბა მისაქსელები... ქვეოსტატ ვასილ ფრანგიშვილთან და მემასრე ნადია აშორდიასთან ერთად ლეილა საოცრად ჰარმონიულ ანსამბლს ქმნის თავის დაზგასთან. საამქროს კინომოყვარულებმა სპეციალური ლენტიც შექმნეს ლეილას მუშაობის პროცესზე. ვირტუოზულია მისი ილეთები მაქოს შეცვლისას, მისაქსელის, ხაოს, ძირის თუ ფენილის ქსელთა წყვეტის ლიკვიდაციისას, რუკის გასწორებისას თუ მაქოს გაწყობისას. ყველა ამ პროცესთა საკავშირო ნორმატივებს იგი თითქმის ერთიორად ასრულებს.

შესაძლოა საათები გავიდეს, და ჩვენ არც მოგვაგონდეს, რომ გვაქვს თვალისჩინი, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ. ლეილას კი ერთი წამითაც არ ძალუძს თვალი მოარიდოს თავის ასობით ძაფის ქსელს, დაზგაზე გადაჭიმულს, და მაქოს, ქსელის ამ მარეგულირებელს. არსად არ უნდა იყოს

ძაფის წყვეტა, და თუ ასეთი იქნება, თვალის დახამხამების უმალ განასკვოს და საქსოვის მეორე პირზე გაიყვანოს. დაზგაზე მომუშავე ლეილა რაღაც ზღაპრულ ფერიად იქცევა ხოლმე, ზენაარული ძალით დაჯილდოებულად. მითოლოგიის ეპოქაში მასთან გაჯიბრებას ქსოვის ქალღმერთი ათენა თუ შეძლებდა. გაჯიბრებია ათენა ლიდიელ გოგონას — ჯადოსნურ ხელმოსაქმეს, ხალიჩის უზადო მქსოველს, და დამარცხებულ ქალღმერთს ისღა მოუხერხებია, ობობად — არაქნედ — ექცია გამარჯვებული, ხოლო მისი შთამომავლობისათვის დაეტოვებინა წყევლა — მუდამ ბნელში ექსოვა.

ლეილა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში მოვიდა იმ ღირსსახსოვარი დროიდან სამასი წლის შემდეგ, როცა მისი შორეული წინამორბედნი, მადრიდის სანტა ისაველის უბრალო მეხალიჩე ქალები სიუჟეტურ ტილოზე უკვდავყო დიდმა ესპანელმა მხატვარმა დიეგო ველასკესმა თავისი „მითით არაქნეზე“. სცენა ხალიჩების სამეფო სახელოსნოში. წინა პლანზეა ნახევრად ბნელი ოთახი, რომელშიც მუშაობენ უბრალო, ღარიბულად ჩაცმული მრთველ-მქსოველები. ორიოდ საფეხურს ავყავართ უკან, რამდენადმე მაღლა, სინათლის უხვი ნაკადით გა-

შუქებულ მეზობელ ოთახში, სადაც სასახ-
ლის ფრეილინები ტკბებიან ხალიჩით,
რომელზეც გამოსახულია ოვიდიუსის შეთხ-
ზული მითი არაქნეზე, მქსოველ გოგონაზე,
ღმერთქალმა ათენამ რომ დასაჯა. აქცია
ობობად. წინასწარმეტყველური აზრი ათე-
ნას განაჩენისა, რომ არაქნეს მიმბაძველნი
ყველა თაობაში გაიზიარებენ მის ბედს!...
და ის მშვენიერი, რითაც ტკბებიან მაღა-
ლი ფენები, ბრწყინვალენი და ძლიერნი ამა
ქვეყნისანი, იქმნება აქ, ველასკესის ასახულ
ნახევრად ბნელ სახელოსნოში. და შთამო-
მავლობა არაქნესი განაგრძობდა ექსოვა, ვით
ობობას, ზღაპრულად ლამაზი ხალიჩები,
ღირსი თვით არაქნეს ნიჭიერებისა, ღვთაე-
ბასთან გაჯიბრებული, ღვთაებაზე გამარჯ-
ვებული შთამომავლობა!... იყო ხალიჩები
ტიციანის უკვდავი „ევროპეს მოტაცების“
გამოსახულებითაც, ფინიკიის მეფის აგენო-
რის ასული, ზღვისპირას ტოლებთან ერთად
მოთამაშე, რუხ ხარად მოვლენილმა ზევსმა
კრეტაზე რომ გაიტაცა, მერე ამ მითის მი-
ხედვით თვით კონტინენტს რომ შეერქვა ევ-
როპა...

ახლა, ჩემი მშობლიური ცხაკაიას ხალიჩე-
ბი, ლეილასა და მის თანამედროვეთა მოქ-
სოვილი, იტაცებენ ევროპას, და არა მარტო

ევროპას — ბაზელისა და პარიზის, იზმირისა და ალჟირის, ქაიროსა და ბერლინის გამოფენებსა და ბაზრობებზე. მათში ჩაქსოვილია ჩემი სამშობლოს უკეთესი გამოსახულება ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებაში, თემატურსა თუ პორტრეტულ სახეებში, მხატვრული გამომსახველობისა და დიდი იდეური შინაარსის გადმოცემის ოსტატურობით რომ გამოირჩევიან, საბჭოთა ხალიჩათქსოვის უმაღლეს მიღწევად რომ ითვლებიან.

— სწორედ ლეილასთანა მომუშავეების მონაცემებით გვაქვს დაგეგმილი მეცხრე ხუთწლედში ოთხი მილიონ ას სამოცდაათი ათასი კვადრატული მეტრი პროდუქციის გამოშვება, — მეუბნება ინჟინერი რევაზ კუპრავა, კომბინატის დირექტორი, — ეს კი, გონების თვალით თუ წარმოვიდგენთ, ფარავს კოლხთა მიწას...

— და კოლხეთი კი ხატავს ამ პროდუქციას თავისი კოლორიტით, — ჩაურთავს თინათინ ხარბედია, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, და მზერას მიაპყრობს ასორტიმენტის სალონის კედლებს, რომლებზეც გამოფენილია კომბინატის ნაწარმთა ზოგიერთი ნიმუში.

და მართლაც: ხალიჩა ხომ მხატვრული სა-

ზევით მიიწევდნენ
დაოთხილები.
ყმათა სიმრავლე ითვლებოდა
სიმდიდრის ზომად,
წყდებოდა მონა
ჯანისა და ღონის მხარჯველი,
ვინ უმღერებდა
ბორკილგაყრილ მონათა შრომას,
როდესაც შრომა
უდიდესი იყო სასჯელი.
იყვნენ მხატვრები
გაბედულნიც და უბადლონიც,
მაგრამ სინიდისს რა შეეძლო
მარუდ სამართალთან,
ტაძრის კედელზე
ვულგარული ტაძრის პატრონი
მონის დახატვის ნებას
მხატვარს როგორ დართავდა?
სამართალია?
ფრესკებს ამკობს მათი მშვენება,
ვისაც თითიც კი
ხარაჩოზე არ გაფხაჭნია!
ვუცქერ ძველ ძეგლებს ხელთუქმნელებს
და მეჩვენება,
რომ მონის სისხლი
სამარცხვინო დაღად აჩნიათ.

მონად არავინ იბადება
დედის მუცლიდან,
მონობა იყო ხვედრი
  სუსტთა და უსახსროთა,
კაცობრიობა ჩვენს დროს
  დიდხანს მისთვის უცდიდა,
რომ კაცის შრომას
  ბორკილი და ჯაჭვი ახსნოდა.
ჩვენმა დრომ ცამდე აამაღლა
  და მზედ ბრწყინდება
თავისუფალი შრომა —
  ყველა დროის ოცნება.
შრომის სუფევას შევესწარით,
  შრომის დიდებას,
ჩვენი ეპოქის უპირველეს
  ამ საოცრებას!
ეს შრომა გახდა გარდამქმნელი
  ხმელთა და ზღვათა,
წინ ის მიუძღვის
  ნორჩ სიცოცხლეს მწვანე ფურცლიანს,
და ხედავს ყველა,
  ხედავს მთელი ქვეყანა ცხადად,
შრომას და გარჯას თავისუფალს
  რა შეუძლია!
შუქრი!
  სახელი შენი ისმის
    მთაშიც, ბარშიაც,

ფეიქრო ნაწარმია, რომელშიც ორნამენ-
ტული მოტივების მრავალფეროვნებით ასა-
ხულია გარემო სინამდვილე. და სადაც უნდა
ვნახო ცხაკაიური ხალიჩა, ადგილზე თუ მის
ფარგლებს გარეთ, მე ვხედავ მასში, მინია-
ტურულად წარმოსახულს, ჩემი სამშობლოს
ეკონომიკასა და კულტურას. და თითქოს
მომენახულებინოს ჩემი მშობლიური კუთხე-
მამული. ფარდა ამეხადოს გარდასული დღე-
ებისათვის, ყოველ ნაბიჯზე შემემჩნიოს ჩემი
ბავშვობის ნატერფალი. და მის შემყურეს
ბავშვობის, ყრმობის ოცნებათა, ვითარ ცო-
ცხალთა სახილველად მეწადინება ხოლმე
ჩასვლა ჩემს თეკლათში! მინდა ვეამბორო ამ
ველების, ამ გორაკების, მდინარის ამ სანაპი-
როთა საყვარელ ადგილებს, ჩემში რომ
ზრდიდა ბავშვობის აღტაცებას, ჯანსაღ ოც-
ნებას ხვალინდელ მზეზე, ვსუნთქავდე ხარ-
ბად, მთელი სიძლიერით ვიგრძნო მზის მხუ-
რვალებით გაჟღენთილი ჰაერის სიტკბოე-
ბა, ვიდგე ნაპირთან, რომ ვეცნაურო მდი-
ნარიდან მონაქროლ სიოს, სახეზე ნაზად რომ
მომეალერსება, შუბლზე ტკბილად რომ მო-
მელამუნება...

და რაც ესოდენ გვხიბლავს, სიამოვნებას
გვანიჭებს, ცხოვრებას უფრო გვილამა-
ზებს, სამშობლოში თუ მის გარეთ გვასა-

ხელებს — ცხაკაიური ხალიჩები — იქმნება აქ არაქნეს კოლხ შთამომავალთა — ლეილასა და მის თანაშედაზგეთა — მიერ, ვინც არაქნეზე გაჯავრებული ათენას წყევლის საპირისპიროდ, ქსოვს არა ბნელში, არამედ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ნაგებ და აღჭურვილ საწარმოში და თავად იგებს, საკუთარი ხელოვნებით, სიცოცხლეშივე, კვარცხლბეკს შრომით მოპოვებული უკვდავების ძეგლისათვის.

თითქოს საგანგებოდ შეურჩევიათო მშვენიერების შემქმნელი საწარმოსათვის ადგილიც მშვენიერი — ქალაქი, რაიონი. ვით ყვავილთა ნოხ-ფარდაგი, ისე ჰყვავის ეს ხმელეთი: რა საუნჯეა, რა სილამაზე. ირგვლივ ყვავილთა ნოხები მოჩანს, — უნდა მოვიშველიო ქუჩიშვილის ეს შესანიშნავი სტრიქონები ჩემი ცხაკაიას დასახატავად.

თითქოს წინასწარმეტყველური გულთამხილაობით, რომ მის ხელსაქმეს სწორედ აქ, სადღაც ახლოს დიდი ხნის შემდეგ მიმბაძველნი უნდა გასჩენოდნენ, გამოუსახავთ ოქროს საწმისისათვის კოლხიდაში მომავალ გმირებს თავიანთი არგოს კიჩოზე სახება ათენასი — თითისტარის და საქსოვი დაზგის შემქმნელისა, დახელოვნებული ფეიქრისა

და თავადაც ერგანედ (მშრომელად) წოდებულისა.

ლეილა სწორედ არაქნეს და ათენას ნიჭიერების შესადარი მქსოველია ხალიჩათწარმოებისა, სახალხო დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთ უშესანიშნავეს დარგს რომ წარმოადგენს და მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების მქონეა როგორც კომპოზიციებისა და გაფერადების, ისე წარმოების ტექნიკის მხრივ.

ბაგრამ რა აძლევს ძალას, რა შთააგონებს ლეილა კვარჭაიას ზღაპრული საქმეები აკეთოს — როცა წელიწადში, სიმჭიდროვისა და ნახატის სირთულის მიხედვით, ათითორმეტი კვადრატული მეტრი ხალიჩა იქსოვებოდა, მან კი ორფენიან ხალიჩათსაქსოვ დაზგაზე ორმოცდახუთი-ორმოცდაათი კვადრატული მეტრი მოქსოვოს... რვა საათში! მოქსოვოს არა ორმოცი ათასი, არამედ, ორმოცდაათი ათასი კვადრატული მეტრი ხალიჩა მეცხრე ხუთწლედში, და პირადი ხუთწლედი მომავალი წლის მაისში დაამთავროს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, იჯევანელ მეგობარ სომეხ თანამედაზგეებთან შეჯიბრებაში გამარჯვებულს, მოექსოვა ორი ათას შვიდას ორმოცდაოთხი კვადრატული მეტრი ხალიჩა ნაცვლად ორიათას

ხუთასისა! რომ მის ინიციატივას რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გამოსჩენოდა ასობით მიმდევარი?!. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულია ეს ქალა.

სიყვარული კი უთუოდ რითიმე არის გამოწვეული: სილამაზე და სიფაქიზე, ძალა და სიკეთე, სიამოვნება და სიტკბოება, ეშხი და მიმზიდველობა, ზრუნვა და ამაგი, ერთგულება და თავდადება... განა შეიძლება ჩამოთვალო ყველა თვისება, რაც კი ვისმე და რასმე გაყვარებს!..

მთას შესტრფი, თოვლიან-ყინულიანს, ცის მოამბორეს — მიუკარებლობისა და გულზვიადობისათვის; მდინარეს — აქაფებული ჩანჩქერებისა, მოღუღუნე ზვირთებისა თუ გულჩახვეული ჭორომებისათვის; მინდორს— სილაღისა და ყვავილთა სურნელებისათვის; ყანას — მობიბინე ჯეჯილისათვის: ტყეს — ნიავზე ფოთოლთ ჩურჩულისა თუ ფრინველთ გალობისათვის.

მაგრამ არის ქვეყნად ორად ორი სიტყვით გამოხატული რამ, რომელიც სიყვარულისათვის არ საჭიროებს ეპითეტებს: დედაშვილობა, მამულიშვილობა.

განა დედა იმისათვის გვიყვარს, რომ ლამაზია?! განა მამულის სიყვარულისათვის

მნიშვნელობა აქვს იმას, ტრამალებზეა იგი თუ მთებზე. ხრიოკია მისი მიწა თუ მწვანით მოხასხასე?! ყაზახისათვის, ლიტველისათვის, სომხისათვის, — ყველასათვის ერთნაირად საყვარელია თავისი კუთხე-სამშობლო.

და თვითეულის ეს სიყვარული დედა-მამულისადმი ის ენაა, რომელიც ერთნაირად გასაგებია ყველასათვის.

ეს სიყვარული ის კეთილი ძალაა, რომლის წინაშე დრკება ყოველივე ბოროტი.

ლეილას დაზგაზე გადაჭიმული საქსოვი ძაფები ეს თითქოს სხივებია სამშობლოს მზისა, ეს გამოსახულებაა უხილავი სიმებისა, მქსოველის გულიდან რომ არის გაბმული და მშვენიერებას ექსოვება.

ლეილას ძალა მე ვპოვე არა მარტო მის დაზგაში, არამედ აგრეთვე სამშობლოს სიყვარულში.

როცა ლეილას დაზგებზე გადაჭიმულ საქსოვში ჩემს თვალწინ ნელ-ნელა იწყო შემობრძანება საქართველომ ორნამენტებით შემოოჭვილი, მზის სხივებით და ნათელი ცით ნაფერი სახელმწიფო გერბით, ოქროსფერი თავთავებით შემოვარაყებულით, ვაზით შემოხლართულით და მყინვარწვერის გვირგვინით, ვპოვე ძალა ამ ახალგაზრდა

ქალში და წარმომიდგა, რომ მთელი ეს ნაზი არსება აეწყო ჩანგის სიმებად, და ჩემი შეკითხვა, სად ჰპოვებ, ლეილა, ძალას-მეთქი, ხემი შეიქნა, ამ სიმებზე ჩამოკრული, და მე მივიღე პასუხი ჰიმნად: — სამშობლოში.

არა მარტო თავისი სილამაზისათვის, მთებისა და ველებისათვის, ცა-ფირუზისა და ხმელეთ-ზურმუხტისათვის, არა მარტო თავისი „ლილესა“ და „მრავალჟამიერისათვის“, ქარისათვის, ცეცხლოვანი ცეკვები რომ წარმოქმნიან, ნიავისათვის, დედის „ნანას“ რომ მოგვაგონებს, ქნარისათვის, რუსთველს რომ დაუჟღერებია, არა მარტო ქვებისათვის, წინაპრებს რომ ერის უკვდავ ძეგლებად დაუტოვებიათ, არა მარტო აკვნისათვის, ქართველ დედას რომ შეუთხზავს და მამას სათუთად გამოუთლია. არა მარტო ხმლისათვის, პატარა კახსა თუ სამას არაგველთ რომ შემოსეული მტრებისათვის მოუქნევიათ, — არამედ იმისათვის, რომ მას დედა ჰქვია, — გვიყვარს ჩვენ ჩვენი საქართველო.

ეს სიყვარული კი ყველასათვის გასაგები გულის ენაა და ხიდად იდება რუსისა და უკრაინელის, სომხისა და აზერბაიჯანელის, უზბეკისა და პოლონელის, ჩეხისა და უნგ-

რელის გულამდე — ხიდად სიყვარულისა.

აი ასეთი სამშობლოა წარმოსახული და ასეთი სიყვარულია ჩაქსოვილი ლეილასა და მის თანამედაზგეთა ხალიჩებში, თბილისის საიუბილეო გამოფენაზე ლეონიდ ილიასძემ რომ მოიწონა. და ასეთი სამშობლო, ასეთი სიყვარული აძლევს მათ ძალას იყონ გმირები.

ცხაკაია-თბილისი.

(„კომუნისტი“)

წალკოტად ვაქციოთ თბილისის შემოგარენი

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინ, სკვერში, თელა იდგა, არა მგონია იქით გაგევლოთ და თავდაპირველად მისი სიდიდე და სილამაზე არ მოგხვედროდათ თვალში. ამ ხუთიოდე წლის წინ ხმობა შეეპარა, კენწეროდან ჩამოჰყვა და თანდათან ჩამოუყვითლა ფოთოლი. მომდევნო გაზაფხულზე კი კვირტი აღარ გამოუღია. ვიდრე მოსჭრიდნენ, ერთმა ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა სურათი გადაუღო, ახლაც სამუშაო ოთახში უკიდია, — დალოცვილი, რა ხე იყოო, — თავს სინანულით გააქნევს ხოლმე.

აი, ეს ამბავი მახსენდება ყოველთვის, როცა დაუდევრობით გატიალებულ ხეებსა ვხედავ. სამწუხაროდ, ეს გახსენება არ მელევა — არც აქ, თბილისში, არც ქალაქგარეთ, და არც სხვაგან. ხეების უდიერად მოპყრობა კინაღამ ჩვეულებად გვექცა. და ეს ხდება მაშინ, როცა კაცობრიობა შეშფოთებულია ჰა-

ერის მკვეთრი გაჭუჭყიანებისა და სასმელი წყლის მოსალოდნელი ნაკლებობის შიშით. თქვენ წარმოიდგინეთ, თარიღსაც კი ასახელებენ — 2.040 წელს დედამიწის მოსახლეობის უმეტესობას უწყლობა გატანჯავსო. ეს თარიღი ვინმეს შორეულად ნუ მოეჩვენება — მხოლოდ 67 გაზაფხული გვაშორებს; ჩვენი შვილები და შვილიშვილები გამოიხედავენ იქიდან და აუგად რომ არ მოგვიხსენიონ, აჯობებს, ახლავე დავიჭიროთ თადარიგი.

საბედნიეროდ, უკვე გადაიდგა საამისო ნაბიჯი. დასახულია თბილისის შემოგარენის გამწვანების გეგმა. ამის თაობაზე რესპუბლიკის პრესაში ახლახან გამოქვეყნდა გიორგი ნატროშვილისა და ნიკო კეცხოველის წერილები, რომლებსაც დიდი მოწონებით შეხვდა ყველა, ვისთვისაც უმთავრესია სამშობლოს მომავალზე ფიქრი.

თბილისის შემოგარენი ფეხდაფეხ დამივლია: უმეტესად გახრიოკებული მინდვრები, გორაკები, ხევ-ხუვები... ამ სიშიშვლის საცოდაობა უფრო მწვავედ ზაფხულის გვალვებში იგრძნობა, როცა გადატრუსულია ბალახი, როცა ფრინველი არ ჭაჭანებს არსად.

50 მილიონი ხის დარგვა, მართლაც, სათქმელად ღირს! ახლა ეს ციფრი საგრძნობლად გაიზარდა და საზრუნავმაც იმატა, მაგრამ

ტყეების აღდგენასა და გაშენებაზე - ამდენ ჯანსა და თანხას რომ ვხარჯავთ, საკითხავია ისიც, რაც შეგვრჩენია, იმას მაინც ღირსეულად ვუვლით? მთავარია, ჯერ გადარჩენილებს მივხედოთ, მისი დაცვის საკითხი მოვაგვაროთ და დანარჩენზე შემდეგ ვიფიქროთ.

ვინაიდან თავის მოტყუების დრო აღარ არის, გულახდილად უნდა ითქვას: ნაძვის ხის მოჭრისათვის უმკაცრესი სასჯელია. ასევე აკრძალულია მუხაზე, უთხოვარზე, ხიჩატელზე ნაჯახის დაკარება, სხვა ხეები კი უმოწყალოდ ნადგურდება. პრესაში ხშირად ქვეყნდება ამა თუ იმ სატყეოში ჭრის წესების დარღვევის მრავალი ფაქტი — დღის სინათლეზე გამოდის უნებართვოდ დაცემული ხეების მოზრდილი რიცხვი. დამნაშავეებს, ასე ვთქვათ, სასჯელს ადებენ. მითითება, საყვედური, მკაცრი საყვედური პირად საქმეში შეტანით... ეს მეტი თუ არა, თავზე ხელის გადასმაა. ამ შემთხვევაში, ალბათ, ასეთ გამამართლებელ მიზეზს მოიშველებენ, ის ხეები სწრაფად მზარდი ხეებიაო. კეთილი და პატიოსანი! — ბამბუკი ყველაზე სწრაფად რომ იზრდება, როგორ მოვიქცეთ, ავდგეთ და დანაშაულად ჩავუთვალოთ? და კიდევ ჩვენს ტყეებში ის ჯიშები ჭარბობენო — არც ეს გა-

მოდგება დამშვიდების საბაბად. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ სხვასაც ის დაემართება, რაც ძელქვასა და გზას დაემართა — მართლაც რომ სანთლით საძებარია!

ბავშვების დაუდევრობითა თუ ბავშვური დაუდევრობით გადამწვარი კორომები და ტყიანი ფერდობები ხშირად გვინახავს, რის მოვლა-პატრონობასაც ათეულობით წელი შეელია, ის ორიოდე საათში დაუქცევია უგულო კაცის ხელს. ამ შემთხვევაში დაუდევრობა, თქმა არ უნდა, იგივე ბოროტებაა. უყურადღებოდ მიტოვებულმა ცეცხლმა და აბოლებულმა სიგარეტმა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაგვიბუგა ტყეები, მერე რა ჭირის ოფლი არ მოგვიწურია, ამ ულმობელი ნიაღვრისათვის გზა რომ გადაგვეჭრა.

ვისაც მამული უყვარს, მისთვის ტყეც არის უპირველესი საზრუნავი...

სამი წელია მას აქეთ: ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელობას ცენტრიდან დაურეკეს, თქვენს ზონაში, ამა და ამ მიმართულებით ტყე იწვისო. რაიონის ხელმძღვანელობამ მაშინვე ფეხზე დააყენა დიდ-პატარა, დაუყოვნებლივ გასწიეს მინიშნებული ადგილისაკენ. მივიდნენ და ნახეს: ხანძარს ტყის მოზრდილი ნაჭერი წაელეკა და დანარჩენის წასალეკადაც იწევდა...

ასე იყო თუ ისე, ხანძარი ჩააქრეს, ათობით ჰექტარი გადაარჩინეს ერთბაშად გადაშავებისაგან. დასასვენებლად რომ მოიცალეს, იკითხეს, ნეტავ ქალაქმა საიდან გაიგოო. ბოლოს ესეც გაირკვა: თურმე ჩვენი სამოქალაქო ავიაციის მფრინავმა შეამჩნია და თბილისში დაშვებისთანავე აცნობა სათანადო ორგანოებს.

დარწმუნებული ვარ, იმ მფრინავმა გაზეთის მეოთხე გვერდსა და ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენის სურვილი არ ამოძრავებდა, თორემ უწინ თავის გვარსა და სახელს ჩააწერინებდა. უბრალოდ მან თავისი ადამიანური მოვალეობა შეასრულა და აქ დასვა წერტილი.

როცა საქმე მამულის კეთილდღეობას ეხება, ზოგჯერ უარი უნდა ვთქვათ საზღაურზე, თუნდაც ეს საზღაური ჩვეულებრივი სიტყვით — მადლობით გამოიხატებოდეს. ბოლოს და ბოლოს ჩვენც სამშობლოს ნაწილს შევადგენთ, და, სხვაც არა იყოს რა, საკუთარი თავისადმი მადლობის თქმა წესად არ მოგვდგამს . . .

ის ფართობი, თბილისის გამწვანების ზოლში რომ მოექცა, რამდენიმე რაიონს მოიცავს. ამ რაიონებში აუარებელი სოფელია, სოფელი კი უსაქონლოდ ჯერ არ გაგონილა. რაც

უნდა მცირე დროით მოხვდეს საქონელი ნარგავში, მთელი შრომა წყალში გადაყრილი აღმოჩნდება — ესეც დამაფიქრებელია, ვინაიდან ამხელა ტერიტორიის შემოკავება თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვაა. საერთოდ, როცა გამწვანებაზე საუბარი მესმის, ამდენი და ამდენი ხე უნდა დაირგოსო, მხოლოდ ამას უსვამენ ხაზს, იმას კი არავინ ამბობს, რამდენმა ხემ უნდა იხაროს, ანდა რამდენი ახარეს. ისე გამოდის, თითქოს მარტო დარგვა გვაინტერესებდეს, მეტი არაფერი.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება გახარებული ნარგავების რაოდენობაზე და არა დარგულთა რიცხვზე. ამ საქმისათვის პასუხისმგებლობაც სწორედ ამ კუთხით უნდა წარიმართოს. შეიძლება შემედაონ, იგულისხმებაო, მაგრამ რა იგულისხმება — ერთია, ფაქტი მეორე: შარშან ამ დროს ახალი საბავშვო ბაღის ეზოში ხეების დასარგველად მშობლებმა შაბათობის მოწყობა გადავწყვიტეთ. როგორ გეკადრებათ, ვის წამოსცდებოდა უარი! — დათქმულ დღეს კი სამოცი კაცის ნაცვლად სამნი დავყურებდით მზის გულზე დაყრილ ნარგავებს. საბედნიეროდ, არც ერთისათვის უცხო არ აღმოჩნდა ბარი და წერაქვი, და ჩვენც თავის

დაუზოგავად გავიხსენეთ სოფლის გაზაფხული. შუადღე რომ გადავიდა, საიდანღაც ჯარისკაცები გაჩნდნენ, წამოგვეშველნენ და სამუშაოც უცებ მივასუსტეთ. ორმოების ამოღებას მოვრჩით და მოულოდნელმა გასაჭირმა დაგვაფიქრა. მოგეხსენებათ, ზოგ ხეს ფესვი უნდა შეაჭრა და ისე დარგო, ზოგი — ფესვიანად, ზოგის გასხვლა აუცილებელია, ზოგი წოწკის შეჭრასაც ვერ იტანს. საბავშვო ბაღის გამგეს ვკითხეთ, ამის თაობაზე ნერგის მომტანებს ამბავი ხომ არ დაუტოვიათო. არაო. რაღას ვიზამდით, ჩვენც ავდექით და ისე დავრგეთ, როგორც მოსახერხებელი გვეჩვენა. და რა გამოვიდა? — ნახევარმაც ვერ იხარა! გამწვანების ტრესტში კი მსხვილი რიცხვებით იქნება აღნუსხული ამ საბავშვო ბაღის ეზოში დარგული და არა ნახარები ხეების რაოდენობა. ამგვარი შემთხვევა, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი არ იქნება...

ჩვენ ვფიქრობთ, ასე აჯობებს: წარმოებადაწესებულებებს და ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, ყველას გამოეყოს ნაკვეთი და მათვე იკისრონ პასუხისმგებლობა თვითეული ხის დარგვა-გახარებაზე. სხვანაირად ძნელი გვეჩვენება ამ შრომატევადი სამუშაოს დაძლევა, დროულად დამთავრება. გამოზო-

გებულ საქმეს სხვა დროს როდის ჰქონდა მადლი, მაინცდამაინც ახლა რომ ჰქონდეს.

დიდი ხანია ვაკვირდები: ამგვარ საუბარს მაშინ წამოვიწყებთ ხოლმე, როცა ბუნება იღვიძებს. მაშინ უფრო შესამჩნევი ხდება ის ნაკლი, რაც ადრე თითქოს ... ასე რიგად არ ჩანდა, ასე რიგად არ გვაფორიაქებდა. მაგრამ ხომ ცნობილია ისიც, რომ შემოდგომაზე დარგული ხე შედარებით ადვილად ხარობს? ამას გამოცდილი სპეციალისტის დასტური არ სჭირდება, ისედაც ყველამ იცის. თქმა არ უნდა, ესეც აუცილებლად გასათვალისწინებელია, თანაც შემოდგომაზე მინდვრის სამუშაოები ძილის საათებს აღარ გვიმოკლებენ...

საქართველოს ვაზის ქვეყანას ეძახიან და სამართლიანადაც, მაგრამ ამ სიკეთის კეთილი კვალი ჩვენს დედაქალაქს არ ეტყობა. ერთხელ იყო, პრესაში გამოჩნდა წერილები, თბილისში ვაზი ვამრავლოთო, გამოჩნდა და ხმაურიც მაშინვე მიწყდა. არ ვიცი, რა გვიშლის ხელს, ამ საქმეს თავი რომ ვერ მოვაბითრა დაბრკოლება გვეღობება? ალბათ, ამის თაობაზე მეცნიერები შეგვაწევენ ავტორიტეტულ სიტყვას და ბევრს შეახსენებენ უბრალო ჭეშმარიტებას: მთავარია მოწადინება, საქმის ერთგულება, ჩვენი მშვენიერი დედა-

ქალაქის სიყვარული, თორემ მიუღწეველი სხვა რა ყოფილა, ამას რომ ვერ მივაღწიოთ!

და ვიდრე ამ კითხვაზე გვიპასუხებდნენ, გირჩევთ, საბურთალოზე ეწვიოთ ვაზისუბნის ქუჩას და ნახოთ მთელ სიგრძეზე გაშლილი ვაზის ხეივანი. თითქმის ყველა ოჯახს თავისი წვლილი შეუტანია ამ კეთილშობილურ საქმეში და ქუჩა ვაზის ჩრდილში მოუქცევიათ. ახლა ჯერ კვირტიც არ არის გამოწეული და ლამაზია მაინც. დრო გაივლის და ჯიქნებად რომ დაეკიდება მტევნები, რა დიდებული სანახავი იქნება, უჩემოდაც მიხვდებით...

ყოველთვის, როცა თბილისის მწვანე სარტყელზე ვფიქრობ, ისევ ის თელა მახსენდება, ერთ დროს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინ რომ იდგა, ვუსურვებდი, ყოველ ჩვენგანს თვითეული ხის წაქცევა ისე მიეტანა გულთან, როგორც ეს იმ ბელის სურათის გადამღებს, ჩემს მეგობარს მიაქვს ხოლმე გულთან.

(„სოფლის ცხოვრება“)

გიორგი სანაღირაძე

წრთობა სიკნელით

არის თუ არა ჭეშმარიტი გმირობა, ვიქვათ, ოთხი-ხუთი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა, ან ორმოცდაათი ცენტნერი სიმინდის მიღება ჰექტარზე? ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი მომხდარა. ადამიანმა კეთილსინდისიერად, თავდაუზოგავად იშრომა, გამოიყენა ყველა რეზერვი და სასურველმა შედეგმაც არ დაახანა. იგი ჩვენი დროის გმირად შერაცხეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ადამიანები ჯერჯერობით ერთეულები არიან, რადგან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებებით დიდად ვერ მოიწონებ თავს. ყველას რომ ერთნაირი ძალით ეშრომა, ყველა უბანზე რომ დიდი, საერთო საქმისათვის თავგამოდებული ადამიანები ყოფილიყვნენ მიჩენილნი, მაშინ, ცხადია, საჭირო აღარ იქნებოდა ასეთი დადგენილებების მიღება.

მე სწორედ ერთ ასეთ თავგადადებულ ადამიანზე მინდა გიამბოთ.

ახლა შორს არის მისი სოფელი, გზისპირებზე ჩაწკაპული ლამაზი ოდები და ნაზამთრი, შეძარცვული ხეები.

მაგრამ მე ისევ თვალწინ მიდგას ის ქარცივი დილაბნელი, მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი — კარლო ალმასია, და გაზაფხულის ზოგად სიმბოლოზე ვფიქრობ. დიახ, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არსებობს გაზაფხულის ზოგადი სიმბოლო. ზოგისთვის ეს თეთრად გადაპენტილი ალუჩაა, ზოგისთვის ორღობეში აბრდღვიალებული კვარაკუნჩხა და ვაზის ლერწებზე დაკიდებული ცრემლი, ზოგისთვის ღელეზე ჩატეხილი ყინული და მოძალებული ავშანი. დასავლეთში შედარებით ადრე დგება გაზაფხული. კარლო ალმასიასათვის კი ეს დრო ჩაის პლანტაციების ბარვას ემთხვევა. საკმარისია ოთვლითა და წვიმით გაპოხილი მიწა მუჭაში მოიქციოს, მაშინვე იგრძნოს ბუნების ამ უდიადესი გარდატეხის დასაწყისი. როცა ვკითხე, თუ როგორ ხვდება ამას, უბრალოდ მიპასუხა: სუნითო. ხუმრობდა მეგონა. მაგრამ მერე, როცა უფრო ახლოს გავიცანი, მივხვდი: თუ მკვიდრად არ დგახარ ამ მიწაზე, თუ ფესვები ღრმად არ გაქვს ჩაშვებული მის უხილავ სპორებში, ვერავითარი ჯადოქრობა და განსწავლულობა ვერ გიშვე-

ლის. კარლო ალმასიას საიდუმლოც ეს იყო, იგი ამ მიწის შვილი გახლდათ და დილაბნელის გაძაგრულ სიცივეში ამობრუნებული ბელტის ოხშივარი მას ბევრ რამეს ამცნობდა. მერე ჩვენ აუჩქარებლად მივაბიჯებდით კანტორისაკენ. როგორც ვთქვი, ადრიანი დილა იყო და ოდნავ შეგალებული ჰორიზონტი კარგ ამინდს გვიქადდა. სოფელი იღვიძებდა, სადღაც ძაღლი აწკავწკავდა. სადღაც ქათმებმა საშინელი კრიახი ასტეხეს, და მაინც, სოფელი სიჩუმით იყო დაყურსული. ჩუმად იყო ჩემი თანამგზავრიც. თავი ჩაექინდრა. უქუდოდ იყო და ბორიო თმას უწეწდა, მე ბევრი რამ ვიცოდი მასზე. ვიცოდი მის უხიაგ ხასიათზე, სიჯიუტეზე, გამბედაობაზე და, რაც მთავარია, იმ გარდატეხაზე, რაც მისი თავმჯდომარეობის დროს მოხდა სოფელში.

იგი 1967 წელს აირჩიეს ოქტომბრელებმა თავიანთ თავკაცად.

მაშინ კოლმეურნეობა ყელამდე ვალებში იყო ჩაფლული. კარლომ იცოდა: ცხრა წლის მანძილზე აქ ათი თავმჯდომარე გამოიცვალა. კოლმეურნეობა ყოველ საანგარიშო წელს დიდი ზარალით ამთავრებდა. სამაგიეროდ, მომძლავრებული იყო კერძო სექტორი. ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მიწების მასობრივ მიტაცებას. სოფელი ოქტომბერი

მთელი რაიონის ერთ-ერთი უმთავრესი სატ-
კივარი იყო — ვერ იქნა და ვერ აეწყო საქ-
მე. ხოლო, რაკი წყალი აიმღვრა, უსინდისო-
სა და ავ კაცს რა დალევს ქვეყანაზე, ზოგმა
არამზადამ დრო იხელთა და საკოლმეურნეო
სალაროში მოაფათურა ხელი. მარტო იმის
აღნიშვნა რად ღირს, როცა აქ 1965 წლის
მონაცემებით ერთი კილოგრამი ღორის ხორ-
ცის მისაღებად 441 (!) მანეთი დაიხარჯა. კუ-
რიოზია? ალბათ. მაგრამ ფაქტს ვერსად გაე-
ქცევი. მოეშვა დისციპლინა. და საერთოდ,
რა საკოლმეურნეო შრომის დისციპლინა უნ-
და მოგეთხოვა ადამიანისაგან, რომელიც გამ-
გეობის სხდომაზე დასასწრებად კანტორის მე-
ორე სართულზე ცხენით ადიოდა? აი, სწო-
რედ ასეთ ხალხთან მივიდა ალმასია. თავი-
დანვე გადაწყვეტილი ჰქონდა: „მოვკვდები,
მაგრამ შერცხვენილი არ წამოვალ კოლმე-
ურნეობიდან“. ასეთი რწმენით შეაბიჯა მის-
თვის განკუთვნილ კაბინეტში. შეაბიჯა და...
ხედავს: სამუშაო მაგიდაზე ვეება ტანის
ახალგაზრდა ჩამომჯდარა. არც ირხევა. უტი-
ფრად იღიმება. ფიქრის დრო არ იყო. თვა-
ლისდახამხამებაში (ან როგორ ეყო ძალა!)
წაავლო ჭაბუკს ხელი, აიტაცა, კარის
წყრთილს შეახეთქა და შემდეგ მოსაცდელ-
ში ისროლა. ისროლა და კარი გაიხურა. ეგო-

ნა ჭაბუკი შემოუვარდებოდა. რა დასამალია, — ელოდა კიდეც. მაგრამ ჭაბუკის მაგივრად შემკრთალი მდივანი გოგონა აილანდა ზღურბლზე. ხოლო მისაღებში მოდენილი ბრაგვანის ხმა მთელს სოფელს გადაწვდა: „გაიგეთ, რა მოხდა? გაიგეთ?“

— შეიძლება მითხრათ არაკომუნისტურად მოიქეცით, — გაიღიმა კარლომ, — მაგრამ მე სხვანაირად არ შემეძლო. იმ წუთს ზრდილობის გაკვეთილის კითხვა რომ დამეწყო, მაინც არაფერი გამოვიდოდა. უყურე შენო, მეტყოდა, ბოდიშსაც მომიხდიდა. მეორე დღეს კი ისევ დამხვდებოდა მაგიდაზე წამოპლაკული . . ამით კი მარტო მისთვის არ გამიცია პასუხი, მე სხვებიც მყავდა მხედველობაში . . .

იყო თუ არა გაბრაზებული? იყო და როგორ!

დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. ოჯახში გადაწყვიტეს: დავკარგეთ მამა! დაიკარგა იგი ნათესავებისათვის, მეგობრებისათვის . . .

განათლებით ეკონომისტი ხედავდა, რომ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში იყო. რომ მის ახალგაზრდულ მხრებს საოცრად მძიმე ტვირთი დააწვა . . . „გაგეცინება, — მითხრა კარლომ, — ამ წუთს თითქოს ფრონტზე ვიყავი, უხილავი მტრის წინაშე ვიყავი . .

დაზავებით წასვლა შერცხვენას ნიშნავდა. გამოსავალი ერთი იყო მხოლოდ... ეეჰ, ახლა ძნელია, ასე ერთი სიტყვით ყველაფრის გამოხატვა, ძალიან ძნელი... ამისათვის თავიდან ერთად უნდა ვყოფილიყავით...რა უნდა დაინახო ციფრებისა და მონაცემების მიღმა? სული? ამას დიდი დრო უნდა".

კარლო მაღალი ტანისაა. ხმელ-ხმელი და დაკუნთული. შეხედავ — მოგეწონება, სოფელს კი... ბევრს მაინცდამაინც არ მოსწონებია იგი, როცა საკარმიდამო მიწების გადაზომვა დაიწყო და ორას ოთხმოცი ჰექტარი ზედმეტი ფართობი ჩამოაჭრა. შეხვდა თუ არა სიძნელეები? ამაზე კარლო არაფერს ამბობს. იღიმება და სადღაც შენს მიღმა იყურება.

სოფელს კი ახსოვს: რამდენჯერ სცადეს მისი დაშინება. რამდენჯერ შემოუგდეს უსახელო წერილი — კოლმეურნეობას მოეშვიო... ალმასია ჯიუტად, თავჩაღებულად ადგა თავის საქმეს. სოფელი ბევრ კარგ მშრომელს ითვლიდა. მათ შემაგულიანებელი და წინამძღოლი სჭირდებოდათ. ასეთ კაცად მათ კარლო ალმასია მიიჩნიეს. მიენდვნენ. ერთობლივმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო. პირველ წელსვე კოლმეურნეობის ეკონომიკამ ცოტა შვებით გაახილა თვალი. მაგ-

რამ, როგორც ეტყობა, ზოგ მათგანს არ მოეწონა ეს წადიერება. საჩუმათოდ ლესავდნენ ბოღმას. მერე ერთობლივად შეჰკრეს პირი და ლოთს, უნებისყოფოსა და პირადი კეთილდღეობის ნაჭუჭში ჩამძვრალ არამზადას ამოეფარნენ, შეაგულიანეს და „ანგარიშის გასასწორებლად“ წამოაგდეს...

იმ დღეს კარლო ალმასიას გამგეობის სხდომა ჰქონდა დანიშნული...

მას არ უყვარს ამ შემთხვევის გახსენება. არც სოფელს უყვარს. ერთი ცხადი იყო, იგი სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ლოთს ღონემ უმტყუნა, დაჭრა კი. არა, არ იფიქროთ, რომ ჩაიშალა გამგეობის სხდომა: კარლო ერთიანად გასისხლული, ფერდაკარგული წარსდგა სოფლის წინაშე... შემაძრწუნებელი სურათი იყო. ფანატიზმია? ალბათ. მაგრამ ასეთი თავდადება რომ არა, შეიძლება ოქტომბერში იგივე მდგომარეობა ყოფილიყო.

საერთო საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. ადამიანებმა თუ არ დაგიჯერეს, თუ გულით არ გიწამეს, მათთან ვერასოდეს იპოვი საერთოს... ამიტომ არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კრიტერიუმები — ასე თუ მოიქცევი, ყველაფერი კარგად იქნებაო. მიწა რომ მიწაა, მასაც თავისი მეთარგე და მეგუნებე ჰყავს.

ასეა სოფლის სულის უხილავი სათავსოც. ძნელია იქამდე მისვლა, მაგრამ რაკი მივედით, ჩათვალე, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული.

თავდაპირველად გაუჭირდა კარლოს ამ უხილავ სათავსომდე მიღწევა. ჰოი, როგორ გაუჭირდა. იმ შემთხვევამ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყველა მითქმა-მოთქმას — ბოლოსდაბოლოს, ვისი კეთილდღეობისათვის იღუპებოდა ეს მართლაც ალმასივით კაცი? შერცხვა სოფელს. უცნაურმა ჟრუანტელმა აიტანა. ბოლოსდაბოლოს, რას სთხოვდათ ისეთს ეს მართლაც ალმასივით კაცი? ყველამ თქვენს შესაძლებლობებზე ცოტათი მეტი გააკეთეთო . . .

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა. მაგრამ კოლმეურნეობამ გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. კარლო ეკონომისტია, როცა თავისი ხალხის წარმატებების აღნიშვნა უნდა, ციფრებს იშველიებს. ჟურნალისტებს კი მათ მოყვანას უშლის. მაშ, როგორ ვთქვათ, რომ მისმა ჩაის მკრეფავებმა რაიონში ყველაზე მეტი საჰექტარო მოსავალი მიიღეს? რომ ოქტომბერმა მარცვლეულის მოსავლის გეგმის გადაჭარბებისათვის პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო? რომ კოლმეურნეობაში

მის მოსვლამდე ერთ კაცდღეზე ერთი მანეთი და სამოცი კაპიკი დარიგდა, შარშან კი — ხუთი მანეთი და ორმოცი კაპიკი? ამ ციფრების მიღმა, თითქოს სარკეში, ისე ნათლად მოჩანს შრომის შედეგები. ანდა როგორ გამოტოვებ ასეთ ფაქტს: 1967 წლის კოლმეურნეობის შემოსავალი იყო 480 ათასი მანეთი, წელს კი ამ ციფრმა ერთი მილიონ 287 ათას მანეთს მიაღწია, რის შედეგადაც მიღებულია 390 ათასი მანეთი წმინდა მოგება! ხომ შიშველი სტატისტიკაა, მაგრამ მათ მიღმა რამდენი უძილო ღამე, ფიქრი, შრომა და რა გმირობა იმალება!

ასე წამიერ, თვალის ერთი გადავლებით მართლაც ძნელია ამ დიდი საერთო საქმის ყველა კუნჭულში შეხედვა.

ერთს ვიტყოდი მხოლოდ, კიდევ ერთ შტრიხს კარლო ალმასიას პორტრეტისათვის. იგი ერთგულია მინდობილი საქმისა, ერთგულია უსაზღვროდ და ამ ერთგულების დასამტკიცებლად თავსაც არ ზოგავს. მაგრამ შეიძლება საქმეს შესწირო ყველაფერი, წახვიდე და შენი საქმეც დამთავრდეს . . . კარლო ალმასია წინ იხედება. ფიქრობს იმ დღეზე, როცა მისი დაწყებული საქმე სხვამ უნდა გააგრძელოს. მას უნდა, რომ ეს ადამიანი იყოს მასზე უფრო მტკიცე, მასზე უფრო

ერთგული, მასზე უფრო მცოდნე . . . ეს არის და ეს.

გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ოქტომბრელთა თავკაცი სათოფედაც არ იკარებდა ჟურნალისტებს. ალმასიას „მიუკარებლობისა“ და „არასტუმართმოყვარეობის“ მითში ისევ „ვიღაცის“ ხელი ურევია. ჩემი პატარა ჭკუით, ამ „ვიღაცას“ არ უნდოდა ოქტომბერში მომხდარი ასეთი ფერისცვალების გამოტანა სამზეოზე. კარლოს კი, ვინ იცის, როგორ სჭირდებოდა ცოცხალი, მებრძოლური სიტყვა, მხარდაჭერა.

(„სოფლის ცხოვრება“)

სოფელი ოქტომბერი,
ზუგდიდის რაიონი.

გურამ ფანჯიკიძე

ოქროს ვარსკვლავის კავალერი

სოციალისტური შრომის გმირების ესტაფეტა

ჩემი სახლის პირდაპირ სამი უზარმაზარი შენობა დგას. ამ შენობებში თბილისელი მეტრომშენებლები ცხოვრობენ. მათ შრომით გამარჯვებებთან, მათ მარჯვენასთანაა დაკავშირებული თბილისის მეტროპოლიტენის დროული და მაღალხარისხოვანი მშენებლობა. ამ შენობებში შრომითი დღე ძალიან ადრე იწყება. მუშები თუ ინჟინრები, ელექტრიკოსები თუ მძღოლები, მებეტონეები თუ მნგრეველები, მემანქანეები თუ მეარმატურეები უთენია მიისწრაფვიან სამუშაოსაკენ. მე ყოველდღე ვხედავ მათ კეთილ, ზრუნვით და ფიქრით აღსავსე სახეებს. მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებმაც თავიანთი შრომით და გამჭრიახობით მთელს რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი, მაგრამ დღეს მხოლოდ

ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ. მისი სახელი და გვარია **გრუზო ობოლაძე.** თუმცა ძალიან ძნელია, რაიმე თქვა ან დაწერო იმ კაცზე, რომლის შრომითი მიღწევები საქვეყნოდაა ცნობილი.

გრუზო ობოლაძეს საქართველოში ყველა იცნობს და აფასებს, ვინც კი შრომის მადლი და ყადრი იცის. მასზე უამრავი სტატია წაუკითხავთ, ფოტოსურათებიც ხშირად უნახავთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ტელევიზორის ცისფერ ეკრანებზეც ბევრჯერ უხილავთ მისი თავდადებული საქმიანობა. მთელს საქართველოს კი არა, მთელს საბჭოთა კავშირს მოედო გრუზო ობოლაძის და მისი ბრიგადის შრომითი მიღწევების ამბები. ამიტომაც იყო, რომ მას, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებს შორის ერთ-ერთ პირველთაგანს მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ძნელია, ისეთი წარმატებები მოიპოვო შრომის ფრონტზე, რომ შენი დამსახურება ასეთი მაღალი ჯილდოთი აღნიშნონ. მაგრამ უფრო ძნელია, გმირის ვარსკვლავის კავალერი გახდე მიწისქვეშ, ურთულეს სამუშაოზე. დიახ, გრუზო ობოლაძე თბილგვირაბმშენის მნგრეველი გახლავთ. და თუ დღეს ცისფერი ექსპრესებით ყოველდღიურად ათეულ ათა-

სობით მგზავრი დაჰქრის მიწისქვეშა მაგისტ-
რალებზე, ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის
გრუზო ობოლაძეს და მის ბრიგადას.

შრომის დროს ლომივით მბრდღვინავი
გრუზო ცხოვრებაში ძალზე წყნარი და თავ-
მდაბალია. ჩვენ თითქმის ყოველ საღამოს
ვხვდებით ერთმანეთს. სამსახურიდან დაბრუ-
ნებული გრუზო თავის „კოლხოზნიკს“ გვერ-
დზე მიაყენებს ხოლმე და შინ ასვლამდე
აუცილებლად ჩამოჯდება ეზოში, მოშრიალე
ჭადრების ჩრდილში. იშვიათად რომ თავის
თავზე ან თავის საქმეზე გელაპარაკოთ. თბი-
ლად მოგიკითხავს, მერე ცას გახედავს და იტ-
ყვის, ამ შაბათ-კვირას თუ კარგი ამინდი იქ-
ნა, რაჭაში გადავალო.

— როდესაც მდინარე კრიხულას პირას
წამოვწვები, ჩემს მშობლიურ სახლთან, ათმა-
გად მემატება ენერგია. — ამბობს გრუზო.

მიწისქვეშ, წყლიან გრუნტში მუშაობამ
თავისი დაღი დაამჩნია გრუზო ობოლაძის
ფილტვებს. მაგრამ ცნობილი მნგრეველი
არ შეშინებულა, გვირაბიდან არ გაქცეულა.
გაიკაჟა სხეული და თავისი ბრიგადის ბიჭებ-
თან ერთად კვლავ თავდადებულად შეუდგა
საქმეს.

იმ დღესაც გრუზო სამსახურიდან დასვენე-
ბის შემდეგ, ჩვეულებისამებრ ჭადრების

ჩრდილში ხის მერხზე ჩამოჯდა. მეც იქ ვიჯე-ქი და პატარა ბიჭების თამაშს ვუყურებდი. ისინი ჩვენი ეზოს პატარა მოედანზე საგულ-დაგულოდ დასდევდნენ ბურთს. გრუზომ საუბარი ფეხბურთზე ჩამოაგდო, მერე ათას რამეზე გადავედით. თავის სამუშაოზე კი ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

მეორე დღეს, როცა გაზეთი „თბილისი“ გადავშალე, პირველსავე გვერდზე გრუზოს პორტრეტს მოვკარი თვალი. „სოციალისტური შრომის გმირის გრუზო ობოლაძის ბრიგადის ძვირფასი წამოწყება. ქალაქის მნიშ-ნელოვანი სამშენებლო ობიექტი ვადამდე ერთი წლით ადრე დამთავრდება“, — სათა-ურშივე იუწყებოდა გაზეთი.

— შე კაი დედმამიშვილო, — ვუთხარი სა-ღამოს გრუზოს, — გუშინ რას არ მოვედეთ, მთისას თუ ბარისას, ამ შენს წამოწყებაზე ვერაფერი მითხარი?

— რა უნდა მეთქვა, ეგაა ჩემი ხელობა! — იღიმება გრუზო.

— მაინც რა განგიზრახავთ? — არ ვეშვე-ბი მე.

— ბევრი არაფერი. მე და ჩემს ბრიგადას გვინდა, რომ ერთი წლით ადრე გადავცეთ ახალი ობიექტი. ეს არის მეტროს სადგურ

„სამგორიდან“ კახეთის გზატკეცილზე გამავალი მიწისქვეშა გასასვლელის აგება.

როგორც თანდათან გამოირკვა. საუბარში, ეს არც ისე იოლი საქმე ყოფილა, როგორც მას თავმდაბლობით მიხატავდა გრუზო ობოლაძე. ეს გადასასვლელი გვირაბი უნდა გაიყვანონ ძალზე რთულ ტექნიკურ პირობებში, მოქმედი სარკინიგზო ხაზების ქვეშ. ამ სამუშაოების შესრულებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს თბილისის საკვანძო სადგურის ნორმალური საექსპლოატაციო მუშაობა.

ახალი მიწისქვეშა გადასასვლელის სიგრძე იქნება 125 მეტრი, გეგმით ამ გვირაბის მშენებლობა უნდა დასრულდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1975 წელს.

21 ივნისს გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე გრუზო ობოლაძემ წარადგინა თავისი გეგმები, მოსაზრებანი და ვალდებულებანი. სანამ იგი თავის განზრახვას ოფიციალურად განაცხადებდა, დიდი პასუხისმგებლობით შეისწავლა თავისი რეზერვები, შესაძლებლობანი, გაითვალისწინა ახალი ობიექტის მნიშვნელობა ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის და გადა-

წყვიტა შეემუშავებინა შემხვედრი გეგმა. ბრიგადის წევრებთან ერთად შეიმუშავა აგრეთვე სოციალისტური ვალდებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ სამუშაოების დასრულებას დადგენილ ვადამდე ერთი წლით ადრე.

გრუზო ობოლაძემ ამ ვალდებულების გასანაღდებლად შექმნა კომპლექსური ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში არიან მნგრეველები, მებეტონეები, მემონტაჟეები, ზეინკლები. ბრიგადამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელ საქალაქო კომისიას წარუდგინა თავისი ვალდებულებანი, რომლითაც იწყებს ხუთწლედის მეორე ნახევარს. აი ეს ვალდებულებანიც:

„ბრიგადამ ყოველთვიურად ააგოს სულ ცოტა 20 მეტრი გვირაბი და გადასასვლელი, რითაც თითქმის ერთიორად გადააჭარბებს არსებულ ნორმატივს!

წლევანდელი წელიწადის მესამე კვარტალის დამთავრებამდე დაასრულოს კახეთის გზატკეცილის მხრივ დახრილი გვირაბის გავლა და შემოკეთება;

დაზოგოს 10 ათასი მანეთი;

1973 წლის გეგმა შეასრულოს პირველი ოქტომბრისათვის;

ბრიგადაში ჩაირიცხონ ახალი კონტინგენტის ახალგაზრდა მუშები და სწავლების გზით მიაღწიონ მათთვის მეხუთე თანრიგის მიკუთვნება“.

ბრიგადის დავალებით სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობამ საქალაქო კომისიას განუცხადა:

„თავისი შრომით ჩვენს ბრიგადას სურს ნშობლიურ თბილისს — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს მიუძღვნას ახალი შრომითი საჩუქარი. შეეცდებით ეს გავაკეთოთ ყველაზე მოწინავე მეთოდებით, მომიჯნავე პროფესიების დაუფლებით, უახლესი ტექნიკის დანერგვით, ნედლეულისა და მასალების მკაცრი ეკონომიით, აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ხშირი შემოწმებით. ჩვენი შეჯიბრების დევიზია: ვიშრომოთ შემხვედრი ვალდებულებებით, დაძაბული გეგმით, მივაღწიოთ მშენებლობის მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

გადავწყვიტეთ რა ვადამდე ერთი წლით ადრე გადავცეთ ახალი ობიექტი, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ მთავართბილმშენის ბრიგადას, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან ჭელიძე. დაე ჩვენი ბრიგადების შეჯიბრებამ დაუდოს სათავე სოციალისტური შრომის

გმირების შრომის ესტაფეტას, დაგვეხმაროს, რომ გამოვძებნოთ და უკეთ გამოვიყენოთ მდიდარი რეზერვები მშენებლობისა, წარმოების გადამწყვეტ, დამკვრელურ უბნებზე მუშაობის ტემპებისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად, მე-9 ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის!“.

გრუზო ობოლაძის ბრიგადის ახალ ობიექტზე სამუშაოები დიდ ტექნიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შრომის უკეთ ორგანიზაციის მიზნით მიწისქვეშა გადასასვლელის გაყვანა იწარმოებს ორივე მხრიდან და სამ ცვლად.

მართალია, სამუშაო ძალზე რთულია და შრომატევადი, მაგრამ არც გრუზო ობოლაძეს და არც მისი ბრიგადის წევრებს არ შეშინებიათ „ხელთათმანი გადაეგდოთ“ ვალერიან ჭელიძის ბრიგადისათვის. ვალერიან ჭელიძემ და მისმა ბრიგადამ ღირსეულად მიიღეს გრუზო ობოლაძის გამოწვევა და მეორე დღესვე შეჯიბრების საქალაქო კომისიას თავისი საპასუხო წერილი გადასცეს, რომელშიაც აღნიშნულია მათ მიერ ნაკისრი შემხვედრი სოციალისტური ვალდებულებები:

„ყოველთვიური დავალება შეასრულონ არანაკლებ 130 — 135 პროცენტით;

ლიტველი მშენებლების თაოსნობისამებრ დანერგონ ბრიგადის მოძრაობის ნახევარი წლის ბრიგადული გრაფიკი;

იოსებიძის ქუჩაზე 72 ბინიან რვასართულიან საცხოვრებელ სახლში, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა გეგმით მეოთხე კვარტალშია გათვალისწინებული, სადურგლო სამუშაოები ჩინებული ხარისხით დაამთავრონ აგვისტოში, იმ ვარაუდით, რომ საცხოვრებელი სახლი საექსპლოატაციოდ ვადამდე, ე. ი. 1973 წლის მესამე კვარტალში გადასცენ;

მეოთხე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასაცემად მოამზადონ 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლი ნუცუბიძის ქუჩაზე;

მასალების ყაირათიანი და ეკონომიური ხარჯვით მიაღწიონ ხუთი ათასი მანეთის ეკონომიას;

დაბალი თანრიგის მუშებიდან მოამზადონ მეოთხე თანრიგის სამი დურგალი;

მესამე კვარტალში დაეხმარონ სამმართველოს ჩამორჩენილ ბრიგადას რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოში ათასი კვადრატული მეტრი ფართობის პარკეტის იატაკის დაგებაში;

ბრიგადის წლიური დავალება შეასრულონ 1973 წლის პირველი დეკემბრისათვის“.

გრუზო ობოლაძეს მეორე დღესვე შევხვდი და ვალერიან ჭელიძის ბრიგადის ვალდებულებანი ვაჩვენე. მას არაშც თუ წაკითხული, უკვე შესწავლილი ჰქონდა „მოწინააღმდეგის“ მომავალი სამოქმედო გეგმა და ამოცანები.

— რას იტყვი? — ვკითხე მე.

— რა უნდა ვთქვა. თუ ჩემი და ჩემი ბრიგადის დასამარცხებლად ამდენი რამის გაკეთებაა საჭირო, არ ვყოფილვართ ურიგო ბიჭები, — იღიმება გრუზო, — მაგრამ ერთ საიდუმლოს გაგანდობ, იოლად არავის არაფერს დავუთმობთ.

— გრუზო, გაიხსენე ის დღეები, როდესაც ყველაზე უფრო ბედნიერი იყავი ცხოვრებაში.

— ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება ის დღეები, როცა შვილები შემეძინა. კიდევ ერთი დღე არ წაიშლება არასდროს ჩემი მეხსიერებიდან. ეს იყო მოსკოვში. მე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატმა, დარბაზში გავიგე, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა. მიმიხვდებით, როგორი სიხარული და მღელვარება შემიპყრობდა.

დღეს, როცა ჩვენი გაზეთის მკითხველები დღევანდელ ნომერს მიიღებენ, გრუზო ობო-

ლაძე თავისი ბრიგადით უკვე შებმულია თავისი ახალი ვალდებულებების შესრულების მეხუთე დღეს.

— სტარტი ყოველთვის ძნელია, — ამბობს გრუზო ობოლაძე, — თუმცა პირველი ოთხი დღის შედეგით უკმაყოფილო როდი ვართ. მერე საქმე თანდათან აეწყობა, კალაპოტში ჩადგება და ის რეჟიმი, რაც დღეს ახლებურად და დაძაბულად მიგვაჩნია, რაც გამარჯვებად და გეგმის გადაჭარბებად მიგვაჩნია, ყოველდღიური ნორმა გახდება. მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, მარტო მონდომება ვერაფერს გვიშველის, საჭიროა, საქმეს შემოქმედებითად, რაციონალიზატორულად მივუდგეთ, გამჭრიახობა და მიხვედრილობა გამოვიჩინოთ.

ამ საღამოს კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. მე არ ვიცი მას მოეწონება თუ არა ჩემი ნარკვევი. ერთი კი ცხადია, თუ იგი სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ჩვეულებისამებრ ჩამოჯდება ჭადრების ჩრდილში, ჩემთვის ნათელია, რომ დღევანდელი შრომითი მაჩვენებლებით კმაყოფილია გრუზო ობოლაძე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, უმნიშვნელო წარმატებებით როდი კმაყოფილდება ოქროს ვარსკვლავის კავალერი. ეან პირველმა აიტაცა ხელში სოციალისტური შრომის გმირების

.მრომითი ესტაფეტა და ვუსურვოთ გაშარჯ-
ვებით დაეგვირგვინებინოს თავისი შესანიშ-
ნავი წამოწყება.

(„ლიტერატურული საქართველო“)

ოცდაოთხი წელი მარტენის ღუმელთან

„განსაცდელში ჩავარდნილი ვაჟკაცი გი-
ნახავს? მაშ რა გინახავს უფრო ლამაზი ამ
ქვეყანაზე?!“ — კონსტანტინე ლორთქიფა-
ნიძის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა პირვე-
ლად ვნახე რუსთავის მეტალურგიული ქარხ-
ნის მარტენის საამქროს მესამე ღუმელის
მოწინავე მეფოლადე ილია ქოქიაშვილი. ღუ-

მელში ცეცხლი მძვინვარებდა. აბაზანაში ძალზე უხარისხო თუჯი დუღდა. მის შემადგენლობაში შეუწყნარებლად დიდი პროცენტით იყო მავნე მინარევები: გოგირდი და ფოსფორი, ხოლო ძალზე მცირე სილიციუმი და მანგანუმი.

ახლა საქმეს მარტო თავდადებული შრომა და მონდომება ვეღარაფერს უშველიდა, საჭირო იყო დიდი ოსტატობა და დიდი ინტუიცია, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს ნამდვილ მეტალურგს. ხშირად, ასეთ შემთხვევებში მეფოლადე ალღოთი მოქმედებს, რადგან ფიქრისა და განსჯისთვის დრო აღარ არის. ყოყმანში გატარებული ყოველი წუთი 10 — 15 წუთის დაკარგვას უდრის.

ილია ქოქიაშვილი და მისი პირველი და მეორე ხელშემწყობი მეფოლადეები (რატომღაც ასე ჰქვია ამ თანამდებობებს) შოთა ბიჩინაშვილი და სიმონ ცხვარიაშვილი ლომებივით ტრიალებდნენ ღუმელთან.

მესამე ხელშემწყობი სად არის მეთქი, — ღუმელის გუგუნში ძლივს გავაგებინე მარტენის საამქროში საამქროს უფროსს ქაშაკაშვილს, რომელმაც თვითონ მირჩია ნარკვევი ილია ქოქიაშვილზე დამეწერა.

გურამ ქაშაკაშვილმა მითხრა, აქ არ არის მაგაზე ლაპარაკის დრო, მერე აგიხსნიო.

ვიდექით ორივენი და მეფოლადეს ვაკვირდებოდით. მასთან მისვლა არც ერთს აღარ მოგვსვლია აზრად, ვიცოდით, ახლა ილია ქოქიაშვილს ჩვენთვის არ ეცალა.

მდუღარე ფოლადიდან გოგირდის და ფოსფორის ამოწვა ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებთან არის დაკავშირებული.

ილია ქოქიაშვილმა ბრძანება გასცა, ღუმელში ტემპერატურა შეემცირებინათ. იკლო მფრქვევანების გუგუნმა, ცეცხლის ალი ახლა უკვე ისე აღარ ასკდებოდა ღუმელის კედლებს, როგორც წეღან. ილიამ გადაწყვიტა დაბალ ტემპერატურაზე ჯერ ფოსფორი მოეცილებია მთლიანად, როცა ტემპერატურამ სათანადო დონეზე დაიწია, მეფოლადემ პირველი წიდა მთლიანად მოხადა, რომელსაც დიდი რაოდენობით გააყოლა ფოსფორი. ახლა საჭირო იყო სასწრაფოდ შეექმნათ მეორე წიდა. აბაზანაში ელვისებურად ჩატვირთეს რამდენიმე როფი კირი და ერთი როფი ბოქსიტი. ამასობაში ილიამ ხელშემწყობი გაგზავნა საჩამომსხმო მილში მეორე საწიდე ციცხვის გასამზადებლად. ციცხვი ელვისებურად გაამზადეს ღუმელის ქვეშ. ახლა კი ილია ქოქიაშვილმა მემანქანეს ანიშნა ღუმელში ერთი როფი რკინის მადანი ჩატვირთეო. ეს შემდეგი გარემოებისათვის იყო საჭი-

რო: რკინის მადნის მაღალი კონცენტრაცია წიდაში ქმნის მაღალ დამჟანგველ ატმოსფეროს. იმის გამო, რომ ფოსფორის დაჟანგვის რეაქცია ძალზე ეგზოთერმიულია, ე. ი. თან ახლავს დიდი ტემპერატურის გამოყოფა, ღუმელში საჭიროა დაბალი ტემპერატურა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მარტენის ღუმელში 1500 გრადუსი ტემპერატურაც კი დაბალ ტემპერატურად ითვლება. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ მზის ზედაპირის ტემპერატურა 6000 გრადუსს შეადგენს. შეციებული ფოსფორით გაჟღენთილი წიდა ილია ქოქიაშვილმა კვლავ მოხადა.

ერთი ამოცანა მეფოლადემ უკვე შეასრულა, აბაზანაში მდუღარე ფოლადს ფოსფორი მოაშორა. ახლა ჯერი გოგირდზე მიდგა. მოცილებულ წიდას გოგირდის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გაჰყვა, დანარჩენი კი კირს აეწიდა. ღუმელში ტემპერატურას შოუმატეს. ცეცხლი კვლავ გამძვინვარებული ლომივით ასკდებოდა მარტენის კედლებს. ლითონის ტემპერატურის მომატებასთან ერთად, რაკი ღუმელში წიდა მაღალფუძიანი იყო, გოგირდი სწრაფად მოსცილდა ლითონს . . .

ილია ქოქიაშვილმა შუბლზე ოფლი ჩამოიწმინდა, გვერდზე გადგა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. სახეზე კმაყოფილება დასთამა-

შებდა, თუმცა ძალზე მოღლილი იყო. 185-ტონიანი ღუმელი მის ძალასა და ნებას ემორჩილებოდა. მარტენის აბაზანაში მბორგავი თხევადი ფოლადი მან მარკით გათვალისწინებულ ფარგლებში მოაქცია.

მაგრამ ის, რაც აქ ორიოდე აბზაცით აღვწერე, სინამდვილეში იოლი საქმე როდია. ამ ოპერაციებს მეფოლადის მარტო თავდადებული შრომა ვერ გასწვდება და ვერ გაუძღვება. აქ, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეფოლადის გამოცდილებას, რადგან გოგირდისა და ფოსფორის მოშორების (რომელსაც ტექნიკურ ენაზე დესულფურაცია და დეფოსფორაცია ჰქვია) მრავალი ვარიანტი არსებობს. ეს ვარიანტები სხვადასხვა სიტუაციების დროს დამოკიდებულია კაზმის ქიმიურ შემადგენლობაზე, ღუმელის სპეციფიკურ თვისებებზე, ცეცხლგამძლე აგურის ქიმიურ შემადგენლობაზე, ღუმელის თბურ რეჟიმზე და სხვა. მეფოლადის ინტუიცია და გამოცდილება სწორედ ის არის, რომ აღებულ მომენტში იპოვოს პროცესის გაგრძელების ყველაზე სწორი ვარიანტი, რათა არ დაიკარგოს არც ერთი ზედმეტი წუთი. სწორედ ასეთი ვირტუოზული დნობის მოწმენი გავხდით ჩვენ, როცა ილია ქოქიაშვილი, მიუხედავად მძიმე

პირობებისა, არამც თუ ჩაეტია ინსტრუქციით გათვალისწინებულ დროში, არამედ 40 წუთი მოიგო კიდეც.

მივხვდი, ახლა მას ჩვენთვის არ ეცალა. საამქროს უფროსთან ერთად საამქრო დავტოვეთ. მალე გურამ ქაშაკაშვილის კაბინეტში ვიჯექით. საამქროს უფროსმა აქ გამცა პასუხი იმ კითხვაზე, ქოქიაშვილის ღუმელთან რომ მივეცი, მესამე ხელშემწყობი სად არისმეთქი.

— ქარხანას მუშახელი აკლია, — თქვა გურამმა, — სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოგვარების პერსპექტივები კი არ ჩანდა. ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ჩვენი მეფოლადეები თვიურ ხელფასს 300 მანეთს იღებენ, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც გაქცევა ამჯობინეს. საამქროდან გაიქცა ორი შესანიშნავი მუშა, მემანქანე ჯემალ ნატროშვილი და მეფოლადე ნიკოლოზ ორლოვი. პირველი, რომელსაც მეცხრე თანრიგი ჰქონდა, „ცემენტრემონტში“ მოეწყო, მეორე კი — სანტექნიკოსად, სადაც მისი ხელფასი 60 თუ 65 მანეთს შეადგენს. მაგრამ ამჟამად ჩვენ ხალისიანად შევყურებთ მომავალს. იმ მრავალ გადამჭრელ ღონისძიებათა შედეგად, რომელიც ახლა რესპუბლიკაში ტარდება, ყველაფერი თავის ადგილას დად-

გება და მეფოლადე თუ ჩვენი გიგანტის სხვა სპეციალობის მუშები აღარც კი გაიფიქრებენ ქარხნის მიტოვებას. ილია ქოქიაშვილს კი პატივს იმიტომ ვცემთ, რომ იგი მარტენის ღუმელთან ჩვენი ქარხნის გახსნის პირველი დღიდან დგას და უკვე ოცდაოთხი წელია ვაქკაცურად ებრძვის ფოლადს. ლითონთან ბრძოლა კი ძნელია. ილია ქოქიაშვილმა ცალ თვალში სანახევროდ სინათლეც კი დაკარგა ამ ბრძოლაში, მაგრამ ცნობილ მეფოლადეს არ ახსოვს, რომ როდესმე ღუმელს ფრთებ-ჩამოყრილი დაშორებოდეს, მის მიერ გამოშ-ვებული ფოლადი მარკაში არ მოხვედრილი-ყოს. ავარიულ დნობებზე ხომ ზედმეტია ლა-პარაკი.

მეორე დღეს ილია ქოქიაშვილი მთელი დღე ისვენებდა, რადგან შემდეგ ღამის ცვლა-ში გადადიოდა. მარტენის საამქროს უფროს-მა მირჩია, სჯობია, ხვალ შეხვდე, მე ვეტყვი და თბილისში ჩამოვაო. ადგილიც დავთქვით და დროც. მართლაც, მეორე დღეს ერთი წუ-თიც არ დაუგვიანია მოწინავე მეფოლადეს. ჩემს წინ იჯდა ბრგე, დაკუნთული ვაქკაცი, იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიყვება თავის ბიოგ-რაფიას. თავის გულისტკივილსაც არ მალავს. ძალზე გახარებულია იმ სიახლეებით, რაც ახლა რესპუბლიკაში ხდება. ორი შვილი

ჰყავს, ლილი და ვასილი. ლილი წელს ამთავრებს მუსიკალურ სასწავლებელს. ვასილი კი მარტენის საამქროში მუშაობს, თუმცა თვალი სამედიცინო ინსტიტუტისაკენ უჭირავს. შარშან 17 ქულა მოაგროვა და ვერ მოხვდა, ეს მაშინ, როცა 15 ქულიანები ჩარიცხესო, — მწარედ იღიმება ილია ქოქიაშვილი, — იმედი მაქვს, წელს მაინც შეუსრულდება ოცნებაო.

თვითონ თვრამეტი წლის ბიჭი იყო, 1944 წელს სასწავლებლად რომ გაემგზავრა დონბასში, მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში. მას მერე თავისი სპეციალობისათვის არ უღალატია, ზოგიერთებივით ქარხნიდან არ გაქცეულა იოლ შემოსავალს დახარბებული.

რუსთავის მეტალურგიული გიგანტის ამუშავების პირველი დღიდანვე მარტენის საამქროს მესამე ღუმელზე მუშაობს უცვლელად. 185-ტონიანი ღუმელიდან ინსტრუქციის თანახმად დნობა რვა საათში უნდა გამოუშვან. ილია ქოქიაშვილი კი თითქმის ყოველთვის ახერხებს მოიგოს დრო, ხოლო მისი პირადი რეკორდია ხუთი საათი და 40 წუთი. ე. ი. მისი ჩქაროსნული დნობის დრო ორი საათით და ოცი წუთით ნაკლებია ინსტრუქციით გათვალისწინებულ დროზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ქოქიაშვილის რეკორდი

მთელი ერთი საათით ჩამორჩება სახელგანთქმული ქართველი მეფოლადის ამირან ფანცულაიას რეკორდს. ამირანი ილია ქოქიაშვილის უფროსი მეგობარია. მართალია, ამირანი დღეს უკვე აღარ მუშაობს მარტენის საამქროში, მაგრამ ილია ქოქიაშვილი მას მაინც ეჯიბრება, დიდი სურვილი აქვს, თუ ვერ გაუმჯობესებს, გაიმეოროს მაინც ამირან ფანცულაიას ჩქაროსნული დნობის დრო. საამქროში ახლა ვერავის დავაჩაგვრინებ თავს, — ამბობს იგი და თან იღიმება, თუმცა გაგრძნობინებს კიდეც, მართალია ვიღიმები, მაგრამ სრულ სიმართლეს ვამბობო.

— კარგი მეფოლადეა ი. გურგენიძე, იგი ბორის ძნელაძის სახელობის მეშვიდე ღუმელზე მუშაობს, კვალდაკვალაც მომდევს, მაგრამ სანამ მარტენში ვარ, ვერ მაჯობებს! — მტკიცედ ამბობს ილია ქოქიაშვილი. ამბობს და გჯერა, რადგან მისი ენერგიული გამოხედვა, მისი უშუალო, გულწრფელი და მტკიცე ტონი გაგრძნობინებს, რომ ლაპარაკობს ნამდვილი მეტალურგი, თავის პროფესიაზე შეყვარებული, თავისი ხელობის ერთგული კაცი, ნამდვილი მამაკაცი, რომელიც მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ამ ვაჟკაცურ პროფესიას ახმარს.

ორი მეფოლადე გამოვზარდე, ბონდო ჩე-

მია და ჯემალ გვიმრაძე. ერთი მეშვიდე ღუ-
ღუმელზე მუშაობს, მეორე კი ბეხუთე ღუ-
მელზე. ახლა ისინიც მეტოქეებიან, მაგრამ ჯერ
ვერც იმათ დამჯაბნეს. მოგეხსენებათ, ბებერი
ხარის რქაცა ხნავსო. ჯერ რა დროს ჩემი სი-
ბერეა, თუმცა მარტენის საამქროსათვის
უკვე ვბერდები, მაგრამ ერთი რამ მინდა, —
ისე წავიდე ქარხნიდან, თავი არავის დავაჯაბ-
ნინო.

ილია ქოქიაშვილი ერთხანს შეჩერდა და
თვალებში შემომხედა.

— ტრაბახი ხომ არ გამომდის? ბიჭებს
ხომ არ ეწყინებათ? თუმცა რატომ უნდა ეწ-
ყინოთ, თუ შეჯიბრია, შეჯიბრი იყოს!

ილია ქოქიაშვილი ნამდვილი მეტალურ-
გია, რომელიც თავისი პროფესიის სილამაზეს
ხუთასტონიანი ამწეების გრუხუნში და მარ-
ტენის ღუმელში მომწყვდეულ ბობოქარ ცე-
ცხლთან ორთაბრძოლაში ხედავს. იგი სახე-
ლოვანი წარმომადგენელია მუშათა კლასის
სახელოვანი დინასტიისა, რომლის მძლავრ
მხრებზე დგას ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუს-
ტრია.

პირველ მაისს, როცა ქართველი ხალხი
ზეიმობდა მშრომელთა საერთაშორისო დღე-
სასწაულს, მთავრობის ტრიბუნაზე მიწვეუ-
ლი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი

მუშები, რომლებიც გამარჯვებული გამოვიდნენ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით. რუსთავიდან ტრიბუნაზე იდგა ილია ქოქიაშვილი. ქარხანამაც და რუსთავის ქალაქკომმაც გამარჯვებულთა შორის გამარჯვებულად ცნო ილია ქოქიაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ვეტერანი მეფოლადე.

დე ყოველთვის გამარჯვებული გამოსულიყოს სახელოვანი მეტალურგი ფოლადთან ჭიდილში.

(„ლიტერატურული საქართველო“)

გ ო ო რ ი ს ჩ ხ ე ი ძ ე

ლ ე ლ ი ა ნ ი ს დ ი ლ ა

— სოფლის თავკაცის სანახავად ყველაზე საუკეთესო დრო განთიადია, — დაიჟინა შოფერმა და დილის ბინდბუნდში კიდეც დაძრა მანქანა ლელიანისაკენ. ეს სოფელი, თითქმის ათახი მეკომურით, ლაგოდეხის რაიონს ეკუთვნის. დიდი კავკასიონის და ალაზნის შუა გაფენილ ვრცელ ვაკეზე მოძებნეთ ის. თუნუქის მოთუთიავებული თეთრი სახურავებით შეჰხარიან ცას მისი მეთამბაქოე კოლმეურნეების ორსართულიანი, საოცრად კოხტა სახლები და საკმაოდ დიდი საზოგადო შენობები. თამბაქოს ფოთლის საშრობი ვეება ფარდულები, შემინული სათბურები, სხვადასხვა სახელოსნოები, მინდვრებში გასული მანქანა-იარაღები აქაურობას ფრიად თავისებურ სახეს აძლევენ, ხოლო ქუჩების დაგეგმილობით ლელიანი ბევრ ძველ ქალაქს სჯობია.

ლელიანის ნახატი უბნები და მინდორ-ჭა-

ლები კარგად ჩანს გურჯაანიდან, სიღნაღი-
დან, დურბინდით კი გომბორის ყველა მწვე-
რვალიდან და სერიდან დაინახავთ მას. ის
მხედველობას შორიდანაც ძლიერ ახარებს.
ახლოდან ხომ, რაღა თქმა უნდა, მთლად
მოგნუსხავთ და მოგხიბლავთ. ლელიანი
ჰქვია, თორემ ლელი, ე. ი. ჭაობის ქუჩუჩოე-
ბიანი შამბნარი აქ დიდი ხანია აღარავის
უნახავს.

მანქანა მიჰქრის ბინდსა და ნისლში. შოფ-
რის სიტყვა მართლდება. ლელიანის ენგელ-
სის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდო-
მარემ ივანე ხვედელიძემ კინაღამ გაგვასწრო
მინდორში. და რა დროს! ლეკიმთისათვის
საჯიხვეებზე ჯერ ცა-სამზეურიც არ გაწით-
ლებულიყო.

— კინაღამ აგცდით, — ვუთხარი თავმჯ-
დომარეს.

— სოფლად სიცოცხლე და საზრდოს მი-
წიდან მოპოვების საცადელი უთენია იწყება,
— გვეუბნება დინჯად ივანე ხვედელიძე და
აუღელვებლად განაგრძობს თავის საქმეს.
ეკითხება კოლმეურნეებს, ვინ სად გასწია
სამუშაოდ, რას აკეთებს. ვის რა ევალებოდა,
ეს მან წუხელისაც კარგად იცოდა, მაგრამ
კონტროლი რომ სამუშაოს შემსრულებელს
არ სწყენს — გამოცდილებით კარგად იცის,

მითუმეტეს ყველაზე საფრთხილო დღეებია გაზაფხულზე. ამ დროს ერთი დღის კარგად ნაღვაწი ერთ ქალაქს შეინახავს. მაინც რად არის გაზაფხულზე საფრთხილო დღეები? მარტში და აპრილში მიწა გათბა, აფუვდა, ნიადაგი მზად არის თესლი, ნერგი გულში ჩაიხუტოს, ძუძუ შეაწოვოს. მოძალებულა თამბაქოს გადარგვის ალო. ეს თუ გინდათ იქიდან ჩანს, განთქმულმა მეთამბაქოე ქალმა დინა კობერიძემ თავის დობილ ჟუჟუნა ბუზალაძესთან ერთად, ამ დღეებში, წვიმიან ამინდში რგოლის წევრები სასწრაფოდ შეკრიბა. გასაუბრების შემდეგ ხელიარაღები დაათვალიერა და კანტორას შეუთვალა:

— ჩემი მხრით მზად გახლავართო.

ახლა თავმჯდომარე, ეს-ეს არის რომ გავიცანით, მის სამუშაოს არ სწყდება. თანაც საყვედურებს გვაყრის:

— ცუდ დროს მოხვედით. ამ ნაზამთრ სოფელში რას ეძებთ?

— ეგ როგორი ლაპარაკია. სტუმარს არ ეუბნებიან რად მოხვედიო.

— სოფელს, ძმაო, ამ დროს, აპრილის დამდეგს, შესახედაობა არ უვარგა. პური ამოსულა და მუხლი არ უყრია. ვერ ნახავ მის ღელვას, წამოქროლილ ნიავზე ზღვას

რომ ჰგავს: ბაღები არ ჰყვავიან, ვაზი ეს არის ატირდა, კვირტი კი არ გაუშლია.

— თქვენ გინდათ თქვათ, თვალის წარმტაცი არაფერიაო?

— თუ იმისი ნახვა გინდათ, რაც სოფელში თვალის გამახარებელ სურათებს წინ საშრომი უძღვის, სხვა საქმეა და სხვა ადამიანიც ყოფილხართ. მობრძანდით. აგერ, აი ლელიანი, ნახეთ ჩვენი საქმე და საცხოვრებელი.

— დიახ, სწორედ ის მინდა ვნახო რა წინასწარი სამზადისი უძღვის თქვენს რთველშემოდგომებს, როგორ მიდის სოციალისტური შეჯიბრება.

— მაშინ გავსწიოთ მინდვრებში, მაინც იქით ვეპირებოდი! — კმაყოფილად ამბობს ხვედელიძე.

— ამ უთენიაზე იქ, მინდვრად, ვის ვნახავთ?

— შეჯიბრებასაც იქ ნახავთ და იმ შეჯიბრებას რა მოსავალი მოჰყვება, იმასაც იქ იგრძნობთ და მიხვდებით.

მივდივართ. ღმართმანი, ცხენით ან ურმით სჯობდა მგზავრობა. ჩვენი წინაპრები ამით უფრო ბედნიერები იყვნენ. ახლა ეს ავტომობილი ისე გაირბენს ორმოც კილომეტრს, რომ ვერც კი შენიშნავთ. სანახაობა კი ბევრი და დასამახსოვრებელია. წმინდა თევდრ-

რეს ტაძარს გარს შემორტყმიან პურის მწვანე ყანები. იქვეა ჯერ დაუთესავი, მაგრამ თესლის, ნერგის მისაღებად მომზადებული მიწები. გაგიჟებულივით გარბიან შემღვრეული რუები და ღელეები. სოფლის ერთ მხარეს, ჩრდილოეთით, კავკასიონის დიდი ქედი გადაგრაგნილა. მთების პირდაპირ სოფელს, მეორე მხრით, შიგა კახეთის სამყაროდან ალაზანი ჰყოფს. მდინარის მარჯვენა მხარეზე გურჯაანია.

— აგერ, ცოტა ზემოთ ყვარელი. წმინდა თევდორეს სახურავიდან კიდეც ჩანს ყოველი ქართველისათვის ეს საცოდნელი და საყვარელი კუთხე, — თქვა ფიქრში წასულმა ივანემ.

— მე მგონი, უმიზეზოდ არ ახსენეთ ეგ სოფელი . . .

— დიახ! — მაშინვე გვიდასტურებს ხვედელიძე, — მაშ როგორა! იქაური მკვიდრი გახლდათ დიდი ილია. მის სახელს უკავშირებს უბრალო ხალხი მთელი ლაგოდეხის რაიონის ხელახლა დასახლებას, ადრე მტრის თარეშს გაექცა ხალხი აქედან. — და სოფლის ბოლოს თავმჯდომარე მანქანას აჩერებს, რომელსაც თვითონ მართავს და იძახის: — დინავ! გამოგვხედე, განა შინ არ ხარ?!

— იჰ, როდის წავიდა სათბურებში! — ისმის პასუხად. — ვინა ხართ?

— მაშ, ჩვენც სათბურებში! — ამბობს თავმჯდომარე.

აქ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ იმაზე, თუ რას გულისხმობდა ივანე ხვედელიძე, როცა აქაურობის ხელახლა დასახლებას დიდ ილიას ამაგს მიაწერდა.

თურმე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რაჭველმა დურგლებმა, იმერეთის გადავლით შინ რომ მიდიოდნენ, თავიანთ ჭიათურელ-საჩხერელ ნათესავებს აცნობეს, კახეთში, ყვარელს იქით, ოქრო მიწებს თავადები ჩალის ფასად ჰყიდიანო. უმიწაწყლო გლეხები მაშინვე გაქცეულან მომრიგებელ მოსამართლესთან, დაუჩოქნიათ, შეხვეწნიან, თუ მართლა ასეა, გვიშველე. ჩვენ დავესახლებით იმ მიწებზე თუნდაც დროებით ვალდებულ გლეხებადო.

სოფ. მერევის მომრიგებელი მოსამართლე ალექსანდრე წერეთელი მაშინვე დაკავშირებია კახეთში თავის კოლეგას ივანე ჯორჯაძეს. მერე ორივე ერთად შეყრილან, სწვევიან ილიას სათავადაზნაურო ბანკში. მათ დიდი პოეტისათვის მოუხსენებიათ უმიწაწყლო გლეხების გასაჭირი და სათხოვარი — კახეთის მიწებზე დაგვასახლონო.

ილიამ თურმე არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე დაუძახა ბახკში მოგირავნე ჩოლოყაშვილებს, ვაჩნაძეებს, ჯანდიერებს, ჯორჯაძეებს, ნაცვლიშვილებს და შესთავაზა: ძველ გავაზსა და ლაგოდეხს შორის გუბერნიისოდენი დაგირავებული მიწები რომ გაქვთ. პროლანგაციების თხოვნით რომ ამიკელით, აგერ შეღავათიან ფასში მივცეთ ისინი უმიწაწყლო გლეხებსო.

— ბატონო ილია! როგორც თქვენ ინებებთო, — უთქვამს ჯორჯაძეს.

— სამ-ოთხ მანეთად თუ დავუთმობთ დესეტინას, კარგი იქნება. „კუპჩაია კრეპოსტიც“ უნდა მისცეთ. ჩემდაწილად მე მზად ვარ გლეხებს ახლავე მივცე გირავნობაში ჩარჩენილი მიწები, ბანკის წილი...

რაკიღა მიწების გაყიდვა ასე გადაწყდა, ამ საუკუნის დამდეგს, მდინარე კაბლის ნაპირზე გაჩნდნენ ჯერ რაჭველი სირაძეები, კობერიძეები, გიორგობიანები. მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ ჭიათურის და საჩხერის საბოქაულოების უმიწაწყლო ხუციშვილები, კაპანაძეები, კურტანიძეები, ბაძგარაძეები, ხვედელიძეები და სხვანი.

ამათი შთამომავალები არიან ახლანდელი ლელიანელები, ერთ მათგანს სათბურში რომ გაეხმაურა და გაეხუმრა ხვედელიძე.

— დინავ, ქალო, ასე ადრე შინიდან ვინ გამოგაგდო?!

— მიწამ, მიწამ! — ხუმრობითვე მიუგებს დინა, — ეს ერთი კვირაა, რაც აპრილი დადგა, მატყლის ლეიბივით გათბნენ ხნულები. სანამ ბალღები ზეზე წამოდგებიან, მოდი ერთი სათბურებს დავუტრიალდები-მეთქი, იქიდან გადასარგავ ფართობებშიც გადაველ, რუებსაც ავყე-დავყე.

— მექანიზატორებს ხომ კარგად უმუშავნიათ?

— არა უშავს. ფარცხის მერმე ნაცარივით დაფქულ-დაქორშილი მიწა კიდეც დაუხაზავთ ჩითილის მწკრივებად ჩასარგავი მანქანით.

— ნიადაგის მომზადების წესრიგი ხომ არსად არის დარღვეული? თუ უკმაყოფილო ხარ, მითხარი.

— სინჯოს, გამიბედოს ვინმემ მასეთი ოინი.. შენამდე არავის მოვუშვებ, მე თვითონ ვაჩვენებ სეირს.

თავმჯდომარისა და მეთამბაქოე ქალის სიფრთხილე სწორი და გასაგებია. თამბაქო — მეტის-მეტად შრომატევადი სამუშაოა. ჯერ თესლი სათბურებში უნდა გაიღოჯოს და ამოვიდეს. ცოტა ხნის შემდეგ დაოთხყურებული ჩითილი ნიადაგში ხელით გადაირგვება. მცე-

ნარეები ერთმანეთზე ციდითაც არ არიან დაცილებულები. ნარგავის ზღვა მწკრივ-ფართობები გაზაფხულის და ზაფხულის თვეებში რამდენჯერმე გაიმარგლება თოხით, მარგვლას გაფურჩქვნა-გამორჩევა მოსდევს. იქ შეტეხის, დაფოროჯების, თოკებზე აცმის, შრობის სამუშაოებიც მოეწევა ადრინდელებს.

ეს სამუშაოები მძიმეზე მძიმე ხელსაქნარია. ასე უნდა დამუშავდეს ლელიანში თითქმის ასორმოცდაათი ჰექტარი თამბაქოს ფართობი. ივანე ხვედელიძე ამაყობს, რომ ლელიანელი ქალ-რძალი ამ საქმეს მარჯვედ უძღვება.

— გადმოდით ბარემღა სათბურში! — ეპატიჟება გაბედულად დინა მისულებს. იცის ქალმა, მისი ნაამაგარი მნახველს მოეწონება. ეს აამაყებს და ახარებს მასაც. თამბაქო სქლად ამოსულა, მინის ქვეშ, შავ მიწაზე, სითბოში მწვანედ ხასხასებს დაოთხყურებული მცენარე. დინა კობერიძე მას კიდევ და კიდევ ათვალიერებს. ეს მან ლელიანში ყველაზე უკეთ იცის რომელი სათბურიდან რომელი ნერგი გადასხდება მინდორში. ჩითილმა მზის ამოსვლამდე უნდა იგრძნოს ფესვების ეადგმა ახალ, სველ ნიადაგში. ჩამოყრილი ყურები საღამომდე კიდეც უნდა სცქვიტოს.

— წელს ცხრა ჰექტარ თამბაქოს მოვიყვან, — მოგვითხრობს დინა, — ჩემ რგოლში ოცდათორმეტი ქალი მყავს.

დინას ამ სიტყვას ლელიანელები იმას დაუმატებენ, რომ ყველა მისი ამხანაგი, ლელიანელი ქალები, მარტო თამბაქოს მოყვანის ოსტატები კი არა, ამასთან ერთად ოჯახის შენახვაშიც, ქმარ-შვილის მოვლაშიც შეუდარებლები არიან. რგოლებში უმთავრესად საშუალო სკოლადამთავრებულ ქალებს შეხვდებით. ახალგაზრდა გოგოები ისე დაუხელოვნებია დინას თამბაქოს მოყვანაში, რომ სხვა სამუშაოზე ადვილად აღარ მიდიან. გათხოვების მეტი ვერაფერი წაიყვანს მათ ლელიანიდან.

— ამ მწარე, მყრალმა მცენარემ ტკბილი, გემრიელი ხელფასი იცის, — შენიშნავს სიცილით დინა.

— თვალი კი დაუდგეს მის მომგონს, — ამბობს ჟუჟუნა, — ოღონდაც არ ეწეოდნენ შაგ საწანწკლავს და სულაც არ მინდა მაგაში აღებული ფული.

— გამომუშავებაზე რას იტყვი? — ვეკითხებით ჟუჟუნას.

— დინამ შარშან სამი ათას ორასი მეტრი ფართობიდან დაგეგმილი ხუთას სამოცდათექვსმეტი კილოგრამი ნედლეული თამბა-

ქოს ნაცვლად ორი ათას ოცდაჩვიდმეტი კილოგრამი მაღალი ხარისხის ნედლეული ჩააბარა.

— თქვენა?

— ჩემზე სხვა ვინმე იტყვის.

დინა საშუალო ტანადობის, კახეთის მზეზე შერუჯული მოშავგვრემანო ქალია. ორი შვილი ჰყავს.

დინას უნარი აქვს საჭირო და სასარგებლო საქმე უმალვე შენიშნოს. მაშინვე ეკვეთება და სხვასაც ბევრს აიყოლიებს. ლელიანში ყველამ იცის — დინამ მოანგარიშეობას თავი დაანება და თამბაქოს მოყვანის ძნელი, მაგრამ შემოსავლიანი მუშაობა ირჩია.

ლელიანში ამ საუკუნის დასაწყისში წირქვალიდან (ჭიათურის რაიონი) ჩამოსახლებული სევასტი და ფედოსი ხუციშვილები, ორივე ოთხმოცდაათ წელს რომ გადაცილებულან, ბევრს რასმე გეტყვიან დინას კარგ ქალობაზე. ახალგაზრდა ქალს ქმარი ავად ჰყავდა. იმდენი ატარა სანატორიუმიდან სანატორიუმში, უკვე გამოაჯანსაღა. ასე შეუნახა სოფელს მოქალაქე, ოჯახს — მეთაური, შვილებს — საყვარელი მამა.

სევასტი ხუციშვილი და მისი მეუღლე ფედოსი ლელიანში 1905 წელს დასახლებულან ივანე ჯორჯაძის მიწაზე.

— ვინ იყვნენ თქვენი პირველი მეზობლები? — ვეკითხებით სევასტის.

— გაუვალი მუხნარი, უხიდო მდინარეები, შვლები, ირმები, ტურა, მგელი დათვები და მთებში ჯიხვები. ვინ მოსთვლის ფედოსის. რამდენჯერ გაურეკავს გარეული ღორები ბოსტნიდან.

— თუ გახსოვთ აქ როგორ მოხვდით?

— ქალებმა ნაქერალას ძირის ჩვენი სოფლიდან ბავშვები აიტაცეს. მამაკაცებმა ზურგზე ავიკიდეთ საგზალი და მცირე ბარგი. გადმოვლახეთ კორტოხი, ქართლი, ფეხით გავედით არაგვში და ახმეტასთან ალაზანში. იქიდან ალვანის ძირს გავლილებმა ყვარელს მივაღწიეთ. მერე ჯორჯაძის მამული წმინდა თევდორეს საყდართან შორს აღარ იყო.

— ილია თქვენც გაგიგონიათ?

— დიახ, გამიგონია, რა დაგვავიწყებს მის სახელს.

ილიას ლექსები დინამ და ბევრმა ლელიანელმა ქალმა და ვაჟმა ზეპირად იციან. აქ იმისი მოთხრობების კითხვაც უყვართ.

— ჟუჟუნა ხნოვანებით ჩემზე უფროსია, — დინა ამხანაგს მოკლედ ახასიათებს, — მე თუ ქალი ვარ და სიტყვის ფასიც ვიცი, ჟუჟუნა არაფრით ჩამომრჩება. აი, ვინ არის სავსე ოჯახის პატრონი. ოთხი შვილი და ქმარი

ჰყავს მოსავლელი. ქალები ხომ ჩვენ თავს მოსავლელში არ ვთვლით.

ამ საუბარში დინას მეორე და საუკეთესო თვისებასაც შენიშნავთ, რაც მის მოქალაქეობრივ ცხოვრებას ნათელს აყენებს. მას რაღაც ისეთი ხიბლი და სიტყვა აქვს, გამრჯელი ადამიანი უმალ გულით მიენდობა. მას შეუძლია შრომისმოყვარე ქალებს თავი მოუყაროს, დარაზმოს, შემართოს მოსავლის მოყვანის დიდ-საქმეში. თავიანთი გარჯით ლელიანელი ქალები მეტნაკლებად ჰგვანან დინას და ჟუჟუნას. და როგორი კეთილები და კარგები არიან ყველანი, ამას მაშინ უფრო ნათლად დაინახავთ, როცა ახლოს გაეცნობით.

— ცუდ დროს მობრძანებულხართ, სტუმრებო! — გვისაყვედურებს დინა, — რაღა ამ მწარე თამბაქოს გადარგვის დროს გამოჩნდით. მართლაც რა გასავრცელებელი იყო ქვეყანაზე თამბაქოს მოწევა. ყვავილი რა არის, ისიც კი საწამლავი აქვს. აყვავებულ თამბაქოს ნარგავში ღამით ნუ გაივლით, თორემ თავის ტკივილი და გულის რევა აგივარდებათ.

— მართლაც, შემოდგომაზე სჯობია ლელიანი! — ენაცვლება საუბარში დინას ჟუჟუნა, — აბა მაშინ გვაქვს მსხალი, ვაშლი, ატა-

მი, ლელვი, ნესვი, საზამთრო, ყურძენი და
რა ყურძენი — ქარვის აცმა.

ივანე ხვედელიძე მაინც ხუმრობას არ იშ-
ლის.

—ჩვენმა ქალებმა სიტკბოებით რომ ვე-
რაფერი გააწყვეს, ახლა მწარე თამბაქოთი
გვიშენებენ ამ ჩვენს ლელიანს.

თვალიერება-მასლაათში შუადღე გადახ-
რილა. იმდენი გვივლია გარეთ, რომ მდინარეს
მივახლოვებივართ. აგერ ალაზანი, მშვენიე-
რი ალაზანი. როგორ ადიდებულა, ამოვარდ-
ნილა კალაპოტიდან. მოაქვს ტყე და ველი.
ფშნებში საქონელი შესულა.

ალაზანი კახეთის ლაზათი და ცხოვრებაა.
ლელიანელებს მის ნაპირას, მაღალ კბოდეზე,
აუშენებიათ მეცხოველეობის ფერმები, გა-
უჩაღებიათ იქ მეფრინველეობაც. ლელიანე-
ლებს აქაც ჰყავთ დინასებრ მოწინავე ქალე-
ბი მწველავებად, მეფრინველეებად. ახლა ამ
ადგილას ფერმებთან ხიდის მშენებლობა გა-
ნუზრახავთ ალაზანზე. მაშინ არც ლაგოდეხზე
მოვლა დაგჭირდებათ ლელიანში მისასვლე-
ლად, არც ყვარელზე. გურჯაანიდან პირდა-
პირ შეხვალთ მშვენიერი ადამიანების ნაამ-
გარ კარგ სოფელში.

(„დროშა" № 6, 1978 წ.)

ვარსკვლავი ანათებს მიწას

„ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

ლ. ი. ბრეჟნევი

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ერთი ახალსოფელი. ზოგს თავზე დასცქერის ხავსით დაფარული და ქონგურებჩამონგრეული ციხე-სიმაგრე, რომლის აშენებასაც ხალხი ლეგენდის წყალობით თამარ მეფეს მიაწერს, ზოგიც უფრო ძველი ნაციხრებითა და ნაეკლესიარებით არის ცნობილი.

ახალსოფელი, რომლის ამბავსაც გიამ-ბობთ, ნამდვილად ახალია ყოველმხრივ.

აი, ელვარი გოგობერიშვილი-გოგსაძისა, სხვა ქალებთან ერთად, ადრიანად სწვევია კოლმეურნეობის ვენახს და ვაზებს ზედმეტ ამონაყარს მარჯვედ აშორებს. ელვარი ერთ-ერთი პირველი ახალსოფლელია, რომელიც მაშინ დაიბადა აქ, როცა ახალსოფელი ჯერ არც იყო ახალსოფლად მონათლული. იგი ოცდათორმეტი წლისაა მხოლოდ.

თვითონ ახალსოფლის ახლანდელი თავკა-ცი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით გოგობერიშვილი, რომელიც კოლექტივიზა-ციის დროს აკვანში იწვა, ამ სოფელსა და მის კოლმეურნეობაზე თორმეტი წლით უფ-როსია.

ამ ახალსოფელს კერაგამოცვლილთა სო-ფელსაც ეძახიან და ზღვისპირელი რაჭველე-ბის სოფელსაც.

პატარა ხნისაა იგი, მაგრამ მისი სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვ-რებს. ამ სოფლისა და მისი თავკაცის ქება წაკითხვითაც ბევრჯერ წამიკითხავს და მოს-მენითაც ბევრჯერ მომისმენია. ჩვიდმეტიოდე წლის წინათ ვინახულე კიდეც ახალსოფელი და, აი, კვლავ გადავწყვიტე ჩასვლა. ვიდრე იქ ჩავიდოდი, სოფლის თავკაცი გუდაუთაში

შემომხვდა . . . ყვავილოვან სკვერში რაიონის მოწინავე ადამიანთა ახლადგაკეთებულ სტენდს რომ ჩავუარე გვერდით, ნაცნობმა ბრგე ვაჟკაცმა შემომხედა. ამ საპატიო დაფიდან მომაჩერდა კიდევ სამი ახალსოფლელი: ფერმის გამგე გაიოზ კვილაძე, რიგითი კოლმეურნე — მევენახე ჟუჟუნა ციხისელი და რეკორდსმენი მეაბრეშუმე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თინა მაისურაძე.

ეს შოულოდნელი შეხვედრა ფრიად სასიამოვნოდ დამირჩა და გულმა ახალსოფლისკენ უფრო ხალისით გამიწია.

* * *

სოფლის შემოგარენს გორაკიდან გადავხედე.

ახლადაფრენილი თვითმფრინავიდან რომ ჩახედავ, ზღვასა და მიწას თეთრი არშია ჰყოფს, ულამაზესი არშია. იმ გორაკიდანაც ახალსოფლის ნაპირზე მოთამაშე ზღვის ტალღები თეთრ არშიად ელვარებდა.

სერიბაბადან ოქროს სანაპირომდე სიგრძით შვიდ კილომეტრსა და სიგანით ოთხიოდე კილომეტრზე გადაჭიმულია ახალსოფლის ადგილ-მამული. აქ ზღვაც ახლოა და მთაც. ზღვის სილურჯესა და თეთრად მოქათქათე ჯერ თოვლაუღებელი ბზიფის ქედის

შუა ზურმუხტისფრად ბიბინებს ბაღჩა-ბაღები, ბოსტნები, სანერგეები, ჩაის ბუჩქები, სათიბები, საძოვრები, ყანები და ვენახები, ველზე გაშლილი და ფერდობებზე შეფენილი ვენახები.

— ნეტავი გვქონდეს ამ მიწა-წყლის ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი სურათი და ახლანდელისთვის შეგვადარებინა, — მეუბნება დავით გოგობერიშვილი, — ვისაც მაშინ აქ გაუვლია, ვერაფრით წარმოიდგენს, ეს იგივე ადგილიაო. უბრალოდ შეცვლილი და გარდაქმნილი კი არაა, თითქოს ხელახლაა შექმნილი. აი, რა სასწაულის მოხდენა შეუძლია გამრჯე ადამიანს. რევოლუციამდე ეს მიწა-წყალი თითქმის უკაცრიელი ყოფილა. თავადები ლაკერბაია და მარღანია აქაურ უღრან ველურ ტყეებში ნადირობით ირთობდნენ თავს, მერე მთელი შემოგარენი მეფის მოხელეებისთვის მიუყიდიათ ჩალისფასად და ამ მიწას უგრინოვიჩი, ლაპატინი და პეტროვი დაჰპატრონებიან, მაგრამ მალე რევოლუციას მოუსწრია და ისინი აქედან კუდამოძუებულნი გაუძევებიათ. შემდეგაც თურმე აქ დასახლებას ყველა ერიდებოდა, საცხოვრებლად უვარგისი, ავი ადგილიაო. და აი, ეს უკაცრიელი, ველური, უღრანი ტყით დაჩრდილულ-დაჭაობებული მიწა, ყოვლად ცუ-

დი და გამოუყენებელი რომ ეგონათ, ჩვენ ავახმაურეთ, რაჭის სოფლებიდან ჩამოსულმა ხალხმა.

დავითი იგონებს, თუ როგორ გაჩნდა აქ სოფელი. ამ სოფელსა და დავითს ხომ უერთმანეთოდ თითქმის არ უცხოვრიათ, ერთი ბიოგრაფია აქვთ, წუთისოფლის ერთ უღელში არიან გაბმულნი, ერთ გზას მიუყვებიან, ჭირიც და ლხინიც საზიარო აქვთ, ფიქრიც, საზრუნავიც და ტვირთიც ერთი აქვთ. ასე შეერწყა ერთმანეთს სოფლისა და მისი თავკაცის ბედ-იღბალი.

* * *

— ჩვენ აქ სოფელ ჯავისიდან ჩამოვედით, — გვიყვება დავითი, — ეს იყო 1940 წლის გაზაფხულზე. მერე რაჭის სხვა სოფლებიდანაც ჩამოვიდა ხალხი: წესელები, სხვაველები, შქმერელები, ონელები, ურავლები, ლიხეთლები . . .

ტყეში ჩადგმული იყო სტანდარტული სახლები. კედლებზე ცარცით მიწერილი ციფრები წავშალეთ და მის მაგივრად ჩვენ-ჩვენი სახელი წავაწერეთ, ბარგი-ბარხანა შინ შევზიდეთ და . . .

მეორე დილით ეზოში იყივლა მამალმა, ბუხრიდან აისვეტა კვამლი და სოფელმა საქმიანი ცხოვრება დაიწყო.

მაშინ აქ ისეთი უდაბური, შაშვიპურათი და ეკალათი გაბარდული ტყე იყო, ერთხელ ბიჭები სარის მოსაჭრელად შევედით და გზაკვალი დაგვებნა. ეკლებით ფეხებდაკაწრულები კარგა ხანს ვეძებდით ბილიკს. ბოლოს მოვიფიქრეთ, მაღალ ხეზე ავედით, რომ ზღვა დაგვენახა. გეზი რიყისკენ დავიჭირეთ და იქ გასულებმა ძლივს მოვიმხრეთ სოფლის გზა. „ზღვის კომპასს“ რომ არ ეშველა, ალბათ ტყეში მოგვიწევდა ღამის გათევა, მაშინ კი ტყე ერთობ ნაძრახი იყო. ღამ-ღამობით მგლების ყმუილი და ტურების კივილი გვესმოდა. ვისაც ღამით გარეთ დარჩებოდა პირუტყვი, მგლებისგან დაგლეჯილს თუღა იპოვიდა.

ისიც კი, თავიდანვე გულს რომ არ იტეხდა, ადვილად როდი შეეგუა ახალ საცხოვრისს.

ჩვენებურ კაცს უღვინოდ რა გააძლებინებს და ჯანსაც რა შეანახვინებს. ეს წვეულებაო, ეს ოჩხარიო, ეს ძეობაო. ვაზი კი ჯერ არ გვქონდა. ხალხი მეზობელ სოფლებში გადიოდა და ერთ ლიტრ „ადესაში“ ოთხ კილო სიმინდს აძლევდა. არ დაგავიწყდეს, მაშინ არც სიმინდი იყო იაფი. უფროსები თუ უღვინოდ ვერ სძლებდნენ, ბავშვებს ხილი გვენატრებოდა. ახლო-მახლო კი ხილი არსად

ჭაჭანებდა. ერთადერთი ხეხილიანი კაცი ჩვენი სოფლის შორიახლოს აფხაზი კიტა ტარნავა იყო. ბაღში ყველაფერი ჰქონდა: ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ჭანჭური, ბჟოლა. ღმერთმა სიკეთე და გახარება ნურასდროს მოაკლოს მის ოჯახს, ეს კეთილი კაცი ჩვენ გვახარებდა! მისი ბაღის კარი დღე და ღამე ღია იყო ყველასთვის და რატომღა მოვიპარავდით. კიტას მაშინდელი რუხი ბჟოლის გემო ახლაც მახსოვს, ადესის ყურძენსაც ხშირად გვთავაზობდა. მაგრამ ერთი ბაღი მთელ სოფელს რას გასწვდებოდა და ბიჭები მეზობელ სოფლებშიც გადვინადირებდით ხოლმე. არ მახსოვს აფხაზის ოჯახში ჩვენთვის ხილის მოკრეფა დაეშალოთ. ჩვენს დამეგობრებას და კეთილმეზობლობას ამანაც ძალიან შეუწყო ხელი.

ყანები ჯაგნარით იყო დალაშქრული. განსაკუთრებით ბზის ტყე გვტანჯავდა და გვაწამებდა. ბზის ფესვები ბარსა და თოხს იცურებდა. მჭედლებმა ტიფო ბიბილაშვილმა და სანდრო გოგრიჭიანმა საგანგებოდ დაიწყეს ბარწერაქვების, თოხწერაქვების და ცხვირნისკარტა წალდების გამოჭედვა. მერე ტიფო და სანდრო ჯარში წაიყვანეს, მაგრამ მათი გამოჭედილი იარაღი დიდხანს შემორჩა სოფელს ბზის და ჯაგნარის ფესვებით დაქსე-

ლილ და შეკრულ მიწასთან საომრად. ამაზე უკეთეს იარაღს მაშინ აქაური ხალხი ვერც ინატრებდა.

ამბობენ: რაჭველი კაცი ამერიკაშიც კი რაჭველია, არც შრომა-გარჯას უღალატებს, არც თავის სინდის-პატიოსნებასო. რაჭველ გლეხს მიწა თუ აქვს, დღე და ღამე რომ იმუშაოს, არ მოსწყინდებაო. ჯავისაში მცირე მიწიანობა აწუხებდათ, აქ კი მიწის სიღარიბეს არავინ უჩიოდა. ჰოდა, გაიხარეს, მაგრამ რა გაიხარეს! გოჯა-გოჯა, მტკაველ-მტკაველ, ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებდნენ ყამირ მიწას, აცლიდნენ გვიმრას და ძეძვს, ღორღსა და ჩირგვებს. სულშეხუთულმა მიწამ შვებით ამოისუნთქა. თითქოს გაეღიმა კიდეც, ამ ღიმილმა კი სილამაზე და ეშხი მოუმატა. ყველაფერმა იგრძნო ადამიანის ხელი. ახალი სიცოცხლის დამამკვიდრებელმა ყიჟინამ აახმაურა მიდამო და . . . სახლების აივნებზე გაჩნდა მერცხლის ბუდეები. უჭირდა კერაგამოცვლილ გლეხს, მაგრამ რაკი მიწა ჰქონდა, მაინც ტკბილად ღიღინებდა. რაჭველ კაცს ოდითგანვე მიწის სიმცირე-სიღარიბე რომ დაებედა, ალბათ ამიტომ გაუჩნდა მიწის ასე უზომო სიყვარული. მისთვის არც ოფლი ენანებოდა, არც ჯან-ღონე.

ხალხი თავდავიწყებით რომ ებრძოდა მი-

წას, ერთ დღეს კარიდან კარზე უცნაურმა ჩურჩულმა ჩამოიარა: ბელაგია მოკვდა, გლახუა ჩიხრაძის ცოლიო.

აქამდე ყოველ დღე შეუბრალებლად ჭრიდნენ, ფატრავდნენ და ბრდღვნიდნენ მიწას, მაგრამ მიწას ეს არ სტკიოდა, ახლა კი იმავე მიწაზე პირველი საფლავი გაჭრეს და უცებ იგრძნო მიწამ ტკივილი, პირველი ტკივილი.

მალე მეორე ტკივილიც იგრძნო: სოლომონ კივილაძე გარდაიცვალა.

მერე საბა გოგობერიშვილს დედა მოუკვდა, მატრონია, და . . .

სოფელს სასაფლაო გაუჩნდა.

არ გასულა დიდი ხანი და ახლა უკვე კარდაკარ სასიხარულო ამბავმა ჩამოიარა თეთრი ანგელოზივით. ჩამოიარა და ელვასავით გაანათა დაღრუბლული სოფელი: რუბენ გოგობერიშვილს გოგო შეეძინაო.

გაიღიმა მგლოვიარე შარაგზამ.

პირველ ახალსოფლელს ელვარი დაარქვეს.

მალე არქიფო გოგსაძის ოჯახში ვაჟი გაჩნდა — ავთანდილი.

მერე აკვნების შეტანა დასჭირდათ იმ ოჯახებშიც, საიდანაც კუბოები გაიტანეს.

სოფელი წუთისოფლის უღელში გაება და ის-ის იყო ახალმოსახლეებს ჩვეულებრივი, ჭირ-ლხინიანი ცხოვრება უნდა დაეწყოთ,

მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი — დაიწყო ომი, ჩამოდგა მრისხანე ჟამი.

აი, შეხედეთ შინმოუსვლელთა კედელ-ობელისკს.

ლავან გოცირიძის სამი ვაჟი მოინელა ომ-მა: დავითი, პარმენი და როსტომი. კიდევ კარგი, მეოთხე ძმა მაინც დაბრუნდა შინ, მა-რუხის ბრძოლების მონაწილე ვახტანგი, თო-რემ სულ გაუბედურდებოდა და გაცივდებო-და ოჯახის კერა. მელიტონ გოგობერიშვილ-საც სამი ვაჟი დაეკარგა: ბაგრატი, ვანო და გიგილა. ბევრი ხალხი წაგვართვა ომმა, ბევ-რი, სულ რჩეული, ჯან-ღონით სავსე ვაჟკა-ცები.

ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული მამაჩემი, მაგრამ მაინც გაიწვიეს ჯარში: პირ-ველი მსოფლიო ომის ვეტერანი ხარ, ქვეყ-ნიერება გაქვს მოვლილი, გერმანულიც კარ-გად იცი და გამოგვადგებიო.

ჩემი უფროსი ძმები — ბიკენტი და ომე-რიც მალე გავიდნენ ცეცხლის ხაზზე. ოჯა-ხი დედაჩემის ამარა დარჩა. მე და ჩემი უმც-როსი ძმა, ვაჟა, დედასაც ვეხმარებოდით და კოლმეურნეობასაც. პირველად რომ გუთანი გავიტანე მინდორში, წამდაუწუმ მიბრუნდე-ბოდა, მაგრამ მაინც არ მოვეშვი და კარგა ბლომადაც დავხანი. ომმა ბავშვები მალე და-

გვავაქკაცა. მამაჩემი და ჩემი უფროსი ძმები ომში იყვნენ, მე კი მიწას ვეომებოდი, სოფელი ქალების, მოხუცების და ბავშვების ამარა იყო დარჩენილი და, აბა, რა მექნა? ნახევარზე მეტ ხალხს პელეგრა და მალარია შეეყარა, ქინაქინას აბების ყლაპვამ დააყვითლა ადამიანები. ყველას შიოდა, ყველას უჭირდა. ვისაც ომისდროინდელი პურის გემო ახსოვს, როგორ არ დალოცავს ახლა მშვიდობიან, დოვლათით სავსე დღეებს. ახალმოსახლეს ყოველთვის უფრო უჭირს, ჩვენ კი ზედ ომის უბედურებაც დაგვემატა. მაგრამ ის გაჭირვება ჩვენი სოფლისთვის ისეთი ცეცხლი იყო, რკინას რომ აწრთობს და აფოლადებს. იმ გაჭირვებამ რაღაცნაირად უფრო გაგვამაგრა, უკეთ გვასწავლა ცხოვრების ფასი, პატიოსანი შრომისა და პატიოსანი ლუკმის ფასიც.

გაჭირვება არც ომისშემდგომ პირველ წლებში დაგვკლებია, მაგრამ არ დავძაბუნებულვართ, გავუძელით, მერე ორმოცდაექვსი წლის მოუსავლიანობასაც ვაჯობეთ და ციებცხელებაც აბეზარი სტუმარივით მოვიშორეთ. აი, მაშინ კი ამოისუნთქა ხალხმა: როგორც იქნა, გვეშველაო.

* * *

გამარჯვების სალუტმა ცა და მიწა რომ გაანათა, უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო დავითი — ათას ჭირვარამ გადანახადი ჭაბუკი. ორმოც-

დაშვიდში წარჩინებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ტიმირიაზევის აკადემიაში შეგიძლია უგამოცდოდ ჩაირიცხოო, უთხრეს, მაგრამ ჯერ კიდევ წელში გაუმართავი ოჯახი ვერ მიატოვა და თავის სოფელშივე აგროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა, მერე ჯარი მოიარა და აგერ ცხრამეტი წელიწადია, თავისი სოფლის კოლმეურნეობის ბედ-იღბალი აბარია.

დავითის შემდგომი ცხოვრების მოკლე ანკეტა ასეთია:

ათი წლის წინათ დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სასოფლო-საძეურნეო ინსტიტუტის მევენახეობა-მებაღეობის ფაკულტეტი. შვიდი წელია, მკერდს გმირის ვარსკვლავი უმშვენებს, ოთხჯერ აირჩიეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული აქვს დამსახურებული აგრონომის წოდება.

აი, კოლმეურნეობის ანკეტაც:

ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა 1954 წლიდან, როცა მას სათავეში დავითი ჩაუდგა, მუდამ არის სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენის მონაწილე და მრავალჯერ აქვს მიღებული ყველა სახის უმაღლესი დიპლომი. ერთხელ მსუ-

ბუქი ავტომანქანა აჩუქეს, მეორედ — სატ-
ვირთო.

ამ ათიოდე წელიწადში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ექვსჯერ გაიზარდა. შარშან კი მილიონ ორასი ათას მანეთს გადააჭარბა:

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში კოლმეურნეობამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პროფკავშირის რესპუბლიკური ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო სიგელი.

ყველა ანკეტა მშრალია. კოლმეურნეობის თავმჯდომარის საქმიანობა ყველაზე უკეთ იმ მიწა-წყალზე ჩანს, რომელსაც იგი პატრონობს. ამ მიწა-წყლის ავ-კარგი ყველაზე მკაფიოდ და დამაჯერებლად გვისურათებს თავმჯდომარის პორტრეტს.

შეიძლება სამი ინსტიტუტი დაამთავრო, მერე დისერტაციაც ბრწყინვალედ დაიცვა, წაიკითხო ათასი წიგნი მიწის გონიერად გამოყენებაზე, მაგრამ თუ მიწის იდუმალების მიგნება-ამოხსნის ინტუიცია არა გაქვს მომადლებული, უშუალოდ შეხებისას ისიც შეიძლება ვერც მიწას გაუგო რამე და ვერც მიწა-

ზე მომუშავე ადამიანებს, წესიერად ვერც მიწას მოუარო, ვერც ამ მიწის ხალხს უთავკაცო. აქ ბევრი რაშ ისეთი იჩეხს თავს, როცა წიგნი ვერაფერს გიშველის, მიწის სიბრძნე თვითონ მიწაზევე უნდა ამოიკითხო, მისი სატკივარიცა და სიხარულიც ერთნაირად გაიგო. ეს ბუნების ჯილდოა, უტყუარი ნიჭია, რომელიც თან დაჰყვება შემოქმედ ადამიანს, როგორც მეექვსე გრძნობა, და თუ ეს ნიჭი თავის ჭეშმარიტ სარბიელს იპოვის, საქვეყნო სიკეთედ იქცევა.

დავითმა აკვნიდან რომ ფეხი გადმოდგა, იმ დღიდან მიწას ეხება უშუალოდ, მიწის მადლით იზრდება, ხვნითაც ბევრი უხნავს და ბარვითაც ბევრი უბარავს, უთოხნია და უთიბავს, ვაზიც გაუსხლავს და ხეხილიც, ბევრჯერ მოშივნია და მოსწყურებია, სხვაც ბევრი უნახავს მშიერ-მწყურვალი და თხილის ერთი გული ცხრად გაუყვია, ზაფხულის ცხელ თუ შემოდგომის ცივ მიწაზე ფეხშიშველასაც ბევრჯერ უვლია, მწყემსობისას თავიდან ფეხებამდე წვიმით გალუმპულა და ცხოვრების ორომტრიალი, მისი გონიერება და უგუნურობა, მისი ავი თუ კარგი, სიბრძნე მიწასთან უშუალო დამოკიდებულებით შეუგრძვნია და შეუთვისებია, მიწისშვილობა, გლეხკაცის მიწიერი გუმანი სულსა და

სისხლ-ხორცში აქვს გამჯდარი. სწორედ ეს ალღო შველის: მიწის ჭირ-ვარამის იდუმალება დროულად ამოიცნოს და დაეხმაროს გაჭირვების დროს.

ახალსოფლის ბაღები და ვენახები, ბოსტნები და სანერგეები რომ ვნახე, ეს აზრი იმ მიწა-წყალმა მიკარხანა, თორემ თავის უნარზე დავითს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მიწისშვილობა და შემოქმედი ადამიანის ალღო ისე ბუნებრივი, ისე უბრალო და ძალდაუტანებელია მისთვის, როგორც სუნთქვა. სიტყვიერად იქნებ ვერც აგიხსნათ, ეს სიკეთე საიდან მოსდევს, როგორ მიაღწია მას, და თუ დაჟინებით მოსთხოვთ განმარტებას, ეს უკვე მკრეხელობა იქნება, იქნებ შეურაცხყოფაც ბუნებრივი ნიჭისა. ამას ისევე უნდა მიუხვდე, როგორც თვითონ ესმის მიწის ყველა გულისთქმა, გრძნობს მიწის სიბრძნეს, ავ-კარგს და... მიწის სამერმისო ფიქრიც კი მეტყველი და საცნაურია მისთვის.

მიწას იმდენი საიდუმლო დაებედა, ალბათ ქვეყნიერების დასასრულამდე არ დაელევა. თუ მიწას ბავშვობიდანვე არ ებრძოდი და ახლაც დღე და ღამ არ ებრძვი, იდუმალებათა მთების ერთ ნამცეცსაც არ გაგიმჟღავნებს, ზღვა იდუმალების ერთ წვეთსაც არ გამოიმეტებს შენთვის.

მიწის ზოგ სადიუმლოს ვაზი ამხელს, ზოგს ხეხილი, ზოგს ყვავილი თუ სარეველა ბალახი და ათასი სხვა რამ. ყველაფერი მისი საიდუმლოებაა, რაც მიწით იკვებება, რაც მიწიდან ამოდის.

მიწასთან ბრძოლა სიცოცხლისათვის ბრძოლაა და ვისაც უნდა ამ ბრძოლამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, დედაშვილურ-მამაშვილური სიყვარული უნდა დაუდოს საფუძვლად, ზოგჯერ მკაცრი, ზოგჯერ ლმობიერი, რომ არც ერთს გაუფუჭდეს ბუნება-ხასიათი, არც — მეორეს.

ასე უყვარს მიწა დავით გოგობერიშვილს და მიწაც ასევე სცემს პატივს.

* * *

მადლმდიდარია დღეს ახალსოფლის მიწა, ყველაზე მეტად კი ვაზის სიკეთით არის მდიდარი.

თითქოს გუშინ იყო, აქ ახლადკერაგაჩენილ კაცს მეზობელი სოფლებიდან რომ მოჰქონდა ღვინო. ეს ამბავი მალე შეტრიალდა. კარგა ხანია ყველა ახლო თუ შორეულ სოფელს აქედან მიაქვს ღვინო — თეთრი, შავი და წითელი, ცოლიკაური, ჩხავერი თუ კაჭიჭი... მე შენ გეტყვი და, ცოტა მოსდით. თუნდაც შარშანდელი ძნელი წელიწადი ვახსენოთ, როცა ვენახებს ყველგან უჭირდა. ახალსოფლის კოლმეურნეობამ ორი ათას ექვსასი ტო-

ნა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს, გეგმაზე ცხრაასი ტონით მეტი.

არც თუ ისე გრძელი, მაგრამ ძნელი გზა გამოიარა ამ სიკეთემ.

დავითი იგონებს:

— ჯერ ჩვენ-ჩვენი ეზოყურეც არ გვქონდა გაკაფულ-გაწმენდილი, დიდმა და პატარამ ნაჯახები და წალდები რომ გავლესეთ და ჯარად შევესიეთ ტყესა და ჯაგნარს.–კაცები ხეებს ჭრიდნენ და მორავდნენ, ქალებსა და ბავშვებს ნაკაფი შორს გაჰქონდათ. ჯაგნარს ფესვებიანად ვთხრიდით. მაშინ საამისოდ მანქანები წამლადაც არსად იყო. ჩვენი ხელების იმედად ვიყავით მხოლოდ. ჯერ საყანე მიწები წავართვით ტყეს, მერე სავენახეც. მამები შვილებს არ ესიყვარულებოდნენ ისე, როგორც ვაზის პირველ ნერგებს.. ამ ნერგების გახარება-არგახარებაზე იყო დამოკიდებული, აქაური მიწა სავენახედ გამოდგებოდა თუ არა.

გადაბრუნებულ მიწაში ფესვმოკიდებულმა ვაზის სუსტმა, ციდამტკაველა ნერგმა ფოთლის ყურები დაცქვიტა, ორიოდე წელიწადში კი თოთო მტევნებიც გამოაჩინა. პირველი მტევნები დედმამიან ბიჭებს მოგვაწყვეტინეს: ვაზი ობლად არ დარჩებაო.

ომის დროს თითქმის ყველა მამაკაცმა ფა-

რაჯა ჩაიცვა. ჩვენი, ჯერ ძვალგაუმაგრებელი, სუსტი და შიშველი ხელებით მაინც გამოვგლიჯეთ ტყეს და ჯაგნარს რამდენიმე ჰექტარი სავენახე მიწა. ომგადახდილი ვაჟკაცები უკვე ახალსოფლური ღვინით სვამდნენ გამარჯვების სადღეგრძელოს და ბრძოლის ველზე დაცემულთა შესანდობარს.

ქართველი კაცი მთვარეზეც რომ გადაასახლო, მგონი, იმ უსიცოცხლო პლანეტაზეც გაახარებს ვაზს. ადამიანის გაჩენაც კი ვაზს დაუკავშირა ქართველმა ადამიანმა. ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს: ღმერთმა გააჩინა მიწა, მიწაზე —ვენახი. გავიდა ვენახში და რას ხედავს: ტირიან ვაზები, ცერის სიმსხო ცრემლები სცვივათ.

— რა გატირებთო?

— უპატრონოდ ვართო.

— აბა, მე ვინ ვარო?! — გული მოუვიდა ღმერთს.

— შენ ცაში ხარ, ჩვენ მიწაზე გვინდა პატრონიო.

ღმერთმა ვაზის ცრემლებს პეშვი შეუშვირა, დაასხა თიხას, მოზილა მიწა, გამოძერწა კაცი და ჩაბერა სული.

— აჰა, ამიერიდან ეს იყოს თქვენი პატრონიო.

ვაზმა თავის თავსაც გაუჩინა მომვლელი და ქვეყნიერებასაც.

ვაშლის ბაღსა და ვენახსშუა მივაბიჯებთ მე და დავითი. დავითს გული არ უთმენს, ვაზს ხელი არ შეავლოს ხოლმე.

— ორჯერ არის ვაშლის ბაღი ლამაზი და სურნელოვანი, როცა ჰყვავის და როცა მოსაკრეფია. მოსაკრეფი, უბესავსე ვენახის სილამაზე ხომ მზეთუნახავ პატარძალსაც შეშურდება ხოლმე. ვაზის ყვავილობა თითქოს არაა ლამაზი თვალსახილველად, მაგრამ მე ძალიან მიყვარს, სართვლოდ გამზადებულ ვენახზე მეტად მიყვარს და მელამაზება. საოცრად სურნელოვანია, გაბრუებს და გათბობს, როგორც ახლადმოხდილი ქვევრის ღვინო. განსაკუთრებით მზის ჩასვლისას არის ტკბილად თავბრუდამხვევი. გეგონება, მთელი დღე მზის სურნელს აგროვებდა, მერე ფესვებით მიწიდან ამოწოვილი სიტკბო გაურია შიგ და ახლა მზის და მიწის ყველა სიკეთეს ერთად აფრქვევსო. ვაზის ყვავილობისას ვენახში სიარული არ შეიძლება, თორემ დღე და ღამე აქ ვივლიდი.

ახლა კოლმეურნეობის ვენახები ორას ოცდათორმეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. რასაკვირველია, ეს ფართობი თანდათან კიდევ გაიზრდება, მაგრამ ამჟამად უკვე ვენახის გა-

ფართოების პრობლემა არა დგას ჩვენს წინაშე, სხვა, უფრო საჭირბოროტო საზრუნავი გვაფიქრებს. კარგა ხანია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში თავი იჩინა ერთმა არცთუ სახარბიელო ტენდენციამ: აქაოდა, საჰექტრო მოსავლის გეგმები გადაჭარბებით შევასრულოთო, უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშები გაამრავლეს და თითქმის გადაშენების გზაზე დააყენეს შედარებით ნაკლებმოსავლიანი, მაგრამ ხარისხით აღმატებული ძველი ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშები. ქვეყანამ იცის, რომ ჰექტარზე ცოლიკაური საშუალოდ ოცი ტონა იკრიფება, ჩხავერი კი მხოლოდ მისი ნახევარი — ათი ტონა. ჰოდა, რა თქმა უნდა, გეგმას ცოლიკაურით უკეთ შეასრულებ.. ზოგი რაიონის ვენახები რქაწითელმა დაიპყრო, ზოგი ძელშავმა, ზოგიც ცოლიკაურმა და თანდათან განდევნა და იშვიათობად აქცია ჩინებული ჩხავერი, ძველთაგან ქებული ოჯალეში, ფრიად სასიამოვნო კაჭიჭი, ალადასტური, კრახუნა, შავკაპისტონი, ტკბილსურნელოვანი ხვანჭკარის დედავაზი და მრავალი მისი მსგავსი.

მე უხვმოსავლიანი ვაზის გამრავლების წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ მარტოოდენ ამას თუ გამოვეკიდეთ და ძველი ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშები დავკარგეთ, შთა-

მომავლობა არ გვაპატიებს. არა მარტო საჰექტრო მოსავლის ზრდასა და ყურძნის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაზე, ჩვენი ღვინოების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ამჟამად იქნებ უფრო მეტადაც, ვინაიდან ჩვენი ცხოვრების კულტურული დონის ყოველმხრივი ზრდა გვიკარნახებს ამას. არ სჯობია, კაცმა უკეთესი ღვინო დალიოს და ცოტა, ვიდრე, ასე ვთქვათ, დაბალი ხარისხის ღვინით გაიჭყიპოს?

— სავსებით მართალია, — ჩავურთე სიტყვა, — მე რომ მკითხონ, კარგი ღვინო ზედმეტი სმით არც უნდა გააფუჭო და ამით შეურაცხყოფა არ მიაყენო იმ ღვინოსაც და შენს თავსაც. რამდენიმე წლის წინათ მეგობრები შევიკრიბეთ. სუფრაზე ნამდვილი ხვანჭკარა გაჩნდა, სქელი და სურნელოვანი, დაულევლადაც სასიამოვნო ბურუსში რომ გხვევდა. თითო ბოთლი არც გვქონდა დალეული, წამოდგა ერთი და თქვა: ასეთი ღვინო ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრია, საოცრად მესიამოვნა, ამიტომ დღეს მეტს აღარც დავლევ, მეშინია, სიმთვრალე არ მომეკიდოს და ამ ღვინის ანდამატი არ დამიკარგოსო. მისი სიტყვა მთელმა სუფრამ აიტაცა და გაიზიარა. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უფრო ფა-

ქიზი და ესთეტიური გახდა, ღვინის სმის დროს კი ვცოდავთ ხოლმე. მართლაც რა ფასი აქვს ისეთ ქეიფს, როცა ჩვენი უკეთილშობილესი ქართული ღვინის გემოს ვეღარ იგებს კაცი და იმდენს სვამს, ვიდრე მისი მადლი საწამლავად არ ექცევა. ბოდიში, სიტყვას გადავუხვიე.

დავითმა განაგრძო:

— თბილისში მსოფლიოს მევენახეები და მეღვინეები რომ შეიკრიბნენ, იმ თავყრილობას მეც ვესწრებოდი. გამოდიოდნენ უცხოეთის და მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, ლაპარაკობდნენ თავიანთ ახალ მიღწევებზე, თითქოს გვახარბებენო, ჩამოთვლიდნენ ხოლმე, ვაზის ასეთი და ისეთი ახალი ჯიშები გამოვიყვანეთო. ილაპარაკეს ქართველმა მეცნიერებმაც, მაგრამ ძალიან უღიმღამოდ, პროფესორ დიმიტრი ტაბიძის გარდა საყურადღებო სიტყვა ვერავინ თქვა. დასამალი რა არის, ეს არავის არ გვსიამოვნებდა, თავს დაჩაგრულად ვგრძნობდით. ჩემს ახლოს ნიკო კეცხოველი იჯდა და ყველაზე მეტად ღელავდა. უსმინა ერთ დღეს, ორ დღეს და წინანდებურად რომ გაგრძელდა ყველაფერი, იი, თქვე ლაყე მევენახეებოო, ჩაილაპარაკა გულმოსულად, ითხოვა სიტყვა და შედგა ტრიბუნაზე. დაიწყო და რა

დაიწყო! სულ მტვერი ადინა, ვინც თავის გამოყვანილ ვაზის ახალ ჯიშებს გვახარებდა. სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ მისი დადებითი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება: თქვენ ახალი ჯიშები იმიტომ გამოგყავთ, რომ ცოტა გაქვთო, საქართველოში კი ხუთასზე მეტი ვაზის ჯიშია, ყოველნაირი ფერის, ხარისხის, გემოსი, ყოველგვარ მიწასთან და ჰაერთან შესაგუებელი, ამიტომ ახალი ჯიშების გამოყვანა არც გვჭირდება, ჩვენი მიზანია, მოვუაროთ, რაც გვაქვს, არ დავკარგოთ არცერთი ძველი ჯიშიო. ახლადგამოყვანილი ჯიშის სიავკარგის გაგებას დიდი დრო უნდა, ჩვენი ჯიშები კი საუკუნეების მიერ არის გამოცდილ-შემოწმებული, ზოგი მთაზე უკეთ ხარობს, ზოგი ბარად, ზოგს მეტი სითბო უნდა, ზოგს ნაკლები, ერთი ხრიოკს ეგუება, მეორე წყალს ეხარბება, ზოგს არც შეწამვლა უნდა, არც დიდი მოვლა, ზოგსაც ყოველდღე სჭირდება ხელის შევლებაო. ამიტომ მათი მოვლისა და გამოყენებისათვის ვზრუნავთ, ამ ჯიშებიდან ვარჩევთ საუკეთესოს, რომელ მიწას და ჰაერს რა ჯიში მოუხდება, სად რომელი უკეთესად ივარგებს და უფრო მადლიან ნაყოფს მოგვცემს, ჩვენი ჯიშთა სელექცია ამაზეა დაფუძნებულიო.

სიმპოზიუმის დანარჩენი დღეები ამ სიტყვის გარშემო ტრიალებდა. მხოლოდ ქართული ვაზის ამ დიდ სიმდიდრესა და სიკეთეზე ლაპარაკობდა ყველა. ქართველმა მევენახეებმა შვებით ამოვისუნთქეთ და თავი ამაყად ავწიეთ.

ჩვენს კოლმეურნეობას კარგა ხანია ვაზის კოლექციისათვის ცალკე ფართობი აქვს. იქ ორას ათი ჯიშის ვაზი გვქონდა ადრე. ეს კოლექცია დაბერდა და თუმცა არავის დაუვალებია, ჩვენი ინიციატივით ვაახლებთ ყველა ძველ ჯიშს და ვუმატებთ ახალს, ასე რომ, ამ კოლექციას უფრო გავაუმჯობესებთ, გავამდიდრებთ და ფართობსაც ორ ჰექტრამდე გავზრდით ამავე შემოდგომაზე. ამ კოლექციას მეთვალყურეობს ჩვენი სოფლელი, თბილისის მევენახეობა-მებაღეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ვაჟა გოცირიძე. ჩვენი კოლექცია ბევრ მევენახე სპეციალისტს დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში და აქაურ მიწაზე ახალ ჯიშთა გამოცდის საშუალებასაც მოგვცემს. ჩვენს ვენახებში ცოლიკაური სჭარბობს, მაგრამ თანდათან ვამრავლებთ ძვირფას ჯიშებსაც. გვინდა ოჯალეში ხუთ ჰექტარზე გავაშენოთ, კაჭიჭი ათ ჰექტრამდე გავზარდოთ, ჩხავერი უკვე გვაქვს

ოცდათხუთმეტ ჰექტარზე და კიდევ მივუმატოთ.

საუკეთესო ჯიშების უგულვებელყოფას ადრე ისიც უწყობდა ხელს, რომ ცოლიკაურისა და ჩხავერის ყურძნის ღირებულება ჩაბარებისას მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა, ერთი 41 კაპიკი ღირდა კილო, მეორე — 61. ახლა უკვე ჩხავერი მანეთი და ათი კაპიკი ღირს, ცოლიკაურზე ორჯერ მეტი. ასე რომ, თუ ჩხავერი ნაკლებ მოსავალს იძლევა, სამაგიეროდ მისი ღირებულება გაიზარდა და მომყვანი მატერიალურად უკვე აღარ ზარალობს. ასევე გაიზარდა ოჯალეშის ფასიც.

ეს უკვე იმის საწინდარია, რომ ქართულ სუფრაზე თანდათან გამრავლდება საუკეთესო ღვინო.

ახალსოფელი ზღვასთან ვენახებით იწყება და მთის ფერხთით ვენახებით მთავრდება. ამ ადგილს ბერმუხის სერებს ეძახიან. ათიოდე წლის წინათ აქ მხოლოდ შვიდი ჰექტარი ვენახი იყო, ახლა ვაჟა ჩალაძის და შაგო გობეჯიშვილის ბრიგადები 75 ჰექტარ ვენახს უვლიან. შვიდი ჰექტარი მარტო ჩხავერია.

ჩვენ ახლა სწორედ ჩხავერის ჯანიან ვაზებს მივყვებით.

— ჩხავერი ძველი კოლხური ჯიშია, გურიაში ძალიან იწონებდა თავს, მაგრამ ნუ

გვიწყენენ გურულები და, აქ უკეთ იხარა. ბოლო დროს ბევრგან ერიდებოდნენ ამ ვაზის დარგვას, აითვალწუნეს: მოვლას ბევრს გვთხოვს, ყურძენს კი ცოტას გვაძლევსო. ჩვენ ჩხავერს არ მოვერიდეთ და ახლა არც ვნანობთ. რასაც საქართველო ჩხავერს ამზადებს, სანახევროდ ჩვენ ვამარაგებთ.

დავითი ერთ ჩვეულებრივ ვაზს მიადგა და ძირზე ამონაყრები შეაცალა: — კახეთში ვაზს მტევანი მეტი აქვს, ვიდრე ფოთოლი. იქ სიმშრალეა. ჩვენთან პირიქითაა, ვაზს ფოთოლი მეტი გამოაქვს, ვიდრე მტევანი, ამონაყარი ყვიორიც მეტი აქვს და ხშირად უნდა ხელის შევლება. — მერე ჩუმად თვლა დაიწყო. — კარგია. ორმოცდაორი მტევანი გამოუბამს. ეს დაახლოებით ხუთი კილო ყურძენია. ჰექტარზე ორი ათას ხუთასი ვაზია, ესე იგი, თორმეტ ტონაზე მეტ ჩხავერს მივიღებთ ჰექტარზე. წელს ცოლიკაურსაც უკეთ ასხია. ვაჟა, წელს სამი ათასი ტონა ყურძენი უნდა დავურტყათ. ხომ დავურტყამთ?

— მეტსაც. თუ ღმერთი არ გაწყრა და ცა არ ჩამოიქცა, რა დაუდგება წინ, — მიუგო ბრიგადირმა. — ოღონდ გეგმას ასი ტონით რომ გადავაჭარბებთ, გაისად უფრო არ გაგვიდიდონ გეგმა.

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. გაგვიდიდე-

ბენ და... პასუხი ამ ვენახებმა აგონ ჩვენთან ერთად. ვენახის ფართობს თუ ვეღარ გავადიდებთ, ვაზის უკეთ მოვლა ხომ ჩვენს ხელშია, ეს სადღა გაგვექცევა!

ხუთწლიანი გეგმით გუდაუთის რაიონმა 22 614 ტონა ყურძენი უნდა ჩააბაროს მარანს. ამ გეგმის შესრულება ძირითადად ახალსოფლის ვენახებზეა დამოკიდებული. ახალსოფლელებს კი სჯერათ, ამ გეგმას რაიონს ნაღდად შეუსრულებენ ოთხ წელში. ამის გარანტიას საუკეთესოდ მოვლილი ვაზი იძლევა.

— იმედია, ჩვენი ვენახი თავს არასდროს შეირცხვენს, ახალსოფლური ვაზი ლაჩრულად არასოდეს იტირებს, მისი ცრემლები მუდამ იქნება სასიხარულო ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც. აი, შეხედეთ, თითქოს კუზიანია ვაზი, მუხლმოხრილი და ქედმოდრეკილი, მაგრამ ჩვენი სოფელი კი მისმა ბარაქიანმა სიკეთემ გაასწორა წელში, მისმა დიდმა მადლმა გაალამაზა. ბევრი მოვლა უნდა ვაზს, მაგრამ ბოლოს კაცის გახარებაც მადლიანი იცის, როცა დოვლათით აივსებს უბეს. რაც უფრო უკეთ არის ვენახი მოვლილი, რაც უფრო ხშირად და დროულად არის შეწამლულ-შეფრქვეული, ყურძენი ლპობას გვიან იწყებს. აღარ ფუჭდება, შემოდგომის მზეზე

უფრო დიდხანს ვაჩერებთ, ბევრ შაქარს აგროვებს და, მოგეხსენებათ, ფულს არა მარტო ყურძნის წონაზე, უფრო მეტად შაქრიანობაზე გვაძლევენ.

ზედ გზის პირას, პატარა ბორცვზე თავმომწონედ აყელყელავებულა ყვავილოვანი ბალახი.

— ეს რაა, ვაჟა, აქ საიდან გაჩნდა? — მიუბრუნდა გაოცებული თავმჯდომარე ბრიგადირს.

ყველგან სუფთაა ვენახი და ვენახის პირეჩიც. ეს ბალახი აქ მართლაც უფრო თვალშისაცემად აყვავებულა.

— აქ სასუქი გვეყარა და.. უცებ იფეთქა ამ ოხერმა ბალახმა. სასუქი სარეველას ნაკლებად კი არ უხდება.

ეს თურმე ამბროზიას ნაირსახეობაა. ამბროზია უბედურის ერთი სარეველაა, ზღვისპირეთის ვენახთა პირველი მტერი. თუ ოდნავ მიუშვი, უცებ გადაივლის მთასა და ბარს. დაახრჩობს ვენახსაც და ყანასაც.

— ხვალვე მოსპე და მოაბალასინე ეს ბალახი, არ იმრავლოს და არ გადაედოს ვენახს, თორემ... ამბროზიასავით მამალი არ არის, მაგრამ რა იცი...

როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

ამ მიდამოში ერთადერთი ბერმუხა დგას. ერთადერთი მოწმე იმისა, რომ აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დიდი ტყე იყო. ბერმუხა ახლა ომგადახდილი სარდალივით გაჰყურებს ვაზთა თვალუწვდენელ ლაშქარს. გორაკებს იქით თეთრფაფახიანი მთები ელვარებენ. იქ ერთი კლდე საოცრად ჰგავს ზღაპრულ ციხე-კოშკს. იქნებ ამის ილუზიას შუქ-ჩრდილთა თამაშიც ქმნის. ბერმუხა იმ ციხე-კოშკსაც გაჰყურებს და ეგების მისი მარადისობაც კი შურს. მარტოდშთენილი ეს ბერმუხა ხომ ამ ბოლო დროს წინანდებურად ვეღარ შრიალებს, მოუახლოვდა აღსასრულის ჟამი, გახმობას აპირებს. მაგრამ იქვე, ოციოდე ნაბიჯზე ახალი მუხა ამოსულა, ალბათ ბერმუხის შვილიშვილი.

ამ ახლად შეღერებულ მუხას ახალსოფლელები უეჭველად გაზრდიან, თუნდაც ამ ვალმოხდილი ბერმუხის და აქაური დიდი ტყის სამახსოვროდ. ერთი საჩრდილობელი ხე ხომ უნდათ! და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქაურობას ხომ ბერმუხის სერები ჰქვია? ეს სახელი რატომ უნდა დაცარიელდეს! ასე რომ, ეს ბერმუხა ახლა აქ წინაპართა ხსოვნასავითაც დგას. აქ რომ ეს ბერმუხა არ იდგეს, იქნებ მთელი ეს შემოგარენი ასე ლამაზი არც მოგვჩვენებოდა. გორაკებზე შე-

ფენილ ვენახებს ძალიან შვენის ეს ბერმუხა.

მავთულზე გაკრულ ვაზთა მწკრივებსშუა დაგუგუნებს კულტივატორმიბმული სავენახე ტრაქტორი.

— აი, ეს არის ბიჭიკო გოგრიჭიანი, ერთ-ერთი მოწინავე მექანიზატორი. ამაზე უკეთ ფერდობ ვენახებში ვერავინ მუშაობს, ამ-ტომ სხვაგან არ ვუშვებ. ეს სავენახე ტრაქ-ტორები ძალიან გვშველის, ამ ტრაქტორებით ვხნავთ, კულტივაციას ვატარებთ, ვფარ-ცხავთ, შაბიამანს ვასხურებთ, გოგირდს ვაფ-რქვევთ. ეს რომ არ გვეხმარებოდეს, რა კა-ცის ზურგი გაუძლებს სასხურებელ აპარატს ამ თვალუწვდენელ ვენახებში. ჩვენს ვაზს შვიდჯერ წამლობა უნდა, ოთხჯერ გოგირდის შეფრქვევა. როცა კოლოიდური გოგირდის შოვნას ვახერხებთ, შედარებით გვიიოლდება ეს ამბავი. კოლოიდურ გოგირდს შაბიამნის წამალში ვურევთ და ცალკე გოგირდის შეფ-რქვევა აღარ გვჭირდება. ორ საქმეს ერთად ვაკეთებთ: ვაზის მავნებლებსაც ვებრძვით და ავადმყოფობასაც. ეს ჭრაქიო, ეს ნაცა-რიო, ხან რა ჩნდება და ხან რა.

ბიჭიკომ ტრაქტორი ფერდობზე ამოაგუ-გუნა და გზასთან შეაჩერა. კულტივატორის ხუთი სახნის-თათი, მიწით გაფერილ-გაპრია-ლებული, ჩამავალი მზის შუქს ირეკლავდა.

— ბიჭიკო, შენც ხომ ესწრებოდი გამგეობის სხდომას, ჩვენმა აგრონომმა რომ თქვა, წელს კულტივაციას და ფარცხვას ერთად მოვახერხებთ, ერთ საქმედ ვაქცევთო?

— ვცადე, მაგრამ . . .

— აღმართში ორივეს ვერ მოერია?

— ამ ტრაქტორს ორმოცდაათი ცხენის ძალა აქვს, როგორმე მოერეოდა, მაგრამ... ჯერჯერობით კულტივატორს ფარცხი კარგად არ მოერგო და ვერ მოემარჯვა. შემეშინდა, ვაზები არ დააზიანოს-მეთქი. ახალი საქმეა და... დაკვირვება უნდა, სარგებელს ზარალმა რომ არ აჯობოს. იქნებ ფარცხი ცოტა დავაპატარავოთ. ჰოდა, მერე ალბათ უკეთ მოერგება. ხვალ თუ არა, ზეგ ჩვენი აგრონომის ნოვატორულ აზრს არ გავაცუდებთ, უეჭველად მოვუბამთ ორივეს. ერთდროულად ბელტებსაც გავფშვნით, გადავფარცხავთ კიდეც და ბალახსაც ავჩეჩავთ.

— თქვა დაბეჯითებით ბიჭიკომ.

კარგია, როცა ადამიანებს ერთმანეთისა სჯერათ: იქ დაუძლეველი არაფერია. თითქმის ყოველი მხრიდან ისმოდა ტრაქტორების გუგუნი. სხვადასხვა ადგილას მუშაობდნენ აფხაზი პავლე ხუტბა და ქართველი ვახტანგ მაისაშვილი, მაგრამ მათი ტრაქტორების გუგუნი მიწის ერთ ხმატკბილ საგალობლად ისმოდა.

— ჯერხნობით ხარებიც გვჭირდება, ცხენებიც და ჯორებიც, მაგრამ არც ტექნიკით ვართ ღარიბი. ოცდაორი სხვადასხვა ტრაქტორი და რვა სატვირთო მანქანა გვყავს. ადრე ემტეესში არ იყო ამდენი. მომავალში მეტი გვეყოლება. ჩვენი ყველა ვენახი ისეა დარგული, მთლიან მექანიზაციას ითვალისწინებს. სხვა გზა არცა გვაქვს, თანდათან გადადის ძველებური გლეხი, თოხ-წერაქვითაც რომ კარგად მუშაობდა. ასე ვთქვათ, კარგა ხანია პენსიაზე გადავიყვანეთ ის დრო-ჟამი, კაცი მარტოოდენ შიშველი ხელებით, თოხით და ბარ-ნიჩაბით რომ ებრძოდა მიწას. შეიცვალა კოლმეურნეობის ეგრეთ წოდებული განათლების დონეც. ათი მარტო უმაღლეს დამთავრებული გვყავს: მთავარი აგრონომი, მებაღე-მევენახე რაჟდენ ლობჯანიძე, ვეტექიმი მიხეილ მანდარია, ეკონომისტი ზონგურ გოგობერიშვილი, მექანიკოსი ვაჟა ბოხაშვილი, სანერგის გამგე ილო პეტრიაშვილი, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე მომუშავე აგრონომები იური ქავთარია და ზაზა პაპასკირი. აგრონომი ომარ ბედენაშვილი მევენახეობა-მებაღეობის საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, მევენახე უჩა გოგსაძე პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს. მალე ალ-

ბათ ჩვენი საკუთარი მფრინავიც გვეყოლება. ვენახებს ციდან ვუაქიმებთ. მე ვნახე თვითმფრინავით მორწყულ-ნაწამლები ვენახები და ძალიანაც მომეწონა, ეფექტიანია. ჩვენ მუშახელი არ გვაკლია, მაგრამ ამის ნახევარი ხალხიც რომ გვყავდეს, იმ ხალხით შეიძლება ამდენივე საქმე გავაკეთოთ, თუ მეტ ინიციატივას და გულმოდგინებას გამოვიჩენთ, თუ უფრო გონიერად მოვაწყობთ შრომის ორგანიზაციას. პერსპექტიულად კი ამის შესაძლებლობა ნამდვილად გვაქვს. ეს ჩვენს უნარზეა დამოკიდებული. გლეხი მიწის მონა იყო, კოლმეურნე მიწის მეფეა, მისი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი. იგი თვითონ არის თავისი თავის მბრძანებელი, როცა მიწას ეჭიდება. სხვაგან არ ვიცი და, ჩვენთან ამჟამად ნამდვილად ასეა.

— კი, მაგრამ, ყველაფერს ხომ მანქანით ვერ მოუვლი? ამდენ ვაზს რა ხელი სხლავს? არც სამი ათასი ტონა ყურძნის მოკრეფა უნდა იყოს ადვილი.

— ზამთარში ვსხლავთ, როცა სხვა საქმეები არ გვაწუხებს, დრო კი ჩვენ გვემორჩილება. ნეტავი მაშინაც დაგანახვა აქაურობა. ყველგან წალმის კოცონებია გაჩაღებული, მისი ნაცარი კი ვენახს უბრუნდება სასუქად.

არც რთველზე გვჭირდება ვინმეს დახმარება, არც სტუდენტებისა, არც მუშა-მოსამსახურეებისა. ჩვენი სოფლის ხალხი გვყოფნის. მარანმა თუ არ დაგვაბრკოლა, ჩვენდათავად ყურძნის კრეფა არ გვიჭიანურდება. ხელში გვაქვს მანქანები და... ყველაფერი კონვეიერული წესით მიდის. რთველი ორად გვაქვს გაყოფილი: ცოლიკაურს ოქტომბერში ვკრეფთ, ჩხავერს — ნოემბერში. მეურნეობას მკაცრი ანგარიში უყვარს. ჩვენ ზუსტად გვაქვს გაანგარიშებული მუშახელიც და ისიც, რომელ მიწას როდის სცალია ჩვენთვის. ყველა ჩვენი ბრიგადა კომპლექსურია, რათა მუშახელი წლის ყოველ დროს მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და ბრიგადის ყველა სამუშაომ ურთიერთ მონაცვლეობით ერთმანეთი შეავსოს. როცა ბაღსა და ბოსტანს უნდა შველა, ვენახი წყნარადაა, როცა ვენახი ეძახის მუშაკაცს, ბაღჩა-ბოსტანია მხართეძოზე წამოწოლილი და ნებივრობს, ან — ერთის მუშახელი მეორეს არ სჭირდება. მიწა ჩვენ გვემსახურება და მიწას ჩვენ ვემსახურებით, ერთმანეთი რომ არ მოვაცდინოთ ტყუილუბრალოდ. ათას შვიდასი ჰექტარი მიწა გვაბარია, ხუმრობა ხომ არაა. აქ რამდენი ბორცვი თუ გორაკია, იმდენნაირი ბუნება-ხასიათის მიწაა და ყველას სხვა-

დასხვანაირი მოვლა უნდა. თუ აქ ზუსტად არ მიაგენი და სწორად არ განსაზღვრე, რომელი მიწის ნაკვეთი რისთვის უფრო გამოგადგება, სად რა მოგვცემს უკეთეს ნაყოფს, ისე მუშაობას კარგად ვერ ააწყობ. ერთგან ბოსტანი უკეთ ხარობს, მეორეგან ბაღი, მესამეგან ჩაი, მეოთხეგან ვენახი. აი, ერთგან გვქონდა ოთხი ჰექტარი თითქოსდა მთლიანად უვარგისი, გამოუყენებელი მიწა, დავრგეთ იქ კაკლები და იმ მიწას უკვე უვარგისი აღარ ჰქვია. წინათ მიწისთვის ებრძოდა კაცი კაცს, დღეს მიწა გასაყოფი აღარა გვაქვს, ახლა ვიბრძვით, რაც შეიძლება სარგებლიანად, რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა, ჩავაყენოთ იგი ადამიანის, ადამიანური ბედნიერების სამსახურში. თუ მჭედელს დალაქობა დააწყებინე და დალაქს მჭედლობა, არცერთი არ ივარგებს, თვითონაც გაწამდება და სხვასაც გააწამებს. ჩვენთვის მთავარია, თავიდანვე ავუღოთ ამას ალღო, კარგად ავწონ-დავწონოთ და თუ შეცდომა შოგვივა, უკან დროულად დავიხიოთ. აი, ბერმუხის სერებზე ადრე ხან რა დარგეს, ხან რა, ვერ გაიხარა. რომ ვთქვი: ვაზი დავრგოთ-მეთქი, ბევრი არ დამეთანხმა, ასე შორსაც ნუ წავალთ, აქ ვაზი არ იხეირებსო. მაგრამ . . .ყველაზე კარგად აქ იხარა და ყურძენიც უფრო ტკბილი მოისხა.

ჩვენ რომ დროულად უკან არ დაგვეხია, ეს საუკეთესო ვენახები დღეს არ გვექნებოდა.

გავყურებ ვენახებს. სიმეჩხრეზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. ყველაზე გასახარებელი კი ის არის, რომ ახალსოფელში საკოლმეურნეო მიწა და კოლმეურნის კარმიდამო, კოლმეურნეობის თუ კერძო ვენახი ერთნაირი სიყვარულით არის მოვლილი. აქაური კაცი თვალნათლივ ხედავს, რომ საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებსა და მინდვრებში შრომა მატერიალურად არანაკლებ უნაზღაურდება, ვიდრე თავისი საკარმიდამოს მოვლის დროს, ჰოდა, ორივე მიწას ერთნაირი გულმოდგინებით და პატიოსნებით დასტრიალებს თავს. ალბათ ესეც. არის იმის მიზეზი, რომ აქ კერძო მეურნეობის ხვედრი მცირეა და თანდათან უფრო მცირდება კოლექტიური მეურნეობის გაზრდის ხარჯზე.

ახალსოფლის ვენახები ასე ლამაზად რომ გამოიყურება, პატარძალივით მორთულ-მოკაზმული, ამას ბევრი რამ უწყობს ხელს. მთავარი მაინც ის არის, რომ ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყველა ცდილობს, სხვაზე უკეთესად ჰქონდეს მოვლილი ვენახები და ყურძენიც უკეთესი ჩააბაროს სახელმწიფოს. აქ არ სჭირდებათ მიწის ინდივიდუალური გაპიროვნება, შრომობენ ბრიგადულ-

რგოლური პრინციპით, აღრიცხვა და მოსავლის განაწილებაც ბრიგადულ პრინციპზეა დაფუძნებული — რომელსაც მეტი ჭირნახული მოჰყავს, ის იღებს მეტს. შრომის ფასი იმით იზომება, ვინ უფრო მუყაითობს, ვინ უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენს, ვისი შრომაც მეტ დოვლათს იძლევა. ერთი კაცდღის ფასი თავისი პრემიალური დანამატით ბრიგადების მიხედვით სხვადასხვაა, იგი შვიდი მანეთიდან თორმეტ მანეთამდე იცვლება. რთველის დროს ორი სასწორი უდგათ ვენახებში და აღრიცხავენ, რომელი ბრიგადა რამდენს კრეფს. ვინც მეტ ყურძენს აბარებს სახელმწიფოს, იმას თავის ოჯახში მეტი ფული შეაქვს. ასეთი შეჯიბრება ამდიდრებს სახელმწიფოსაც და მშრომელი კაცის ოჯახსაც.

ახალსოფელში ხშირად იგონებენ ერთ ძველ ამბავს. რაჭაში პირველად კოლექტივი რომ ჩამოყალიბდა, ყველა სიხარულით გარბოდა სამუშაოდ, ერთი კაცის გარდა, რომელსაც მეტსახელად ოლონგრიალას ეძახდნენ. ოლონგრიალა ფიქრობდა: რატომ მოვიკლა ჯაფით თავი, ვინც იმუშავებს და არ იმუშავებს, ჭირნახულს ბოლოს მაინც ყველას თანაბრად გაგვინაწილებენო. მხოლოდ ერთ დღეს გავიდა სამუშაოდ: აქაოდა, არ თქვან, კოლექტივის წევრი არ არის, თითი არ გაუნ-

ძრევიაო. დადგა შემოდგომა. ხედავს ხალხი ტომრებით მიდის. საით გაგიწევიაო, ჰკითხა ერთს. არტელში კარტოფილს არიგებენო. შენ რამდენი ტომარა მიგაქვსო? ოთხიო. თვითონ ოლონგრიალამ ხუთი ტომარა გადაიკიდა მხარზე, მე მეტი შვილები მყავს სარჩენიო, და არტელის ბეღლისკენ გასწია. იმ წელს მთაში კარტოფილს ნანატრი ამინდი დაუდგა, ზოგი ისე მსხვილი გაიზარდა, ერთ კილოგრამს იწონიდა. ხედავს ოლონგრიალა: ხალხი დიდრონ-დიდრონი კარტოფილებით ივსებს ტომრებს და ურმით მიაქვს. თავის რიგს არც დაელოდა, სხვებს გადაუსწრო და ფართოდ თავგაშლილი ტომარა კარტოფილის დამრიგებელ მოანგარიშეს მიუშვირა: ჩამოყარეო.

— ბატონო ოლონგრიალა, ხომ ხედავ, წელს კოლექტივის კარტოფილმა რაფრად იჯიშა, კილოზე ნაკლები არცერთი არ არის და რა ვქნა ახლა მე, შუაზე გაჭრილი კარტოფილი რაფრათ შემოგკადრო, არა და, . . ბოდიშს ვიხდი, ნახევარ კილოზე მეტი არ გერგება.

გაშრა ოლონგრიალა, ტომარა ხელში შეაცივდა.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, გაუჭრელად მოგართმევ. ერთ დღეს გაისადაც ხომ იმუ-

შავებ, ნახევარი კარტოფილიც ავანსად წაიღე. — მოანგარიშემ განგებ აარჩია ერთი მსხვილი კარტოფილი და უმადურად ჩაუგდო ტომარაში ოლონგრიალას. — წადი ახლა, რას მომთხავებიხარ!

— სხვებს ოთხ-ოთხ ტომარას ატან სავსეს და მე ერთი ობოლი კარტოფილი? ეს რა თავის მასხრად აგდებაა? მე სხვაზე მეტი შვილები მყავს! — იყვირა ოლონგრიალამ.

— სხვაზე მეტი შვილები რომ გყავს, სხვაზე მეტიც უნდა იმუშაო. — მოუჭრა სიტყვა მოანგარიშემ.

გაბითურებულმა ოლონგრიალამ შინ ხუთი ცარიელი ტომარა და ერთი კარტოფილი მიიტანა. მერე, იცოცხლეთ, იკადრა მუშაობა და შვილებიც ისეთი ყოჩაღები გამოუვიდნენ, იმ კარტოფილის ამბავზე უკვე თვითონ დასცინოდნენ მამას.

იმ ოლონგრიალას ამბის არ იყოს, ახალსოფლელები ყველას დასცინიან, ვინც მუშაობას თავს არიდებს, მერე კი სხვაზე მეტ ჭირნახულს მოითხოვს.

აქ კარგად იციან, რომ მარჩენალ მიწას ისევე უნდა პატივისცემა, როგორც ოჯახის მარჩენალ კაცს. პატივს სცემენ მიწასაც და უშუალოდ მიწაზე მომუშავე ადამიანებსაც, ვინც ოფლს ღვრის მიწაზე. კოლმეურნეობაში კარ-

გა ხანია დამკვიდრდა ტენდენცია, შემცირდეს მეთვალყურე და ადმინისტრაციული მუშაკი. იქნებ ამიტომაც, აქ ფიზიკურად და გონებრივად მომუშავე ადამიანები ერთმანეთს არაფერს აყვედრიან. ის, ვინც უშუალოდ ებრძვის მიწას ან სხვა ფიზიკური საქმით არის დატვირთული, ვერ შესჩივლებს ადმინისტრაციულ მოსამსახურე პერსონალს: მე წელებზე ფეხს ვიდგამ, მუშაობით ქანცი მძვრება, შენ კი მხოლოდ საანგარიშოს აჩხაკუნებ, მხოლოდ ფიქრობ, მხოლოდ მითითებებს იძლევი, მხოლოდ ჭკუას გვასწავლი, რჩევა-დარიგებებს არიგებ და მატერიალურად ჩემზე მეტს იღებო. მიწაზე უშუალოდ მომუშავე ადამიანი თავს დაჩაგრულად ოდნავადაც არა გრძნობს, ზოგჯერ, პირიქით, მის შრომა-გარჯას უფრო აფასებენ. კოლმეურნე გურგენ რეხვიაშვილის შარშანდელი კაცდღე ათ მანეთზე მეტად დაფასდა, როცა ბრიგადირ ვაჟა ჩალაძის კაცდღეს მხოლოდ რვა მანეთმა მოუწია. მწყემსმა-მწველავმა გრიგოლ გოგრიჭიანმა კოლმეურნეობიდან ოთხი ათას ორასი მანეთი მიიღო, ფერმის გამგემ გაიოზ კივილაძემ კი — მხოლოდ ორი ათას ოთხასი. მწყემსს კაცდღეზე ცამეტი მანეთი მიუთვალეს, ფერმის გამგეს კი — ცხრა მანეთიც ვერა. ბევრ ტრაქტორისტს უფრო ხვავიანი წე-

ლიწადი აქვს, ვიდრე ბრიგადირს, კოლმეურნეობის ეკონომისტს, ბუღალტერს და თავმჯდომარესაც კი. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლმეურნეს თავის კარმიდამოში სამუშაოდაც ადმინისტრაციულ მუშაკზე მეტი დრო რჩება. ამიტომაც ახალსოფლის მიწას არავინ გაურბის და სადმე დახლში დგომას არ ამჯობინებს, იოლ და სარფიან საქმეს არ ეძებს. როცა ფიზიკურად მომუშავე ადამიანი აშკარად ხედავს, ჩემს ბრიგადირსა თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ვცხოვრობო, რატომ მიატოვებს დალოცვილ მიწას.

სამწუხაროდ, მე ბევრ სოფელს ვიცნობ, სადაც ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. რაც უფრო ცოტა ხალხი რჩება კოლმეურნეობაში, მით უფრო გარბიან, რადგან მთელი სოფლის მიწის ტვირთი უფრო ცოტა ხალხს აწვება მხრებზე და თანდათან მძიმდება. ამ შემთხვევაში თავს მხოლოდ გაქცევით შველიან.

ახალსოფელში დიდი მიწა აქვთ მოსავლელი, მაგრამ აქ ხალხიც ბევრია, ადამიანები ამ მიწის დიდ ტვირთს თანაბრად ინაწილებენ და შრომა აღარ ემძიმებათ, ხოლო როცა სამუშაო არა გჯაბნის, ჯაფა ტყვიასავით მძიმედ არ გაწვება მხრებზე და მიწაზე არ გიპირებს

ლავაშივით დაბრტყელებას, ეს უკვე სახალისოა. მით უმეტეს, როცა უამრავი შენსავით მშრომელი ადამიანი მხარს გიმაგრებს, შენთან ერთად თავდადებით დასტრიალებს მიწას და შემდეგ ამ შრომის კარგ შედეგს თანაბრად იმკით.

დავითი იგონებს:

— პატარაობისას, ჯავისაში რომ ვცხოვრობდით, დედაჩემი უთენია მიდიოდა სამუშაოდ და ღამით ბრუნდებოდა. ბავშვებს მძინარეებს გვტოვებდა და დაძინებულები ვხვდებოდით. გვენატრებოდა მშობლის ალერსი. მიკვირს, იმდენ ჯაფას როგორ იტანდნენ. მერე ომის დროს გვქონდა დიდი ჭაპანწყვეტა. ახლა ახალსოფლელ კოლმეურნეს საშურო, გადაუდებელი საქმე თუ არ აწუხებს, მოსამსახურესავით ხუთ საათზე შინისკენ მიეშურება. მაგრამ თუ საქმემ მოსთხოვა, იქნებ ორი დღე და ღამე თვალმოუხუჭავადაც გაისარჯოს.

ვაკვირდები ახალსოფლელთა შრომას. მე მგონია, მათი წარმატების ერთერთი საფუძველი შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებაა. აქ ყველაფერს მათი შემოქმედების ნიშანი აზის. ეს უბრალო შრომით არ არის შექმნილი. აქ ყველა შემოქმედ ადამიანად გრძნობს თავს. ეს ლამაზი და მდიდარი

სოფელი არის ამ შემოქმედთა ჭეშმარიტი ნაწარმოები.

მოგეხსენებათ, შემოქმედ ადამიანს ადვილად არაფერი ეძლევა. მისი საუკეთესო ნაწარმოებები დიდი ტანჯვით და წამებით, დიდი ენერგიის დახარჯვით არის შექმნილი. მაგრამ შემოქმედი ადამიანი ბედნიერია სწორედ ამ დიდი ტანჯვით, იმ ტანჯვით, დიდი, დამქანცველი შრომა რომ ანიჭებს, როცა ხალხის და დროჟამის სამახსოვრო ნაწარმოებს ქმნის.

ახალსოფლელები ამ მიწაზე კი არ სეირნობენ, ზოგჯერ ამ მიწაში ამოითხვრებიან კიდეც, რაღაც შეაწუხებთ, რაღაც დატანჯავთ, მაგრამ ამის გამო თავს დაჩაგრულად არ გრძნობენ, იციან, რომ დიდ საქმეს აკეთებენ, შემოქმედს უტოლდებიან და ამ ბედნიერების შეგრძნება აქარწყლებს ყველაფერს. თუ მიწამ დაღლასთან ერთად ბედნიერებაც არ მოგანიჭა, ამ დაღლილობას დიდხანს ვერ გაუძლებ. მიწას სწორედ ასეთი ადამიანები უყვარს: ერთდროულად მტანჯველ დაღლილობას და ამ ტანჯვის გამაქარწყლებელ ბედნიერებას რომ მიანიჭებს, ასეთი ადამიანები: თავს რომ არ ამადლიან, ებრძვიან, მაგრამ ზედ ლანძღვა-გინებით არ აფურთხებენ, ებრძვიან სიყვარულით, ვაჟკაცურად, პატიოსნად.

ახალსოფლის მიწას და აქაურ ადამიანებს ერთმანეთი უყვართ.

* * *

ვინ იცის, რამდენი კოლმეურნეობაა, ბერიკაცების მხრებზეღა რომ დგას. ეს იმის ნიშანია, რომ იქ საქმეს კარგად ვერ წასძღოლიან.

დავინტერესდი ახალსოფლის კოლმეურნეთა ასაკით. განსაკუთრებით სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ეს მიწა ახალგაზრდებს მოხუცებზე ნაკლებად არ უყვართ. ჭარმაგ ხალხს გვერდს უმშვენებენ ჭაბუკები და ქალიშვილები. კოლმეურნეთა უმრავლესობა 25—40 წლისაა. სოფლის ხვალინდელი ბედი საიმედო ხელებს აბარია.

ამ სოფელში დღეს სამასამდე კოლმეურნე ვეტერანია. არ მინდა მათ ტრადიციულად მოხუცები და დედაბრები ვუწოდო. ისინი ხომ მებრძოლები იყვნენ, სიკვდილის კი არა, სიცოცხლის მთესავი მებრძოლები. ჰოდა, მიწასთან ბრძოლის ვეტერანებად მონათვლა უფრო უპრიანია მათთვის.

ჩვიდმეტიოდე წლის წინათ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ხალხმა საყვედური გამოთქვა: მოსამსახურეს თუ მუშაობის სტაჟის და ხელფასის მიხედვით პენსიას უნიშნავენ, მოხუცმა კოლმეურნემ რაღა დააშავა, განა ისიც საქვეყნო საქმეს არ ემსახურებოდაო? კოლმეურნეს ვითომ რატომ არ უნდა დაენიშ-

ნოს პენსია და შვებულებაც რატომ არ უნდა მიეცესო? ამჟამად ისინი კმაყოფილნი არიან: ღვაწლი და ამაგი დაგვიფასდაო. მათაც უნიშნავენ პენსიას, შვებულებასაც აძლევენ. ქვეყნის მარჩენალმა ხალხმა დაინახა, რომ მისი თავდადება სხვათა საქმიანობაზე ნაკლებ საპატივცემლო არაფრით არ არის. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა სოფლელ ადამიანს მიწისადმი სიყვარული.

კოლმეურნეს პენსიას უნიშნავენ გამომუშავების მიხედვით: ვინც ადრე იყოჩაღა, ბოლოს ის დარჩა მოგებული — მეტი პენსია ერგო. ეს ამბავი ახალგაზრდებსაც კეთილად აქეზებს: მიწისკაცობა სხვა რამეს გერჩიოთ, რაც უფრო კარგად იმუშავებთ აქ, სიბერის ჟამს ამაგი მით უფრო დაგიფასდებათო.

კოლმეურნისათვის პენსიის მიღება უსაქმოდ დარჩენას და სიბერის ჟამს განცხრომით ყოფნას როდი ნიშნავს. გოგია გოგსაძე, ვარდენ გოგობერიშვილი, სოგრატი გოგრიჭიანი, ანეტა ციხისელი, თეო გოგობერიშვილი და ბევრი სხვა პენსიონერი გულხელდაკრეფილი როდი ზის და მარტოოდენ პენსიას როდი შეჰყურებს, კვლავ აქტიურად შრომობს არა მარტო თავის კარმიდამოში, საკოლმეურნეო მიწაზეც. აი, დაუგდეთ ყური, რას ამბობენ ისინი:

— წინათ სოფლელებს პენსიას რომ არ გვაძლევდნენ, დიახაც გვწყინდა. ვითომ რატომო? რაკი ჩვენ მიწას ვუვლიდით და სხვები ქალაქში მსახურობდნენ? ქვეყნის მარჩენლები რომ გვქვია, ამიტომ ხომ არ ვიყავით სხვაზე ნაკლები? ახლა, ჩვენ რომ გვკითხონ, ქალაქელი პენსიონერები არიან საცოდავები და დაჩაგრულები თავისებურად — უსაქმოდ რომ რჩებიან. ჩვენ პენსიას რომ დაგვინიშნავენ, თუმცა მუშაობას აღარავინ გვაძალებს, მაინც ძველებურად ვსაქმიანობთ. ნეტავი შეიძლებოდეს, ქალაქელი რომ პენსიაზე გავა, სოფელში ჩამოვიდეს, აქაურ პენსიონერს ამოუდგეს მხარში, მასთან ერთად იმუშაოს რამდენიც შეუძლია. ეს ქვეყნისთვისაც კარგი იქნება და იმ პენსიონერისთვისაც. აქ მარტო საპენსიო თანხაზე კი არაა საქმე, ცოდვაა ადამიანი, ვისთვისაც პენსია მხოლოდ ლუკმის საყიდელ ფულად იქცევა, ვისაც პენსია ცხოვრების ორომტრიალისგან გამოთიშავს. კი უნდა ამ ამბავს უფრო ღრმად დაკვირვება...

* * *

სერიბაბას უბანში, სადაც დიდი ზვრები და ბაღებია, აღმართულია ბარელიეფიანი ობელისკი: „1892 — 1962. ალექსანდრე სამსონის ძე იობიძე. აფხაზეთში მევენახეობის განვითარებისათვის დაუღალავი მებრძოლი“.

ეს ობელისკი კოლმეურნეობამ აუგო თა-

ვის აგრონომს. ამაგი არ დაუკარგა, დაუფასა ღვაწლი და კაცური კაცობა.

— საოცარი კაცი იყო, მოუსვენარი. — ამბობს დავითი. — ვენახის ტრფიალი ალექსანდრესავით ვერავინ დაიქადნოს. ამ უშვილო კაცს ვაზი უყვარდა შვილივით. ნშირად ეკამათებოდა რაიკომის მდივნებს, სხვებსაც. მეც მეკამათებოდა ხოლმე, მაგრამ არა რაიმე კარიერისტული მიზნით ან თავის სახელის გამოჩენისათვის: თავმჯდომარეობა მინდა ან სხვა, უფრო დიდი თანამდებობაო, თავის პრინციპებს იცავდა: სავენახე მიწას სხვა რამისათვის ნუ აცდენთო, უნდოდა, მთელი ქვეყნიერება ვენახად ექცია. მგონი, სიზმარშიც კი მხოლოდ აყვავებულ ვაზებსა ხედავდა. ამ თავისი პრინციპისთვის სიკვდილამდე არ უღალატნია. ბევრჯერ გვაჯობა, ძალიან ბევრჯერ, შეუძლებელი გაგვაკეთებინა. მისი გამარჯვებები კი საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩა, ახალსოფლის მიწა-წყალს დარჩა, აფხაზეთს დარჩა. ალექსანდრეს რომ არ ეყოჩაღნა, ახლა ჩხავერი და კაჭიჭი არ გვექნებოდა, იქნებ ზოგიერთი სხვა ვაზიც. თუ მოვიცალე, მინდა ამ თავდადებულ ადამიანზე პატარა წიგნი დავწერო.

— ძალიან კარგს იზამ, საშვილიშვილო საქმეს გააკეთებ. — კვერი დავუკარი მე. — ეს ობელისკი დიახაც კარგია, ამას რომ კოლმე-

ურნე დაინახავს, უეჭველად გაიფიქრებს: ჩვენში მიწაზე მომუშავე ადამიანის ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება იციანო და შეუძლებელია, უფრო გულმოდგინედ არ გაისარჯოს. მაგრამ ეს ობელისკი შორს ვერ გასწვდება. დაე, სხვებმაც გაიგონ ამ ადამიანის ამბავი, გაიგონ, რომ არავის არსად არ ეკარგება ამაგი, სადაც არ უნდა აკეთებდეს იგი კეთილ, საქვეყნო საქმეს, მიყრუებულ ადგილას თუ დედაქალაქში.

კარგა ხანს შევყურებდი ბაღ-ვენახების ჭიშკართან მდგარ ალექსანდრე იობიძის ობელისკს და ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში:

აი, ზღვაზე მიმოდიან ტალღები და ტალღებს კვალი არა რჩებათ ზღვაზე, არც ზღვის ნაპირზე. მიწაზე მიმოდიან ადამიანები და... ადამიანებს კვალი რჩებათ მიწაზე, კეთილი კვალი.

ვინც ახალსოფელში პირველად გაჩეხა ტყე, პირველად დაარტყა ბარი და გადააბრუნა საგენახე მიწა, დღეს ცოტაღა უყურებს მზეს, უმრავლესობა უკვე ვალმოხდილი წევს სოფლის სასაფლაოზე. მაგრამ მათ თან არაფერი წაუღიათ, ყველაფერი ჩვენ დაგვიტოვეს: თავის დარგული ვაზები და ხეხილი, თავის გაკეთებული სახლები და გზები, ათასი სხვა რამ. ისინი ნამდვილად არიან ღირსნი ხშირ-

ხშირად მოვიგონოთ. დიდი ქელეხების გადახდით კი არა, მათი ამაგის დაფასებით. გვახსოვდეს ყველა, ვინც ჩვენ ამ კარგ დღეებამდე მოგვიყვანა. ისინი მხოლოდ კეთილ მოგონებას გვთხოვენ ახლა, სხვას აღარაფერს და ამას მაინც ნუ დავამადლით. ეს კი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ექნებათ გზის მანათობელ ჩირაღდნად.

* * *

ბაღ-ვენახებში მომუშავე ადამიანები შორიდან არ ჩანან. მით უმეტეს, არ ჩანს მათი დაკუნთული მკლავები და დაკოჟრილი ხელები, არც — ბუნება-განწყობილება. მე კი ეს უფრო მაინტერესებს, მიხარია, როცა მშრომელ კაცს ახლოს ვხედავ, ვგრძნობ, როგორ გადაეცემა მათი ხელების სითბო მიწას და მერე ეს სითბო მიწიდან კვლავ ხელებს როგორ უბრუნდება. ამას ჰქვია მიწის და კაცის ურთიერთ ალერსი, ნდობა და სიყვარული.

მე რომ მკითხონ, ისე არაფერი არ ღლის ადამიანს, როგორც ტყუილად ყოფნა. ნამდვილი მუშაკაცი მაშინ უკეთ ისვენებს, როცა ხალისიანად მუშაობს. ადამიანს მიწაზე მუშაობა გაზაფხულივით ჯან-ღონეს უახლებს და სიცოცხლეს უმატებს. ეს არის სიცოცხლის ყველაზე კეთილი და მძლავრი ელექსირი.

აქ შრომას სიხარული მოსდევს, ამიტომ არ

არის მძიმე. კოლმეურნეს დასვენების დღე არა აქვს, ამითაც ჰგავს იგი შემოქმედ ადამიანს. თუ დასჭირდა, დღე და ღამეს გაასწორებს და საქმეს თავს არ დაანებებს, შუა გზაზე არ მიატოვებს.

დიახაც კარგია, როცა გლეხი ლამაზად გელაპარაკება, ბარაქიანი სიტყვა რომ მოსდგამს, მაგრამ ამაზე ასჯერ კარგია, როცა ლამაზი, მუყაითი მუშაობა და ბარაქიანი ჭირნახულის მოყვანა იცის. ამ დროს იმასაც კი ვერ ჩაუთვლი ნაკლად, რომ თავის საქმიანობაზე ორიოდე სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხოს, ტრიბუნაზე ასვლა ხომ გაუჭირდეს და გაუჭირდეს.

— რა ვქნათ, თუ ქვედელი მიხა მაისურაძის გაწყობილი ცელივით არ გვიჭრის სიტყვა. ტრიბუნა რა ჩვენი საქმეა, აგერ, ამ სოფელს და ბაღ-ვენახებს რომ უყურებთ, ეგ არის ჩვენი ტრიბუნა, ჩვენს გულითად სათქმელს ყველაზე ჭეშმარიტად ეს მიწა-წყალი გიამბობთ. ყველაზე ლამაზი და ბარაქიანი ლაპარაკი ჩვენ ამ ტრიბუნიდან გვემარჯვება. ვისაც გაგება უნდა, გაიგებს.

ვარდენ გოგობერიშვილს ასე დაწყობილად არ უთქვამს ეს, მაგრამ მივხვდი, რომ სწორედ ამის თქმა სურდა ამ სიტყვაძვირ მუყაით ადამიანს, სამოცი წლის კოლმეურნეს, შარშან

223 კაცდღე რომ გაძოიძუშავა, თუ ცისქვეშ გასვლა შეიძლებოდა, ერთი დღეც რომ არ გაუცდენია, სულ ვენახს, ბაღს და ბაღჩა-ბოსტანს რომ დასტრიალებდა თავზე.

ასე ფიქრობენ სხვებიც: სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალგზის მონაწილე ნინა ბიბილაშვილი, მოწინავე მევენახეები ბაბილინა ჩალაძე და კოწია გოგშელიძე, ჩაის კრეფის ოსტატი თინა მარდალეიშვილი, მუყაითი მებოსტნე ანა გელენიძე, მესიმინდე თოლორდავა, ტრაქტორისტები ვახტანგ მაისაშვილი და პაპი ხუტობა. მწყემსი გრიგოლ გოგრიჭიანი, მერვე ბრიგადის თავკაცი ვალერიან დოლბაძე...

ასე ფიქრობს ყველა გამრჯე ახალსოფლელი, ვისი თავდადებული შრომითაც არის მოპოვებული კოლმეურნეობის ყველა გამარჯვება. ერთი ვაზის მესაიდუმლეა, მეორე ხეხილის, მესამე ბაღჩა-ბოსტნის. მეოთხე კიდევ სხვა რამის და ასე საქვეყნოდ ცნაურდება ამ მიწა-წყლის ამოცნობილი მრავალი საიდუმლო.

წინათ ადამიანები ლოცვით აბარებდნენ ანგარიშს უხილავ განგებას. ახლა საკუთარ სინდისს აბარებენ ყოველდღიურ ანგარიშს, რათა ქვეყნიერების წინაშე პირნათლად წარდგნენ.

ვინც მისთვის მინდობილ საქმეს ერთგულად აკეთებს, ის მთელი ქვეყნის საქმეს აკეთებს. მისი შრომა ხომ განუყოფელია ქვეყნის საქმიანობისაგან. ახალსოფლელი რომ დროულად მიაწვდის კარგ ხილს, ყურძენს და ბოსტნეულს ზღვისპირეთში ჩამოსულ ურალელ თუ ბალტიისპირელ დამსვენებელს, იგი უკეთ აღიდგენს ჯან-ღონეს, შრომის დაზგასთან დაბრუნებული უკეთ იმუშავებს და მისი სიკეთე ანალსოფლელსაც მოსწვდება. ეს ჩვენს დროში უტყუარი ჭეშმარიტებაა. ჩვენი დიადი მიზნის განსახორციელებლად უპირველესი მეგზური და ხელისშემწყობი. ადამიანები უხილავად უწვდიან ერთმანეთს დახმარების ხელს.

აგერ უკვე ოცდარვა წელიწადია კომპლექსურ ბრიგადას თავკაცობს ლენინის ორდენოსანი ჟორა მელაშვილი. მისი ბრიგადა მუდამ მოწინავეა. ბრიგადას 55 ჰექტარი მიწა აბარია, უვლის ვაშლისა და ატმის ბაღებს, ბოსტანს და სახნავ-სათეს მინდორს, მთავარი მისი საზრუნავი კი ვენახია, 32 ჰექტარზე გაშენებული სხვადასხვა ჯიშის ვაზი—ცოლიკაური, ჩხავერი, ოჯალეში, კაჭიჭი.

შარშან ამ ბრიგადამ ჰექტარზე 175 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა და სახელმწიფოს 470 ტონა ჩააბარა. მინდოდა, ციფრებს მოვრიდე-

ბოდი, მშრალია-მეთქი, მაგრამ, რა ვქნათ, თუ ჩვენს დროში ზოგჯერ ციფრები უფრო დამაჯერებლად მეტყველებენ კაცის საქმიანობაზე, ვიდრე მისი მუშაობის მხატვრული აღწერა, ისევე როგორც ზოგჯერ დოკუმენტური პროზა სჯობნის მხატვრულად შელამაზებულ, წწერლის ძიერ გამოგონილ მოთხრობასა თუ რომანს.

მეორე კომპლექსურ ბრიგადას 1947 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ზურაბ ტაბუცაძე. ზურაბმა ვაზის უამრავი საიდუმლო იცის, მხოლოდ მიწის კაცის გუმანისთვის მისახვედრი საიდუმლო. ამიტომ მის ბრიგადაში გამოცდილების გასაზიარებლად ხშირად მოდიან სტუმრები.

ახალსოფელს ბევრი სახელოვანი ადამიანი ჰყავს.

* * *

ფეხით მივყვებით სოფლის მოასფალტებულ ფართო გზას. აქეთ-იქით ლამაზ ჭიშკრებიანი, კოხტა ეზოებიანი სახლები ჩამწკრივებულან. უმრავლესობა ორსართულიანია.

— ადრინდელი სტანდარტული სახლებიდან ნახევარიც აღარ დაგვრჩა, — მეუბნება დავითი, — ომი რომ არა, ალბათ, ის სახლი არც არავის ექნებოდა. ომში დაღუპულთა

ცოლ-შვილს კარგა ხანს გაუჭირდა წელის გა-
მართვა, ახლა ისინიც მომაგრდნენ და მაღე,
იმედია, ძველ ოდას სამუზეუმოდღა შემოვი-
ნახავთ. მოუსვენარია ადამიანი. კაცს საქმეს
რა გამოულევს. თითქოს ყველაფერი გვაქვს
და მაინც კიდევ რამდენი რამ არის გასაკეთე-
ბელი: წყალსადენი დაგვიძველდა და ახალს
ვაგებთ, გადიდდა სოფელი და როცა კარგი
კინოსურათი ან წარმოდგენაა, ჩვენი კულტუ-
რის სახლი ხალხს ვეღარ იტევს. ექვსას ადგი-
ლიანი უნდა ავაშენოთ. კულტურის სახლთან
კი შინმოუსვლელთა ბაღი გვინდა, ისეთი, ზე-
მო მაჩხაანში რომ აქვთ. ჩვენს სოფლებში
რაც კარგი კეთდება, ერთმანეთისაგან დიახაც
რომ უნდა გადავიღოთ. ბავშვები სკოლაში
ორ ცვლად დადიან, უეჭველად გვჭირდება
ახალი დიდი სკოლა, პერსპექტიული. ყველა-
უბანში გზა მოხრეშილია, მაგრამ მოხრეშილს
მოასფალტებული სჯობია.

წინ მხნე ბერიკაცი შემოგვხვდა, ძველებუ-
რი „ცარსკები“ ეცვა.

— საით გაგიწევია, სანდრო? — ჰკითხა და-
ვითმა.

— სამჭედლოში შევივლი. რა იცი, იქნებ
რამეზე დახმარება დასჭირდეთ.

ბერიკაცი გაგვშორდა.

— სანდრო გოგრიჭიანია, ძველი მჭედელი,

ტიფო ბიბილა'შვილთან ერთად ბარ-წერაქვებს და წალდებს რომ გვიჭედავდა ომამდე. პენსიაზე გავიდა, შინ მაინც ვერ ჩერდება, ისევ სამჭედლოსკენ გარბის ხოლმე.

აქვე ამ „ცარსკებიანი" კაცის სხვა ამბავიც გავიგე.

თურმე თხუთმეტიოდე წლის წინათ დურგალი ევგენი მაისურაძე და მჭედელი სანდრო გოგრიჭიანი კვირა ღამით ავარიაში მოჰყვნენ. დატრიალდა დავითი, სანდროს ბრიგადირი ჟორა მელაშვილი, შოფრები მიხა ტაბუცაძე და გოგლი გოგობერიშვილი, ორი მომაკვდავი კაცი უმალვე გუდაუთაში გააქანეს. სანდროს ოთხგან ჰქონდა ძვალი გატეხილი. იგი ომის ინვალიდი იყო და ავარიის დროს ფეხი ზედ ნატყვიართან გადასტეხოდა. ევგენი ცოცხალ-მკდარივით ესვენა. აღარავის ეგონა, თუ რომელიმე გადარჩებოდა. მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს. სიკვდილს გულხელდაკრეფილნი როდი დაელოდნენ. მოგეხსენებათ, კვირა ღამით ექიმების ადგილზე დაჭერა ერთობ ჭირს. რის ვაივაგლახით მოძებნეს და მოაგროვეს ქირურგები. არცერთი ახალსოფლელი არ მოშორებია საოპერაციო მაგიდას, რაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ ექიმებს და... გაუმართლდათ. ორივე კაცი გადაარჩინეს.

— ა, ახლა „ცარსკებსაც“ იცვამს ეს ჩვენი სანდრო და ქორწილში ისე ცეკვაკს ხოლმე, დაგეშილი შევარდენი გეგონება. სამჭედლოსაც ვერ ეშვება. ჩვენი სოფელი ასეთი მაგარი ხალხით არის მაგარი. აჰიტომ მეც არ მიჭირს მუშაობა.

წისქვილთან გავიარეთ, წყლის წისქვილთან. საამო ხმა აქვს ამ დალოცვილს. იქნებ ასე იმიტომაც გვეჩვენება, რომ ჩვენი ბავშვობის ბევრ ამბავს გვაგონებს!

ახალსოფელში ელექტროწისქვილიც ბრუნავს, მაგრამ ვერც წყლის წისქვილს ელევიან, აქ დაფქული სიმინდი უფრო გემრიელიაო.

სოფელს ომის დროს და შემდეგაც ელექტრობუქი არ ჰქონდა. რაიონში პირველი ელექტროსადგური აქ ააგეს — „თეთრწყალჰესი“. ეს იყო 1948 წელს. ახლა იგი აღარ სჭირდებათ, მაგრამ არხი წინანდებურად შემორჩათ და ზედ წისქვილი გამართეს. როგორც იტყვიან, წყალს უბრალოდ არ ღვრიან, თანაც ელექტროენერგიას ზოგავენ, ყველაფერში იჩენენ კეთილგონივრულ მომჭირნეობას.

— მე მგონია, ამ სოფელსა და კოლმეურნეობაზე კი ღირს პატარა წიგნის დაწერა. — გავუმჟღავნე დავითს უცებ მოსული აზრი.

— ამას წინათ კი გამოქვეყნდა „კომუნისტში“ მეცნიერთა მიმართვა, დავწეროთ ფაბ-

რიკა-ქარხნების და კოლმეურნეობების ისტორიაო, დიახაც კარგი იქნება, მაგრამ ვინ უნდა დაწეროს? ისტორიკოსმა თუ მწერალმა? იქნებ სჯობდეს ორივემ ერთად, შეხმატკბილებულად?

— რატომ? რატომ ერთად?

— თუ გვინდა ამას შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდეს და საკითხავადაც საინტერესო იყოს. შენ რას იტყვი?

— ძნელია. მწერალი და ისტორიკოსი მოვლენებს სხვადასხვანაირად ხედავენ. მწერალს ადამიანის სული აინტერესებს, მეცნიერს — ფაქტები. ხომ ნახე, იმ მიმართვას არცერთი მწერალი არ აწერდა ხელს. ალბათ...

ამ დროს გზაზე ზლაზვნით და ღრუჩუნით მომავალი ღორები გამოჩნდნენ. თითქოს განგებო, ფეხებში აგვებლანდნენ.

— სი! — შეუტია დავითმა. — ამ ღორების გადამკიდე სოფლის გზას მუდამ აკლია სისუფთავე. ღორების ფერმა საკმაო მანძილზე გაეშორე სოფელს. ახლა რაღაცნაირად უნდა მოვახერხოთ, რომ გლეხსაც არ დასჭირდეს ღორის შინ გაჩერება. ან შორს გაიყვანოს, ან... რა ვიცი. ასე კი ნამდვილად აღარ გვარგია. თანამედროვე სოფელს ეს აღარ შვენის, ერთობ აბინძურებენ გზას.

— წინათ ასეთ რამეზე, აბა, ვინ იფიქრებ-

და, — გავეპასუხე შე, — ორღობეს ფიქრიც ორღობული ჰქონდა. კარგია, როცა სოფელი ღონიერია და ფართო გზა შვენის. აქ ფიქრიც ფართოვდება. ახლა სოფლის ესთეტიკურ მხარეზეც ვფიქრობთ და ბევრ სხვა სიკეთეზეც. მომავალზე ფიქრიც უფრო გვიადვილდება. ადამიანს აღარ სჭირდება არც თავის მოტყუება, არც სხვისი. ახლა, მე მგონია, თავმჯდომარესაც კი მეტი დრო აქვს, სოფელზე იზრუნოს.

— ჰო, როცა სოფელი იმარჯვებს, კი, — სიტყვა ჩამომართვა დავითმა, — ისე რა მოგახსენო . . .

— ვერ გავიგე?!

— აი, ჩვენ ბევრი მოწინავე ადამიანი გვყავს. სოფლის ყველა გამარჯვებაში მათი წვლილი ურევია. როცა კოლმეურნეობა მოწინავეა, გამარჯვების გვირგვინს ინაწილებს ყველა, მაგრამ თუ კოლმეურნეობა ვერ იმარჯვებს, ჩამორჩენილებს მისჩანჩალებს კუდში და მარცხდება, ამ დამარცხებას თავის თავზე არავინ დაიბრალებს, დანაშაულის ტვირთი ედება მხოლოდ ერთ კაცს — თავმჯდომარეს, მხოლოდ თავმჯდომარეს მიიჩნევენ მარცხის მიზეზად. არა, მე საყვედურს არავის ვეუბნები: ეს უსამართლოა-მეთქი. პირიქით, ამ ამბავში ჭეშმარიტების დიდი მარ-

ცვალი დევს. თუ კოლმეურნეობა იმარჯვებს, იმარჯვებს ხალხი, იმარჯვებს დიდი კოლექტივი, ხოლო თუ მარცხდება, ამაში უკვე ძირითადი დანაშაული ნამდვილად ერთ კაცს მიუძღვის, თავმჯდომარის ბრალია. ესე იგი, იმ თავმჯდომარეს არ გააჩნია ხალხის დარაზმვის უნარი და ამ თანამდებობაზე მისი ყოფნა თავისთავად დანაშაულია. ამიტომ ჩემს თავს ვაქეზებ ხოლმე: დავით, სხვა გზა არ გაქვს, უეჭველად უნდა გაიმარჯვოს შენმა კოლმეურნეობამ, თორემ ფეხი თუ მოუცურდა და დამარცხდა, ეს მხოლოდ შენ დაგბრალდება-მეთქი. ასე მესმის მე პერსონალური პასუხისმგებლობა.

* * *

ახლა ასეა. თუ მდიდარია სოფელი, იგი ქვეყანასაც მეტად არგია და თავის თავსაც.

ახალსოფელში საქმის ჩარხი ისე ტრიალებს, ხელმრუდი კაცი ეჩოს ვერ გალესავს და თავისკენ იმას ვერ მიითლის, რაც არ ეკუთვნის. აქ ხალხი მხოლოდ პატიოსანი ოფლით და მუყაითი შრომით ცხოვრობს. სადაც პატიოსანი შრომა ფასდება, იქ ქურდობა-მამაძაღლობისთვის ადამიანს არც სცალია.

მოგეხსენებათ, კაცის სულის შესაცნობად გარეგნული იერი არ კმარა. ასევეა სოფელიც.

განგებ ამოვირჩიე ჩვეულებრივი კოლმე-

ურნის ოჯახი. მიხა ტაბუცაძის ჭიშკარი შევაღე და მისი კარმიდამო დავათვალიერე.

ის-ის იყო ჯარიდან უნდა დაბრუნებულიყო მიხა, ომი რომ დაიწყო. მალე დაიჭრა და ლაზარეთიდან შინ გამოსწერეს. ჭრილობა კარგად არც ჰქონდა მოშუშებული, თავის ხელობას — შოფრობას რომ დაუბრუნდა. მას შემდეგ მანქანის საჭე ხელიდან არ გაუშვია. 1958 წელს სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენაში მონაწილეობისას კოლმეურნეობას სატვირთო ავტომანქანა რომ აჩუქეს, ის მანქანა უყოყმანოდ მიხას ჩააბარეს — მოწინავე შოფერს. მერედა, რა კარგად ამუშავა მთელი თორმეტი წელიწადი! მიხა სოფელში უყვართ არა მარტო იმიტომ, მარჯვე და დაუზარელი შოფერიაო, იგი გულითადი ადამიანიცაა, ყველას ქომაგი და ჭირ-ვარამის გამგები, ჩუმი, სიტყვაძვირი, ალალი და მუდამ გულღია. უყვარს თავისი სოფელი, თავისი საქმე და არც ოჯახს აკლებს მზრუნველობას, ახლა უკვე ბაბუაკაცი. ახალსოფლის სიკეთეში მიხას დათესილი მადლიც ბლომად ურევია.

როცა ძმები მიხა და ზურაბი დაოჯახდნენ, 1948 წელს ძმები ძმურად გაიყვნენ და სიამტკბილობით სავსე ორი ძმური კერა შექმნეს. მიხამ საერთო სამოსახლო უმცროს ძმას დაუტოვა, თვითონ კი ახალზე გადავიდა. გადავი-

და, მაგრამ. სამოსახლო ადგილს კბილის გასასინჯად დაჰკრა ბარი და:

— ჩხინკ!

ორიოდე ნაბიჯი გადადგა და კიდევ დაჰკრა:

— ჩხაანკ!

გულმოსულმა დაჰკრა მესამედაც. მხოლოდ ბარმა გაიწკრიალა და მიწამ ნაპერწკლები ამოყარა.

დაჰკრა მეოთხედ. კვლავ ნაპერწკლები შემოაყარა უჯიათმა მიწამ.

დაჰკრა მეხუთედ, მეათედ, მეოცედ. ბარი სანახევროდაც არსად ჩავიდა მიწაში. სამოსახლოს მთლიანად ქვის კბილი აღმოაჩნდა, ნარიყალი ქვის კბილი.

— აი, ბედი თუ გინდა! აქ სად მოვსულვარ, უმიწო სამოსახლოზე! ჯავისიდან ქვა-ღორღს გამოვექეცით და აქ უარესი არ დამხვდა! მომატყუე? მე შენ გიჩვენებ თავის სეირს! ვინ გგონივარ მე შენ! შენ თუ შეუპოვარი ხარ, არც მე ვარ ნაკლები! ვერ მაჯობებ, ვერა! — გაბრაზდა მიხა და პირდაჩეჩქვილი, დაბლაგვებული ბარი გვერდზე მიაგდო. არა, უკან როდი დაიხია.

თუ უმიწობით გაწამებული რაჭველი კაცი მუჭა-მუჭა აგროვებდა მიწას, გულით ეზიდებოდა, კლდეზე აყრიდა და საყანე-სავენახეს იჩენდა, მიხამ ტექნიკა მოიშველია, ნარი-

ყალზე ორას ოცდაათი მანქანა მიწა დააყარა და არნად-ნიჩაბით გაშალა. შრომის სიყვარულმა გაულამაზა იქაურობა და ახლა თავისი კეთილსინდისიერი გარჯის წყალობით ბედნიერად ცხოვრობს ახალ სამოსახლოზე.

ორსართულიანი, ჩუქურთმებით დამშვენებული, ჭერმაღალი სახლი უდგას, ლამაზაივნებიანი. ცალკე მოუწყვია მარანი, საკუჭნაო, სამზარეულო და აბაზანის ოთახი. ნალიაში ახლაც უყრია სიმინდი, ჯერ გაუცეხველი ტარო. დიასახლისი გაზქურასთან ტრიალებს. სახლის სახურავზე ტელევიზორის ანტენა აღმართულა. შინ ტელეფონი უდგას. (ახალსოფელში ახლა ორმოცდაათ ოჯახსა აქვს ტელეფონი, მალე კი ასზე მეტს ექნება). ხეხილიან ეზოს და ბაღჩა-ბოსტანს კარის ვენახი ესაზღვრება. რაჭული ჩვეულებისამებრ ვენახში მიხას ატმებიც დაურგავს.

ჯავისაში, სადაც მიხა ჭაბუკობისას ცხოვრობდა, ნამყენი ვაზი კარგად დამწიფებას ვერ ასწრებდა ხოლმე, ამიტომ საადრეო „ფრანგულას“ ვენახები ჰქონდათ. ადრინდელი სიყვარულით მიხას ეზოში ჯავისური „ფრანგულა“ ვაზიც დაურგავს და ფართო კიბის მოაჯირზე ტალავრად გაუშვია: აქ უკეთაც იხარა და ყურძენიც უფრო ტკბილი მოისხაო.

კაცი ბავშვობისდროინდელ პირველ სიყვა-

რულს ადვილად ვერ ელევა. რაც მაშინ შეუყვარდა, უნდა სიკვდილამდე უყვარდეს. ვერც „ფრანგულას“ დავიწყება შესძლო მიხამ, ვერც რაჭული ლორის. აი, ლორის შესაბოლავად თავისებური საკვამურ-სახრჩოლებელიც მოუწყვია.

— ისეთი ლორი აქ არ გამოდის, რაჭაში რომ ვიცოდით, — ამბობს მიხა, — მაგრამ მაინც გემრიელია. ზოგი აქაურ აჯიკასაც წააშველებს ხოლმე და... ვიკლავთ ძველ სურვილს. ახალსოფლურ ლორს მთლად რაჭულის გემო რომ არა აქვს, ეს მარტო შებოლვის და აქაური ჰაერის ბრალიც არაა. რაჭაში ლორი მხოლოდ წაბლს, რკოს და ბალახს შეექცეოდა, დაკვლის წინ თუ შევაჭმევდით საღორეობ სიმინდს, აქ კი განებივრებული გვყავს. ჰოდა, განებივრება ბევრ რამეს აკლებს გემოს, მე ასე მგონია. დიახ, ავად თუ კარგად, რაჭული ლორიც შევინახეთ და ჯავისური „ფრანგულაც“, აი, ბჟოლისა კი რა მოგახსენოთ. ჯავისაში სადილის შემდეგ ბჟოლით მოვითავებდით ხოლმე ხელს. ჩვენი ქათმები და კვატებიც ბჟოლით ქეიფობდნენ ხშირად. დადარაჯებულნი იყვნენ როდის ჩამოცვივდებაო და ერთმანეთს სტაცებდნენ ნისკარტებიდან. იყო ერთი ჩხუბი და დავიდარაბა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბჟოლისთვის. ახალსოფ-

ლური ბჟოლა კი ერთობ სწყენს ქათმებს, ზოგჯერ ხოცავს კიდეც. ამიტომ ეზოში ბჟოლის დარგვას ვერიდებით.

სხვა ხილი კი არაფერი აკლია მიხას ეზოს: ვაშლი, მსხალი, ხურმა, მანდარინი, . . შავბალას მეორე სართულის ფანჯრებთან გაუშლია ტოტები, ლამის შინ შევიდეს და კაცს მწიფე კუნწულები ხელში ცოცხლად ჩაულაგოს.

მიხას ხეხილის ქვეშ ორი ძირი სკაც უდგას.

მოკლედ: რაც გლეხს თავისთვის სჭირდება, თითქმის არაფერი აკლია.

— ჩვენში ახლა მიხასავით ბევრი ცხოვრობს. სახლიც კარგი უდგას, ეზო-მიდამოც თვალგასახარად გამოიყურება, სუფრაც გულუხვი აქვს. — ამბობს დავითი. — რასაც ადამიანი პატიოსანი შრომით მოიპოვებს, ღმერთმა კეთილად მოახმაროს! ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ კოლმეურნემ კარ-მიდამო აქციოს ოჯახის გამდიდრების წყაროდ, სასპეკულაციოდ, მაგრამ არც ის ვარგა, არაფერი ჰქონდეს კარმიდამოში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ბაღჩა-ბოსტნეულის, ხილის და თუნდაც ღვინის საყიდლად წამდაუწუმ ბაზარში ირბინოს. ეს უხერხულიც იქნება და სამარცხვინოც. ჯერ ერთი, თავის საქმიანობას მოსცდება და მეორეც, გაბაზრდება. თვითონაც დაიწყებს ბაზარში რამე-რუმეს

გატანას, გაბაზრებული კოლმეურნე კი ჩარჩ-ვაჭარზე უარესია. ჩვენ არა გვყავს ასეთი ხალხი, მაგრამ ის კი მინახავს, გლეხს ნაადრევად მოყვანილი შვიდიოდე კიტრი ბაზარში რომ გაუტანია და მამასისხლად დაუფასებია, სიძვირის გამო არავის უყიდია, იმ გლეხს კი მაზანდის შესანარჩუნებლად ფასი არ დაუკლია, შვიდიოდე კიტრის გაყიდვის მოლოდინში დახლთან დაუღამებია და მინ საქმეს მოსცდენია. იმ გლეხმა კიტრები კიდეც რომ გაყიდოს ბოლოს, მონაგები ფული ბის გაცდენას მაინც ვერ აანაზღაურებს, ესაა სავალალო. ძალიან ცუდია, როცა გლეხი ვაჭრუკანად იქცევა. ჩვენთან თუ გაბედა ვინმემ ასე მოქცევა — საკარმიდამო დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა და ბაზარში დაიწყო ცუნცული — უეჭველად ჩამოვაჭრით საკარმიდამო მიწას. ჩვენს დროში სიღარიბე უკვე სირცხვილია, თუ ზარმაცი და უქნარა არა ხარ, შეუძლებელია გაგიჭირდეს, შეუძლებელია ღარიბი იყო. მიწის ყიდვა არ გჭირდება და არაფერი. მაგრამ სიღარიბეზე მეტად სასირცხვილოდ უნდა გავხადოთ, როცა ადამიანი უპატიოსნო ამბებით მდიდრდება. ისიც უპატიოსნობაა, სახელმწიფოს ბიერ უფასოდ მოცემულ მიწაზე მოყვა-

ნილ კიტრსა თუ მწვანილს მამასისხლად რომ ყიდიან. არა, თუ?

— რასაკვირველია, — დავეთანხმე დავითს, — ჯერ კიდევ სულხან-საბამ თქვა: არქონება არ ვარგა და ავადქონება კი უარესიაო. ზნეობის ბრძენმა მოძღვარმა ისიც დაუმატა: ბევრის ნდომა კაცს წაახდენსო. ზოგმა მრუდე გზით იშოვა რა ცოტა ფული, ის ფული მეტი ფულის საშოვნელად დაატრიალა და ყელამდე აივსო ნამამაძაღლევი ქონებით. სამწუხაროდ, წინა ათ წელიწადში მომხვეჭელთა თავისებური კასტაც კი გაჩნდა, რომელიც ცდილობდა ცხოვრების პრაქტიკაში „შენცა ჭამე, მეც მაჭამეს“ ფილოსოფია დაემკვიდრებინა. მექრთამეობამ, საქმოსნობამ და ათასმა სიგლახემ სარეველა ბალახივით მოიარა მთა-ბარი და კინაღამ მოახრჩო კეთილი ნათესი.

ახლა სადაც არ უნდა მოხვდეთ, უპირველეს ყოვლისა იმას გკითხავენ: როგორ მოგწონს ჩვენს ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების ასე აშკარა, თამამი და გაბედული აღიარების კურსიო. დასამალი რა არის, ამ ბოლო დროს გაზეთებსაც კი მეტი ინტერესით კითხულობს ხალხი, რადგან ისინი სრულ სიმართლეს ღაღადებენ მთელი ხმით.

ახალსოფლელებიც უპირველესად შეცდომების აღიარების კურსის ამბავს მეკითხებოდნენ.

— სხვანაირად არ შეიძლებოდა. სიმართლე ბოლომდე უნდა თქმულიყო. მაამებლობას, თვითკმაყოფილებას, უდარდელობას, გულგრილობას, დანაშაულის დაფარვას, პირფერობას, თვითრეკლამას, გაბერილ ციფრებს, ნიღბიან, მოჩვენებით კეთილდღეობას, ნაკლოვანებათა მიჩქმალვის მანკიერ ტენდენციას მრუდე გზით მიჰყავდა ჩვენი ცხოვრება, მრუდე გზა კი საბოლოოდ დაღუპვის გზაა, უფსკრულისკენ მიმავალი გზა. ამიტომ რა მწარეც არ უნდა იყოს სიმართლე, ტკბილ და სასიამოვნო სიცრუეს მაინც აჯობებს ყოველთვის. რასაც ვფიქრობთ, ის უნდა ვთქვათ. ფიქრი და სიტყვა არ უნდა დავაშოროთ ერთმანეთს, თუ გვინდა მართლები ვიყოთ თუნდაც ჩვენი თავის წინაშე. ყველაზე საშინელი, დამღუპველი სიცრუეა, როცა შენს თავსაც ატყუებ. თუ ნამდვილად არ გაიგე, ავადმყოფს რა სტკივა, ვერ უმკურნალებ. წამალიც მწარეა სიმართლესავით, მაგრამ არჩენს. ადრე ვამბობდით: „წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გადმონაშთებს ვებრძვითო“, ახლა ბრძოლა გვიხდება, ასე ვთქვათ, უახლოესი ათი-თხუთმეტი წლის წინათ ადამიანთა ფსიქოლოგიაში შეჭრილი უკუღმართი აზრების წინააღმდეგ, ეს იქცა გადმონაშთებად. მართალია, ეს ბრძოლა ამჟამად არც ისე ადვილია,

ზოგიერთს რომ ჰგონია, მაგრამ გულხელდაკ-
რეფით ყოფნაც აღარ გვარგია. სამართლია-
ნად აღინიშნა, რომ „უფრო ძნელია გარდატე-
ხა მოახდინო ადამიანის შეგნებაში, ვიდრე
ეკონომიკაშიო“. ახლა მთავარია, აღარ გავი-
მეოროთ ძველი შეცდომები, ეგრეთ წოდე-
ბულ „გაუკუღმართების“ წლებში რომ შემო-
გვეპარა და გაბატონდა. წინანდელი ავადმყო-
ფობის ვირუსები დროულად უნდა მოვიშო-
როთ და გავჯანმრთელდეთ. წამალი ჩვენშივე
უნდა გამოვნახოთ, ჩვენი უანგარობა, სიწმინ-
დე და პატიოსანი შრომა უნდა გახდეს ეს წა-
მალი. თუ კარგად დავუკვირდებით, ბევრ რა-
მეს უკვე ეტყობა გამოჯანმრთელება.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და გაიბა ეჭლითა-
დი სჯა-ბაასი.

ახალსოფლელები მარტოოდენ თავისი
სოფლის სიკარგეზე როდი ზრუნავენ. ქვეყნის
ჭირ-ვარამი მათი სატკივარიცაა და ქვეყნის
ბედ-იღბალი მათი საფიქრალიც. რაც არ უნდა
მოხდეს ქვეყნიერების ზურგზე, ავიც და კარ-
გიც, ყველაფერი სოფელს გადახდებაო, ნათქ-
ვამია.

ერთი იმდროინდელი ამბავიც მოვიგონეთ,
წესსა და ჯავისაში პირველად რომ ჩამოყა-
ლიბდა კოლმეურნეობა. მაშინ ყანებში სამნე-
ბი აყარეს, კოლექტიურად დახნეს და დათე-
სეს, მერე, ჭირნახული რომ დამწიფდა, ყვე-

ლამ თავისთვის დაიწყო მკა და ძნების თავის კალოზე მიზიდვა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ; ვინ მეტის მომკას და შინ წაღებას მოასწრებდა. საბჭოს თავმჯდომარე და კოლექტივის თავმჯდომარე იძულებულნი გახდნენ, იმ ხალხს იარაღით დასდგომოდნენ თავზე, რომ ჭირნახული საერთო კალოზე გაელეწათ და საერთო, „წითელ ბეღლებში“ ჩაეყარათ.

— მაშინ ასეთი გაუგებრობა იმიტომ ხდებოდა, რომ კერძომესაკუთრული, საუკუნეობრივად სისხლ-ხორცში გამჯდარი ფსიქოლოგია და ძველი ინსტინქტი ქვეშეცნეულად ჰკარნახობდა ადამიანს ამგვარ საქციელს, მაგრამ ეს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია რატომღაც ბოლო დროს ისევ გააღვიძეს და თუ ოცდაათიანელი გლეხი ასე იქცეოდა თავისი შეუგნებლობით, სამოციანელმა მომხვეჭილებმა უკვე შეგნებულად დაიწყეს საზოგადოებრივი ქონების თავის ოჯახებში მიზიდვა.

სიტყვა რევაზ ნატმელაძემ ჩამომართვა:

— ზღვისპირეთში ერთი უბედურზე უბედური სარეველაა, ამბროზია. ოდნავ თუ მიუშვი, ქვეყანას მოივლის. მექრთამეობამ, საქმოსნობამ, ქურდობამ და მამაძაღლობამ სწორედ იმ ამბროზიასავით მოინდომა ჩვენს მიწა-წყალზე გადავლა. კიდევ კარგი, ამ სარე-

ველამ ახალსოფელში ვერ მოიკიდა ფეხი.

— თუ ყურს არ მიუგდებ, არც ამიერიდან გიხათრებს, — გაეპასუხა სოგრატი გოგობერიშვილი.

— შე კაი კაცო, წამხდარ დროში პატიოსნად დავრჩით და აწი რა გაგვაფუჭებს, — მიუგო რევაზმა, — ახლა, როცა ირგვლივ პატიოსნება მყარდება, ჩვენთვისაც უფრო ადვილია მუშაობა.

— სარეველასი არ იყოს, ხელმრუდ, შავგულა და ცუდ კაცს რა გამოლევს ქვეყანაზე. — თქვა გაიოზ კივილაძემ. — ამას წინათ ფერმის ჯორი გავუშვით საბალახოდ და მეორე დღეს მკვდარი ვიპოვეთ, ორი ტყვია ჰქონდა თავში მორტყმული. ვიღაც გაერთო, ეტყობა, აბა, რას ერჩოდნენ? ხელი არ უნდა შეახმეს, ვინც ის უცოდველი ჯორი მოკლა?

— კინაღამ პატიოსნება მოკლეს და დაახრჩვეს არამზადებმა და შენ ჯორს ჩივი? — ჩაურთო სიტყვა ნოდარ მაისაშვილმა.

— ყველა დიდი უპატიოსნობა პატარ-პატარა უპატიოსნობით იწყება. იმ ჯორის მკვლელი შენ ნაკლებ მავნებელი გგონია? მარტო ზარალზეც არ არის საქმე. დღეს ჯორის მოკვლით გაერთო ვიღაც ვიგინდარა და თუ ვერ გაუგეს, ხვალ კაცის მოკვლით და გაძარცვით გაერთობა, მერე უფრო დიდრონ შავ-შავ საქ-

მეებს მიჰყოფს ხელს. შენ ხომ იცი, ოხერი ხალხი ზოგ პატიოსანს რა აბუჩად იგდებდა? მათ ხელში ზოგს სახელი იმით ჰქონდა გატეხილი, პატიოსანია ერთობ, ვერ ვენდობით ვერაფერში და როგორმე თავიდან მოვიშოროთო. ერთი ჯგუფი მოიშორებდა და მეორე ჯგუფი არ იღებდა, როგორც მგლის ბილეთიანს. პატიოსნება სალანძღავად და საძრახისად მიაჩნდათ. ამაზე მეტი სითავხედე იქნება? ჰოდა, რომ იცოდე შენ, ყველა ასეთი ამბავი პატიოსანი და უწყინარი ჯორის თავგასართობად მოკვლით იწყება.

— მაგრამ იყო ხალხი, ვისაც პატიოსნება სულ სხვანაირად ესმოდა. ერთს იცი, რა უთქვამს? ძალიან პატიოსანი შვილი მყავს, რასაც იპარავს, მისხალ-მისხალ შინ მოაქვსო. ასეთ ხალხს პატიოსნებად სწორედ ქურდობა მიაჩნდა. — თქვა ჟორა მელაშვილმა.

აქ მეც ჩავერიე საუბარში:

— ქურდი რომ იპარავს, ეს ერთი უბედურებაა და ხალხს რომ აცდენს—მეორე. თვითეულ ქურდზე, იცით, რამდენი მეთვალყურე მოდის? საოცრად ძვირი უჯდება სახელმწიფოს ქურდის შენახვა ჯერ გარეთ და მერე ციხეში. ყველა რომ პატიოსნად იქცეოდეს, ადამიანს ამდენი ჯაფა აღარ დასჭირდებოდა. ქურდების მეთვალყურე ხალხიც იმუშავებდა

რაიმე უკეთეს, ქვეყნის გამამდიდრებელ საქ-
მეზე.

— ეს კი ყველაზე მეტად სოფლის შეღავა-
თი იქნებოდა. — შემეპასუხა ჟორა მელაშვი-
ლი. — რაც არ უნდა გაჭიმ-გამოჭიმო, ქვეყ-
ნის პირველი მარჩენალი მაინც სოფელია,
ვინც დოვლათს ქმნის. მუშა-მოსამსახურე იქ-
ნება, მეცნიერი თუ ქურდის მეთვალყურე,
ყველა სოფელმა უნდა არჩინოს. ამიტომ დღეს
განსაკუთრებით სჭირდება სოფელს ყურად-
ღება. ჩვენ ხალხი არ გვაკლია, მაგრამ ბევრი
სოფელი რომ დაიცალა? ის, ვინც ქალაქში
არ არის საჭირო და მაინც ქალაქში დახეტია-
ლობს ტყუილ-უბრალოდ, ვინც ფუჭ ცხოვ-
რებას ეწევა, ორმაგად აწევს სოფელს. თვი-
თონაც სარჩენია და ისიც, იმ ტყუილადმყო-
ფელს რომ ემსახურება ქალაქში. ჩვენ არ ვამ-
ბობთ, ყველა ქალაქელი სოფელს დაუბრუნ-
დესო, მაგრამ ვინც ქალაქში არ არის ნამდვი-
ლად საჭირო, ის კი უნდა დაუბრუნდეს სო-
ფელს. აქ მარტო თავისი თავი რომ ირჩინოს,
ესეც შეღავითია. ბევრს ქალაქში თავისი ად-
გილი ვერ უპოვია, მისი ადგილი მიწაზეა. ის
კი მიწას გაექცა. კარგი ბრიგადირი ხომ სჯო-
ბია მეცნიერებათა ცუდ კანდიდატს? ზოგი ამ
ქვეყანაზე ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის
მეტს არაფერს აკეთებს. ასეთი „ჰაერის მწარ-

მოებლები“ ჩვენ არ გვჭირდება ზედმეტ ბარგად. ჰაერს ჩვენი ფილტვებიც კარგად გადაამუშავებს. ზოგი ასეთი მერე უნამუსოდ მოგადგება: ორმოცი წლის უსაქმურობის სტაჟი მაქვს და მსუყე პენსია დამინიშნეთო. თუ გინდა ქვეყანაზე პატიოსნება დაამყარო, ჯერ სოფელს უნდა მიხედო და ააღორძინო, ჯერ დოვლათის შემქმნელი ხალხი უნდა დააყენო სწორ გზაზე, ამ ხალხს უნდა მოუარო, რომ ქვეყანას კუჭი გაუძღეს, ადამიანები დაკმაყოფილდნენ. მშიერი ყოველთვის მოიპარავს. როცა შეიქმნება საკოლმეურნეო დოვლათი და ბაზრის ბატონ-პატრონი გახდება არა ქორვაჭარი და მისი მიმბაძველი გაკაჭრებული კოლმეურნე, არამედ თვითონ კოლმეურნეობა ბაზარს მიაწვდის კარგი ხარისხის პროდუქტს სახელმწიფო ფასებში და საშუალო ინტელიგენტი და მუშა-მოსამსახურე მოახერხებს იცხოვრო. თავისი ხელფასით, მაშინ ჩადგება კალაპოტში პატიოსანი ცხოვრება. სხვანაირად ხელ-ფეხს ვერ შეუკრავ აღვირახსნილ უნამუსო ხალხს, შშრომელთა ხარჯზე იოლი გზით გამდიდრების მსურველ ხალხს. ცხოვრება ისე წავა, როგორც ააწყობ. თუ ააწყობ პატიოსან ურთიერთობაზე, ივლის პატიოსნების გზით, თუ ერთხელვე შესცოდავ, იძულებული გახდები

იარო მრუდედ, სხვაც მოატყუო და შენი თავიც. მღვდელი რომ სხვას მარხვას ურჩევდა და თვითონ ჩუმად ქათამს მიირთმევდა, ხალხის თვალში უმალვე ეშმაკად იქცეოდა, ღმერთის რწმენას აკარგვინებდა ადამიანებს. ხელმძღვანელის პატიოსნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, სადაც ხელმძღვანელი უპატიოსნოდ იქცევა, იქ ყველაფერი უკუღმართდება. მე ახლა ჩვენი ცხოვრების საათავის სიწმინდის იმედი მაქვს. მე რომ ქვეყნის მარჩენალი მქვია, ვიღაც „ხალტურჩიკმა“ ვერ უნდა მაჯობოს, ჩემზე უკეთ ვერ უნდა იცხოვროს. აქამდე კი რა ხდებოდა? პატიოსანი კოლმეურნე მიწაზე იყო დღედაღამ მიჯაჭვული, „ბუფეტჩიკი“ კი მის თვალწინ სასახლეს იშენებდა. მერედა, ვის ხარჯზე? თუ კოლმეურნე გლეხი ხედავს, ის წელებზე ფეხს იდგამს, სხვა კი დახლში ფუსფუსებს ან სხვა იოლ საქმეზე მუშაობს, გლეხზე ცხრაჯერ უკეთ კი ცხოვრობს, გული გაუფუჭდება და თვითონაც ეცდება მიწას გაექცეს, ყანა-ვენახს გულმოდგინედ ვეღარ მოუვლის. მაგრამ თუ დაინახავს, მისი პატიოსანი შრომა ყოველნაირად უფრო ფასდება, გული იოლ, მაგრამ შემოსავლიან ადგილისკენ აღარ გაუწევს, დახლში დგომას მიწაზე მუშაობას ამჯობინებს. შეიქმნება დოვლათის სიუხვე და ეს მოს-

ბობს ქორვაჭრებს, საქმოსნებს, კომბინატორებს. თავისი ფასი დაედება პატიოსან შრომას და საერთოდ პატიოსნებას. მე ასე მიჭრის ჩემი გლეხური გუმანი. იქნებ მარტივად ვხედავ ყველაფერს, მაგრამ . . . რა ვიცი . . . მგონია, რომ ტყუილს არ ვამბობ.

— ახლა ნაკლს ეძებენ ყველაფერში, — გააგრძელა სიტყვა სოგრატი გოგობერიშვილმა. — ზოგმა ეს მოდადაც კი აქცია. მხოლოდ ცუდის დანახვას ცდილობს. დიახაც ბევრი ნაკლი შეეპარა ჩვენს ცხოვრებას განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, მაგრამ კარგიც ბევრი იყო და ამ კარგის დასანახავად თვალი განგებ რატომ უნდა დავხუჭოთ? ის არ უნდა ვთქვათ კახაბერად, ვინც არ არის კახაბერი, თორემ კახაბერიც თუ ლანძღვა-გინების ლათში ამოვსვარეთ, ამით მხოლოდ არაკახაბერი გაიხარებს: ხომ ხედავ არც შენ გიფასებენ კაიკაცობასო. სიმართლე კარგია, ნაკლოვანებათა კრიტიკა კიდევ უკეთესი. მაგრამ უპატიოსნო ბალხი აქაც პოულობს ხვრელს, პატიოსნების კვარცხლბეკზე პირველი დგება ხოლმე და თავს წმინდანად ასაღებს ან სიმართლისათვის წამებულ რაინდად, გაღმა ედავება სხვებს, იწყებს აშკარად თუ ფარულად უმწიკვლო ადამიანების ლანძღვა-გინებას. ყველა ინსტანციაში ცილისმწამებლურ წერი-

ლებს გზავნის სწორედ ყველაზე პატიოსან ადამიანებზე, ეს კი ძალიან ცუდია. ძნელი ხდება სიმართლის დადგენა, სარჩულსაპირეს გარკვევა, ერთმანეთში ირევა მტყუან-მართალი. სწორედ ასეთ დროს ბევრი გარეწარი უფრო აქტიურობს და ქრისტეს ნიღბით ჩირქს სცხებს სპეტაკ ადამიანებს: მე ვიტყვი და რამდენიმე კაცი თუ დაეჭვდება, ესეც კარგიაო.

— ასეა თუ ისე, თანდათან იწმინდება ჰაერი და ეს სიწმინდე მიწაზეც გადადის. — დაასკვნა თავმჯდომარემ. — მთავარია, რომ ჩვენი ცხოვრების საჭესთან პატიოსანი ადამიანები დგებიან, ვისაც ხალხი ენდობა.

იქნებ აქ ყველაფერი მთელი სიღრმით ვერ ითქვა, ვერ ითქვა ბოლომდე გამართულად, მაგრამ ყველა კი გულწრფელად ლაპარაკობდა.

ახლა თითქოს ჰაერშიც კი მეტი სიმართლე და გულწრფელობა ტრიალებს, ეს კი, არა მარტო ადამიანს, მიწასაც უხარია

* * *

მიწისა და მზის სისხლხორცეულ შვილს— სიცოცხლეს, ზამთარში ფერმოკლებულს და ძალამოკლებულს, გაზაფხულმა ზღაპრის გმირივით უცებ მოუმატა ჯან-ღონე, მოუმატა ფერები და ძალუმი სუნთქვა დააწყებინა.

გაზაფხული უკვდავი სიცოცხლის მარადიული განახლების ჟამია და თავისი ბუნება-ხასიათისთვის არც წელს უღალატნია, მაგრამ აწინდელი გაზაფხული, რაღაცით თითქოს უფრო სხვანაირი იყო ახალსოფლის მიწაზე. ბნელად მოვიდა, მაგრამ ამ სიძნელის დაძლევასაც თავისი ეშხი და მადლი ახლდა. ჭირ გადახდილი ლხინი უფრო გემრიელიაო, ამბობს ხალხი.

ახალსოფლელებმა, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, ეს წელიწადი მეტი აქტივობით დაიწყეს. ამას ფრიად შეუწყო ხელი იმ ღონისძიებებმა, რაც ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ხელი შეუწყო მშრომელი ადამიანის მეტმა დაფასებამ. პატიოსანი შრომის განდიდებამ, იმის სწორად შეგნებამ, რომ ეს მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელია და ამ წლის გამარჯვებით დაგვირგვინება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი ცხოვრების უფრო ნათელ და ფართო გზაზე გასაყვანად.

ახლა დილიდან საღამომდე ყვავილებს დაბზუის ფუტკარი. ფუტკრის ასე გულმოდგინედ მუშაობა მზიანი დღეების საწინდარია. ეს ყველა გლეხმა ხუთი თითივით იცის და ფუტკრის ზუზუნი სიკეთის გალობად ესმის. ამჟამად ვენახებს განსაკუთრებით სჭირდება მზე და კარგი ამინდი—ყვავილობისას წვიმა და ცუდი ტაროსი არ უნდა დაესწროს.

ლაღად სუნთქავს ზღვისპირეთი, ლაღად სუნთქავს ახალსოფლის მიწა. ზღვა უფრო ხშირად წყნარია, თითქოს სძინავს და ცისფერ სიზმარს ხედავსო, ოდნავ ირწევა. პირისახეზეც ისეთი ღიმილი დასთამაშებს, ეტყობა, კეთილ სიზმარსა ხედავს.

აქ ლამაზი დილა იცის, ხოლო საღამო კიდევ უფრო ლამაზია. ზღვაში ფეხჩადგმული მზე ნელანელა იძირება. ჩამავალი მზის სხივები ზღვაზე მოლურჯო ცეცხლისფერ გრძელ ბილიკად წვება, გეგონებათ, მზეს მიწასთან განშორება ეძნელება და სხივების ხელს ნაპირზე ჩასაჭიდებლად ირშვერსო.

ლამაზია გაზაფხულიც და ზაფხულიც ახალსოფელში, შემოდგომა კი სილამაზის გვირგვინია. რთველზე გვეწვიეთო, დამპატიჟეს.

შეუძლებელია, ამ სოფელში სტუმრობა კაცს ოდესმე დაეზაროს, ამ შრომისმოყვარე ხალხის ნახვა და გულმართალი საუბარი არ მოენატროს.

მიხარია, რომ ზღვისპირეთში არის სოფელი, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინათ გაჩნდა და ახალსოფლად მონათლეს. მიხარია, რომ წინათ უსარგებლო, ყველასგან მიტოვებული მიწა დღეს ასე გულუხვი და ბარაქიანია. მდიდარია იგი ბევრი სიკეთით, ყველაზე მდიდარი კი არის გამრჯე, მუყაითი და პატიოსანი ადამიანებით.

ოცდაათიოდე წლის წინათ ეს სოფელი არცერთ რუკაზე არ იყო, არც რაიმე სხვა საბუთში მოიხსენიებოდა. ამ სოფელზე ვერ იტყვი, გარდაიქმნაო. იგი ჩვენი თაობის თვალწინ დაიბადა, გაიზარდა, დავაჟკაცდა და კავკასიონის ქედს გადმოღმა ერთ-ერთი მოწინავე, ღონიერი და სახელოვანი სოფელი გახდა.

ამ სოფლის მადლი ჩვენი დიადი სამშობლოს ხვავსა და ბარაქაში კეთილად ურევია.

ღმერთმა ქნას, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ასეთი სოფელი ბევრი იყოს!

წინ მიდის ახალსოფელი და ამ წინსვლის მამოძრავებელია თვითონ ხალხი, რომელსაც აგერ უკვე თითქმის ოცი წელიწადია ხელმძღვანელობს დაუღალავი თავმჯდომარე, უნარიანი ადამიანი, გონიერი ორგანიზატორი დავით გოგობერიშვილი. ყველაზე დიდ წარმატებას ამ სოფელმა სწორედ მისი თავკაცობის წლებში მიაღწია.

დავითის მკერდზე ბრწყინავს ვარსკვლავი. ეს მიწაზე ანთებული ვარსკვლავია და ანათებს მიწას, აჩენს მის სიკეთეს. ამ ვარსკვლავს მიწის სიხარულისა და ტკივილის გაგება გულთმისანივით შეუძლია, მისი მოვლა-პატრონობა და ადამიანის სასიკეთოდ გამოყენება შეუძლია, შეუძლია ვაზის გასხვლა, თიბ-

ვა და საერთოდ ყველაფერი, რაც მიწის კაცმა უნდა-იცოდეს.

ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავს დავითს მკერდზე და ამ ვარსკვლავის შუქში თავმოყრილია მთელი სოფლის თავდადებული შრომის სიხარული. ეს განა მარტოოდენ დავითის, მთელი სოფლის, მისი გამრჯე ადამიანების გამარჯვებაცაა.

ეს ვარსკვლავი მხოლოდ ერთი ადამიანის სახეს როდი აწათებს, შუქს ჰფენს მთელ სოფელს, მთელი სოფლის მიწა-წყალს და ხალხს.

ეს ვარსკვლავი მთელი სოფლის ჯილდოც არის და მომავალი წარმატებების არა მარტო საწინდარი, — ვალდებულებაც. გმირი თავმჯდომარის ოქროს ვარსკვლავი მთელ სოფელს უნათებს დიადი მომავლისკენ, უკეთესი მერმისისკენ მიმავალ გზას.

ამიტომ უყვარს ხალხს ეს ვარსკვლავი.

1978 წელი, მაისი.
გუდაუთის რაიონი, ს. ახალსოფელი.

(„მნათობი“)

შინაარსი

შემდგენლებისაგან 3
ლექსები 7
გრიგოლ აბაშიძე. ჰიმნი სამშობლოს 9
ფიქრები ენგურის ხეობაში 11
ირაკლი აბაშიძე. პასუხად ჩუვაშ ამხანაგებს 25
რეზო ამაშუკელი. განმეორდება ახალი ნდომით 29
ხუტა ბერწლავა. გაზაფხული მოდის 33
გიორგი გიგაური. შუქი არაგვზე 37
ვახტანგ გორგანელი. პარტიული ბილეთი 39
ნოდარ გურეშიძე. ენგურჰესის კომკავშირლები 44
ბოლშევიკები ძველი გვარდიის 47
კარლო კალაძე. ჩვენ ვართ მჭედლები 49
ნაზი კილასონია. შრომის დილა 52
ოთარ მამფორია. მზე და ლექსი 54
რევაზ მარგიანი. საგაზაფხულოდ, საქართველოს პოეტებს 58
დავით მჭედლური. ითხოვს არაგვი ბეტონის აბჯარს 63
შოთა ნიშნიანიძე. კომუნისტები 64
იოსებ ნონეშვილი. ხარაჩოები გვიხმობს პოეტებს 69

ნლადო სულაბერიძე. ჰიმნი მომავლის ტყეებს 72
შალვა ფოლრჩხიძე. ჩანგი ჩემი ალალ მისი 75
მოლრის ფოცხიშვილი. ლექსიც იშრომებს მუშა-
კაცივით 77
ძახილი 80
სანდრო შანშიაშვილი. ნურავინ ჰგონებს 84
ალეკო შენგელია. დიდი დღე დადგა 86
ჯანსულ ჩარკვიანი. ოცდაერთი აპრილი 89
სიმტკიცე, ფიცი და გამარჯვება 91
ფრიდონ ხალვაში. რწმენის ხმა 95
თეიმურაზ ჯანგულაშვილი. შენ, ჩემო გმირო
თანამედროვევ 97
ნარკვევები 101
გიორგი ნატროშვილი. მწერალი და ცხოვრება 103
ბლუმინგი და ბოსტანი 114
თინა დონეაშვილი. შირაქის ველი 126
შიხეილ დავითაშვილი. გულსატკენიც, დასა-
ნანიც... 147
ოთარ დემეტრაშვილი. ვინ არის ყველაზე წინ... 165
მოდით ჩვენთან, სტამბაში 175
გივი გუთხუზი. მადლი მეტოქეობისა 193
ვლადიმერ თოლრდუა. კოლხი არაქნე 199
კარლო კოგბერიძე. წალკოტად ვაქციოთ თბი-
ლისის შემოგარენი 218
გიორგი სანადირაძე. წრთობა სიძნელით 227
გურამ ფანჯიკიძე. ოქროს ვარსკვლავის კავა-
ლერი 237
ოცდაოთხი წელი მარტენის ღუმელ-
თან 248
ბოლრის ჩხეიძე. ლელიანის დილა 259
აკაკი გეწაძე. ვარსკვლავი ანათებს მიწას 273

რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი
გამომცემლობის რედაქტორი
ლ. იონათამიშვილი
მხატვარი ს. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი რ. ცხვარაძე.

●

გადაეცა ასაწყობად 24/VIII-73 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XI-73
ქაღალდის ფორმატი 70×90 1/32
ფიზიკური ნაბეჭდი ფორმა 11,125
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,71
შეკვეთა № 2841 ტირაჟი 10.000
ფასი 47 კაპ.

●

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.